ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

გია ტუღუში

„დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების ისტორია ძველ საბერძნეთში"

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი **დისერტაცია**

სპეციალობა: ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. კ. სურგულაძე

ბათუმი
2020

შინაარსი

შესავალი ---------- 3

თავი I. ძველი ბერძნული დემოკრატიის არსი ---------- 11

1.1. წყაროები და ისტორიოგრაფია---------- 11

1.2. ძველი ბერძნული დემოკრატიის ქრონოლოგია ---------- 41

1.3. კანონმდებლობის როლი ძველ ბერძნულ დემოკრატიაში ---------- 44

თავი II. დემოკრატიამდელი ძველბერძნული დემოკრატია ---------- 50

2.1. კრეტა-მიკენის პერიოდი ---------- 50

თავი III. ლაკედემონური დემოკრატია ---------- 62

3.1. ლიკურგეს კანონმდებლობა – სპარტას სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმირების ქვაკუთხედი ---------- 67

3.2. სპარტას პოლიტიკური წყობა და ხელისუფლების საზოგადოებრივი დანაწილების სტრუქტურა; ---------- 77

თავი IV. ძვ.წ. VII-VI ს-ბის დემოკრატიული რეფორმები ძველ საბერძნეთში 81

4.1. ძალევკი და მისი ეპოქა ---------- 81

თავი V. ათენური დემოკრატია - დემოკრატიის მწვერვალი ---------- 85

5.1. ათენის პოლისის სამართლებრივ-დემოკრატიული საფუძვლები და საზოგადოებრივი სტრუქტურა---------- 92

5.2. ხელისუფლების დანაწილება ათენში ---------- 101

5.3. სოციალური კლასების ჩამოყალიბება ათენში---------- 107

5.4. პერიკლეს დემოკრატია ---------- 109

თავი VI. ძველი ბერძნული დემოკრატიის რომაული პერიოდი ---------- 154

დასკვნა ---------- 157

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 165

შესავალი

თემის აქტუალობა: „ბერძნული სასწაული" - ეს ის ორი მაგიური სიტყვაა, რომლითაც მრავალი მკვლევარი ცდილობს ბერძნული კულტურის დაბადება, განვითარება და მისი არაჩვეულებრივობა შეაფასოს [**Андреев1998: 7**].

ძველმა ბერძნულმა კულტურამ ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა. ეს ის პერიოდია, როდესაც საბერძნეთში დემოკრატია იბადებოდა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ათენური დემოკრატია ბერძნული კულტურის შედეგია [**Лосев1988: 6**].

ძვ. წ. VIII საუკუნეში იქმნება დასახლების ახალი ტიპი - პოლისი. პოლისის მოწყობისა და მისი ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია ფრაგმენტულია, მაგრამ ფაქტია, რომ [**Schuller2006: 33-4**], პოლისის (ქალაქის) დაბადება და მისი განვითარება დემოკრატიის განვითარების საფუძველი გახდა. აღსანიშნავია, რომ ბერძნულ პოლისებს ამბიციურობა ახასიათებდათ და თითოეული მათგანი ცდილობდა ეკონომიკურ-სოციალური განვითარების თვალსაზრისით პირველი გამხდარიყო, როგორც ამას ცდილობენ იმპერიები [**Васильевский1869: 2**]. ამ პირობებში, მათ შორის კონკურენცია დიდი იყო, რაც მათ უნებლიე განვითარებას იწვევდა.

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოებში კრიზისმა შემდეგი შედეგი მოიტანა: თითოეულ ქალაქ-სახელმწიფოში ორი სოციალური ფენა ჩამოყალიბდა: ერთი მდიდრების და მეორე ღარიბების [**Печатнова1984: Введение диссертации**]. სწორედ პოლისებში არსებულმა ღარიბმა მოსახლეობამ დაიწყო ბრძოლა თავისი უფლებების გაუმჯობესებისთვის, რამაც საბოლოოდ დემოკრატიის დამკვიდრებით დაგვირგვინდა.

სამოქალაქო საზოგადოება და ქალაქი სხვადასხვა ცნებები იყო. სამოქალაქო საზოგადოება რელიგიურ და პოლიტიკურ ერთობას წარმოადგენდა, ხოლო ქალაქი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს, ცხოვრების ადგილს [**Куланж1903: 144**].

დგინდება, რომ ძვ. წ. 3000 წელს საბერძნეთის ტერიტორიაზე ზღვის მეშვეობით ადამიანების ახალი ნაკადი მოვიდა, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია განიცადა. სწორედ ამ ასიმილაციის შედეგი არის ის

კულტურა, რომელსაც ჩვენ ანტიკური კლასიკური კულტურის სახელწოდებით ვიცნობთ [Hopper1993: 28-30]. რკინის ეპოქის დასაწყისში, ბერძნები უკვე ფილეებად იყოფიან და ეს დაყოფა კლასიკურ პერიოდშიც ნარჩუნდება [Vermeule1983: 76].

საბერძნეთი არა მარტო ახალი სახელმწიფოებრივი მოდელების ფორმირების აკვნად ითვლება, არამედ მეცნიერების განვითარების არეალად. სწორედ ამ ორი ფაქტორის შერწყმამ ანტიკურ საბერძნეთში პოლიტიკური და მეცნიერული სიახლეების ერთობლიობა გამოიწვია, რაც მომავალში დემოკრატიის დამყარების ერთ-ერთ წინაპირობად იქცა[Николаевич2006: 171].

რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ანტიკურ კულტურას თანამედროვეობისათვის. ამ კითხვაზე შეიძლება ორი პასუხი არსებობდეს: 1. ანტიკური კულტურა თანამედროვე კულტურისა და ცივილიზაციის საფუძველია, შესაბამისად, მისი შესწავლის გარეშე თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების არსს ვერ ჩავწვდებით; 2. ანტიკური კულტურა ევროპელების ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ყოველთვის ასრულებდა და მისი წინა პლანზე წამოწევა კრიზისის დროს ხდებოდა. ამის მაგალითია აღორძინების ეპოქა, რომელიც ანტიკურ კულტურაზე დაყრდნობით წარმოიშვა [ШтаерманЕ1975: 3].

ბერძნული კულტურისა და მსოფლმხედველობის განვითარების ისტორია მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და იგი წარმოადგენს დემოკრატიის, როგორც მმართველობის ფორმის წარმოშობის, მისი განვითარებისა და ზოგადად ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბების წინაპირობას. ალექსანდრე დიდის მიერ წარმოებულმა დაპყრობითმა ომებმა და ამის შემდეგ მისი სამეფოს ნაწილებად დაშლამ, ბერძნული კულტურის გავრცელება გამოიწვია სხვადასხვა რეგიონებში და უდიდესი გავლენა იქონია ამ რეგიონების სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე [Μαντάς: 67].

ნაშრომში შევეცდებით დავადგინოთ, თუ როგორი დინამიკით ვითარდებოდა დემოკრატია კლასიკურ ანტიკურ პერიოდში, გარდა ამისა, ძველბერძნული დემოკრატიის გაანალიზების შედეგად შესაძლებლობა მოგვეცემა ვიმსჯელოთ, როდის და რა მიზეზების გამო შეწყვიტა დემოკრატიამ თავისი განვითარების პროცესი, ან შეწყვიტა თუ არა. მხოლოდ აღნიშნული საკითხების შესწავლის შემდეგ

შევძლებთ ჩავწვდეთ დემოკრატიის ნამდვილ არს და მის მნიშვნელობას კაცობრიობის ისტორიის ფორმირების პროცესში.

დემოკრატიისადმი დამოკიდებულება საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. თუ ანტიკურ ხანაში მას ოხლოკრატიასთან „ბრბოს მმართველობასთან" აიგივებდნენ და უარყოფით კონტექსტში განიხილავდნენ, დამოკიდებულებები შეიცვალა, რასაც საფუძველი დაუდო ანტიკურ საბერძნეთში მიმდინარე პროცესებმა. თანამედროვე ეპოქაში დემოკრატია მმართველობის ყველაზე სასურველ ფორმად არის მიჩნეული და ბევრ ქვეყანას მიზნად აქვს დასახული მისი ფუნდამენტური ღირებულებების დანერგვა.

ძალაუფლებას, როგორც ფენომენს, მრავალჯერ მოუტანია ამა თუ იმ ქვეყნის ნგრევა, ზოგჯერ კი გაბრწყინება და აყვავება. სწორედ ამიტომ, კვლევები მის შესახებ დღესაც აქტუალურია. დემოკრატიაც ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმია და რადგან დღეს ქვეყნების უმრავლესობას სურს დემოკრატია დაამკვიდროს, მისი კვლევა ანტიკური ეპოქიდან უნდა დაიწყოს [**Зберовский2000: Введение диссертации**].

ჩვენი კვლევის საგანს სწორედ ბერძნული დემოკრატიისა და სახელმწიფო მმართველობის ფორმის, ამ უმნიშვნელოვანეს ეპოქაში მიღებული კანონებისა და ანტიკური საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოებში მმართველობის სხვადასხვა მოდელების ფორმირების პროცესის კვლევა წარმოადგენს. საკითხი ძალზედ აქტუალურია. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს: რომ არა ბერძნული დემოკრატიის დინამიურად ჩამოყალიბებისა და ევროპის კონტინენტზე მისი გავრცელების პროცესი, რომელსაც ერთი ყველაზე გამოკვეთილი ნიშანი ჰქონდა - სახალხო ძალაუფლება, შეიძლება დემოკრატიის, როგორც მმართველობის მოდელის დანერგვა სხვადასხვა სახელმწიფოებში შეუძლებელი გამხდარიყო. თემა ასევე აქტუალურია, რადგან კვლევის შედეგად დგინდება, რომ პერიკლეს ეპოქაში დამკვიდრებულ მმართველობის ფორმას, დემოკრატიულობის თვალსაზრისით, გარკვეული დადებითი ნიშნები გააჩნდა, რომლის მსგავსიც თანამედროვე დემოკრატიებს არ ჰქონდათ. გარდა ამისა, თანამედროვე ქვეყნები დემოკრატიისკენ ისწრაფვიან, მაგრამ ისტორიამ ცხადყო, რომ აღნიშნული მმართველობის მოდელის

დამკვიდრება არ ხერხდება ყველა ქვეყანაში, მით უმეტეს, ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციებისა და ეროვნული ღირებულებების გათვალისწინების გარეშე მისი პირდაპირი გადმოტანა [**Зберовский2009: Введение диссертации**].

აღსანიშნავია, რომ არსებობდა საბერძნეთის ერთ-ერთი პოლისი მეგარა, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა და განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რადგან შუა საბერძნეთთან და პელოპონისთან სავაჭრო თუ სხვა ტიპის ურთიერთობის დამყარება მისი მეშვეობით ხდებოდა [**Пальцева1990: 9**], მიუხედავად ამისა, მეგარაში არასოდეს დამყარებულა დემოკრატია და ამის მიზეზი მარტივია: ამ პოლისში არ არსებობდა ამის იდეოლოგიური საფუძველი, არ არსებობდა შესაბამისი მსოფლმხედველობა, რომელიც მასში დემოკრატიის დამკვიდრების საწინდარი გახდებოდა, ან თუნდაც ძვ. წ. V საუკუნის მაკედონია, რომელსაც მეფე მართავდა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებულია, რომ მოქალაქეები მდიდარ და ღარიბ ფენებად იყოფოდნენ, აქედან გამომდინარე, ღარიბი ფენა მდიდარს ემორჩილებოდა და შესაძლოა ამიტომაც მაკედონელებისთვისაც დემოკრატია მიუღებელი აღმოჩნდა [**Шофман1963: 117**].

კვლევის ობიექტი: დემოკრატიულობის განვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია კრეტის, სპარტასა და ათენის ქალაქ-სახელმწიფოებში (პოლისში) მიმდინარე პროცესები, სოციალური რეფორმები, სამართლის განვითარება, საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დღესდღეისობით საფუძვლად უდევს თანამედროვე ევროპულ დემოკრატიასა და სამართლის სისტემებს. ჩვენი კვლევის საგანს სწორედ აღნიშნულ ქალაქ-სახელმწიფოებში მიმდინარე ზემოთ ჩამოთვლილი პროცესები წარმოადგენენ.

რაც შეეხება კრეტის ქალაქ-სახელმწიფოს, ის უძველესია და როდესაც ამ ქალაქ-სახელმწიფოში დემოკრატიის ფორმირებაზე ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ დემოკრატიამდელ დემოკრატიაზე.

ძვ. წ. 462 წელს ათენში დემოკრატია დაიბადა სიტყვის კლასიკური გაგებით. პერიკლეს ეპოქაში დაარსებულმა დემოკრატიამ 140 წელი იარსება (ძვ. წ. 462-322 წლები), სამყარო გააოცა უდიდესი კულტურის შექმნით, მოქალაქის თავისუფლების

ხარისხითა და მისდამი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტის უფლების მინიჭებით.

მიუხედავად იმისა, რომ ლაკედემონელთა სახელმწიფო ოლიგარქიული იყო, დემოკრატიულობის მცირე ნიშნები მასში მაინც შეინიშნებოდა, თუნდაც ხელისუფლების დანაწილების თვალსაზრისით. ჩვეულებრივი ტერმინებით ძალიან რთულია სპარტას ქალაქ-სახელმწიფოს მმართველობის მოდელის განსაზღვრა, რადგან ეს მოწყობა რთული და მრავალწახნაგოვანი იყო [**Андреев1983: 208-209**]. როგორც ცნობილია, ძველბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის წამყვანი ადგილი სპარტასა და ათენს ეკავათ. ორივე მათგანმა ანტიკური ცივილიზაციის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მკვლევრები ათენის პოლისით უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან დემოკრატია ათენში დაიბადა, მაგრამ ამავდროულად, მეცნიერებმა აღიარეს სპარტას პოლისის უნიკალურობა და მისი უფრო ღრმად შესწავლის აუცილებლობა [**Печатнова2002: Введение диссертации**]. ჩვენთვის საინტერესოა სპარტას სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების კვლევა, რადგან აღნიშნულ ქალაქ-სახელმწიფოს მმართველობის ფორმა და მისი საზოგადოებრივი წყობილება მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი გახლდათ, მმართველობის ინსტიტუციებიც გარკვეულწილად დემოკრატიულად ფუნქციონირებდნენ, ის შეიცავდა დემოკრატიის გარკვეულ ნიშნებს, ხელისუფლების მკვეთრად დანაწილების თვალსაზრისით. არ არსებობდა არც ერთი ორგანო, რომელიც აბსოლუტურ ძალაუფლებას ახორციელებდა, თუმცა მეორეს მხრივ, ეფორებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შეეძლოთ პერიეკების სიკვდილით დასჯა. იმ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად ხორციელდებოდა მონების უკანონო ხოცვა-ჟლეტა, დავასკვნით, რომ სპარტას სახელმწიფო დემოკრატიულობის ნიშნებს მხოლოდ ხელისუფლების დანაწილებისა და მისი განხორციელების კუთხით შეიცავდა. რაც შეეხება კანონმდებლობას, რომელიც ეფორებს პერიეკების გაუსამართლებლად მოკვლის უფლებას აძლევდა, აქ დემოკრატიაზე საუბარი ზედმეტია. შეიძლება დავასკვნათ, რომ სპარტას ქალაქ-სახელმწიფო დემოკრატიულობის თვალსაზრისით ერთგვარ ჰიბრიდულ წარმონაქმს წარმოადგენდა.

კვლევის საგანი: კვლევის საგანს წარმოადგენს დემოკრატია, როგორც მმართველობის მოდელი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება, ანტიკური და თანამედროვე მოაზროვნეების ნაშრომების საფუძველზე დემოკრატიის ჭეშმარიტ არსში წვდომა, მათი მოსაზრებების შედარების შედეგად მმართველობის აღნიშნულ სისტემაზე საბოლოო დასკვნის გაკეთება.

კვლევის მეცნიერული სიახლე: სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ძველბერძნულ დემოკრატიაზე თანამედროვე ბერძენი ისტორიკოსებისა და მოაზროვნეების (კ. რიგასი, პ. გიუნი, პ. ნაკუ, მ. კასტორიადისი, ი. ფსილაკი და სხვები) მაშეხედულებები, რომლებიც განსხვავდებიან სხვა მკვლევარების შეხედულებებისგან იმავე საკითხზე. ზემოაღნიშნული მასალების კვლევის შედეგად ნაშრომში გახსნილია ბერძნული დემოკრატიის არსი, მისი პირდაპირობის, გამჭვირვალობისა და სახალხო ხასიათის ტენდენციები, ხაზია გასმული, რომ სოლონისა და პერიკლეს ეპოქაში დემოკრატიის დამკვიდრება არ განხორციელებულა მხოლოდ ათენის გეო-პოლიტიკური მდებარეობის, ან სხვა მიზეზების გამო, როგორც ამას სხვა ავტორები მიიჩნევენ, არამედ ის გახლდათ ანტიკური ხანის ბერძენი მოაზროვნეების იდეოლოგიის შედეგი, იდეოლოგიისა, რომელიც ღმერთების ყოვლისშემძლეობას უარყოფს და სამყაროს ცენტრში ადამიანს აყენებს. ეს ის თავისუფალი აზროვნება იყო, რომელმაც ანტიკურ ეპოქაში ათენის ქალაქ-სახელმწიფოში დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება გამოიწვია .

მრავალი თანამედროვე ავტორისგან განსხვავებით, ბერძენი ავტორები მიიჩნევენ, რომ ათენის ქალაქ-სახელმწიფოში დემოკრატიის დაფუძნება და მისი განვითარება მხოლოდ პერიკლეს დამსახურებას არ წარმოადგენდა და ის ამ საქმეშე უბრალოდ მონაწილეობდა, როგორც ათასობით ათენელი, რომ ეს გახლდათ ნამდვილი და არა ფორმალური დემოკრატია, პირდაპირი და არა წარმომადგენლობითი, რომლის მსგავსიც მის დამკვიდრებამდე და არც მისი დამკვიდრების შემდეგ კაცობრიობას არ ენახა. ის შთანთქა პელოპონისის ომებმა, ალექსანდრე დიდის იმპერიამ, შემდეგ რომმა და კვლავ განიცადა რეინკარნაცია მხოლოდ რენესანსის ეპოქაში და ისიც, მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, თუმცა არა იმ ფორმით, როგორიც იყო ათენური დემოკრატია, ანუ სახალხო და პირდაპირი, რაც ზოგიერთი ანტიკური ეპოქის

ფილოსოფოსების დამსახურებაა, რომლებიც ოლიგარქიული წრეების ინტერესებს იცავდნენ და რომლებმაც კაცობრიობას ათენური დემოკრატიის ნამდვილი არსი (პლატონი, არისტოტელე, თუკიდიდე) დაუმალეს. თუმცა აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ აღორძინების ეპოქაში ძველბერძნული დემოკრატიის და მმართველობის ფორმის დამკვიდრების აუცილებლობა მხოლოდ ევროპის კონტინენტზე გახდა შესაძლებელი და ამავდროულად, მოთხოვნადიც.

მიიჩნევა, რომ საბერძნეთში დემოკრატიის დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მისი გეოგრაფიული მდებარეობა იყო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი გეოგრაფიული მდებარეობა მრავალ ქვეყანას გააჩნდა, მათ შორის ეგვიპტეს, ჰყავდა უძლიერესი ჯარი, მაგრამ დემოკრატიამ, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმამ, მასში ფეხი ვერ მოიკიდა, ვერ დამკვიდრდა, რაც ჩვენი შეხედულებით, შესაბამისი თავისუფლების მატარებელი იდეოლოგიის არარსებობის შედეგი გახლდა.

გარდა ამისა, განსხვავებით ბერძნული და საზღვარგარეთული ისტორიოგრაფიისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არსებობს ნაშრომი, რომელიც ანტიკურ საბერძნეთში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების წესს, მისი დაფუძნების სამართლებრივ და ფილოსოფიურ საფუძვლებს დეტალურად და ექსკლუზიურად განიხილავს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულის შესაძლებლობას ბერძნული და უცხოური ლიტერატურა უფრო მეტად იძლევა, რასაც მომდევნო თავებსა და პარაგრაფებში დავამტკიცებთ. არსებობს მათე ალექსიშვილის ნაშრომი - „ათენის მონათმფლობელური დემოკრატია", რომელიც მხოლოდ ათენში დამკვიდრებულ დემოკრატიას ეხება და დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით არ აანალიზებს საბერძნეთის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებს. გარდა ამისა, მას მხოლოდ მარქსისტული მსოფლმხედველობის ჭრილში განიხილავს, რაც მიგვაჩნია, რომ საკითხისადმი მოძველ ებული მიდგომაა.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები: ძველბერძნული დემოკრატია, ეს ის დემოკრატიაა, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მმართველობის მოდელებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ პერიკლეს ეპოქაში

დამყარებული მმართველობის ფორმა მოქალაქეებს უფრო მეტ თავისუფლებას და ძალაუფლებას ანიჭებდა, ვიდრე თანამედროვე დემოკრატიები ანიჭებენ. პერიკლეს ეპოქის დემოკრატია პირდაპირი გახლდათ, ხოლო თანამედროვე წარმომადგენლობითი, რაც იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ დემოკრატია კი არ განვითარდა ანტიკური ეპოქიდან ვიდრე დღემდე, არამედ მან სახე იცვალა და ხალხის მმართველობის მექანიზმიდან იქცა გარკვეული პოლიტიკური წრეების იდეოლოგიად ძალაუფლების მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ანტიკური საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოებში დამყარებული სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმები იყო პირდაპირი, თუ წარმომადგენლობითი დემოკრატია, დემოკრატიის დამყარება გახლდათ პიროვნებების დამსახურება, თუ სახალხო ნების გამოხატულება მოქალაქეებს თავად ემართად სახელმწიფო, ეს გახლდათ ჩანასახობრივი, თუ სრულყოფილი მმართველობის მოდელი, რომელმაც დროში ერთხელ იარსება და ამის შემდეგ აღარ განმეორებულა - ეს ის საკითხებია, რომლებიც ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს. რა გავლენა იქონია მან თანამედროვე სახელმწიფოების მმართველობის ფორმებზე, დემოკრატია იყო და დასრულდა, თუ ჩვენს ეპოქაშიც იხვეწება და ვითარდება, რამაც განაპირობა არა მარტო ანტიკური საბერძნეთის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატიული მმართველობის მხოლოდ საბერძნეთის რამდენიმე ქალაქ-სახელმწიფოებში დამკვიდრება და არა რომელიმე სხვა გეოგრაფიულ სივრცეში.

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძველს საკითხის ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება წარმოადგენს. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც თანამედროვე, ისე ანტიკური ეპოქის მოაზროვნეების შეხედულებების ანალიზი, მათი მოსაზრებების შედარება და საკითხთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნის გაკეთება.

ნაშრომში გამოყენებულია საზღვარგარეთელი და ქართველი მეცნიერების მიერ შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და თეორიული ხასიათის მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები .

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერ სამეცნიერო სივრცეში, რომელშიც აღნიშნული საკითხის შესწავლით დაინტერესდებიან, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომში ანტიკური დემოკრატიის განვითარებაზე წარმოდგენილია ქართული სამეცნიერო წრეებისთვის უცნობი ავტორების შეხედულებები. ასევე, საკითხის სიღრმისეული ანალიზის შედეგები დაგვეხმარება ჩავწვდეთ დემოკრატიის ჭეშმარიტ არსს, ქვეყნის ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრების შედეგად დანერგილ სიკეთეებს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი „დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების ისტორია ძველ საბერძნეთში" შედგება 174 ნაბეჭდი გვერდისაგან: შესავალი ნაწილისაგან, ექვსი თავისა და თერთმეტი პარაგრაფისაგან, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I. ძველი ბერძნული დემოკრატიის არსი

1.1. წყაროები და ისტორიოგრაფია

ბერძნული ცივილიზაციის შესახებ წყაროებად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო თუკიდიდეს, ჰეროდოტეს, პლატონის, არისტოტელეს და სხვა ანტიკური ხანის ისტორიკოსების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, არამედ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალაც. [Γιαννόπουλος 2013: 459].

ზოგადად ძველი სამყაროს შესახებ წყაროები ძალიან მრავლად მოიპოვება და ინფორმაციულობითაც ხასიათდება, თუმცა პრობლემა მათ ფრაგმენტულობაში მდგომარეობს [ДЬЯКОНОВ1989: 19].

ბერძნული ცივილიზაციის შესწავლა და კვლევა შესაძლებელია: 1. მატერიალური ძეგლებით, რომლებიც შენობა-ნაგებობების, ძველი იარაღების ნარჩენებს წარმოადგენენ; 2. ბერძნული ენით. ბერძნულ დიალექტში არსებობს მონაცემები, რომლებითაც ბერძნული ტომების ადგილმდებარეობისა და მისი თავისებურებების შესწავლა შეიძლება; 3. ზეპირი

გადმოცემებით; 4. წერილობითი წყაროებით; 5. ლიტერატურული ნაწარმოებებით [Сергеев1948: 18].

ანტიკური კულტურა და ცივილიზაცია, როგორც დამოუკიდებელი ღირებულება, ევროპისთვის, ევროპული ცივილიზაციისთვის ყოველთვის წარმოადგენდა სამაგალითო ფასეულობას და მისაბაძ ელემენტს. სწორედ ამიტომ, ანტიკური კულტურის კვლევა მეცნიერებსა და მკვლევარებში დიდ ინტერეს იწვევდა [Богдановна2010: Введение диссертации].

ელინიზმის ისტორიის კვლევა მეცნიერებისთვის არ იყო საინტერესო, რადგან V საუკუნის ათენში მიმდინარე მოვლენებმა, დემოკრატიის დამყარებამ, პლატონისა და არისტოტელეს და სხვა დიდი მოაზროვნეების ნაწარმოებებმა, ელინიზმის მომდევნო განვითარების ძიება უინტერესო გახადა. მეცნიერებმა კლასიკური ეპოქიდან რომის რესპუბლიკის ხანის კვლევაზე გადასვლა არჩიეს. მიგვაჩნია, რომ ბერძნული დემოკრატიის შესწავლა ელინიზმის კვლევის გარეშე შეუძლებელია, რადგან ეს დემოკრატია სწორედ აღნიშნულმა ფენომენმა დაასამარა, რომელსაც საფუძველი ალექსანდრე დიდმა ჩაუყარა [Ранович1950: 11].

უძველეს ეპოქაში მიმდინარე მოვლენების შესწავლა ყოველთვის რთულია, მაგრამ ეს შესაძლებელია თანამედროვე ეპოქის გაანალიზებით და დაკვირვებით, ასევე, მისი უძველეს დროში მიმდინარე პროცესებთან შედარებით [Сальвиоли1922: 3]. სწორედ ამიტომ, თუკი შევისწავლით თანამედროვე დემოკრატიებს და შევადარებთ მას ანტიკურს, საინტერესო დასკვნების გაკეთებას შევძლებთ. ფაქტი ერთ გარემოებაზე მეტყველებს: თანამედროვე დემოკრატიები წარმომადგენლობითია, ხოლო ათენური პირდაპირი გახლდათ. მსოფლიოს ისტორია გაქრებოდა, რომ არა კვლევები, რომლებსაც მეცნიერები თანამედროვე ეპოქაში აწარმოებენ. ეს კვლევები მასთან გვაახლოვებენ [Ясперс1991: 28]. ანტიკური კულტურის კვლევა აუცილებელია, რადგან არსებობს შესაძლებლობა, ანტიკური მიღწევები თანამედროვე ეპოქაში გამოვიყენოთ. ანტიკური კულტურის მიღწევები საკუთარი კულტურის სამსახურში ჩავაყენოთ და ამით იგი გავამდიდროთ [Рожков2009: Введение диссертации].

ა. ბერგერი მიიჩნევს, რომ დემოკრატიის კვლევას წინ უნდა უსწრებდეს ძველ საბერძნეთში პოლიტიკური შეხედულებების კვლევა, რომ ამ კუთხით ისტორიოგრაფია მწირია [**Бергер1966: 7**].

კულტურის შეცნობა, როგორც დემოკრატიის საფუძვლისა, აქტუალურია, მაგრამ მიუხედავად მრავალი კვლევებისა, რომლებიც ამ მიმართულებით ჩატარდა, საკითხი ბოლომდე გახსნილი არ არის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: პოლიტიკურ ცვლილებებს საზოგადოებაში წინ უსწრებს სოციალურ-კულტურული ცვლილებები [**Зберовский2009: Введение диссертации**]. ამიტომ დემოკრატიის დაფუძნების წინაპირობების კვლევისას, აუცილებელია ანტიკურ საბერძნეთში სოციალურ-კულტურული და იდეოლოგიური გარემოების შესწავლა.

კრეტაში არსებული სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება თამამად შეიძლება დემოკრატიამდელ დემოკრატიად მივიჩნიოთ. ბერძნულ კლასიკურ ეპოქას, ფილოსოფიასა და მითოლოგიას ნამდვილად აქვს ფესვები, რომლებიც მიკენური ხანიდან იღებს სათავეს [**Вернан1988: 30**].

არისტოტელეს ნაშრომებში ათენის გარდა ცენტრალური ადგილი სპარტას და კრეტის პოლისებს უკავიათ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ პოლისების უდიდეს მნიშვნელობას [**Андреев1984: 237**].

კრეტის ქალაქ-სახელმწიფოს მმართველობის სისტემაზე ინფორმაციას არისტოტელე გვაწვდის, მაგრამ მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეეხება მიკენური მმართველობის პერიოდს, არამედ იგი ასახავს ამ გეოგრაფიული არეალის დორიელების მიერ დაპყრობის შემდეგ არსებულ მმართველობის მოდელს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არისტოტელეს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კრეტის ქალაქ-სახელმწიფოზე მაინც გვაძლევს ზოგად და არა დეტალურ წარმოდგენას. დეტალურ ინფორმაციას კრეტის ქალაქ-სახელმწიფოში არსებული კანონებისა და მათი მოქმედების შესახებ გორტინის კანონები გვაწვდის, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღნიშნული მმართველობის სისტემის გაანალიზება.

აქედან გამომდინარე, არისტოტელეს მიერ გადმოცემული ზოგადი და გორტინის კანონების მეშვეობით ჩვენამდე მოღწეული სამართლებრივი ინფორმაციის

საშუალებით შესაძლებელია კრეტის ქალაქ-სახელმწიფოზე ვიმსჯელოთ [**Νάκος1991: 145**].

ჯერ კიდევ 120 წლის წინ, კრეტის ცივილიზაციის შესახებ თითქმის არაფერი იყო ცნობილი, თუ როგორ ვითარდებოდა ის ძვ. წ. მეორე ათასწლეულში, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბევრი ახალი გარემოება იქნა აღმოჩენილი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს კრეტის სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები გავაანალიზოთ [**ferguson1989: 13**]. ის, რომ კრეტის ცივილიზაციაზე არსებობდა ინფორმაციული ვაკუუმი, ჯერ კიდევ 1899 წელს ბერძენი ისტორიკოსი ვ. ფსილაკი წერდა, რომ კრეტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის არ არსებობა და მისი შევსება ეროვნული მნიშვნელობის საკითხი იყო [**Ψιλάκης1899: 8**]. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, კრეტა-მიკენის ცივილიზაციის შესახებ ცნობები მაინც მწირეა.

კრეტაში დემოკრატია შესამჩნევად ძლიერი და დამკვიდრებული მმართველობის ფორმა იყო, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ეგვიპტის ფარაონებისა და შუამდინარეთის მმართველებისაგან განსხვავებით მეფეები კრეტას პოლისებს ერთპიროვნულად არ მართავდნენ - წერს კ. სიტოსი [**Σίτος 1984: 68**]. ბერძნულ კოლონიზაციურ პოლიტიკას საფუძველი მიკენურ ეპოქაში ჩაეყარა, რაც მცირე აზიის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება. იგივე შეიძლება ითქვას ვაჭრობის განვითარებაზე. მიკენელებს მცირე აზიის მმართველებთან სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებდათ, რაც აღნიშნული სფეროს განვითარების საფუძველი იყო, ხოლო ეს უკანასკნელი კი ცივილიზაციის განვითარების წინაპირობა გახდა [**Яйленко 1990: 72**].

კრეტის კუნძულზე ცივილიზაციის განვითარების მიზეზებზე ინფორმაციას გვაწვდის კუზიშინა და ამ ფაქტორის ძირითად მიზეზად კუნძულის ადგილმდებარეობას ასახელებს [**Кузищина1996: 39**].

კრეტის შესახებ ინფორმაციას არისტოტელე გვაწვდის. არისტოტელე კრეტაში არსებულ მმართველობის ფორმას დიდი უკმაყოფილებით განიხილავს და მას ოლიგარქიის ყველაზე საშინელ ფორმად მოიხსენიებს (**არისტოტელე 1995:7-5**).

გორტინი ძველი კრეტის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი იყო. მისი მნიშვნელობა ისტორიულ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა, როდესაც კრეტის სასიცოცხლო ცენტრი - კნოსოსი დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი გორტინი კრეტის და საბერძნეთის ისტორიაში არ არის ცნობილი, როგორც სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი, ჩვენთვის იგი მაინც უდიდესი მნიშვნელობის ქალაქია, რადგან აქ თავმოყრილია წარწერები, რომლებიც ხელს გვიწყობენ საბერძნეთის ისტორიის შესწავლაში [**ოსელიანი1966: 6**]. გორტინა ჩვენთვის წარმოადგენს წყაროს, რომელიც კრეტის ქალაქ-სახელმწიფოს შესწავლაში გვეხმარება.

კრეტის სხვა ქალაქებთან შედარებით, გორტინის კანონებში ყველაზე ინტენსიურად არის გადმოცემული კრეტის სახელმწიფოს პოლიტიკური მოდელისა და მისი მმართველობის ფორმის თავისებურებები. თუ კრეტის დანარჩენი ქალაქებიდან სულ ნაპოვნია 32 ეპიგრაფი, მხოლოდ გორტინაში აღმოჩენილი იქნა 108 ეპიგრაფი, რომელიც კრეტის ქალაქ-სახელმწიფოს სამართლებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას ასახავს [**Antonino di vita 2015:59**].

მიგვაჩნია, რომ გორტინის კანონების შესწავლა კრეტის ქალაქ-სახელმწიფოს სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელის კვლევისთვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

ათენისგან განსხვავებული იყო სამხრეთ საბერძნეთის საზოგადოება. ძვ. წ. IX საუკუნეში აქ სახელმწიფო ლაკონიკე ჩამოყალიბდა, რომლის დედაქალაქი სპარტა იყო. როდესაც სპარტას ქალაქ-სახელმწიფოს ვიკვლევთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სპარტაზე არსებული ისტორიოგრაფიის სიმწირე, რაც მთავარია, მისი ფრაგმენტულობა, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თავად სპარტელებს არაფერი დაუწერიათ მათი ქალაქ-სახელმწიფოს შესახებ, არც მხატვრული ლიტერატურისა და არც დოკუმენტური ცნობების მეშვეობით გადმოუციათ ინფორმაცია [**Хилюта2001: 18**].

აღიარებულია, რომ სპარტას პოლისის პირველადი ფორმირების შესახებ წყაროების პრობლემა მართლაც დიდია, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სპარტანელებს არასოდეს შეუქმნიათ თავიანთი სახელმწიფოს შესახებ ისტორიოგრაფია. გარდა ამისა, ის, რაც ხდებოდა სპარტას სახელმწიფოს შიგნით,

საგულდაგულოდ მალავდნენ. ეს იყო ჩაკეტილი, გასაიდუმლოებული მმართველობა [Печатнова2001: 11]. სპარტას შესახებ ოფიციალური წყაროები, რომლებიც არსებობენ და რომლებიც ჩვენამდე მოვიდნენ, ციფრ ათს არ აღემატება, სწორედ ამ მიზეზით, ანტიკური ეპოქის ეპიგრაფიულ რუკაზე სპარტა „თეთრ ლაქად" რჩება, რომლის კვლევა აუცილებლობას წარმოადგენს [Андреев1994: 9].

სპარტანელების მიერ სპარტიდან ადამიანების განდევნა და უცხოელების არდაშვება იმდენად ბუნებრივი მოვლენა იყო, რომ ამან დანარჩენი ელინური სამყაროსგან სპარტას იზოლირება გამოიწვია [Зайков1999: 6].

სპარტას სახელმწიფოს შეფასება ძალიან რთულია, რადგან შეიმჩნევა უკვე ანტიკური ეპოქის მკვლევარების მიერ მისდამი არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება [Сахурия:136].

ძირითად პრინციპებს, რომლებიც სპარტას სახელმწიფოს წყობილებას განსაზღვრავენ, ბერძნული ისტორიის უძველესი პოლიტიკური ტიპის ტექსტი - ,,დიდი პუნქტი" არეგულირებს, რომელიც ძვ. წ. VII ან დაახლოებით VIII საუკუნეებით თარიღდება [Bengtson1991: 109-110].

სახელმწიფოს კანონმდებლობის შექმნა ლიკურგეს მიეწერება, თუმცა არ არსებობს აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი პირდაპირი წყარო. ლიკურგე ითვლება სპარტას სახელმწიფოს დამაარსებლადაც [Νάκος1991: 93]. თავისუფალი სპარტელი მოქალაქეები სრულუფლებიანი მდიდრები იყვნენ, რომლებიც საზოგადოების ზედა ფენას შეადგენდნენ. მთელი პოლიტიკური ძალაუფლება სწორედ მათ ხელში იყო თავმოყრილი [ცაცანაშვილი1995: 64-65-66-67].

სპარტას გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის, აღზრდისა და ყოფა-ცხოვრების, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების შესახებ ქართველი მეცნიერებიდან ინფორმაციას დ. უზნაძე გვაწვდის [უზნაძე1919: 104-106-108].

თავისი შეხედულებები იმდროინდელი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მმართველობის ფორმებზე და მათ შორის სპარტას სახელმწიფოზე გადმოცემული აქვს არისტოტელეს ტრაქტატში - „პოლიტიკა". არისტოტელეს „პოლიტიკა" წარმოადგენს სოციოპოლიტიკური ტიპის ტრაქტატს, რომელშიც აღწერილია 158 ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს (პოლისი) მმართველობის ფორმა, პოლიტიკური წეს-წყობილება. ამ

ნაწარმოების დიდი ნაწილი VI საუკუნიდან IX საუკუნის პერიოდში დაიკარგა და XIX საუკუნემდე ის ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, არ იყო თავმოყრილი და გაერთიანებული ერთ წიგნში. არისტოტელეს შეხედულებების თავმოყრა პირველად ინგლისელმა მკვლევარმა როუზმა მოახერხა - «Bibliotheca Teubneriana», 1886 წელს სათაურით - «Aristot. Opera», რომელიც ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით გამოიცა.

სპარტას სახელმწიფო ოლიგარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, უფრო დაზუსტებით რომ აღვნიშნოთ, სპარტა ასეთი სახელმწიფოს ბრწყინვალე მაგალითი იყო [glotz 1989:86].

მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სპარტა ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო და სპარტას სახელმწიფოს ჩამორჩენილობას მის აგრარულ ეკონომიკას მიაწერს, მაგრამ ეს არგუმენტი არ არის მყარი, რადგან კაპიტალიზმის ეპოქამდე თითქმის ყველა ქვეყანა აგრარული იყო და ეს არ ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები ყველა სფეროში ჩამორჩენილები იყვნენ [Зайков2013: 8].

ანტიკური და თანამედროვე ისტორიოგრაფიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ათენის სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებასთან დაკავშირებით, მკვლევარებსა და მეცნიერებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ერთნი მიიჩნევენ, რომ დემოკრატიის დამკვიდრება დიდი ბერძენი რეფორმატორის, პერიკლეს კი არა, არამედ მისი წინამორბედის, სოლონის დამსახურება იყო. ზოგიერთი ამ პროცესების განვითარებაში სოლონს და პერიკლეს კი არ ანიჭებს უპირატესობას, არამედ დემოკრატიის შემოქმედად ხალხს თვლის. ფიქრობენ, რომ პერიკლე იმ დროს მიმდინარე მოვლენებში გადამწყვეტ როლს არ ასრულებდა და დემოკრატიის მთავრი მამოძრავებელი ძალა სწორედ ხალხი და უმრავლესობა გახლდათ. ერთი მოსაზრებით, ათენური დემოკრატია არ იყო ჭეშმარიტი დემოკრატია, არამედ ჩანასახობრივი, სხვა მოსაზრებით კი, პერიკლეს ეპოქაში დამკვიდრებული მმართველობის ფორმა პირდაპირ დემოკრატიას წარმოადგენდა და დროთა განმავლობაში ამა თუ იმ ძალამ იგი თავიანთი ინტერესების გასამყარებლად გამოიყენა, რამაც ნამდვილი დემოკრატიის მნიშვნელობის გაუფასურება გამოიწვია. თუმცა ფაქტია, რომ პერიკლეს ეპოქაში დამკვიდრებული დემოკრატია წარმომადგენლობითი არ გახლდათ, არამედ

პირდაპირ იყო, სადაც გადაწყვეტილებებს ხალხის მიერ არჩეული ინსტიტუტები კი არ იღებდნენ, არამედ თავად ხალხი. ისტორიკოსების ნაწილი სხვაგვარადაც ფიქრობს. მაგალითად რუსი ისტორიკოსი ი. ბარანოვი თავის ნაშრომში - „თანამედროვე დემოკრატიის ტრანსფორმაცია" წერს, რომ დემოკრატია არ გახლავთ ყველა პრობლემის თავისთავად გადაჭრის მექანიზმი, არამედ ქმნის პირობებს, რომ ხალხმა თავისუფალ გარემოში აირჩიოს ის ხელისუფლება, რომელიც მას წარმოადგენს და აკონტროლოს იგი [БАРАНОВ2008: 3]. ხელისუფლებაში არსებობენ, არსებობდნენ და მუდამ იარსებებენ ადამიანები, რომლებსაც მრავალი ნაკლი აქვთ. ამიტომ მთავარი მარტო ის კი არ არის დემოკრატიაში, რომ ხელისუფლებას ხალხი ირჩევს, არამედ მისი კონტროლის მძლავრი მექანიზმის არსებობაა. პერიკლეს ეპოქაში დამკვიდრებულ დემოკრატიას კი, საერთოდ არ ესაჭიროებოდა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, რადგან ხელისუფლება თავად ხალხი იყო. ანტიკური ეპოქის ზოგიერთი ოლიგარქიული კლასის წარმომადგენელი მოაზროვნის (პლატონი, არისტოტელე, თუკიდიდე) მიერ თანამედროვეობამდე მოვიდა მოსაზრება, რომ დემოკრატია, რომელიც ძვ. წ. V საუკუნის ათენში დამკვიდრდა. პირდაპირ სახალხო მმართველობას არ წარმოადგენდა, იგი დიდი სახელმწიფო მმართველების მიერ შექმნილი წეს-წყობილება იყო, როგორებიც სოლონი და პერიკლე იყვნენ. ამ ისტორიკოსების მიერ იმ ეპოქაში მიმდინარე მოვლენების მიკერძოებულმა აღწერამ, რომელიც კაცობრიობას გადაეცა როგორც ისტორიული წყარო, ბევრი თანამედროვე ისტორიკოსიც შეცდომაში შეიყვანა. პერიკლეს ეპოქის დემოკრატია იდეალური არ იყო იყო, მაგრამ ის ნამდვილად არ გახლდათ წარმომადგენლობითი. ასევე შეიძლება იმის დასაბუთებაც, რომ გამჭვირვალობის, პირდაპირობის და სახალხო მონაწილეობის კუთხით, ანტიკური დემოკრატია არა თუ ჩამორჩება, არამედ უსწრებს კიდეც თანამედროვე დემოკრატიებს. როგორც ცნობილი ბერძენი სამართალმცოდნე კ. მანიტაკისი აღნიშნავს, სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ცნებებმა თანამედროვე ეპოქაში თავისი არსებითი შინაარსი დაკარგეს და ტექნიკურ ტერმინებად იქცნენ, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს მოწყობის და მისი მმართველობის მოდელის დახასიათებისთვის გამოიყენება. აუცილებელია ამ

ტერმინებმა ზოგადი პრინციპის ხასიათი შეიძინონ, რომელიც საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ტენდენციებს განსაზღვრავს [**μανιτακης 1994:37**].

ანტიკურ საბერძნეთში სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებზე წერს ვ. ოზეროვი და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ფუნქცია სახელმწიფოში არსებული პრობლემების გადაჭრა უნდა იყოს. ანტიკურ საბერძნეთში ხელისუფლება სწორედ აღნიშნული პრობლემების გადაჭრისთვის არსებობდა [**Озеров2007: Введение диссертации**]. აქედან გამომდინარე, არ იქნება არც იმ ფაქტის მტკიცება უსაფუძვლო, რომ ანტიკური დემოკრატია დღემდე კი არ ვითარდება, არამედ ანტიკურ ეპოქაშივე დაასრულა თავისი არსებობა. ასევე ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ თანამედროვე დემოკრატიები უფრო ფორმალური დატვირთვის მატარებლები არიან და ძველბერძნულ დემოკრატიას არსებითობისა და შინაარსობრიობის თვალსაზრისით ნამდვილად ჩამოუვარდებიან, თუმცა ისტორიკოსების უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობდა და ფიქრობს. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ მონათმფლობელური საზოგადოების პირობებში, დემოკრატიაზე მსჯელობა გადამეტებულია, ზოგიერთიც მონათმფლობელობის ფენომენს ანტიკური მსოფლმხედველობის კანონზომიერ ნაწილად მიიჩნევს. ანტიკურ ფილოსოფიაში ადამიანი და მთელი სამყარო განიხილებოდა როგორც მატერია, როგორც მოძრავი სხეულები, რომლებსაც თავიანთი ფუნქციები გააჩნდათ. სწორედ აღნიშნული მსოფლმხედველობა ედო საფუძვლად მონათმფლობელურ წყობას [**Богомолов1985: §2.Древняя философия, Периодизация, Источники,Литература**].

მ. ალექსიშვილი წერდა: „ათენის დემოკრატიას ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსი ბერძენთა გენიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქმნილებად თვლის, მაგრამ უმრავლესობა ძველი ბერძენი ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და მწერლებისა, რომლებიც ბერძნული ოლიგარქიის ინტერესებს გამოხატავდნენ, უარყოფითად უყურებდნენ ბერძენთა სოციალური ცხოვრების თავის დროისთვის მართლაც ამ უდიდეს და პროგრესულ მოვლენას. ამ მხრივ ყველაზე მეტ უკიდურესობას ისტორიკოსი ფსევდოქსენოფონტე, კომედიის მწერალი არისტოფანე და ფილოსოფოსები სოკრატე და პლატონი იჩენდნენ. ფილოსოფოს სოკრატეს (469–339) არ მოსწონდა თანამდებობის პირთა კენჭის ყრით არჩევა, სახალხო კრებაზე

სახელმწიფო მართვა-გამგეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების ხმის უმრავლესობით გადაწყვეტა და საერთოდ დაბალი ფენების (დემოსის) მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. ერთი სიტყვით, სოკრატე ილაშქრებდა ათენის დემოკრატიის ძირითადი საფუძვლების წინააღმდეგ. მისი კონცეფციის ძირითადი თეზა იმის მტკიცებიდან გამოდიოდა, რომ როგორც ყოველგვარი რთული პროფესია, ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეც მოითხოვს დახელოვნებასა და ცოდნას, რათა აცილებული იქნას უხეში შეცდომები, რომლებსაც შეუძლიათ დიდი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ სახელმწიფოს. დემოსი კარგად არ არის დაუფლებული ამ ცოდნასა და გამოცდილებას, ამიტომ სახელმწიფოს ბედ-იღბალი ყოველთვის საფრთხეშია, როდესაც დემოსი დგას ხელისუფლების საჭესთან [**ალექსიშვილი 1947:14**]. ათენის დემოკრატიამ სოკრატე სიკვდილით დასაჯა და მას ბრალად ασέβεια წაუყენა, ფაქტიურად კი, სოკრატეს პასუხს სთხოვდნენ მისი რეაქციული, ანტიდემოკრატიული კონცეფციისთვის, წერდა ს. ჟაბელევი თავის ნაშრომში „სოკრატე" [**Жебелев 1923:158**].

სოკრატეს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს განათლებული და კეთილშობილი წარმომავლობის ადამიანები უნდა მართავდნენ, მაგრამ არ ითვალისწინებდა, რომ ასეთი ადამიანები ნებისმიერ საზოგადოებაში უმცირესობას წარმოადგენენ, ხოლო დემოკრატია პირდაპირი გაგებით ხალხის მმართველობას ნიშნავს, რომელიც ყოველთვის უმრავლესობაა. ასევე არ ამახვილებდა ყურადღებას ფაქტზე, რომ განათლებული უმცირესობის მმართველობის პირობებში, არ იქნებოდა გათვალისწინებული ხალხის ინტერესები, რადგან ასეთი უმცირესობისთვის უბრალო ხალხი ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს „უცხო სხეულს", ნათელია, რომ ასეთი ტიპის მმართველი ელიტა უმრავლესობის ინტერესებს არ გაატარებდა, არამედ თავიანთი წრის წარმომადგენლების ვიწრო ინტერესების დაკმაყოფილებას მოემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ სოკრატეს გასამართლება ინსტიტუციონალურად განხორციელდა. იგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ხუთასი მოსამართლის შემადგენლობით გაასამართლა და ასორმოცი ხმის უმრავლესობით 399 წელს მას სიკვდილით დასჯა მიესაჯა, მაშინ როდესაც ამ ეპოქაში, მაგალითად ეგვიპტეში, ან ისრაელში საერთოდ არ არსებობდა სასამართლო და მით უმეტეს ნაფიც

მსაჯულთა სასამართლო. შეიძლება ითქვას, რომ სოკრატე დემოკრატიულ პირობებში გასამართლდა.

პლატონის შეხედულებით, დემოკრატია სახელმწიფო მმართველობის იმდენად უვარგისი ფორმაა, რომ იგი არამც თუ ადამიანებს, არამედ ცხოველებსაც კი აფუჭებს და ამახინჯებს. „ვისაც თვითონ არ უნახავს, – წერს პლატონი თავის „სახელმწიფოში", - იგი არ დაიჯერებს, თუ რამდენად უფრო დიდი უფლებებით სარგებლობენ ადამიანების მორჩილი ცხოველებიც კი დემოკრატიულ სახელმწიფოში, ვიდრე სხვა სახელმწიფოში, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: „როგორი დიასახლისია, ისეთივეა თავისი ძაღლიო. ცხენები და ვირებიც კი მიეჩვივნენ სრულიად თავისუფალ და მედიდურ სიარულს: თუ შემხვედრი არ დაუთმობს მათ გზას, ისინი მათ გზიდან აგდებენ". დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანი ცხოვრებას მეტად უშინაარსოდ და უაზროდ ატარებს. ის ლაპარაკობს და აკეთებს იმას, რაც მოეპრიანება, მის ცხოვრებაში არ არსებობს არც გეგმა, არც წესი (**პლატონი: 563–561**).

პლატონის მიერ საზოგადოების სამ ნაწილად დაყოფა, რომლის მიხედვითაც დემოსი წარმოადგენს მუშათა კლასს და ქმნის მატერიალურ დოვლათს, მეომრები ახორციელებენ ქვეყნის დაცვას და მესამე წოდება - სახელმწიფოს მართვას, ოლიგარქიული ხასიათისაა. მის მიერ საზოგადოების დანაწილების აღნიშნული ფორმა უთანასწორობაზეა დაფუძნებული, ყოველ შემთხვევაში პერიკლეს ეპოქის დემოკრატიისთვის ასეთი დანაწილება ყოვლად მიუღებელია, რადგან უმცირესობა არ შეიძლება უმრავლესობას მართავდეს, ან მის ინტერესებს წარმოადგენდეს. არავინ დაობს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფოს მართვაში დახელოვნებული მოქალაქე მმართველობას უფრო ეფექტურად ახორციელებს, ვიდრე უბრალო მოქალაქე, დემოსის წარმომადგენელი, მაგრამ ასეთი ადამიანები ცოტანი არიან, დემოკრატია კლასიკური გაგებით კი პირდაპირ უმრავლესობის მმართველობას ნიშნავს. პერიკლეს ეპოქაში დამყარებული დემოკრატია სულაც არ გახლდათ წარმომადგენლობითი. იმ ეპოქაში მიიჩნიეს, რომ მმართველობაში დახელოვნებული უმცირესობა ვერ წარმოადგენდა დემოსის ინტერესებს და მათ ქმედებებს ვერც დემოსი გააკონტროლებდა. ამიტომ ძალაუფლების განმხორციელებლად და მის მაკონტროლებლადაც თავად დემოსი, ანუ ხალხი, უმრავლესობა მოგვევლინა.

რამდენად მართებული იყო მმართველობის ეს ფორმა, ცალკე განსჯის საკითხია, ან რამდენად მართლები იყვნენ სოკრატე, პლატონი და არისტოტელე, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ დემოკრატია როგორც ცნება, თავის თავში მოიცავდა არა ირიბ, არამედ პირდაპირ დემოკრატიას. თანამედროვე ეპოქაში დემოკრატიის ყველაზე გავრცელებულ ფორმად სწორედ წარმომადგენლობითი დემოკრატია ითვლება, სადაც ხელისუფლებას ხალხი ირჩევს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მათი ინტერესები, მაგრამ ყოველთვის საეჭვო იყო, არის და იქნება ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება რამდენად არის ჭეშმარიტად ხალხის მიერ არჩეული და რამდენად წარმოადგენს ის ხალხის ინტერესებს და არა საზოგადოებაში პრივილეგირებული ელიტის. ეს ეჭვები რომ აღარ არსებულიყო, სწორედ ამიტომ, ძვ. წ. 462 წელს ხელისუფლება სახალხო კრებას გადაეცა და ხელისუფლების აღმასრულებელი და სასამართლო შტოების კონტროლიც მასვე დაეკისრა.

პლატონის მოსაზრებები ქვეყნის განვითარებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე იდეალისტურია და არაპრაქტიკული. ის მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს ფილოსოფოსები უნდა მართავდნენ, მაგრამ იყო ფილოსოფოსი, არ ნიშნავს იყო კარგი მმართველი, კარგი ეკონომისტი, არქიტექტორი, ან სამართალმცოდნე. პლატონისებურ სახელმწიფოში ვერ განხორციელდებოდა ქვეყნის სეგმენტური განვითარება, რადგან ქვეყნის განვითარება დარგობრივად უნდა წარიმართოს, ამას კი დარგის სპეციალისტები სჭირდება და არა ფილოსოფოსები.

თუკიდიდე წინააღმდეგობაში ვარდებოდა ათენის დემოკრატიის შეფასებისას. მას ზოგჯერ მოსწონდა ეს დემოკრატია, ზოგჯერ კი კიცხავდა მას, რადგან აღიზიანებდა უბრალო დემოსის უამრავი და ფუნდამენტური უფლებებით აღჭურვა. ზოგჯერ კი იგი აღმერთებდა ათენის დემოკრატიას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს წყობა მოსწონდა, არამედ იმიტომ, რომ პერიკლეთი იყო აღფრთოვანებული და ათენური დემოკრატიის ყველა მიღწევას მას მიაწერდა. „ხალხის მმართველობა, მხოლოდ სახელად რჩებოდა, საქმით კი ხელისუფლება ეკუთვნოდა პირველ მოქალაქეს", გულისხმობდა პერიკლეს: „პერიკლე თავისუფლად იმორჩილებდა ხალხის მასას და მასა იმდენად არ ხელმძღვანელობდა მას, რამდენადაც ის ხელმძღვანელობდა მასას"[**Haasi 1869: lib VIII– II– III**].

ფსევდოქსენოფონტე აღნიშნავს, რომ დანარჩენი ბერძნული სახელმწიფოების მოქალაქეთა თვალსაზრისით ათენის დემოკრატიული წყობილება არანორმალურია, იმის გამო, რომ იქ ხელისუფლება დემოსისთვის ხელმისაწვდომია. მისი აზრით, დემოკრატიას ყოველთვის მხარს უჭერენ უვარგისი ადამიანები, საუკეთესო ადამიანები კი მისი მოწინააღმდეგენი არიან (Ксенофонт 1936: I,1).

ისტორიკოსი პლუტარქე ათენის დემოკრატიას თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში" უარყოფითად აფასებს, ხოლო პერიკლეს მოიხსენიებს, როგორც მონარქს და თუკიდიდეს მსგავსად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ათენში დემოკრატია არ არსებობდა. მისი აზრით, პერიკლეს ძალაუფლებამ არისტოკრატიული სახე მიიღო და თითქმის მეფური ძალაუფლებით შეიცვალა. მისი შეხედულებით, პერიკლეს ძალაუფლებას არაფერი ჰქონია საერთო დემოკრატიასთან (Плутарх 1890: 15).

ათენის დემოკრატიას უარყოფითად აფასებს ანტიკური ეპოქის ცნობილი ორატორი ისოკრატეც. ის იდეალურ წყობად მონარქიას მიიჩნევს. იგი თვლიდა, რომ სპარსეთის სახელმწიფო იმიტომ იყო ძლიერი, რომ იქ მონარქიული წყობა იყო დამყარებული. იგი წერდა: „ერთმპყრობელური მართვა-გამგეობა უკეთესიც არის, ზომიერიც და ჩინებულიცო" (Исократ 1836:76).

თუკიდიდე წერს: „ათენელები თავიანთი სახელმწიფოსათვის ისე იყენებენ თავიანთ სხეულებს, თითქოს მათ არ ეკუთვნოდეთ, ხოლო თავიანთ გონებას ისე, თითქოს ის სახელმწიფოს ეკუთვნოდეს, თუ ეს დასჭირდა მას" (θουκυδίδης 1962:69–71). მიუხედავად იმისა, რომ თუკიდიდე ზოგ შემთხვევაში აქებს ათენელებსა და პერიკლეს მმართველობას, ის არ შეიძლება დემოკრატიული მმართველობის მომხრე ისტორიკოსად ჩაითვალოს. როდესაც ათენში დემოკრატია დამყარდა, თუკიდიდემ სიჩუმე არჩია და ამ ფაქტის შესახებ არც ერთხელ არ დაუწერია, მაგრამ პელოპონესის ომის დროს (ომი ათენსა და სპარტას გარშემო დაჯგუფებულ პოლისთა - დელოსისა და პელოპონესის კავშირებს შორის), როდესაც ათენის ოლიგარქიული წრის ზოგიერთმა წარმომადგენელმა მხარი სპარტანელებს დაუჭირეს, თუკიდიდეს ეს ფაქტი არ გამოეპარა. ის გვამცნობდა: „ისინი აქეზებდნენ ათენელებს, რათა მათ შეეჩერებინათ დამცავი კედლის მშენებლობა, რათა ათენში დასრულებულიყო დემოკრატიული მმართველობა" (θουκυδίδης 1962:107).

თანამედროვე ბერძენი ისტორიკოსი კ. რიგასი ნაშრომში - „ეფიალტეს დემოკრატია" რადიკალურად არ ეთანხმება ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებს. მისი ვარაუდით, პერიკლეს ეპოქაში ძალაუფლება, რომელიც ხალხს გადაეცა, განუსაზღვრელი იყო და შეუზღუდავი. ის მხოლოდ კანონის უზენაესობით იზღუდებოდა. სახალხო კრება წარმოადგენდა უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს და იგი საზოგადოებრივ და სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე, საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე იღებდა გადაწყვეტილებებს. არც ერთ სხვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს ქვეყნის ბედ-იღბალზე სახალხო კრების გარეშე გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. ყველაზე წვრილმან საკითხებზეც კი, სახელმწიფო უსაფრთხოების თემებზე გადაწყვეტილებებს სახალხო კრება ღიად, საჯაროდ და გამჭვირვალედ იღებდა. ათენური დემოკრატიისთვის მიუღებელი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრისთვის სპეციალური ორგანოს შექმნა, ან ქვეყნის უსაფრთხოების ნდობა რამდენიმე პირისთვის, რომლებიც აღნიშნულ ორგანოს დააკომპლექტებდნენ. ათენელების ასეთი გამჭვირვალობა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას ბევრს დემოკრატიის სისუსტედ მიაჩნდა, რადგან მტრებმა ყველაფერი იცოდნენ მათ შესახებ, თუმცა ეს გარემოება არ ადარდებდა ათენელებს და ისინი ამ ღიაობას და პირდაპირობას ათენური დემოკრატიის ძლიერების დემონსტრაციად მიიჩნევდნენ [Ρήγας2015: 72–73].

არსებობს ფაქტები, რომელიც ამტკიცებს, რომ პერიკლე სულაც არ იყო ხელშეუხებელი. ცნობილი მოქანდაკე და არქიტექტორი, პერიკლეს უახლოესი მეგობარი ფიდეა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ათენში ყველა შენობის საპროექტო სამუშაოების განხორციელება, მას და პერიკლეს ათენელებმა ჯერ ბრალი დასდეს გარკვეული თანხის მითვისებაში, ხოლო შემდეგ კი, ქალღმერთ ათენას ქანდაკების ფარზე საკუთარი თავისა და პერიკლეს გამოსახულების გამოქანდაკებაში, რადგან გამოსახულება პერიკლეს ძალიან ჰგავდა. ფიდეა გაასამართლეს და იგი საპყრობილეში გარდაიცვალა, ხოლო პერიკლე სასწაულისამებრ გადაურჩა სასჯელს. მან ძალისხმევა არ დაიშურა, რათა მეგობრის უდანაშაულობა დაემტკიცებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ფარზე გამოსახული იყო თუ როგორ ებრძოდა ეს ორი ადამიანი

მითიურ ამაზონებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ათენელებმა პერიკლეს ბრალი გადიდგულებაში დასდეს და ლამის თავისუფლებას გამოასალმეს, თანაც იმ პირობებში, როდესაც ქალღმერთის ფარზე გამოსახული ადამიანი პერიკლე არ გახლდათ, ის უბრალოდ ძლიერ ჰგავდა მას. მ. ალექსიშვილი აღნიშნულთან დაკავშირებით წერდა: "პერიკლეს როლის გაზვიადება და მისი დროის დემოკრატიის მონარქიზმად გადაქცევის მტკიცება, რასაც სხვა ისტორიკოსებიც იზიარებდნენ, როგორც ძველებიდან (ტელეკლიდე, პლუტარქე), ისე ახლებიდანაც (ლ. მეიერი, კ. ბელოხი), რა თქმა უნდა, სწორი არ არის. სხვა არგუმენტების მოყვანას, რომ თავი დავანებოთ, საკმარისია პერიკლეს მართვა–გამგეობის უკანასკნელი წლები გავიხსენოთ, როცა ის თანამდებობიდან გადააყენეს და თანაც დიდი თანხით დააჯარიმეს, რათა დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად არ არსებობდა ათენში ნიადაგი, რამე მონარქიული ხელისუფლებისათვის" [**ალექსიშვილი1947: 19–20**]. რ. მაიერი სწორად აღნიშნავს, რომ დემოკრატიის დამკვიდრება ბერძნების თვითშეგნების ექსკლუზიური შედეგი იყო და არა რომელიმე ავტორიტეტის და მათ შორის პერიკლეს [**Тумане2002: 20**]. მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ანტიკურ ათენში დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი – ხალხის მიერ ხელისუფლების კონტროლი ხორციელდებოდა. ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო ანტიკური ეპოქის სხვა ქვეყნებში, მაგალითად მესოპოტამიაში, ან ეგვიპტეში. ალბათ არავის მოუვა აზრადაც კი, რომ ძვ. წ. V საუკუნეში მოსახლეობას ეგვიპტის ფარაონი დაესაჯა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქვეყნების დემოკრატიის პირობებშიც კი, ასეთი რამ იშვიათად თუ მოხდება. ალბათ არც ერთი ევროპული დემოკრატიის ქვეყნის მოსახლეობას არ ეყოფა გამბედაობა ასეთი წვრილმანისთვის დასაჯოს პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მათი ქვეყნისთვის იმდენი გააკეთა, რამდენიც პერიკლემ ათენელებისთვის. მმართველის მიერ საკუთარი ძალაუფლებით ტკბობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებზე საუბრობს ტ. ადორნო [**Адорно2001: 282**]. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ პერიკლეს მოღვაწეობა და დავადგინოთ, ნამდვილად ემსახურებოდა ის ხალხს, თუ ძალაუფლებით ტკბებოდა. ხ. ტუმანე ტირანის განმარტებას იძლევა ანტიკურ ეპოქაში. კვლევის შედეგად დგინდება, რომ

პერიკლე ტირანის აღნიშნული ინტერპრეტაციის ამპლუაში ვერ ჯდება [**Тумане 2001: 317**].

დემოკრატიული წყობის ყველაზე დიდ მტრად ფსევდო-ქსენოფონტეს მიიჩნევენ. ბერძნულ ისტორიულ ლიტერატურაში ათენის დემოკრატიის მიმართ ყველაზე მეტად კრიტიკულობით სწორედ ეს მოაზროვნე გამოირჩევა. ფსევდოქსენოფონტეს „ათენელთა პოლიტიკაში" სხვა არაფერია, თუ არა დემოკრატიის კრიტიკა. მისი ავტორი უკიდურესი ოლიგარქიული პოზიციებიდან ათენის დემოკრატიას აკრიტიკებს. მას არ მოსწონს ამ დემოკრატიის ხალხურობა, მასში დაბალი ფენების - დემოსის მონაწილეობა. იგი პირდაპირ წერს: „მე არ მომწონს ეს (დემოკრატიული მართვა-გამგეობა) იმის გამო, რომ მისი არჩევით, მათ ისეთი წეს-წყობილება აირჩიეს, რომლის დროსაც უბრალო ხალხს უკეთ ეცხოვრება, ვიდრე კეთილშობილთ, აი სწორედ ამიტომ არ მომწონს მე ეს მართვა–-გამგეობა" [**Ксенофонт1936: I,1**].

ანალიზიდან ირკვევა, რომ ძვ. წ. V საუკუნის ათენში დემოსსა და ოლიგარქიას შორის კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ პერიკლეს ეპოქის ათენში მდიდრებიც და ღარიბებიც თანასწორნი იყვნენ და ათენის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ქონებრივი თუ წარმომავლობითი მდგომარეობისა, შეეძლო მონაწილეობა მიეღო სახალხო კრების ფუნქციონირებაში. სახალხო კრება წარმოდგენილად ითვლებოდა, თუკი იგი ექვსი ათას ათენელს აერთიანებდა, რომლებსაც ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. არ არსებობს არც ერთი ისტორიული მტკიცებულება, რომ კრების ამ შემადგენლობაზე ღარიბები უფრო მეტი უფლებებით სარგებლობდნენ, ვიდრე მდიდრები, ან პირუკუ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დემოსსა და ოლიგარქიას შორის გაჩაღებული ბრძოლა არ გახლდათ დემოკრატიის, როგორც მმართველობის სისტემის ნაკლი, არამედ იგი ოლიგარქიული წრეების მიერ საზოგადოებაში დამყარებული თანასწორობის შეუგუებლობის შედეგი იყო. მდიდრები და კეთილშობილური წარმომავლობის უმცირესობა ათენური დემოკრატიის ნამდვილ არსს ვერ ჩაწვდა. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ ათენური დემოკრატია დემოსის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნას არისტოკრატიასთან

მიმართებაში არ გულისხმობდა, არამედ საზოგადოების ყველა ფენის თანასწორ სოციალურ პირობებში ჩაყენებას ცდილობდა. ეს იყო მართვის მოდელი, რომლის ფარგლებშიც, ყველა თანაბარი უფლებებით სარგებლობდა. თუ სახალხო კრებაზე რომელიმე ოლიგარქის იდეა უმრავლესობისთვის მისაღები აღმოჩნდებოდა, მას იღებდნენ. მარტო იმიტომ, რომ ეს იდეა ეკუთვნოდა არისტოკრატიული წრის წარმომადგენელს, არ ნიშნავდა, რომ ის მიუღებელი იყო. ყველაფერი ფასდებოდა პრაქტიკულად. მეორე მხრივ, თუკი დემოსის წარმომადგენლის იდეა და მოსაზრება იყო მისაღები, მას მიიღებდნენ და ადამიანი არ დაიჩაგრებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის საზოგადოების მაღალი კლასის წარმომადგენელი არ გახლდათ.

ანტიკური ეპოქის ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე (Πλουτάρχος) - (ძვ. წ. 46-127 წლები.) წერდა, რომ სოლონს ხალხისთვის არც ერთი მნიშვნელოვანი ძალაუფლების განხორციელების მექანიზმი არ გადაუცია, გარდა შეკრებისა და განსჯის უფლებისა და ეს თავიდან თითქოს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ შემდეგ დამტკიცდა, რომ წინგადადგმული ნაბიჯი იყო (Πλουτάρχος1955: εκδ.Ι.). აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება კ. რიგასი, რომელიც წერს: „სოლონის ეპოქაში ხალხისათვის ძალაუფლების გადაცემას არანაირი ფასი არ ჰქონდა, რადგან ხალხს არსებითად არ შეეძლო ამ ძალაუფლების გამოყენება. როდესაც ეფიალტემ, რომელიც პერიკლეს თანამებრძოლი და დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი იყო, ძვ. წ. 462 წელს დემოკრატია დაამკვიდრა, მხოლოდ მაშინ გელიეას ანუ სახალხო სასამართლოებს მართლაც უდიდესი ძალაუფლება გადაეცა, რის გარეშეც სახალხო ძალაუფლება ვერ განხორციელდებოდა” [Ρήγας2015: 23].

მ. გიუნი თავის ნაშრომში - „პოლიტიკური ინსტიტუტების ისტორია ანტიკურ ეპოქაში” წერს, რომ დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით სოლონის მიერ გატარებული სასამართლო რეფორმები, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ დემოკრატიამ კულმინაციას მხოლოდ პერიკლეს ეპოქაში მიაღწია [Γιούνη 2016:79]. ა. ავტონომოვი საუბრობს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის მანამდე არსებულ ხიდჩატეხილობის შედეგებზე, რაც პერიკლეს მმართველობის დროს არ შეიმჩნეოდა [Автономов2006: Введение].

ტ. ალექსეევა მასების მიერ ავტორიტეტის გაიდეალების მოსალოდნელ შედეგებზე გვაწვდის ინფორმაციას [**Алексеева2005: 161**], თუმცა ასეთ ფენომენს პერიკლესა და მისი მმართველობის პერიოდში არ ჰქონია ადგილი.

დ. უზნაძე ნაშრომში - „ძველი საბერძნეთი" მიიჩნევს, რომ სოლონის მიერ დამკვიდრებული მმართველობა არ იყო დაფუძნებული თანასწორობის პრინციპზე. სოლონის შეხედულებით, დემოსისათვის ისიც საკმარისი იყო, რაც მას საზოგადოებრივ-ეკონომიკური რეფორმებით მიენიჭა. იგი ბატონყმური მდგომარეობისაგან გათავისუფლდა და თავისი მამული უკან დაუბრუნდა. ახლა საჭირო იყო მდიდარ ვაჭარ-მრეწველთა კლასის დაკმაყოფილება. სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების რეფორმებს სოლონმა სწორედ ეს მოსაზრება დაუდო საფუძვლად და ისეთი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის წესი შექმნა, რომელსაც მდიდართა მოთხოვნილებები უთუოდ უნდა დაეკმაყოფილებინა. მან სახელმწიფოებრივი უფლებანი სიმდიდრის მიხედვით გაანაწილა, ასე რომ, ვინც უფრო მდიდარი იყო, მას მართვა-გამგეობის მეტი უფლება ჰქონდა [**უზნაძე1918: 55**].

როგორც ანალიზიდან ირკვევა, სოლონისგან განსხვავებით და მის რეფორმებთან შედარებით, პერიკლეს ეპოქაში დამყარებული მმართველობის ფორმა უფრო მეტად დემოკრატიული იყო. მოქალაქეების სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა არ იყო განპირობებული არც ქონებრივი ცენზით და არც წარმომავლობით. დემოკრატიის განვითარებაში მონაწილეობის მიღების უფლება თანაბრად ჰქონდა ათენის ყოველ მოქალაქეს.

ა. ენდრიუ ნაშრომში - „ძველი საბერძნეთის საზოგადოება" წერს: სამეცნიერო წრეებში მუსირებს აზრი, რომ ბერძნული დემოკრატიის დამფუძნებლად სოლონი ითვლება, რაც შეცდომაა, რადგან წარმოუდგენელი იქნებოდა ძვ. წ. VI საუკუნეში ერთ რეფორმატორს აზრადაც რომ მოსვლოდა სრულფასოვანი დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობა, მაგრამ სოლონის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ნამდვილად შექმნეს მომავალში დემოკრატიის განვითარების წინაპირობები [**Andrews1987: 102**].

იქმნება შთაბეჭდილება, რომ კაცობრიობას არ შეუძლია თანამედროვე დემოკრატიაზე სრულყოფილი მმართველობის მოდელი შექმნას - წერს ვ. გრიშინი

[Гришин2005: Введение диссертации]. შესაბამისად, მისი შეხედულებით, ანტიკური დემოკრატია არ შეიძლება ყოფილიყო მმართველობის უფრო მეტად სრულყოფილი ფორმა, ვიდრე თანამედროვე დემოკრატიები.

იგივე საკითხს უარყოფითად აფასებს ლ. მარინოვიჩი და მიიჩნევს, რომ ანტიკური დემოკრატია ჩანასახობრივი იყო და მისი გაიდეალება არ შეიძლება [Маринович2007: Статья].

როგორც ჩანს თანამედროვე მწერლები პლუტარქეს მოსაზრებაში არ ეთანხმებიან, რომ სოლონის მიერ გატარებული ორი ძირთადი რეფორმა, კერძოდ, ხალხისთვის განსჯისა და თავისუფლად შეკრების და აზრის გამოხატვის მინიჭება გახლდათ წინგადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით და მართლაც, სახელმწიფო, რომელიც სოლონმა შექმნა, დემოკრატიულობის მცირე ელემენტებით ოლიგარქიულ-არისტოკრატიული იყო, რომელიც ხალხის მიერ არქონტების არჩევნებსა და მათ კონტროლში ნაწილობრივ მონაწილეობაში გამოიხატებოდა. ის მმართველობის შერეულ სისტემას წარმოადგენდა, სადაც არეოპაგი გახლდათ ოლიგარქიული ინსტიტუტი, არქონტების არჩევა და მისი წესი არისტოკრატიული, ხოლო ხალხის უფლება სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობისა - დემოკრატიული. თუმცა როგორც ა. ენდრიუ აღნიშნავს, სოლონმა და მისმა რეფორმებმა მომავალში დემოკრატიული წყობის დამკვიდრების პროცესში გარკვეული როლი მაინც შეასრულეს.

პისისტრატეს ტირანიის დასრულების შემდეგ სოლონის მიერ დაწყებულ ნახევრად დემოკრატიულ რეფორმებს ბერძენი საზოგადო მოღვაწე კლისტენი აგრძელებს (ძვ. წ. 508–507 წლები), რომელიც თავად გახლდათ ერთ-ერთი გვარის წარმომადგენელი. ის იაზრებს, რომ სოლონის მიერ შექმნილი სახელმწიფო პისისტრატემ იმიტომ დაამხო, რომ საზოგადოება დაყოფილი იყო ფილებად, ფრატრიებად და გვარებად და თავად ადამიანი არ წარმოადგენდა ფასეულობას, მის სიძლიერეს გვარისადმი კუთვნილება განაპირობებდა. გვარების წარმომადგენლები კი, ძალაუფლებისთვის ბრძოლობდნენ, რაც საფრთხეს უქმნიდა საზოგადოების სტაბილურად განვითარებას. კლისტენის დამსახურებაც იმაში მდგომარეობდა, რომ მან ადამიანების გაწევრიანება ფილებში, ფრატრიებსა და გვარებში ადამიანების

გაწევრიანება გააუქმა, რითაც გვარის მთავრების ძალაუფლება შეასუსტა. კლისთენმა საზოგადოების უმაღლესი კლასის წარმომადგენლების უფლებების ბოლომდე შეზღუდვა ვერ მოახერხა [Βλάχος1980: 40]. მან ვერ მოახერხა ათენში დემოკრატიის დამკვიდრება, მაგრამ ამისთვის წინაპირობები შექმნა [Mosse1988: 39].

კ. რიგასი ძალიან მნიშვნელოვნად არც სოლონის და არც კლისტენის მიერ გატარებულ რეფორმებს მიიჩნევს ათენში დემოკრატიის დამკვიდრებისთვის და ის საზეიმოდ აღნიშნავს, რომ ძვ. წ. 462 წელს, პერიკლეს მმართველობისას, დემოკრატია დაიბადა, ნამდვილი დემოკრატია და არამარტო როგორც მართვის სისტემა, არამედ როგორც სიტყვა და ეს არის გამორჩეული მომენტი კაცობრიობის ისტორიაში. კ. რიგასის ამ მოსაზრებას დ. ფროლოვიც ეთანხმება [Фролов1983: 164].

„ეს წიგნი კვლევის შედეგია, რომელიც ჩემთვის გავაკეთე. მაინტერესებდა თუ არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში პერიოდი, რომელშიც უბრალო მოქალაქე არ გახლდათ პოლიტიკურად და სოციალურად ისეთი შეზღუდული და შებოჭილი, როგორიც ის დღეს არის. მაინტერესებდა გამეგო, როდესმე დემოკრატიამ თუ იფუნქციონირა ჭეშმარიტად და ისე, როგორ შინაარსაც ამ სიტყვის ეტიმოლოგიური განმარტება იძლევა, თუ იყო ცარიელი სიტყვა, რომელიც ხალხის შეცდომაში შეყვანისთვის გამოიყენებოდა. ჩემმა კვლევამ მთელი ეპოქა მოიცვა, იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანებმა პირველად დაიწყეს პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება და დღემდე, თუმცა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ნამდვილი დემოკრატია დაიბადა და მხოლოდ ათენში, ძვ. წ. 462 წლიდან ძვ. წ. 322 წლებამდე” იფუნქციონირა (პერიკლეს ეპოქა).

ი. სურიკოვის აზრით, აღსანიშნავია, რომ პერიკლე არისტოკრატული წარმომავლობის იყო და მიუხედავად ამისა, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გახდა [Суриков1997: 14].

კ. რიგასის შეხედულებით, ათენში დემოკრატიის დაბადება იყო კაცობრიობის ისტორიის განვითარების აპოგეოსი, რომლის შედეგადაც შეიქმნა კულტურა, რომელიც დღემდე კლასიკურადაა მიჩნეული. დემოკრატიის დაბადებასა და მის განვითარებას თან სდევდა ისტორიული სიჩუმე, მაგრამ არა იმიტომ, რომ არ არსებობდა მტკიცებულებები მისი დაბადებისა და განვითარების შესახებ, არამედ ეს

გახლდათ ისტორიკოსების მხრიდან გამიზნული სიჩუმე, რადგან ეკონომიკურად და პოლიტიკურად პრივილეგირებული და გაბატონებული მმართველი ელიტა ანტიკური ეპოქიდან დღემდე მომავალი თაობებისა და ხალხისთვის ცდილობდა დაემალა ნამდვილი, პირდაპირი და სახალხო დემოკრატიის არსი. ამიტომ დემოკრატიის იდეამ, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის სახეცვლილი და დაკარგულია მისი ნამდვილი შინაარსი, რადგან მისი ნამდვილი შინაარსის გაზიარება არავის აწყობს [Ρήγα 2015:13–16–50].

იგივე მოსაზრებას იზიარებს ცნობილი გერმანელი ფილოლოგი და ისტორიკოსი ა. ბეკი (1785-1867) და ის ათენის სახელმწიფოს „ელინთა ყველა სახელმწიფოდან ყველაზე უდიადესს და უკეთილშობილესს" სახელმწიფოს უწოდებს [Бузескул1915: 252]. აქ ა. ბეკი პერიკლეს ეპოქის დემოკრატიაზე ამახვილებს ყურადღებას.

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი გ. გროტიც ათენის დემოკრატიას აიდეალებს. ის წერს: „საბერძნეთის პოლიტიკურ ისტორიაში, ყველა მოვლენიდან ათენის სახელმწიფო ყველაზე უფრო შესანიშნავია" [groteB.IV: 531]. ის დადებითად აფასებდა პერიკლესაც, როგორც მმართველსა და ლიდერს.

ბერძნული დემოკრატია, რომელიც დაფუძნდა ათენში, იყო ორიგინალური მმართველობის ფორმა და ის ყოველთვის ასეთად დარჩება - წერს [Romilly1992: 106-108].

გ. ალმონდი სვამს კითხვას: მართლაც არსებობდა პოლიტიკური კულტურა ძველ საბერძნეთში, თუ მმართველები მასებს არგებდნენ მას, ნებსით, თუ უნებლიეთ [Алмонд1994: 1] და თავადვე პასუხობს, რომ ძველ საბერძნეთში იმ დროისათვის უდიდესი პოლიტიკური კულტურა მართლაც არსებობდა.

ბერძენ-სპარსელთა ომის შემდეგ ათენური დემოკრატია კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან ახალგაზრდა ათენელები თავისუფლების ფასს მიხვდნენ - წერს ვ. ლატიშევი [Латышев1897:156].

კ. კასტორიადისს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში განსხვავებული მოსაზრება აქვს. ის ნაშრომში „ძველი ბერძნული დემოკრატია და მისი მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის" წერს: მინდა თავიდანვე განვმარტო ჩემი პოზიცია ერთ

საკითხთან დაკავშირებით. თუ ადამიანი აბსოლუტურად ფანატიკოსი არ გახლავთ, მას არ შეუძლია ბერძნული დემოკრატია მიიჩნიოს მართლმსაჯულების, თავისუფლების და თანასწორობის იდეალურ მაგალითად, თუმცა ჩვენ ამ დემოკრატიისგან, რომელსაც მე ჩანასახობრივ დემოკრატიას ვუწოდებდი, ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია" [**Καστοριάδης1999: 11**].

მ. ალექსიშვილმა თავის ნაშრომში - „ათენის მონათმფლობელური დემოკრატია" ათენის დემოკრატიას პირდაპირ უწოდა მონათმფლობელური, რაც გამორიცხავს ანტიკური დემოკრატიის იდეალურობას. ი. სტადუბი მიიჩნევს, რომ ათენური დემოკრატია ფორმალურმა თანასწორობამ კრიზისამდეც კი მიიყვანა [**Стадуб2003: Статья**]. გ. ბუზოლტის აზრით კი, ათენში მეტეკებს და მონებს, არც ისე უდიერად ეპყრობოდნენ, რაც გარკვეული მიზეზებით იყო განპირობებული [**Бузольт1890: 18**]. შეიძლება ითქვას, რომ მონობის ინსტიტუტი ისე მძაფრად და მახინჯური ფორმებით არსად გამოვლენილა, როგორც ძველ საბერძნეთში, სადაც მონობის ინსტიტუტმა მთელი რიგი ბერძნული რასებისა გააქრო (მაგალითად, პელაზგები) და გმირები შთანთქა - წერს ა. ვალონი [**Валлон1936: 5**].

ისტორიკოსების ნაწილი დაუფარავად აკრიტიკებს ათენურ დემოკრატიას და მიაჩნია, რომ აღნიშნული ეპოქის და იმ დროს დაფუძნებული დემოკრატიის გაიდეალება სრულიად მიუღებელია. უნგრელი ისტორიკოსი ი. შვარცი წერდა: „ეფიალტეს რეფორმიდან პერიკლეს გარდაცვალებამდე დაახლოებით 33 წელმა განვლო. იყო თუ არა ეს წლები სინამდვილეში ხელისუფლების ძლევამოსილებისა და აგრეთვე სრულიად ხელშეუშლელი კულტურული ცხოვრების ბრწყინვალე აყვავების ხანა, როგორც მუდამ ცდილობს ეს ასე წარმოადგინოს თანამედროვე გატაცებამ? სრულიადაც არა" [**schwarcz1877: 205**].

ტ. ევსეენკოს შეხედულებით, ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც განვლო სახელმწიფოებრივი განვითარების ყველა ეტაპი, არის რომის რესპუბლიკა [**Евсеенко 2005: Введение диссертации**]. რა თქმა უნდა, აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ქრონოლოგიურად რომში სახელმწიფოებრიობის შექმნას წინ უსწრებდა ათენში დემოკრატიის, როგორც მმართველობის მოდელის ჩამოყალიბება.

ა. ვინტერლიგი მიიჩნევს, რომ ბერძნული ცივილიზაცია და დემოკრატია იმ დროისთვის ნამდვილად იყო განვითარებული და ამ გარემოებას ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებმა შეუწყო ხელი, აქ შექმნილმა პოლიტიკურმა ვაკუუმმა, რომელიც კარგი ნიადაგი იყო, რაღაც ახალის დამკვიდრებისთვის [**Винтерлинг1890: 109**].

ე. ნიკიტიუკი მიიჩნევს, რომ ათენელები გამოირჩეოდნენ შემგუებლობით რელიგიის მიმართ, მაგრამ ამ ფაქტს ფილოსოფიური აზრისა და დემოკრატიის დამყარების მიმართ არ გამოუწვევია წინააღმდეგობა [**Никитюк1996: Тезисы Докладов научной конференции**].

ათენელები სხვა პოლისებს უსწრებდნენ როგორც მატერიალური, ასევე სულიერი და კულტურული განვითარების თვალსაზრისითაც, - გვამცნობს ი. ოსკარი [**Оскар: Тм.1**].

ფრანგ ისტორიკოსს ნ. კულანჟს უმთავრეს მამოძრავებელ ძალად რელიგია მიაჩნია და არა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური პროცესები. ათენის დემოკრატიის დროს მაგისტრატების კენჭისყრით არჩევას ნ. კულანჟი რელიგიურ მნიშვნელობას აძლევს, როგორც ღვთის ნების გამოხატულებას. „ცხადია, რომ ასეთი გაგება რელიგიისა როგორც მსოფლიო ისტორიის მამოძრავებელი ბერკეტისა, წმინდა წყლის მისტიციზმს წარმოადგენს" [**куланж1895: 334**]. მას მიაჩნდა, რომ რელიგია და ფილოსოფია ახდენს გავლენას პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებაზე და არა პირიქით, თუმცა სხვადასხვა წყაროების ანალიზი საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ათენში დემოკრატიის დამკვიდრება სწორედ დრომოჭმული ფილოსოფიური იდეოლოგიისა და ღმერთების ბატონობისაგან გათავისუფლების დიდმა სურვილმა გამოიწვია. აღნიშნულ საკითხს მომდევნო პარაგრაფებში დეტალურად განვიხილავთ.

ანტიკური დემოკრატიის გაიდეალება შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით კი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ მოხდა. ამ პერიოდში აღმავალ პროგრესულ ბურჟუაზიულ კლასს ფეოდალიზმისა და მონარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სჭირდებოდა ანტიკური დემოკრატია წარმოედგინა როგორც სახელმწიფო მართვა-გამგეობის სრულყოფილი, კანონიერი და ადამიანთა საზოგადოების ბუნებრივი

ხასიათის შესაბამისი ფორმა. ამით ბურჟუაზიას სურდა ანტიკური დემოკრატია დაეპირისპირებინა სახელმწიფოში ფეოდალური წოდების და მონარქიის ბატონობის უკანონობისა და არაბუნებრიობისათვის და ანტიკური დემოკრატიიდან ამ ისტორიული პარალელების მოყვანით თავისი გააფთრებული ბრძოლა ბურჟუაზიული დემოკრატიის შესაქმნელად გაემართლებინა [**ალექსიშვილი 1947:38-39**]. მ. ალექსიშვილს იმის თქმა უნდა, რომ ერთპიროვნული მონარქიული მმართველობის ჩანაცვლების პროცესი მიმდინარეობდა ბურჟუაზიული დიქტატურით და რომ, შუა საუკუნეებში ანტიკური დემოკრატიის წინა პლანზე წამოწევა და მისი თავიდან დანერგვის აუცილებლობა კი არ არსებობდა, რომელიც იმ ეპოქის ბუნებრივ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებს ემსახურებოდა, არამედ ერთი კონკრეტული კლასის და კერძოდ, ბურჟუაზიის ახირებას წარმოადგენდა, რაც ჩვენი აზრით შეცდომაა. ცნობილი რუსი ისტორიკოსი და სოციოლოგი ნ. კარეევი წერდა: „ბერძნებისა და რომაელების პოლიტიკური ცხოვრება სულ უფრო და უფრო მეტ საზოგადოებრივ ყურადღებას იპყრობდა: მასში ხედავდნენ სამოქალაქო მამაცობისა და პოლიტიკური თავისუფლების დიდ მისაბაძ ნიმუშებს" [**кареев 1903: 148**].

მონარქიული წყობა, რომელიც ადრეულ და შუა საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში იყო გაბატონებული, თავისთავად გახლდათ ერთპიროვნული, ისტორიამ კი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ასეთი ტიპის მმართველობას ვერასოდეს ეგუებოდა. ასეთი წყობის საპირისპირო მართვის მოდელი კი მხოლოდ ერთია - დემოკრატია, ანუ ხალხის მმართველობა, უმრავლესობის მმართველობა. სწორედ ამიტომ, გახდა აუცილებელი ანტიკური დემოკრატიის წინა პლანზე წამოწევა და ეს არ გახლდათ ერთი კლასის ახირება. კ. კასტორიადისი თავის ნაშრომში „ძველი ბერძნული დემოკრატია და მისი მნიშვნელობა თანამედროვეობისთვის" წერს: „ევროპული აღორძინების მოთხოვნილებად იქცა ბუნებრივი და ჭეშმარიტი პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბება არა თავისი კლასიკური პოლიტიკური გაგებით, სადაც მხოლოდ ფორმალურად ტარდება არჩევნები და ირჩევენ ხელისუფლებას, არამედ საზოგადოების მიერ ნამდვილი თვითმმართველობისაკენ მოთხოვნილებად, სადაც ადამიანებს სურთ თავად გადაწყვიტონ თავიანთი პოლიტიკური, სოციალური, თუ ეკონომიკური საკითხები. ასეთი პოლიტიკური მმართველობა პირველად

კაცობრიობის ისტორიაში, ძველ საბერძნეთში დაფუძნდა, სწორედ ამიტომ მოითხოვა ეპოქამ მისი თავიდან აღორძინება და სწორედ ამიტომ არის ის ჩვენთვის დღესაც აქტუალური [Καστοριάδης1999: 11].

მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს იმაზე მეტად საკვირველი მოვლენა, ვიდრე ბერძნული ცივილიზაციის დაარსებაა. ეგვიპტესა და შუამდინარეთში მანამდეც არსებობდა ცივილიზაცია, მაგრამ რაღაც აკლდა, ამ „რაღაცის" შევსება, მისი სრულყოფა, მხოლოდ ბერძნებმა შეძლეს [Рассел1994: 1].

ბერძნული ცივილიზაციისა და დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ის ფაქტორი მივიჩნიოთ, რომ იმდროინდელი აზიური ცივილიზაციები, მაგალითად ეგვიპტე, არ იყვნენ დაინტერესებულნი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში და ამ გეოგრაფიულ არეალში მიმდინარე პროცესებით, სწორედ ამის გამოისობით შეიქმნა ვაკუუმი, ხოლო ეს ვაკუუმი ახალი პოლიტიკური ფორმაციების ჩამოყალიბებისთვის კარგი ნიადაგი იყო [Винтерлинг1890: 109].

ა. ბონნარის აზრით, სიტყვა ცივილიზაციის თავისებურად აღქმამ განაპირობა დემოკრატიის დამკვიდრება ძველ საბერძნეთში და იმ ეპოქაში, ათენში ნამდვილად არსებობდა დემოკრატია [Боннар1994: Гл.I].

კ. ბელოხი ათენური დემოკრატიის დამკვიდრებას ეკონომიკურ განვითარებას მიაწერს [Белох1897: 210], ვ. გუშინი კი ფლოტის [Гущин2013: 1]. გ. გლოცის აზრით, რთულია იმის წარმოდგენა, რომ 40 ათასმა მოქალაქემ თავად შექმნა ფლოტი, მაგრამ რეალობა ეს არის, ეს კი დემოკრატიის დამკვიდრების საწინდარი იყო [Glotz1989: 176].

თავისი შეხედულებები იმდროინდელი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მმართველობის ფორმებზე გადმოცემული აქვს არისტოტელეს ტრაქტატში „პოლიტიკა", რომელშიც მათ შორის განიხილავს ათენის ქალაქ-სახელმწიფოსაც. 1880 წელს გამოქვეყნდა „ათენის პოლიტიკა", ხოლო 1990 წელს დიდი ბრიტანეთის ხელნაწერ პაპირუსების კოლექციაში, რომელიც ეგვიპტეში მკვლევარმა ერისტ ალფრედ უოლისმა აღმოაჩინა, აღმოჩენილი იქნა „ათენის პოლიტიკის" სრული ტექსტი. 1891 წელს კი ის პირველად გამოსცა ფრედერიკ კენიონმა (1863-1952), რომელიც იმ დროს ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერების დეპარტამენტში ასისტენტად მუშაობდა.

საინტერესოა ანტიკური ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალის - მონობის ინსტიტუტის მისეული ხედვა, რომელსაც „პოლიტიკაში" აყალიბებს. ის მონობას უყურებს როგორც ბუნებრივ მოცემულობას, კანონზომიერებას და აღიარებს ამ ინსტიტუტის მარადიულობას, აქედან გამომდინარე, არისტოტელეს შეხედულებები დემოკრატიაზე და ზოგადად სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე ოლიგარქიულ ხასიათს ატარებენ და ეს გარემოება ამ დიდ მოაზროვნესაც მიაკუთვნებს ოლიგარქიული წეს-წყობილების მომხრე მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ: პლატონი, სოკრატე, თუკიდიდე და სხვები. არისტოტელე სახელმწიფოს წარმოშობისა და არსებობის მთავარი მიზნის - საყოველთაო სიკეთის მისაღწევად აუცილებლად მიიჩნევს საზოგადოებრივი ფენების მკვეთრ დიფერენციაციას. მისი აზრით ის, რომ მმართველი მმართველია და მისი ქვეშევრდომი მონა, ბუნებრივი კანონზომიერებაა და ეს ასე რომ არ იყოს, სახელმწიფო საერთოდ ვერ იარსებებდა. აღნიშნულ დასკვნამდე საკითხის დეტალური და ლოგიკური განხილვით მიდის. არისტოტელე მიიჩნევს, რომ მმართველი იმიტომ მართავს, რომ მას ამის უნარი ბუნებამ მიანიჭა, ის ამას აკეთებს გონებით, ხოლო ვისაც ფიზიკური ძალა გააჩნია და არა ინტელექტუალური, ის ქვეშევრდომია და მონაა. „იმას, ვისაც შეუძლია გონებით მოვლენების წინასწარი განჭვრეტა, ის თავისი ბუნებით ხელმძღვანელი და მბრძანებელია, ხოლო ვისაც შეუძლია ამის განხორციელება ფიზიკური ძალებით, ის ქვეშევრდომი და მონური ბუნების მქონეა" (**არისტოტელე1995: 11**).

მიგვაჩნია, რომ გასათვალისწინებელია, არისტოტელე მონათმფლობელურ საზოგადოებაში რომ ცხოვრობდა და მეტიც, მონობის ინსტიტუტის კონცეფციის ავტორიც გახლდათ. მისი ასეთი დამოკიდებულება მონობისადმი იმ ეპოქისათვის ნორმალურია, რადგან ბერძნულ-რომაული ხანის კულტურა, რომელიც თავისი სიდიადით ჩვენ დღესაც გვაოცებს, სწორედ მონობის ინსტიტუტის წყალობითაა შექმნილი, რაც იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ არა მონათმფლობელური წეს-წყობილება, იმდროინდელი ანტიკური საზოგადოება ვერ იქნებოდა ისეთი განვითარებული, როგორიც იყო. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ნებისმიერი ეპოქის დემოკრატიულ სახელმწიფოში, ეს იქნება მონათმფლობელური, ბურჟუაზიური, სოციალისტური, თუ კაპიტალისტური დემოკრატია, არსებობდა და არსებობს მმართველი და

ქვეშევრდომი, დამქირავებელი და დაქირავებული, უბრალოდ განსხვავებული ფორმებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა ვლადიმერ ლენინის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის მოსაზრება, რომელიც წერდა: „დემოკრატიის ფორმები აუცილებლად იცვლებოდა ათასი წლების მანძილზე, დაწყებული მისი შთანასახებიდან შორეულ წარსულში, იმისდა მიხედვით, როგორაც ერთ გაბატონებულ კლასს მეორე ცვლიდა. საბერძნეთის ძველს რესპუბლიკებში, საშუალო საუკუნეების ქალაქებში, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში დემოკრატიას აქვს სხვადასხვა ფორმა და გამოყენების სხვადასხვა დონე" [**ლენინი1934: 113**].

არისტოტელეც თავის ეპოქას წარმოადგენდა და ვერ ისაუბრებდა იმდროინდელ სახელმწიფოში არსებულ საზოგადოებრივ სტრუქტურაზე მონობის ინსტიტუტის მიმოხილვის გარეშე. მონები ანტიკური ეპოქის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. თუ დღეს რომელიმე ფილოსოფოსი და მოაზროვნე ჩვენი ეპოქის საზოგადოებრივი სტრუქტურის ანალიზს განიზრახავს, მას აუცილებლად მოუწევს დამქირავებელთა მიერ დაქირავებულების ექსპლუატაციის ტენდენციების განხილვა და იმის აღიარება, რომ თანამედროვე კაპიტალისტური დემოკრატიაც ვერ იარსებებს დაქირავებულების გარეშე, ისინი ხომ კაპიტალიზმში მთავარ ძალას წარმოადგენენ, რომლებიც საყოველთაო დოვლათს ქმნიან. მ. ალექსიშვილი წერდა: „ხანგრძლივ ისტორიულ მანძილზე ათენის დემოკრატიის გაგებისა და შეფასების საკითხზე აურაცხელი ლიტერატურა დაგროვდა. მის ირგვლივ სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი და მოსაზრებები წარმოიშვება. ყველა ეს შეხედულება, საბოლოო ანგარიშით, ორ ძირითად მიმდინარეობამდე დაიყვანება. პირველი მიმდინარეობა გადაჭარბებით აქებს ათენის დემოკრატიას და მის იდეალიზაციას ეწევა, მეორე მიმდინარეობა კი აძაგებს მას და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველაზე უვარგის ფორმად თვლის. პირველი მიმდინარეობის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი ძველი ბერძნებიდან იყო პერიკლე და ბურჟუაზიული ისტორიკოსებიდან - გ. გროტი, რ. პელმანი და სხვები. გ. გროტი და რ. პელმანი აზვიადებენ და აიდიალებენ ათენის დემოკრატიას და მას დემოკრატიის უმაღლეს და სრულყოფილ ფორმად თვლიან" [**ალექსიშვილი1947: 8**]. მაგალითად, ცნობილ გერმანელ მეცნიერს რ. პელმანს ათენური დემოკრატია ამერიკულ დემოკრატიაზე

სრულყოფილადაც კი მიაჩნდა [**Пёльман1940: 391**]. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა. ზაიცევი მიიჩნევს, რომ ანტიკურ პერიოდში განხორციელებული სოციალური პროექტები, განსხვავებით 20-ე საუკუნის კომუნიზმისგან, არ ემსახურებოდნენ ზოგად საზოგადოებრივ კეთილდღეობას, რადგან მათი განხორციელება ხდებოდა მონობის ინსტიტუტის ხარჯზე, რაც თავისთავად საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობაზე ზრუნვას გამორიცხავს [**Зайцев: Избранные статьи**]. მართლაც, არ შეიძლება ანტიკური დემოკრატია მართვა-გამგეობის სრულყოფილ ფორმად მივიჩნიოთ, რადგან ეს დემოკრატია გახლდათ მონათმფლობელური და იმ საზოგადოებაში მონებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არანაირი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური მართვის მოდელი დემოკრატიის ნიშნებს შეიცავდა, რაც ხელისუფლების დანაწილებაში, მოქალაქეების მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში, დიდი ბერძენი რეფორმატორების მიერ გატარებულ რეფორმებში გამოიხატება, მაგრამ აღნიშნულ მოდელს სრულყოფილებისთვის 20-ე და 21-ე საუკუნეებშიც არ მიუღწევია და გადაჭარბებული იქნებოდა იმ გარემოების მტკიცება, რომ ათენური დემოკრატია იდეალური იყო, ასევე არისტოტელეს გაკიცხვა იმის გამო, რომ ის მონობის ინსტიტუტის არსებობას ამართლებდა სხვადასხვა მიზეზებისა და გარემოებების გამო. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ათენური დემოკრატია იყო უნიკალური და განუმეორებელი, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დემოკრატიის დასრულების შემდეგ კაცობრიობას ასეთი მძლავრი დემოკრატიული მმართველობა არ დაუფუძნებია, მაგრამ რადგანაც ზოგადად არ არსებობს მმართველობის იდეალური მოდელი, უნაკლო არც ათენური დემოკრატია იყო.

არისტოტელე გენდერული თანასწორობის საკითხს შეეხო და ის შემდეგნაირად განსაზღვრა: „მამაკაცი უფრო მეტადაა მოწოდებული ხელმძღვანელობისათვის, ვიდრე ქალი, თუ რაიმე არ მოხდა ბუნების საწინააღმდეგო" (**არისტოტელე1995: 28**).

კ. რიგასი კი არისტოტელეს ამ შეხედულებას სრულიად არ ეთანხმება და წერს: „სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელიც ეფიალტემ დაამკვიდრა, აბსოლუტურად ყველა მოქალაქის პოლიტიკური უფლებებით თანაბრად აღჭურვას ნიშნავდა, რომლის მთავარ მიზანსაც ყველა მოქალაქის მიერ სახელისუფლებო ძალაუფლების განხორციელება წარმოადგენდა. ამ დროს გაქრა ყველანაირი

განსხვავება ხალხსა და დიდგვაროვანთა შორის და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები იდენტური პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდნენ" [Ρήγας2015: 51-52]. სწორედ ამ გარემოებების გამო კ. რიგასი არისტოტელეს, თუკიდიდეს, პლატონს და სხვა მოაზროვნეებს ერთი გაბატონებული კლასის, არისტოკრატიისა და ერთი გაბატონებული წყობის, ოლიგარქიის დამცველებად მიიჩნევს. რა თქმა უნდა არისტოტელეს ზოგიერთი შეხედულება მმართველობის ფორმებზე ოლიგარქიულ ხასიათს ატარებს, მაგრამ არა აბსოლუტურად. არისტოტელე სახელმწიფო მმართველობის რამდენიმე ფორმას გამოჰყობს, რომელიც კონცეპტუალურ ხასიათს ატარებს და ის დღესაც აქტუალურია. „იმ მონარქიულ სახელმწიფოს, რომელიც მიზნად ისახავს მთელი საზოგადოების სარგებლობას, ჩვენ ბაზილეას ვუწოდებთ. უმცირესობის, მაგრამ ერთზე მეტის მმართველობას ჩვენ არისტოკრატიას იმიტომ ვუწოდებთ, რომ მას ხელმძღვანელობენ საუკეთესო ადამიანები, ანდა იმიტომ, რომ ისინი სახელმწიფოსაც და მოქალაქეებს საუკეთესო მიზნისკენ წარმართავენ. ხოლო როდესაც უმრავლესობა ზრუნავს საზოგადო სარგებლობაზე, ასეთ სახელმწიფოს ყველა უწოდებს საერთო სახელს - პოლიტეიას. ასეთი დაყოფა გონივრულიცაა, რადგან შეიძლება ზნეობით გამოირჩეოდეს ერთი ადამიანი, ან უმცირესობა, მაგრამ ძნელია, რომ ყველას ყოველგვარი სათნოება ჰქონდეს. ეს უფრო სამხედრო საქმეშია შესაძლებელი, რადგან სამხედრო სათნოება უმრავლესობისთვის არის დამახასიათებელი. ასეთი სახელმწიფოს ძალაუფლება არის მეომრების ხელში და მმართველობაშიც ისინი მონაწილეობენ. გადახრები სახელმწიფოს ზემოთქმული ფორმებიდან შემდეგია: მონარქიიდან წარმოიშობა ტირანია, არისტოკრატიიდან - ოლიგარქია, პოლიტეადან - დემოკრატია. ტირანია იგივე მონარქიაა, რომელიც ემსახურება მხოლოდ ერთი მმართველის არსებობას, ოლიგარქია მდიდრებს, დემოკრატია კი - ღარიბების ინტერესებს ემსახურება" (არისტოტელე1995: 76).

არისტოტელე ჯანსაღ სახელმწიფო მმართველობის ფორმად მონარქიას მიიჩნევს, რომელიც კონსტიტუციურია, აბსოლუტურ მონარქიას უწოდებს ტირანიას და ასეთ წყობას უვარგის წყობად მიიჩნევს. მის მიერ აღწერილ არისტოკრატიულ მმართველობის ფორმას, რომელსაც ის ასევე ჯანსაღი მმართველობის ფორმად

აღიქვამს, შეიძლება საპრეზიდენტო რესპუბლიკაც ვუწოდოთ, მთავარია, ეს არ გადაიზარდოს ოლიგარქიაში, სადაც ნიჭიერ ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც სახელმწიფოს უდგას სათავეში ერთი გამორჩეული მმართველის ხელმძღვანელობით, აღარ ემსახურება საერთო საზოგადო ინტერესებს, არამედ პირადს. პოლიტეა და დემოკრატია მისთვის თითქმის ერთი და იგივეა და მმართველობის ასეთ ფორმებს ის არ აქებს. არისტოტელე საუბრობს სამხედრო სახელმწიფოზე, სადაც სახელმწიფო მმართველობის სადავეები ჯარისკაცებს ეკუთვნით. მის მიერ გაანალიზებული სახელმწიფო მმართვის მოდელებიდან ნათლად ჩანს, რომ მისთვის დემოკრატია ყველაზე მეტად მიუღებელია.

მიგვაჩნია, რომ კ. რიგასის მიერ მხოლოდ პერიკლეს ეპოქის დემოკრატიის მიჩნევა სრულყოფილად და იდეალურად, ხოლო არისტოტელეს, თუკიდიდეს, პლატონისა და სხვა უდიდესი მოაზროვნეების აბსოლუტური ოლიგარქიული წყობის დამცველებად გამოცხადება გადაჭარბებულია. ანტიკური და თანამედროვე ისტორიოგრაფიის ანალიზიდან ირკვევა, რომ ანტიკური ეპოქის ისტორიკოსები ეჭვის თვალით უყურებდნენ ათენურ დემოკრატიას და დაუფარავადაც კი კიცხავდნენ მას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისინი ოლიგარქიული წყობის დამცველებად გვევლინებიან და არ მიაჩნიათ, რომ დემოსი, ანუ უმრავლესობა უნდა მართავდეს სახელმწიფოს, მაგრამ არაფერს ამბობენ იმ გარემოებაზე, რომ ათენური დემოკრატია არ გახლდათ მხოლოდ მდიდრების, ან მხოლოდ ღარიბების, მარტო ოლიგარქების, ან მარტო დემოსის მმართველობა, არამედ ის ყველას მმართველობას წარმოადგენდა. მათ ავიწყდებათ, რომ ძველმა ბერძნებმა, რომლებიც მონათმფლობელურ წყობაში ცხოვრობდნენ, საფუძველი ჩაუყარეს ევროპულ ცივილიზაციას, რადგან განავითარეს მეცნიერების არა ერთი, ან ორი სფერო, არამედ თითქმის ყველა. ძველბერძნულ მსოფლმხედველობასა და ლიტერატურაში მკვეთრად შეიმჩნევა ადამიანის სამყაროს ცენტრში დაყენებისაკენ სწრაფვა, მისი განდიდება [**Ярхо1954: 1**], რამაც საბოლოოდ ბერძნები დემოკრატიამდე მიიყვანა.

სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და სხვა ანტიკური ეპოქის მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ დემოსს არ ძალუძს ქვეყნის მართვა, რადგან მას ამის ცოდნა არ გააჩნია და ასეთი პრივილეგიით მხოლოდ კეთილშობილი წარმომავლობისა და

სიმდიდრის მქონე მოქალაქეები უნდა სარგებლობდნენ, თუმცა მათი ეს მოსაზრებები არაფერს ცვლის, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს მოსაზრებები გარკვეულწილად სიმართლის მარცვალს შეიცავენ, რადგან მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მისაღებია ეს ჩვენთვის თუ არა, დემოკრატია, რომელიც პირველად დაიბადა ძვ. წ. V საუკუნის ათენში, არ გულისხმობდა მდიდრების, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ ყველა საზოგადოებაში, ან ფილოსოფოსების მიერ ქვეყნის მართვას, არამედ ათენის ყველა მოქალაქის თანაბრად მონაწილეობას ქვეყნის საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.

1.2. ძველი ბერძნული დემოკრატიის ქრონოლოგია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრეტას პოლისი უძველესია და როდესაც აღნიშნულ ქალაქ-სახელმწიფოში დემოკრატიის ფორმირებაზე ვსაუბრობთ, დემოკრატიამდელ დემოკრატიას ვგულისხმობთ.

კრეტა ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულში ეგეოსის კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ის ერთმანეთს დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებს როგორც კულტურული, ასევე ვაჭრობა-მრეწველობის თვალსაზრისითაც აკავშირებდა. ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში კუნძულის ტერიტორიის ნაწილი აქაველებმა დაიპყრეს. დორიელები აქ პირველად ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნის დასაწყისში შეიჭრნენ. კუნძული კრეტა ოდითგანვე გახდა ევროპული ცივილიზაციის აკვანი, რაც მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა. კუნძულს შემხებლობა ჰქონდა როგორც ეგვიპტესთან, ასევე ახლო აღმოსავლეთთან და მესოპოტამიასთან, რამაც განაპირობა მისი კულტურული მრავალფეროვნება. მეორე მხრივ ბალკანეთმა და ანატოლიამ დიდი როლი ითამაშეს კრეტის კუნძულზე ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში, მაგრამ ამ კუნძულის განვითარების კულმინაცია ეგეოსის ზღვის სამხრეთ ნაწილში მდებარე კიკლადების არქიპელაგის დამსახურებაა, რომელიც იმ დროისთვის კულტურული პროგრესის თვალსაზრისით ეგეოსის ზღვის აუზის ქვეყნებს შორის მოწინავე ადგილს იკავებდა. ადრეული ბრონზის ეპოქაში

კუნძულის ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ მისი ნაყოფიერი მიწების ათვისება, რაც მთლიანი კუნძულის განვითარების საწინდარი გახდა [**Кузищина1996: 39**].

რა თქმა უნდა კრეტის პოლისი არ წარმოადგენდა ათენური დემოკრატიის მსგავს სახელმწიფოს, მაგრამ მასში შეინიშნებოდა დემოკრატიულობის მრავალი ნიშანი. ხელისუფლება დანაწილებული იყო და ძალაუფლების განხორციელება არ ხდებოდა რომელიმე ერთი პირის, ან ინსტიტუტის მიერ. გარდა ამისა, გორტინას კანონები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო კანონების მეშვეობით იმართებოდა და არა პიროვნებების, რომლებსაც სახელმწიფოს ერთპიროვნულად მართვის სურვილი ამოძრავებდათ.

ქრონოლოგიურობის თვალსაზრისით, სპარტას და ათენის ქალაქ-სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დანერგვას წინ უსწრებდა კრეტის სახელმწიფოში მმართველობის სხვადასხვა შტოებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირება. ძალაუფლების ერთი პირის მიერ განხორციელების არდაშვების კუთხით, კრეტა პირველი სახელმწიფოა ძველ საბერძნეთში და სავარაუდოდ, ათენსა და სპარტაში არავინ იფიქრებდა სახელისუფლებო ფუნქციების სხვადასხვა ინსტიტუტებზე გადანაწილებაზე, ეს რომ უწინარესად კრეტის სახელმწიფოში არ განხორციელებულიყო.

ზემოაღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ძველ საბერძნეთში დემოკრატიული მმართველობის სისტემის შემდგომ ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოებში და მათ შორის ათენში, კრეტაზე მიმდინარე პროცესებმა შეუწყო ხელი. სწორედ ამიტომ, კრეტის სახელმწიფოში არსებული მმართველობის მოდელი შეიძლება დემოკრატიამდელ დემოკრატიად ჩაითვალოს.

რაც შეეხება ათენის ქალაქ-სახელმწიფოს, აქაც დემოკრატია გარკვეული ეტაპების გავლის გარეშე არ დაფუძნებულა.

ათენში დემოკრატიის ჩასახვის წინაპირობები არსებობდნენ, რადგან სოლონმა (ძვ. წ. 638-558 წლები), კლისთენმა (ძვ. წ. 508-507 წლები) და სხვა ბერძენმა მმართველებმა გაატარეს გარკვეული რეფორმები, რომლის შედეგადაც გაძლიერდა ხალხის მმართველობა, განხორციელდა ხელისუფლების გადანაწილება სხვადასხვა

სახელმწიფო ინსტიტუტებზე, შეიქმნა მმართველობის გარკვეული ბიუროკრატიული მექანიზმები, მაგრამ მხოლოდ პერიკლეს ეპოქაში აღიჭურვა სახალხო კრება განუსაზღვრელი უფლებებით, დამყარდა არა წარმომადგენლობითი, არამედ პირდაპირი დემოკრატია, რომლის პირობებშიც, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად სახალხო კრება იღებდა. დღეისათვის კი ყველასათვის ცნობილია, რომ დემოკრატია სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა ხალხისა და უმრავლესობის მართველობისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ტიპის დემოკრატია ნამდვილად არსებობდა ათენში და მან 140 წელი იარსება. (ძვ. წ. 462-322 წლები).

ზოგიერთი დემოკრატიის მამად სოლონს, ხოლო ზოგიერთი კი პერიკლეს მიიჩნევს. მარია მ. გიუნი თავის ნაშრომში „პოლიტიკური ინსტიტუტების ისტორია ანტიკურ ეპოქაში" აღნიშნავს, რომ სოლონმა გაატარა რეფორმები რამდენიმე მიმართულებით, რომლებმაც გააძლიერეს სასამართლო სისტემისა და არქონტების კონტროლი ხალხის მიერ, მაგრამ სოლონის ეპოქაში დამკვიდრებული დემოკრატია, ბევრად ჩამორჩება პერიკლეს ეპოქის დემოკრატიას, რადგან რეფორმების ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით, პერიკლეს დროს დამყარებული მმართველობის მოდელი უპრეცედენტოა [Γιούνη 2016: 79–80].

როგორც ანალიზიდან ირკვევა, სოლონისგან განსხვავებით და მის რეფორმებთან შედარებით, პერიკლეს ეპოქაში დამყარებული მმართველობის ფორმა უფრო მეტად დემოკრატიული იყო. მოქალაქეების სახელმწიფოს მმართვაში მონაწილეობა არ იყო განპირობებული არც ქონებრივი ცენზით და არც წარმომავლობით. დემოკრატიის განვითარებაში მონაწილეობის მიღების უფლება თანაბრად ჰქონდა ათენის ყოველ მოქალაქეს.

პისისტრატეს ტირანიის დასრულების შემდეგ სოლონის მიერ დაწყებულ ნახევრად დემოკრატიულ რეფორმებს ბერძენი საზოგადო მოღვაწე კლისტენი აგრძელებს (ძვ. წ. 508-507 წლები), რომელიც აუქმებს ადამიანების გაწევრიანებას ფილებში, ფრატრიებსა და გვარებში, რითაც გვაროვნულ მმართველობას ასუსტებს.

კ. რიგასი მიიჩნევს, რომ ძვ. წ. 462 წელს დაიბადა დემოკრატია, ნამდვილი დემოკრატია და არამარტო როგორც მართვის სისტემა, არამედ როგორც სიტყვა და ეს

გამორჩეული მომენტია კაცობრიობის ისტორიაში. ის მიიჩნევს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი პერიოდი არსებობდა, რომელშიც უბრალო მოქალაქე არ გახლდათ პოლიტიკურად და სოციალურად ისეთი შეზღუდული და შებოჭილი, როგორიც ის დღეს არის. მისი აზრით, დემოკრატიამ ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იფუნქციონირა ჭეშმარიტად და ეს იყო პერიკლეს და ეფიალტეს ეპოქა, როდესაც სახალხო ყრილობა განუსაზღვრელი უფლებებით აღიჭურვა [**Ρήγα 2015:13–16**].

1.3. კანონმდებლობის როლი ძველ ბერძნულ დემოკრატიაში

როგორც უკვე აღინიშნა, ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში მმართველობის სხვადასხვა მოდელები ფუნქციონირებდა, კრეტა მონარქიული სახელმწიფო იყო, სპარტა სამხედრო-ოლიგარქიული, ხოლო ათენი დემოკრატიული, მაგრამ აღსანიშნავია ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ ძველი საბერძნეთის ნებისმიერი ქალაქ-სახელმწიფო იმ ეპოქისთვის დახვეწილი და სრულყოფილი კანონმდებლობით იმართებოდა.

კრეტის ქალაქ-სახელმწიფო გორტინის კანონებით იმართებოდა, რომელიც იმ დროისთვის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობის თვალსაჩინო მაგალითი იყო. გორტინის კანონები შეიცავდნენ როგორც სახელმწიფო სამართლის, ასევე სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმებს. გორტინი ძველი კრეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო, მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა ისტორიულ პერიოდში, როდესაც კრეტის სასიცოცხლო ცენტრი - კნოსოსი დაეცა. ძველი გორტინის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა, ლიტერატურული წყაროების სიმცირის გამო, წარმოადგენს ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კრეტის ისტორიის შესწავლისთვის თითქმის ერთადერთ წყაროს და სწორედ ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაოდ ცნობილი გორტინის კანონთა კრებული. უძველესი ცნობა ქალაქ გორტინის შესახებ ჰომეროსის პოემებშია შემონახული [**“ილიადა”, II, 646, “ოდისეა”, III, 294**]. ამ ცნობის მიხედვით ქალაქი

გორტინი ჯერ კიდევ დორიელების შემოსევამდე ძვ. წ.XI-VIII საუკუნეებში მნიშვნელოვან გამაგრებულ ცენტრს წარმოადგენდა. ამ ცნობას რამდენადმე ეხმაურება პლატონის „კანონებში" დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქი გორტინი კრეტაზე დააარსეს ლაკონიიდან გადმოსულმა დორიელებმა. პლატონის თხზულების ერთ-ერთი გმირი კლინიასი ამბობს: „აქ კრეტაზე არიან არგოსიდან გადმოსულნი; აგრეთვე, აქ ყველაზე მეტად ცნობილი გორტინელთა ტომი წარმოშობილია პელოპონესის გორტინიდან გადმოსახლებულთა მიერ"ვ [**творения Платона: XIII, 3. 708**].

გორტინის კანონები ძვ. წ. V საუკუნის 80-60-იანი წლებით თარიღდება. აღნიშნულ კანონებში დეტალურად არის განხილული კრეტელების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების მარეგულირებელი ნორმები. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საფუძვლები (მაგალითად, ის, ვინც აპირებდა სასამართლოში დავას თავისუფალების ან მონის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მისი წაყვანა არ შეეძლო და თუ არ დაელოდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებას, ჯარიმდებოდა). მკვეთრად იყო გამიჯნული სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სამოქალაქო სამართლის წესით ჯარიმდებოდა ის, ვინც ძალადობას ჩაიდენდა თავისუფალი ქალის, ან კაცის მიმართ.

გორტინის კანონების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კრეტაში განვითარებული იყო საოჯახო სამართალიც (მაგალითად, თუ ცოლი და ქმარი გაიყარნენ, ცოლი ფლობს თავის სათავნოს, ე.ი. იმას, რაც მის პირად საკუთრებას შეადგენს).

განვითარებული იყო მემკვიდრეობითი სამართალიც (მაგალითად, თუ მამა მისცემს ქალიშვილს რაიმეს, მოხდეს შესაბამისად არსებული წესისა. მანამდე, სანამ მამა ცოცხალია, მამის ქონება შვილისაგან არ იყიდება).

გორტინის კანონების 51-55-ე სტრიქონებში აღნუსხულ კანონს აქვს უდიდესი მნიშვნელობა კრეტის პოლისების სახელმწიფო წყობის შესწავლისთვის. სწორედ ამ მუხლებიდან დგინდება, რომ კრეტის პოლისებს სათავეში კოსმოსთა კოლეგია ედგა, რომელიც ათი წევრისგან შედგებოდა [**იოსელიანი1966: 32-36-50**].

კრეტის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის დეტალურად განხილვას მომდევნო თავებსა და პარაგრაფებში შევეცდებით. რამდენიმე მოყვანილი მაგალითი ნათლად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ კრეტის სახელმწიფო კანონების მეშვეობით იმართებოდა და კანონმდებლობა განსაზღვრავდა კრეტის მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების წესს, რაც იმ ეპოქისთვის უპრეცენდენტო შემთხვევა იყო, თუკი იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ კრეტაში არ ფუნქციონირებდა დემოკრატია კლასიკური გაგებით, ანუ ისეთი დემოკრატია, რომელიც დაფუძნებული იყო ათენის ქალაქ-სახელმწიფოში.

სპარტას ქალაქ-სახელმწიფო სამხედრო ტიპის ოლიგარქიულ მმართველობას წარმოადგენდა, მაგრამ ასეთი მმართველობის პირობებშიც სპარტაში კანონზე უპირატესი ძალა არავის ჰქონდა.

ლეგენდის თანახმად, სანამ სპარტაში ლიკურგე თავის კანონებს გამოსცემდა, მას უმოგზაურია სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოებში და მათ შორის იმყოფებოდა კრეტაზეც, აქ არსებული კანონმდებლობის შესწავლის მიზნით. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის ისტორიული ფაქტი, რომ კრეტისა და სპარტას ქალაქ-სახელმწიფოებს შორის მართვა-გამგეობის ფორმებისა და კანონმდებლობის კუთხით უდიდესი მსგავსება არსებობს. მსგავსებას ამ ორ პოლისს შორის განაპირობებს სისიტიების არსებობა. (სისიტიები - ზოგ ძველბერძნულ სახელმწიფოში (სპარტაში, კრეტაზე და სხვ.) (სრულუფლებიან მოქალაქეთა სავალდებულო საერთო პურის ჭამა). სისიტიების არსებობა დადგენილია როგორც კრეტის, ასევე სპარტას ქალაქ-სახელმწიფოში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ორ პოლისს შორის არსებულ მსგავსებაზე [**Андреев1972: 56**].

ჰ. ბენგსტონი თავის ნაშრომში „ძველი საბერძნეთის ისტორია" სპარტას სახელმწიფოს შესახებ წერს: „ძირითად პრინციპებს, რომლებიც სპარტას სახელმწიფოს წყობილებას განსაზღვრავენ, არეგულირებს დიდი პუნქტი, ბერძნული ისტორიის უძველესი პოლიტიკური ტიპის ტექსტი, რომელიც ძვ. წ. VII, ან დაახლოებით VIII საუკუნეებით თარიღდება" [**Bengtson1991: 109- 110**].

უნდა აღინიშნოს, რომ სპარტას სახელმწიფო ათენისა და კრეტის სახელმწიფოებთან შედარებით, ჩაკეტილი საზოგადოებისგან შედგებოდა და მისი

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სამხედრო საქმიანობით იყო დაკავებული. იგი წარმოადგენდა სამხედრო ბანაკს, სადაც აღზრდის უსასტიკესი წესები მოქმედებდა.

სახელმწიფოს კანონმდებლობის შექმნა ლიკურგეს მიეწერება, თუმცა არ არსებობს აღშნიშნული ფაქტის დამადასტურებელი პირდაპირი წყარო [Νάκος 1991: 93].

ათენის არსებობა, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულისა, იწყება ჯერ კიდევ ძვ. წ. XIV-XII საუკუნეებში. მის შექმნას უკავშირებენ თეზევსს, რომელმაც ატიკის გარშემო თემები გააერთიანა. გაერთიანებასთან ერთად მოხდა სერიოზული სოციალური ცვლილებები, რომლებიც შემდეგ რეფორმებით აისახა. ესენი იყო: 1. სინოიკიზმი – ამ რეფორმით ყველა ტომი ერთ ხალხად ყალიბდებოდა; 2. სოციალური რეფორმა – იგი გულისხმობდა ათენელთა საზოგადოების სოციალურ კლასებად ჩამოყალიბებას. რეფორმების შედეგად წარმოიშვა სამი ტიპის სოციალური კლასი: კეთილშობილები ანუ ევპატრიები, გეომერები ანუ მიწათმოქმედები და ბოლოს დემიურგები, იგივე ხელოსანთა კლასი. ამ რეფორმის დადებითი მხარე ის იყო, რომ ათენის მოსახლეობა თავისი პროფესიული საქმიანობის ნიშნით დაიყო, ეს კი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ათენის საზოგადოების სწორი მიზნის ორიენტაციაში, სახელმწიფოს შენების პროცესის ნაყოფიერი შედეგისათვის.

რა თქმა უნდა თეზევსის რეფორმები არ შეიცავდნენ კლასიკური დემოკრატიის ნიშნებს, მაგრამ შეიცავდნენ დემოკრატიულობის კონკრეტულ ელემენტებს, მაგალითად, ათენის მოსახლეობის პროფესიული საქმიანობის ნიშნით დაყოფა, ამ გარემოებით მტკიცდება, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის აუცილებელია, სახელმწიფო მოხელეები თავიანთი საქმის პროფესიონალები იყვნენ. თეზევსის რეფორმებმა ვერ შეცვალეს ათენის გვაროვნული საზოგადოებრივი წყობილება, ვერ მოხერხდა ხელისუფლების დანაწილებაც.

ძვ. წ. 753 წლიდან ბაზილევსს ენაცვლება არქონტის თანამდებობა. კანონის მიხედვით მას უხუცესთა საბჭო ირჩევდა. უხუცესთა საბჭო გვაროვნული წყობილების გადმონაშთი იყო და იგი თავისი სიძლიერით თრგუნავდა ახლად აღმოცენებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ ინსტიტუტს - სახალხო კრებას. უხუცესთა საბჭოს იგივე აეროპაგი განაგებდა, როგორც პოლიტიკურ, ასევე რელიგიურ საქმეებს,

რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მას უფლება ჰქონდა სახალხო კრების გადაწყვეტილებისათვის ვეტო დაედო. ამ სახელმწიფოებრივი პოლიტიკური სურათის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ათენში მიმდინარეობდა სერიოზული ბრძოლა ოლიგარქიასა და დემოსს შორის, გვაროვნულ წყობილებასა და სახალხო ძალებს შორის. საბოლოოდ ამ ისტორიულ ბრძოლაში იმარჯვებს დემოსი, ხოლო ათენის მმართველად ინიშნება სოლონი.

სოლონი (ძვ. წ. 638-558 წლები) ბერძენი (ათენელი) პოლიტიკური მოღვაწე, რეფორმატორი და ერთ-ერთი უძველესი ატიკელი პოეტი გახლდათ. ძვ. წ. 594 წელს რეფორმების გასატარებლად ევპატრიდებსა და დემოსს შორის სოციალური ბრძოლის პირობებში სოლონი არქონტად და ესიმნეტად აირჩიეს [**ქართული საბჭოთა ენციკლოპედია1985: ტმ.9,85-458**].

ძვ. წ. 594 წელს სოლონმა გაატარა ცხრა რეფორმა, რომლებზეც დაწვრილებით მომდევნო პარაგრაფებში ვისაუბრებთ, ამ ეტაპზე კი ამ რეფორმების მოკლე ჩამონათვალის გაკეთებით შემოვიფარგლებით: 1. სიხათხეა; 2. სოლონის დროს, აიკრძალა მიწის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ადამიანის მონად გაყიდვა. ასევე, განხორციელდა მონებად გაყიდული მოქალაქეების გამოსყიდვა; 3. სოლონის მესამე რეფორმა შეეხო სოციალურ დაყოფას ქონების მიხედვით; 4. ათენის პოლიტიკურ ორგანოებში სოციალური სტატუსის და ფენების მიხედვით მონაწილეობის რეფორმა, რომლის შედეგადაც 9 არქონტი მხოლოდ პირველი ორი კლასიდან ირჩეოდა; 5. თანასწორი საგადასახადო სისტემის დანერგვა; 6. სპეციალური შემოსავლების სისტემის დაწესება, რომელიც ათენის მოვლა-პატრონობისათვის იყო გათვალისწინებული, ასევე, ათენის საბრძოლო პოლიტიკის გასაძლიერებლად; 7. სახალხო კრების ჩამოყალიბება; 8. სახელმწიფო საბჭოს დაარსება; 9. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - თანამედროვე სასამართლო სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

პერიკლე (ძვ. წ. 490-429 წლები) იყო ძველი ბერძენი გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ათენის სტრატეგი (მთავარსარდალი) ძვ. წ. 444/443-429 წლები (430-ის გამოკვლევებით), არისტოკრატიული წარმომავლობისა. მიიღო ბრწყინვალე განათლება. პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო როგორც რადიკალმა

დემოკრატმა. მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი რეფორმა, რომლებმაც ხელი შეუწყო ათენის სახელმწიფო წყობის დემოკრატიზაციას.

მან გააუქმა ქონებრივი ცენზი, სახელმწიფო სამსახურისთვის დააწესა ჯამაგირი (დიეტა) და ამით სახელმწიფო მართვა-გამგეობაში უღარიბესი ფენებიც ჩააბა; გააფართოვა სახალხო კრების (ეკლესია) უმაღლესი საკანონმდებლო უფლებანი; მანამდე არსებული ღია ხმის მიცემის (ქეიროტონია) გვერდით საარჩევნო ფორმად კენჭისყრა შემოიღო; თეატრში სანახაობებზე დასასწრებად ღარიბთათვის სახელმწიფო ხაზინიდან ფულის გაცემა დააწესა (თეორიკონი); სანახაობებისა და მისტერიების ხარჯები მდიდარ მოქალაქეებს დააკისრა (ლიტურგია); უმიწაწყლო გლეხობას საგანგებოდ გამოყოფილ მიწებზე ასახლებდა (კლერუქია); პერიკლეს დროინდელ ათენს „საბერძნეთს საბერძნეთში" უწოდებენ. ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ ფიდია, კალიკრატე, იქტინე, სოფოკლე და სხვ. ხელახლა აშენდა აკროპოლისი პროპილეთი, პართენონით, ოდეონით. აშენდა ნავსადგურები პირეოსი და ფალერონი. ათენი და პირეოსი მთლიან სტრატეგიულ ანსამბლად დიდი ქვის კედლებით შეერთდა („გრძელი კედლები", ანუ „პერიკლეს კედლები"). პერიკლე განამტკიცებდა ათენის სამხედრო ძლიერებასა და საერთაშორისო ჰეგემონობას. იარაღით ახშობდა ზოგიერთი ქალაქის ცდას გასულიყო დელოსის კავშირიდან (კ. სამოსის აჯანყება) 443 წელს მოაწყო საზღვაო ექსპედიცია შავი ზღვის სანაპიროებზე („პონტოს ექსპედიცია") და გაავრცელა ათენის სუვერენიტეტი იქაურ ბერძნულ კოლონიებზე. პერიკლეს დროსვე დაიწყო პელოპონესის ომი (ძვ. წ. 431-404 წლები). ატიკაში სპარტელთა შემოჭრამ და ეპიდემიამ შეარყიეს პერიკლეს ავტორიტეტი და 430 წელს იგი აღარ აირჩიეს პირველ სტრატეგად. დააბრალეს სახელმწიფო ფინანსების ბოროტად გამოყენება და დიდი ჯარიმა დაადეს. 429 წელს ისევ ჩააბარეს სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება, მაგრამ იმავე წელს შავი ჭირით გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „არც ერთ ათენელს ჩემი მიზეზით სამგლოვიარო თალხი არ ჩაუცვამსო" [**ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1984: ტმ.8, 25-26**].

გაანალიზებულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ათენის ქალაქ-სახელმწიფო სწორედ ის სახელმწიფო გახლდათ, რომლის არსებობის ისტორიაში არ არსებულა არც

ერთი პერიოდი, რომ კანონმდებლობას არ ეთამაშა უდიდესი როლი, რომ ათენელების ყოფა-ცხოვრება არ განესაზღვრა კანონის უზენაესობის პრინციპს.

თავი II. დემოკრატიამდელი ძველბერძნული დემოკრატია

2. 1. კრეტა-მიკენის პერიოდი

კრეტამ, როგორც სახელმწიფომ ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულში უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო ეგეოსის კულტურის, არამედ ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში. ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის მიწურულში დაეცა კრეტის ძველი ცენტრები - ლოსი, ფსირა და პალეკასტრა, ძველი წელთაღრიცხვის XXI-XX საუკუნეებში დაწინაურდა ახალი ცენტრები (უძველესი სახელმწიფოები ევროპაში) - კნოსოსი, ფესტოსი და სხვა. კრეტა კნოსოსის მეთაურობით ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონდა, იგი ამ დროს ძლიერი სამხედრო-საზღვაო სახელმწიფო და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა იყო. ჰომეროსი მას „ასქალაქიანს" უწოდებდა. ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში კუნძულის ტერიტორიის ნაწილი აქაველებმა დაიპყრეს.

ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში მთელ კრეტაზე დორიელები გაბატონდნენ და მრავალი ქალაქი დააარსეს, მათ შორის გორტინაც. კრეტის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გორტინის კანონებს. კრეტის პოლისები არისტოკრატიული რესპუბლიკები იყო. სათავეში ედგა 10 კაცისაგან შემდგარი კოლეგია და უხუცესთა საბჭო. იწვევდნენ სახალხო კრებას. ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან მოყოლებული კრეტის პოლისები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთო ელინურ ცხოვრებაში. ძველი წელთაღრიცხვის 67 წელს კრეტა რომმა დაიპყრო.

კრეტა-მიკენის კულტურა - ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III-II ათასწლ.) - კულტურა, გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში (კონტინენტური საბერძნეთი, კ. კრეტა, ეგეოსის ზღვის კუნძულები). XIX ს. II ნახევარში ჰ. შლიმანისა და ა. ევანზის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სავსებით

დადასტურდა ეგეოსის კულტურის შესახებ ანტიკური ავტორების (ჰომეროსი, ჰესიოდე და სხვ.) ცნობები. ნეოლითის ხანაში ეგეიდაში არსებობდა განვითარებული კულტურები, მაგრამ ეგეოსის კულტურამ ჩამოყალიბებული სახე ბრინჯაოს ხანაში მიიღო. ეგეოსის კულტურის განვითარების რამდენიმე ცალკეულ ეტაპს განარჩევენ: ადრინდელი ბრინჯაოს ხანა (დაახლოებით ძვ. წ. 2800/2600 -2100/2000). შუა ბრინჯაოს ხანა (დაახლოებით ძვ. წ. 2100/1900 - 1580/1550). გვიანდელი ბრიჯაოს ხანა (დაახლოებით ძვ. წ. 1580/1550 - 1200/1100) [**ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4 : 5-6**]

ძვ. წ. XIII საუკუნის დასასრულს ეგეიდასა და მცირე აზიაში მძლავრი კატასტროფები მოხდა - ე.წ. ზღვის ხალხების შემოსევების შედეგად ხეთების იმპერია უგარითი დაემხო, დაქვეითდა ეგეოსის კულტურა; დაინგრა მრავალი დასახლება. დორიელთა შემოსვლით საბერძნეთში დაიწყო ახალი ხანა. ეგეოსის რელიგიის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. კრეტაზე დედაღმერთის კულტს ეთაყვანებოდნენ. მრავლადაა ხელაპყრობილი ღვთაებების ქანდაკებები.

დღევანდელი კრეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ცივილიზაციის ნაკვალევი, რომლებიც ძვ. წ. VII საუკუნიდან ძვ. წ. 3000 წლამდე პერიოდით თარიღდება [**Strasser2010: 145-190**]. ეს მიკენური ცივილიზაციის ნაკვალევად ითვლება, რომელიც ევროპის კონტინენტზე უძველესია [**Wilford2010: The New York Times**].

საგულისხმოა, რომ მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში კრეტა განზე რჩებოდა და საერთო ელინისტურ ცხოვრებაში მონაწილეობას არ ღებულობდა, მას არ მიუღია მონაწილეობა არც ბერძენ-სპარსელთა ომებში, თუმცა ძვ. წ. IV საუკუნეების ისეთი მკვლევარებისთვის, როგორებიც იყვნენ პლატონი და არისტოტელე, კრეტა კვლევის ობიექტს წარმოადგენს, როგორც უძველესი კულტურის კერა.

ალექსანდრე დიდის დაპყრობითმა ომებმა და მისი მემკვიდრეების მიერ შექმნილმა სახელმწიფოებმა კრეტის როლი საერთო ბერძნულ ცხოვრებასა და კულტურული განვითარების ასპექტში დააკნინა, ასევე გაიზარდა მის შიდა საქმეებში სხვა ბერძნული პოლისების ჩარევის ხარისხიც.

მიკენური ცივილიზაცია აღმოაჩინა არტურ ევანსმა 20-ე საუკუნეში და ჩათვალა, რომ ეს იყო ევროპული ცივილიზაციის საფუძველი [**Κρήτη2004: 14-18**].

ძვ. წ. 146 წელს კრეტა რომის იმპერიის სამიზნე გახდა. ძვ. წ. 88 წელს მითრიდატე პონტოელმა ომი გამოუცხადა რომს, რადგან მიიჩნია, რომ ეგეოსის აუზის ქვეყნებისადმი განხორციელებული რომის დამპყრობლური პოლიტიკა, უკვე საფრთხეს წარმოადგენდა მითრიდატეს სამეფოსთვის. კრეტის ერთ-ერთმა უძლიერესმა ქალაქმა კნოსოსმა მხარი მითრიდატეს დაუჭირა, ხოლო მეორე ქალაქმა - გორტინამ რომს. ძვ .წ. 74 წელს მარკუს ანტონიუსი კრეტის დასაპყრობად პირატთა დაჯგუფებას გზავნის. ამ ბრძოლაში მარკუს ანტონიუსი დამარცხდა და ტყვედ იქნა შეპყრობილი კრეტელი პირატების მიერ, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ კი გარდაიცვალა [**Chisholm 1911: Encyclopædia Britannica.2**]. ძვ. წ. 67 წელს რომის მიერ კრეტის დაპყრობა მაინც მოხერხდა და კრეტა იქცა რომაულ ეპარქიად, რომლის დედაქალაქად გორტინი გამოცხადდა [**Mayor: The Poison King: the life and legend of Mithradates, Rome's deadliest enemy**].

სამ საუკუნეზე მეტი, ძვ. წ.20-დან ძვ. წ. 297-წლამდე გორტინი კრეტის ეპარქიას წარმოადგენდა, რომელიც გარდა კუნძულ კრეტის ტერიტორიებისა, უდაბნო საჰარის გარკვეულ ნაწილსაც მოიცავდა [**the Oxford encyclopedia of Ancient Greece and Rome: Volume1**].

ახ. წ. 325 წელს, ქრისტიანობის რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ [**Schaff, Nicene and Post-Nicene Fathers: Second Series**] დიდი გავლენა მოახდინა კრეტის კუნძულზე არსებულ ძველ რელიგიურ მიმდინარეობებზე და მათი დასუსტება გამოიწვია. წარმართული რელიგიები, რომლებიც ძირითადად კრეტიდან მომდინარეობდნენ, მთელი იმპერიის მასშტაბით შესუსტდნენ. ტრადიციულ, წარმართულ სარწმუნოებებს ქრისტიანობა ენაცვლებოდა [**Harnack: 370**].

თუ როგორ შეეგუა კრეტა რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, უცნობია. ამ კუთხით, ისტორიოგრაფიაში სრული სიცარიელე სუფევს [**Hetherington2001: 60**].

გამთლიანებული რომის იმპერიის ბოლო იმპერატორმა თეოდოსმა ახ. წ. 381 წელს წარმართული რელიგიის მომხრეების დევნა დაიწყო. ახ. წ. 389-392 წლებში მან აღნიშნულის შესახებ სპეციალური ბრძანებულება გამოსცა [**Lewis,Meyer1990: 614**]. ამ ბრძანებულების მიხედვით, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც წარმართობას ეწეოდა და

არ აღიარებდა ქრისტიანობას, სიკვდილით ისჯებოდა, აღარ აღინიშნებოდა წარმართული დღესასწაულები და იმპერიის მასშტაბით მრავალი წარმართული სამლოცველო და ტაძარი დაინგრა [**Cosman, Jones2009: 4, Gilbert1892: 29–30, Gibbon: 28:Catholic Encyclopedia 1912, McMullen1984: 90**]. თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ რომის იმპერია აღმოსავლეთ და დასავლეთ რომის იმპერიებად გაიყო, კრეტა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო აღმოსავლეთ რომის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, მაგრამ რელიგიურად რომის პაპს ექვემდებარებოდა, რამაც თავისებური გავლენა მოახდინა კრეტაზე. მომდევნო საუკუნეებში კრეტა მშვიდობიანად ვითარდებოდა, თუ არ ჩავთვლით ვანდალებისა და მიწის ძვრების მიერ მრავალი ქალაქის განადგურებას, რომელიც კრეტასაც შეეხო [**Kazhdan1991: 546, Hetherington2001: 61, Theocharis1986: 131-132**].

ახ. წ. 949 წელს აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა კონსტანტინე VII პორფიროგენეტისმა კუნძულ კრეტას მიერთება სცადა [**Guilland1967: 185**]. მან კუნძულზე აურაცხელი მხედარი და 100 გემი გაგზავნა. ჯარი სომხებისა და სლავებისგან შედგებოდა [**Heath1980: 27**], თუმცა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა [**Pryor, Jeffreys2006: 71, McGeer2008: 359, Ringrose2003: 13**].

ახ. წ. 961 წელს რომის იმპერატორმა რომანოზ მეორემ, რომელსაც სომხური წარმომავლობა ჰქონდა, კრეტის დაპყრობა განიზრახა და კუნძულზე დიდძალი ჯარები გადასხა [**Suny1994: 32, Gregory2011: თვ.10, Chahin2001: 232**]. მიზეზი ის იყო, რომ რომანოზმა აღმოსავლეთ რომის იმპერია ორ ნაწილად დაჰყო: დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. აღმოსავლეთ, ანუ აზიური ნაწილის მბრძანებლად თავად იმპერატორი გამოცხადდა და მის მიზანს კრეტის კუნძულის შემოერთება წარმოადგენდა [**Warren1998: 34**].

ბიზანტიის ჯარი, რომელიც იმ დროისთვის თურქების, სლავების, რუსების, სომხების, თათრების და სხვა წარმომავლობის დაჯგუფებებისგან შედგებოდა, კრეტის კუნძულზე იქნა გადასხმული. ალყამ მთელი ზამთარი გასტანა [**D'Amato 2012: Porphyrogenitus: Volumen I. (II.45), Blöndal, Benedikz 2007: 31**]. კრეტელების ჯარი ბიზანტიის ჯარებთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო, ამიტომ დამარცხებაც

გარდაუვალი გახდა. ბიზანტიის ჯარებმა ბავშვები, ქალები და მოხუცები ამოხოცეს [Kazhdan, Wharton 1985: 137].

კრეტა - სახელმწიფო, რომელმაც საფუძველი დაუდო ევროპულ ცივილიზაციას, სხვადასხვა იმპერიებისა და მმართველების დასაპყრობ ობიექტად იქცა.

მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა კრეტის ისტორიაში. ბიზანტიის იმპერატორმა ისააკ II ანგელოსმა ტახტის შენარჩუნების სანაცვლოდ კრეტა ჯვაროსნებს დაუთმო და ის ახ. წ. 1211 წელს ვენეციის მმართველობის ქვეშ 1669 წლამდე შევიდა [Choniates1975: 2 vols.]. 1669 წელს კრეტის ისტორიაში ყველაზე ბნელი ხანა იწყება, თურქ-ოსმალების ბატონობა, რამაც განაპირობა ის, რომ კრეტამ გამოტოვა აღორძინების ეპოქა, ამ პერიოდში კი დასავლეთ ევროპის ქვეყნები რენესანსის ეპოქის გავლენას განიცდიდნენ, რაც კრეტაზე მოგვიანებით, ორი საუკუნის შემდეგ აისახა [Kenneth1976: 249-257].

კრეტის ქალაქ-სახელმწიფოს შესახებ ინფორმაციას არისტოტელე გვაწვდის, მაგრამ ამ ისტორიულ წყაროებში საუბარია არა მიკენური პერიოდის სახელმწიფოზე, არამედ პერიოდზე, როდესაც კრეტა დორიელებმა დაიპყრეს. თუმცა მიკენურ კრეტაშიც დემოკრატია შესამჩნევად ძლიერი და დამკვიდრებული მართველობის ფორმა იყო, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მეფეები ეგვიპტის ფარაონებისა და შუამდინარეთის მმართველებისაგან განსხვავებით კრეტას პოლისებს ერთპიროვნულად არ მართავდნენ. მეფეების მთავარ მიზანს საერთო საზოგადო ინტერესების დაცვა წარმოადგენდა და არა საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების დაუოკებელი სურვილი. მიკენური კულტურის პერიოდში დაუშვებელი იყო ძალაუფლების მეფეების მიერ მონოლითურად გამოყენება და ერთპიროვნული მმართველობისაკენ სწრაფვა. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიკენური კრეტა კაცობრიობის ისტორიაში პირველი სახელმწიფოა, სადაც დემოკრატიული მმართველობა დამყარდა. განსხვავებით ეგვიპტისაგან და აღმოსავლური სახელმწიფოებისაგან, კრეტის პოლისში ძალაუფლების წყაროს მოსახლეობის საშუალო ფენა წარმოადგენდა და არა მეფეები. მათი ძალაუფლება და საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას ეფუძნებოდა და არა პოლიტიკურ ძალას [Σίτος1984: 68].

აღსანიშნავია, რომ არისტოტელე კრეტის ქალაქ-სახელმწიფოს მმართველობის მოდელზე ზოგად ინფორმაციას გვაწვდის. კრეტის კანონმდებლობაზე და სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე, ასევე მის სოციალურ სტრუქტურაზე დაწვრილებით ინფორმაციას გორტინის კანონები გადმოგვცემს. უძველესი ბერძნული კანონმდებლობის ერთადერთი თითქმის მთლიანად შემონახული ტექსტი შედგენილია ქ. გორტინაში (gortyna, კ. კრეტა) და ამოჭრილია საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის კედელზე (წარწერა ბერძნული დამწერლობის უძველესი შრიფტითაა შესრულებული). იტალიელმა არქეოლოგმა ჰალბჰერმა 1884. ძირითადი ტექსტი (12 სვეტი) აღმოაჩინა, რომელიც შინაარსის მიხედვით 11 ნაწილად იყოფა და ძვ. წ. V საუკუნის 80-60-იანი წლებით თარიღდება. უფრო ადრინდელ ვარიანტად ითვლება ე.წ. „ჩრდილოეთის კედლის წარწერა" (ძვ. წ. VI ს.), რომელიც ძალზედ დაზიანებულია. გორტინის კანონებში განსაკუთრებული ყურადღება საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს ეთმობა. ძეგლი კლასიკური ფილოსოფიის თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი.

აქედან გამომდინარე, არისტოტელეს მიერ ჩვენამდე გადმოცემული ზოგადი და გორტინის კანონების მეშვეობით ჩვენამდე მოღწეული სამართლებრივი ინფორმაციის საშუალებით, შესაძლებელია კრეტას ქალაქ სახელმწიფოზე ვიმსჯელოთ [**Νάκος1991: 145**].

ლეგენდის თანახმად, სანამ სპარტაში ლიკურგე თავის კანონებს გამოსცემდა, უმოგზაურია სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოებში და მათ შორის კრეტაზეც იმყოფებოდა, აქ არსებული კანონმდებლობის შესწავლის მიზნით. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის ისტორიული ფაქტი, რომ კრეტასა და სპარტას ქალაქ-სახელმწიფოებს შორის მართვა-გამგეობის ფორმებისა და კანონმდებლობის კუთხით უდიდესი მსგავსება არსებობს. მსგავსებას ამ ორ პოლისს შორის განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში კრეტისა და სპარტას გაბატონებული საზოგადოების ნაწილს დორიელები წარმოადგენდნენ.

კრეტის მოსახლეობა ორ ნაწილად იყო დაყოფილი: თავისუფლებად და არათავისუფლებად. თავის მხრივ, თავისუფლები შედგებოდნენ: დორიული ტომების სრულუფლებიანი მოქალაქეებისაგან - ე.წ. „ქვეშევრდომებისაგან", რომლებიც

ანალოგიური უფლებებით სარგებლობდნენ და იგივე სოციალური სტატუსი ჰქონდათ, რაც სპარტაში პერიეკებს, რომლებსაც შენარჩუნებული ჰქონდათ თავისუფლება, მაგრამ მოსახლეობისაგან პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ, უცხოელებისაგან თავისუფლებას ვერავინ ჩამოართმევდა. მოქალაქეები გაერთიანებულები იყვნენ ჰეტერებში (ამხანაგობები). კრეტის არათავისუფალი მოსახლეობა (მნოიტები) დასახლებული იყო სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ მიწებზე და უმძიმეს სამუშაოებს ასრულებდნენ. შესაძლებელია, მნოიტები სწორედ კრეტის უძველესი მიკენური ცივილიზაციის აყვავების პერიოდში იქ დასახლებული მოსახლეობის შთამომავლები იყვნენ. არათავისუფალი მოსახლეობის მეორე ნაწილს მონები წარმოადგენდნენ, რომლებიც კერძო პირებს ეკუთვნოდნენ. თავის მხრივ, მონები ორ ნაწილად იყოფოდნენ. მონების ერთი ნაწილი თავისი სოციალური მდგომარეობით ანალოგიური იყო სპარტაში მცხოვრებ ჰილოტებთან, რომლებიც თავიანთი ბატონების მიწის ნაკვეთებს (კლარები) ამუშავებდნენ და მათ წარმოებული პროდუქციის ნაწილს აწვდიდნენ (კლაროტები). კლაროტებს ოჯახის შექმნის უფლება იშვიათად, თავისუფალ ქალებთანაც კი გააჩნდათ. მათ შეეძლოთ ჰყოლოდათ შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, შეეძინათ ინვენტარი. საშინაო სამუშაოებისათვის შესყიდული მონები გამოიყენებოდნენ.

კრეტის სახელმწიფო 46 პოლისისგან შედგებოდა. ამ პოლისებს ერთი საერთო ნიშანი ჰქონდათ: თითოეულ პოლისში ყველაზე გავლენიან თანამდებობის პირებად გვევლინებოდნენ უმაღლესი კოსმები. არისტოტელე (**„პოლიტიკა", II, 7, 5-**) მმართველობის აღნიშნულ ფორმას დიდი უკმაყოფილებით განიხილავს და მას ოლიგარქიის ყველაზე საშინელ ფორმად მოიხსენიებს: საქმე იმაშია, რომ კრეტაში კოსმები უმაღლეს ძალაუფლებას მხოლოდ ფორმალურად ფლობდნენ, სინამდვილეში კი „ისინი ექვემდებარებოდნენ ცნობილი წარმომავლობის მქონე ჯიშთა ტირანიას, რომელთაც გააჩნდათ მმართველი კოსმების შერეულად დაკომპლექტების უფლება. ხელისუფლებისადმი ასეთ მიდგომას და გავლენიანი პირების მიერ კოსმების გადაწყვეტილების არშესრულებას, - წერს არისტოტელე, - სიტუაცია ანარქიამდე, საზოგადოების გახლეჩვამდე და ურთიერთდაპირისპირებამდე მიჰყავს. ასე რომ

კრეტულ წყობილებას მხოლოდ რაღაც მსგავსება აქვს სახელმწიფო წყობილებასთან" (II, 7,7) [**საყოველთაო ისტორიის ბიბლიოთეკა1999: 121-122-123**].

კრეტის სახელმწიფოში დემოკრატიულობის კუთხით პრობლემას ხელისუფლების ფორმალური დანაწილება ქმნიდა. ერთი შეხედვით, კრეტის მმართველობით სისტემაში არ არსებობდა არც ერთი ორგანო, რომელიც აბსოლუტურ, შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობდა, თუმცა ხელისუფლების დანაწილების პირობებში, ყველაზე ძლიერი ორგანო - კოსმები არ იყვნენ თავისუფლები თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას, თუკი ყოველივე ამას შევხედავთ თანამედროვეობის ჭრილში, დავასკვნით, რომ კრეტის სახელმწიფოში ოლიგარქიულ-კლანურ მმართველობას ჰქონდა ადგილი.

კრეტის პოლისებში ხელისუფლება სამ ორგანოზე ნაწილდებოდა: 1. „კოსმების" ინსტიტუტი; (10 - კაციანი კოლეგია); 2. უხუცესთა საბჭო; 3. სახალხო კრება.

კოსმების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ომების დროს მთავარსარდლობა წარმოადგენდა, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიკენური პერიოდის მონარქიული წყობიდან მიიღეს. მიკენური პერიოდის კრეტაში ომებს მეფეები მთავარსარდლობდნენ, გარდა ამისა, არათავისუფალი მოსახლეობის საქმეების განხილვას, სამღვდელო მოვალეობებსაც ითავსებდნენ. მათ მოვალეობაში შედიოდა გორტინას კანონმდებლობით განსაზღვრული წესისგან განსხვავებული წესით გათხოვილი ქალების მიერ მამისეული კარ-მიდამოს მემკვიდრეობით მიღების საქმეების გადაწყვეტა და მათი დაცვა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობდა უახლოესი მემკვიდრე. უხუცესებთან ერთად მათ კანონების სახალხო კრებაზე წარდგენის უფლებამოსილებაც გააჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ სანამ თავიანთ უფლებამოსილების ვადას არ ამოწურავდნენ, მათი, როგორც მოპასუხე მხარის სასამართლოზე წარდგენა დაუშვებელი იყო.

უხუცესთა საბჭოს წევრობის უფლება მხოლოდ ყოფილ კოსმებს ჰქონდათ. მათ ძირითად უფლებამოსილებას სახალხო კრებაზე კოსმებთან ერთად კანონების წარდგენა წარმოადგენდა.

სახალხო კრების ძირითადი ფუნქცია კოსმებისა და უხუცესების მიერ წარდგენილი კანონების ერთობლივ ხმის მიცემაში მდგომარეობდა. სახალხო კრების

ფუნქციონირებაში ყველა მოქალაქეს შეეძლო მონაწილეობის მიღება, თუმცა მას არ შეეძლო თავისით შეკრება, შესაბამისი არქონტების ნებართვის გარეშე, რომლებიც მათი მხოლოდ და მხოლოდ სახალხო კრებაზე წარმოდგენით და დასწრებით ანიჭებდნენ სამართლებრივ ლეგიტიმაციას კრების ფუნქციონირებას. მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგ შეეძლო სახალხო კრებას კოსმებისა და უხუცესების მიერ წარმოდგენილი კანონების ერთობლივი ხმის პროცედურაში ჩართვა. როგორც ჩანს, ერთობლივი ხმის უფლებაში იგულისხმება კოსმებისა და უხუცესების მიერ კანონის მიღების ან არმიღების პროცედურაში მონაწილეობის უფლება და არა რაღაც დამოუკიდებელი, ძლიერი უფლება. თუკი გავითვალისწინებთ არგუმენტს, რომლის მიხედვითაც არისტოტელე არსად არ მიუთითებს, რომ ეკლესია მოკლებული იყო კანონის მიღების უარყოფის, ანუ მისი არმიღების უფლებას და რომელიც მან სავარაუდოდ argumentum a silencio (კანონის ან მისი პუნქტის დუმილის) საფუძველზე დაასკვნა, მაშინ სავარაუდოდ, სახალხო კრებას სხვა უფლებამოსილება არ გააჩნდა, გარდა ერთობლივი ხმის და კანონების მიღების პროცესში დადებითად თუ უარყოფითად გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისა, რადგან რასაც კანონი არ კრძალავს ან რაზეც კანონი დუმს, დასაშვებია [Νάκος1991: 150-151].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გორტინის კანონების შესწავლით შესაძლებლობა გვეძლევა კრეტის სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა გავაანალიზოთ.

დეტალურად განვიხილოთ გორტინის კანონები. კრეტაში ადამიანს არ შეეძლო მონის ან თავისუფალი მოქალაქის წაყვანა, თუ ის აპირებდა დავას და თუ მანამდე არ შეატყობინებდა სასამართლოს ამის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უნდა გადაეხადა თავისუფლების გამო 5 ათასი სტატერი, ხოლო მონის გამო ხუთი, სასამართლოს უნდა დაედგინა მისი განთავისუფლება 3 დღის ვადაში, თუ არ გაათავისუფლებდა სამი დღის ვადაში, სასამართლო ადგენდა ჯარიმას, თავისუფალის გამო სტატერით, მონის გამო დრახმით, ყოველი დღისთვის, სანამ არ გაათავისუფლებდა [იოსელიანი1966: 32]. აღნიშნული კანონიდან გამომდინარეობს, რომ კრეტაში მონებს არ აფასებდნენ, რადგან მათ გამო ჯარიმა შეადგენდა ხუთ სტატერს, ხოლო თავისუფალი მოქალაქისთვის კი 5 ათას. გარდა ამისა, კრეტაში საპროცესო სამართალს დიდი ყურადღება ექცეოდა.

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე დაიწყებდა მტკიცებას, რომ მას არ წაუყვანია მონა, მოსამართლე თავისი შეხედულებით, ფიცის ქვეშ განსჯიდა, მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით, წაიყვანა თუ არა მოქალაქემ მონა.

თუ სასამართლოში ერთი დაობდა (რომ ადამიანი) თავისუფალი არის, მეორე (კი, რომ იგი) მონა არის, მეტი ძალა ჰქონდა იმათ (ჩვენებებს), ვინც ამტკიცებდა, რომ იგი თავისუფალია. ამ კანონიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლო კრეტაში გადაწყვეტილებას იღებდა თავისუფალი მოქალაქის სასარგებლოდ. სასამართლოს უფრო მეტად აწყობდა ადამიანი თავისუფლად დაეტოვებინა, ვიდრე მონად.

თუკი ორი დაობდა, რომ რომელიმე მონა მას ეკუთვნის, სასამართლო გადაწყვეტილებას მხოლოდ ჩვენებებზე დაყრდნობით იღებდა. თუ მოწმეები არ ადასტურებენ არაფერს, ან ორივეს უდასტურებენ, რომ მონა მათ ეკუთვნით, მოსამართლე გადაწყვეტილებას ფიცის ქვეშ თავად იღებდა.

როგორც კი მფლობელი დამარცხდება, გამტყუნდება, ის ვალდებული ხდება განათავისუფლოს თავისუფალი ხუთ დღეში, ხოლო მონა კანონიერ პატრონს გადასცეს ხელში, მაგრამ თუ არ განათავისუფლებს, ან არ გადასცემს, სასამართლოს დადგენილებით დაჯარიმდეს თავისუფალის გამო ორმოცდაათი სტატერით, ხოლო მონის გამო ათი სტატერით **[იოსელიანი1966: 6].**

გორტინას კანონები არ ითვალისწინებდა სისხლის სამართლით დასჯას და ადმინისტრაციული წესით ჯარიმდებოდა ის, ვინც ძალადობას თავისუფალი ქალის, ან თავისუფალი კაცის წინააღმდეგ ჩაიდენდა. განსხვავებული რეგულაციები მოქმედებდნენ იმ შემთხვევაში, თუკი მონა ჩაიდენდა დანაშაულს თავისუფალი კაცის, ან თავისუფალი ქალის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, მონას ეკისრებოდა ორმაგი ჯარიმის გადახდა. თავისუფალის მიერ სახლეულის, ან სახლეულას გაუპატიურების შემთხვევაშიც გორტინის კანონები მხოლოდ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას ითვალისწინებდნენ.

თუ ცოლი და ქმარი გაიყრებოდა, ცოლს თავისი სათავნო ეკუთვნოდა, ანუ ქონება, რომელიც ცოლ-ქმრობის პერიოდში შეიძინა. ყურადსაღებია, რომ თანამედროვე

ქვეყნების სამოქალაქო სამართლის მუხლებიც, ასეთ შემთხვევაში, იგივე რეგულაციებს ითვალისწინებენ.

თუ ცოლი გარდა საკუთარი ქონებისა ქმრის ქონებას წაიღებდა, სასამართლო ვალდებული იყო ქმრისთვის გადაწყვეტილებით დაებრუნებინა ქონება და თან, ჯარიმის სახით ფულადი ჯარიმა გადაეხადა.

თუკი მამაკაცს არ ჰქონდა სახლი, რომელშიც ქალს უნდა მიეყვანა ბავშვი, ან თუკი ქალი ვერ ნახავდა ბავშვის მამას, მას ბავშვის მიტოვების უფლება ჰქონდა და ამისთვის არ ისჯებოდა.

თუ ფეხმძიმედ შეიქმნა და ბავშვი დაბადა სახლეულამ, რომელიც არ არის გათხოვილი, მისი ბავშვი მამის მფარველობის ქვეშ იქნება. თუ მამა არ არის ცოცხალი, ბავშვის პატრონები დედის ძმები არიან. მამას ძალა შვილებზე და ქონების განაწილებაზე აქვს და დედას მხოლოდ საკუთარ ქონებაზე. სანამ ისინი ცოცხლები არიან, არ არის აუცილებელი ქონების გაყოფა. აღნიშნული კანონიდან ნათლად ჩანს კანონმდებლის მიერ პატრიარქატის აღიარება და მისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია, სურვილი.

ქალი, რომელსაც არა აქვს საკუთარი ქონება, ან მამისგან ნაბოძები, ან ძმისეული, ან შეპირებული, ან წილად მიღებული, თუ გათხოვდა, როდესაც მისიანები შეადგენენ აითალეუსების სტრატოსიდან კოსმოსს, მიიღებს თავის წილს, მაგრამ ისინი, რომლებიც უფრო ადრე გათხოვდნენ, სამართალს ვერ მოითხოვენ. როგორც ჩანს, კრეტაში გათხოვებაზე ასაკობრივი ზღვარი იყო დაწესებული, რომლის დაცვის შემთხვევაში, ქალს წარმოეშვებოდა გარკვეული უფლებები, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში, ამ უფლებებს კარგავდა.

მემკვიდრეობითი სამართალი კრეტაში დახვეწილი იყო, რაზეც გორტინის კანონები მეტყველებენ. როდესაც ქმარი ან ცოლი კვდებოდა, თუ მათ ჰყავდათ შვილები ან შვილიშვილები, ან მათი შვილები, მათ ეკუთვნოდათ ქონება, მაგრამ თუ არავინ არის მათგან და არიან ძმები მიცვალებულისა, ან ძმების შვილები ან მათი შვილები, ისინი ფლობენ ქონებას. თუ არ არის არც ერთი მათგანი და არიან დები გარდაცვალებულებისა, ან დების შვილები, ან მათი შვილები, ისინი ფლობენ მთელ ქონებას. თუ არც დები არსებობენ გარდაცვალებულებისა, ქონებას მიიღებენ კანონით

მემკვიდრეობის უფლების მქონე ნათესავები. მრავალი ქვეყნის მემკვიდრეობით სამართალში აღნიშნული შემთხვევები დღესაც ზუსტად ამ ფორმით რეგულირდება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათსა ფუძვლდგორტინის კანონები უდევს.

თუ მამა ქალიშვილს მისცემს რაიმეს, ეს ხდება წესისამებრ. სანამ მამა ცოცხალი არის, ქალიშვილს არა აქვს უფლება ქონების გასხვისების, თუ ვაჟიშვილს მის მიერ შეძენილი საკუთრება (ოფლით მოპოვებული), ან მემკვიდრეობით აქვს მიღებული, იგი მას გასცემს როგორც სურს. არც მამას შეუძლია შვილის ქონების გაცემა, რომელიც მან ოფლით მოიპოვა.

აღნიშნული კანონიდან ნათლად ჩანს, რომ კრეტაზე მამაკაცები უპირატესობით სარგებლობდნენ. ქალიშვილს მამის გარდაცვალებამდე არ შეეძლო მემკვიდრეობით მიღებული ქონების გასხვისება, რაც არ ვრცელდებოდა ვაჟიშვილზე. გარდა ამისა ვხედავთ, რომ კანონი შექმნილია თანასწორუფლებიანობის პრინციპზე, რაზეც მეტყველებს მემკვიდრეობითი სამართლის სუბიექტების თანაბარ გარემოში ყოფა და მათდამი განკუთვნილი რეგულაციების თანასწორობა.

თუ მონა თავისუფალ ქალთან მივა და დაქორწინდება, (მათი) შვილები თავისუფლები იქნებიან, მაგრამ თუ თავისუფალი ქალი მონასთან მივა, მათი შვილები მონები იქნებიან. აღნიშნული კანონი ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ კრეტის კუნძულზე მონათმფლობელური წყობა ფუნქციონირებდა.

თავი III. ლაკედემონური დემოკრატია

3.1. ლიკურგეს კანონმდებლობა - სპარტას სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმირების ქვაკუთხედი

სპარტა (ძვ. ბერძნ. Σπάρτη, ლათ. Sparta) ან ლაკედემონი (ძვ. ბერძნ. Λακεδαίμων, ლათ. Lacedaemon) - ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი) საბერძნეთის სამხრეთ ნაწილში, პელოპონესის სამხრეთ აღმოსავლეთ ოლქში -ლაკონიკეში, გაშენებულია მდინარე ევროტასის ხეობაში.

სპარტა პოლისს ნიშნავდა, ხოლო სპარტანელები, ან სპარტელები უშუალოდ პოლისში მცხოვრებ მოქალაქეებს. რატომ დაერქვა სპარტას ლაკედემონია, დღესდღეობით, დაზუსტებული არ არის და უცნობი რჩება [**Колобова1957: 81**].

VIII საუკუნის შუა წლებიდან VI საუკუნის შუა წლების პერიოდში ხორციელდება პოლიტიკური თვალსაზრისით სპარტას პოლისის საბოლოო ფორმირება, რომელიც განპირობებული იყო ლაკედემონების მიერ მეზობელი ქალაქ-სახელმწიფოების დაპყრობით. ჩამოყალიბდა სამხედრო სახელმწიფო [**Зайков1991: 24**].

მკვლევარების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სპარტა ეკონომიკურად განუვითარებელი სახელმწიფო იყო საბერძნეთის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებთან შედარებით. უნდა ითქვას, რომ სპარტაში განვითარებული იყო მიწათმოქმედება და ატიკისგან განსხვავებით, სპარტანელებს პური თავისით მოჰყავდათ, რაც სპარტას გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. ათენელებს არ შეეძლოთ პურის მოყვანა და ის გარედან შემოჰქონდათ, ამიტომ სპარტაში მიწათმოქმედება უფრო განვითარდა, ვიდრე ვაჭრობა-მრეწველობა [**Зайков2010: 5**], რაც არ ნიშნავს იმას, რომ სპარტა განუვითარებელი სახელმწიფო იყო .

ძველი სპარტას ისტორიის ირგვლივ დღესაც მიდის კამათი იმის შესახებ, რომ არსებული ჩვენამდე მოღწეული ინფორმაცია მითია თუ რეალობა? ნამდვილად იყვნენ სპარტანელები დაბადებულები მეომრებად და ნამდვილად არ უყვარდათ გონებრივი სამუშაო? სინამდვილეს შეესაბამება ფაქტი მათი მკაცრი წესების შესახებ, რომლითაც სპარტანელებს საკუთარ სახლებში ეკრძალებოდათ საჭმლის ჭამა?

სპარტას სახელმწიფოს კვლევისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ ძველბერძნული სახელმწიფოს სახელწოდება იყო „ლაკედემონი", ხოლო მისი

მცხოვრებლები საკუთარ თავებს ლაკედემონელებად მოიხსენიებდნენ. სახელწოდება „სპარტა”-ს აღმოცენება უკავშირდება არა ელინელებს, არამედ რომაელებს. ასევე აღსანიშნავია, რომ სპარტას სახელმწიფო წეს-წყობილება იმდენად სტაბილური იყო, რომ პელოპონისის ომებამდე 400 წლის განმავლობაში, სპარტას მმართველობის სისტემაში არაფერი შეცვლილა [**Андреев2008: 7**].

სპარტას, ისევე როგორც სხვა უამრავ უძველეს სახელმწიფოს, საკმაოდ რთული სოციალური სისტემა გააჩნდა. ფაქტიურად საზოგადოება იყოფოდა სრულუფლებიან, არასრულუფლებიან და დამოკიდებულ კატეგორიად. კლასიკურ ეპოქაში სპარტას სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურის გაშიფვრა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული მოგვცემს შესაძლებლობას ვიკვლიოთ სპარტას სახელმწიფოს მოდელი, წეს-წყობილება [**Зайков1988: 19**]. ყოველ კატეგორიაში არსებობდა წოდებები. მიუხედავად იმისა, რომ „ილოტები” მონებად ითვლებოდნენ, ისინი სულაც არ წარმოადგენდნენ მონებს, არსებული მოვალეობებისა და უფლებების გათვალისწინებით. ილოტებს ჰქონდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. ასევე უნდა მოვიხსენიოთ „ჰიპომეინები”, რომელშიც შედიოდნენ სპარტას მოქალაქეთა ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვები. ისინი არასრულუფლებიან მოქალაქეებად ითვლებოდნენ, თუმცა ზოგიერთ სოციალურ კატეგორიაზე მაღლაც კი იდგნენ. ამის გათვალისწინებით, არსებული თეორია იმის შესახებ, რომ არასრულფასოვან ბავშვებს ხოცავდნენ, ეჭვის ქვეშ დგება.

უსიტყვოდ, სპარტაში მთელი მისი არსებობის მანძილზე არსებობდა ბავშვთა (ბიჭების) აღზრდის ძალიან სასტიკი სისტემა სახელწოდებით „აგოგე”, რაც ბერძნულიდან რომ გადმოვთარგმნოთ, „წაყვანას” ნიშნავს. ცნობილია, რომ ბიჭები 6-7 წლის ასაკიდან მიჰყავდათ სამხედრო სამსახურისათვის აღსაზრდელად. რამდენადაც აგოგე წარმოადგენდა საკმაოდ მკაცრ აღმზრდელობით სისტემას, არ არის გამორიცხული, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი ბავშვებში საკმაოდ მაღალი იყო. სწორედ აქედან შეიძლება მომდინარეობდეს აზრი იმის თაობაზე, რომ სუსტ ბავშვებს თავიდანვე იშორებდნენ.

კიდევ ერთი პოპულარული მითი - სპარტანელთა არმიის დაუმარცხებლობა. არსებული წყაროების მიხედვით სპარტანელების არმია საკმაოდ ძლიერი იყო, რათა მეზობელ სახელმწიფო წარმონაქმნებზე გავლენა მოეხდინა, თუმცა როგორც ცნობილია, მან დამარცხების გემოც იცოდა. მეომრები გამოირჩეოდნენ საბრძოლო ხელოვნების უბადლო ცოდნითა და შესანიშნავი ფიზიკური მომზადებით. მათი სამხედრო დისციპლინა მეზობელმა ხალხმაც კი გადაიტანეს და დანერგეს. სპარტანელების სუსტ მხარედ საინჟინრო საქმიანობის უცოდინრობა წარმოადგენდა, რაც მტრის შემოსევის დროს ქალაქის დაცვას ერთიორად ართულებდა.

სპარტაში უპირატესობა გონებრივ შრომას არ ენიჭებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპარტამ საერთოდ არც ერთი პოეტი ან მწერალი არ უსახსოვრა ისტორიას. კულტურულ სფეროში ყველაზე ცნობილი პერსონები ალკმანი და ტერპანდრი გახლდათ. სპარტანელების ცხოვრების წესი, ისევე როგორც ვიკინგების, უამრავი ადამიანში ასოცირდება მხოლოდ ბრძოლასთან, ხმალთან, ფართან, რქიან ჩაფხუტებთან. თუმცა რეალობა სულ სხვაა, ლაკედემონებს უამრავი ისეთი რამ ჰქონდათ, რაც მათ განვითარებულობაზე მიუთითებდა.

სახელმწიფოს კანონმდებლობის შექმნა ლიკურგეს მიეწერება, თუმცა აღნიშნული ფაქტის დადასტურება, მხოლოდ ირიბი წყაროების მეშვეობით არის შესაძლებელი. ირიბი წყაროების მიხედვით, რომლებიც ძვ. წ. VIII საუკუნეს განეკუთვნება, აღნიშნული კანონმდებლობის შემქმნელად ლიკურგე მოიხსენიება და არისტოტელე მას მოიხსენიებს არა მარტო, როგორც სპარტას კანონმდებლობის შემქმნელს, არამედ სპარტას სახელმწიფოს დამაარსებელსაც. კანონთა კრებულის - დიდი პუნქტის შექმნაც ლიკურგეს სახელს უკავშირდება [Νάκος1991: 93].

თუკი გავეცნობით სპარტანული აღზრდის წესს, შესაძლებლობა მოგვეცემა გავეცნოთ სპარტანელების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. სპარტანულ აღზრდაში სამხედრო აღზრდა იგულისხმება და არა სპარტანელებისთვის ცოდნის მიცემა კულტურის, პოლიტიკის, ან სხვა სფეროებში.

სპარტანული აღზრდა 7 წლის ასაკიდან იწყებოდა და მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე ვრცელდებოდა. ის სრულდებოდა, როდესაც ბიჭები

სრულწლოვანები ხდებოდნენ. სწავლება სპარტანელებისგან კანონებისადმი მორჩილებას და უმკაცრეს დისციპლინას მოითხოვდა.

პლუტარქე ნაშრომში „ლიკურგე" კრებულიდან „პარალელური ცხოვრება" გვაცნობს, რომ ახალშობილს საკუთარი დედა ამოწმებდა, რომელიც მას წყლის მაგივრად ღვინით ბანდა, რათა შეემოწმებინა ბავშვი ჯანმრთელი იყო, თუ არა **(Πλούταρχος, Λυκούργος: 16).** მოგვიანებით, ის მამას მიჰყავდა ლესქეში, სადაც ისხდნენ ფილეების უხუცესი წევრები, რომლებიც სინჯავდნენ ბავშვებს. თუ იგი ღონიერი და ჯანმრთელი აღმოჩნდებოდა, ბავშვს მშობლებთან ტოვებდნენ 7 წლამდე, ხოლო თუ ბავშვი სუსტი იქნებოდა, მას ტაიგეტიდან გადააგდებდნენ. პლუტარქეს ინფორმაციით, მშობლები და ძიძები ბავშვებს მარტო ტოვებდნენ, ისინი შიშვლები იყვნენ და არ უნდა შეშინებოდათ სიბნელის და არ უნდა ეტირათ **(Πλούταρχος, Λυκούργος: 16).** პატარა სპარტანელები დაჰყვებოდნენ მამებს სისიტიებში, სადაც ისინი ადრეული ასაკიდან თავიანთი ქვეყნის წეს-ჩვეულებებს და სპარტანული აღზრდის მკაცრ წესებს ეცნობოდნენ [**Ηλιάδη 9: 2-4**]

7 წლის ასაკიდან, ბავშვები სახლიდან მიჰყავდათ, სადაც აღარასოდეს ბრუნდებოდნენ, რადგან ისინი სახელმწიფოს საკუთრება ხდებოდნენ. ვაჟები აგელეში სახლდებოდნენ, რათა სხვა ვაჟებთან ერთად ყოფილიყვნენ და მათთან ერთად გაეზიარებინათ სპარტანული ცხოვრების მკაცრი წესები. აგელები თავის მხრივ, ილებად იყო დაყოფილი და თითო ილში 64 ვაჟი ცხოვრობდა. აგელებს ხელმძღვანელობდა ის სპარტანელი, რომელიც აღზრდის დროს გამოირჩა შეუპოვრობითა და უშიშრობით, ხოლო ზოგად ზედამხედველობას აგელებზე პედონომები ახორციელებდნენ, რომლებსაც კეთილშობილ ვაჟკაცთა წრიდან არჩევდნენ და ისინი სიმამაცითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდნენ [**Κ. Ηλιάδη10, 3-7**]. მათ დანარჩენი აღსაზრდელები აუცილებლად უნდა დამორჩილებოდნენ. მოხუცები ხშირად ძალით აჩხუბებდნენ ვაჟებს და ამით ამოწმებდნენ მათ სიმამაცეს. ასაკის მატებასთან ერთად, მკაცრდებოდა სპარტანული აღზრდის წესიც. მათ წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ, მაგრამ არა საფუძვლიანად, მხოლოდ იმ დონეზე, რომ წერა-კითხვა სცოდნოდათ.

პლუტარქეს ინფორმაციით, ვაჟებს უნდა მიებაძათ აგელების ხელმძღვანელებისთვის და მათგან ესწავლათ დისციპლინა, სიმამაცე და შეუპოვრობა. უნდა შეესრულებინათ მისი ბრძანება და საჭიროების შემთხვევაში, მისგან დასჯილიყვნენ **(Πλούταρχος, Λυκούργος: 16).**

თანამედროვე მკვლევარების მოსაზრებით, ვაჟების წრთვნაში მონაწილეობდა ძლიერი და გამოცდილების მქონე 20 წლამდე სპარტანელი, რომელიც არჩევდა გასაწრთვნელებს და თავისთან მიჰყავდა, როგორც მონა. შედარებით მოზრდილები ვალდებულები იყვნენ შეშა ეზიდათ, ხოლო ასაკით უმცროსებს, თავიანთი ბატონის კარ-მიდამო ბოსტნეულით უნდა მოემარაგებინათ [**Ηλιάδη10: 12-15**].

სამხედრო წვრთნებს ვაჟები 20 წლის ასაკიდან იწყებდნენ, მანამდე კი, ვარჯიშობდნენ და სწავლობდნენ სპარტანული ცხოვრების მკაცრ წესებს. წვრთნების დროს სპარტანელებს უნდა ეხტუნათ, ერბინათ და ყოველივე ეს უნდა ეკეთებინათ საჭმელისა და წყლის გარეშე, უნდა გაეძლოთ სიცივისა და უძილობისათვის [**Παπακυριάκου4: 7-9**].

12 წლის შემდეგ სპარტანელები ქიტონს აღარ იყენებდნენ. მათ მანტიებს ქალაქის მმართველობა გადასცემდა, რომელსაც წლის განმავლობაში იყენებდნენ. სპარტანელებს არ შეეძლოთ ტანის დაბანა ცხელი წყლით და ზოგადად იშვიათად იბანდნენ სხეულს და ისიც ცივ წყალში. მათ ეძინათ ლერწმის საწოლებზე, რომელსაც თვითონ პოულობდნენ და საკუთარი ხელებით, ყოველგვარი იარაღის გარეშე გლეჯდნენ. ზამთარში კი ლერწამთან ერთად მეტი სითბოსთვის ლიკოფონს იფენდნენ რომ არ გაყინულიყვნენ **(Πλούταρχος, Λυκούργος: 16).**

ბავშვების წრთვნაში მონაწილეობას უხუცესებიც ღებულობდნენ, რომლებიც ვაჟებს ერთმანეთს აჯიბრებდნენ, რომ გაეგოთ, რომელი მათგანი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმამაცითა და შეუპოვრობით. რაც შეეხება წერა-კითხვასა და ხელოვნებას, ამ სფეროებს სპარტანელებს ზედაპირულად ასწავლიდნენ იმდენს, რამდენიც საჭირო იყო ცხოვრებაში და პრაქტიკაში გამოსაყენებლად [**Παπακυριάκου 6**].

რაც შეეხება ჭამას, ისინი ძირითადად თაფლით იკვებებოდნენ. საჭმლის მოტანა აღსაზრდელებს ევალებოდათ. ყველაფერი რაც მოჰქონდათ, ნაქურდალი იყო.

ვისაც ქურდობაში დაიჭერდნენ, როგორც უხეიროსა და მოუხერხებელს, უმოწყალოდ გაშოლტავდნენ. მათ არ სჯიდნენ იმ მიზეზით, რომ იქურდეს, არამედ იმ მიზეზით, რომ ისინი საკმარისად ფრთხილები და მოხერხებულნი არ იყვნენ, რომ შეუმჩნევლად ექურდათ. გაშოლტვით კი სხვა დროსაც ხშირად ისჯებოდნენ და თუ ვინმე ამის გამო იტირებდა ან იკვნესებდა, მას იქამდე გაწკეპლავდნენ, სანამ არ გაჩუმდებოდა. გარდა ამისა, თუ ჩვილი შესჩივლებდა მამას, რომ სხვა კაცმა გაწკეპლა, მამაც იმავეს მოიმოქმედებდა. ბავშვები ეჩვეოდნენ თუ როგორ დასხმოდნენ თავს მძინარეს და საერთოდ ყველას, ვინც კარგად ვერ პატრონობდა თავის საქონელს. პლუტარქე მოგვითხრობს ერთი საინტერესო შემთხვევის შესახებ, რომლის თანახმადაც ერთმა ბავშვმა მოიპარა მელია და მას შემდეგ რაც, სპარტელები მიუხვდნენ დანაშაულს, ის მოსასხამის ქვეშ დამალა. ბრჭყალებით და კბილებით მელია ცდილობდა გათავისუფლებას, მაგრამ ბავშვს სახეზე არაფერი ეტყობოდა. საბოლოოდ ის მიღებული ჭრილობებით გარდაიცვალა. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ იყო სპარტელთა რაციონი მწირი, საკვების მოპოვების წესია. სპარტელთა აზრით კი ბევრი საჭმელი სხეულს მიწისკენ ექაჩება და ზრდას ხელს უშლის.

ნავახშმევს ირენი ზოგიერთ ბავშვს უბრძანებდა ემღერა, ზოგს კი ისეთ შეკითხვებს აძლევდა, რომლებიც მოფიქრებულ და გონივრულ პასუხებს მოითხოვდა. დაყოვნებული პასუხი და ყოყმანი, სპარტელების აზრით, გონებაჩლუნგობას ამჟღავნებდა. პასუხში უნდა ყოფილიყო ჩაქსოვილი მიზეზი და მტკიცება, ყველაფერი ეს კი მოკლედ, სხარტად უნდა თქმულიყო. მას, ვინც შეცდომით გასცემდა კითხვაზე პასუხს, ირენი სასჯელის ნიშნად ცერზე უკბენდა.

სიმღერებისა და ლექსების შეთხზვის ხელოვნებას აღზრდაში ისეთივე დიდი ყურადღება ექცეოდა, როგორც სიტყვის დახვეწილობასა და სიწმინდეს. ამ სიმღერების სიტყვები იყო უბრალო, მაგრამ ძლიერი და ღრმა შინაარსის, რომელიც სულს ამხნევებდა და საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებდა. ბავშვების დასჯას ხშირად უხუცესები და არქონტები ესწრებოდნენ. დასჯის დროს ისინი ირენს ხელს არ უშლიდნენ, მაგრამ როცა ბავშვები წავიდოდნენ, თუ აღმოჩნდებოდა, რომ იგი მეტისმეტ მრისხანებას ან გადაჭარბებულ ლმობიერებას იჩენდა. ირენს თავის მხრივ სასტიკ პასუხს თხოვდნენ **(Πλούταρχος, Λυκούργος: 16).**

ბერძენ-სპარსელთა ომი მსოფლიო ისტორიაში საზღვაო და სახმელეთო ცივილიზაციების დაპირისპირების პირველი მაგალითია. ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდა ორი განსხვავებული კულტურის მქონე სახელმწიფო - ევროპული (დემოკრატიული) საბერძნეთი და აზიური - დესპოტური (დესპოტი ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელურ მონარქიებში იყო უმაღლესი მმართველი, რომლის ხელთ იყო განუსაზღვრელი უფლებები) ირანი (სპარსეთი), თუმცა ამავე ომს მოჰყვა კონფლიქტი ათენის დემოკრატიულ მმართველობასა და სპარტას ოლიგარქიას შორის, პელოპონისის ომებში ათენის დამარცხებამ ხელი დემოკრატიის სამუდამოდ დამარცხებას შეუწყო.

მარათონის ველზე გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა არა მარტო ათენისათვის ჰქონდა, არამედ ყველა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოსათვის. მარათონის გამარჯვებამ იმედდაკარგულ ბერძნულ პოლისებში აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ იმავდროულად ბერძნულ პოლისებში დაპირისპირება ოლიგარქიასა და დემოკრატიას შორის გაამწვავა.

მარათონში განცდილი მარცხის შემდეგ აქემენიდურმა სპარსეთმა გადამწყვეტი ბრძოლისათვის დაიწყო მზადება, თუმცა ამ დროს ირანში არეულობა დაიწყო. აჯანყდა ეგვიპტე და მესოპოტამია. ძვ. წ. 486 წელს ირანში ტახტი ქსერქსემ დაიკავა, რომელმაც შეძლო ირანის სამეფოს ერთიანობის აღდგენა და საბერძნეთში შესაჭრელად მოემზადა.

ძვ. წ. 481 წელს სპარტას ინიციატივით კორინთოსთან საერთო ბერძნული კონგრესი მოიწვიეს, რომელსაც აქემენიდების წინააღმდეგ ბერძნული პოლისების კოალიციის შექმნაზე უნდა ემსჯელა. 31 პოლისს შორის სამხედრო კავშირი დაიდო და გადაწყდა სპარსელებისათვის ბრძოლა გაემართათ. ამასთან ერთად კონგრესმა ბერძნულ პოლისებს შორის დაპირისპირება აკრძალა. შეიქმნა კოალიცია, რომლის წევრებსაც განესაზღვრათ გამოსაყვანი სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა. ის ქალაქი, რომელიც სპარსელებს მიემხრობოდა, სასტიკად უნდა დაესაჯათ. ბერძენთა სახმელეთო და საზღვაო ლაშქარს სათავეში სპარტელი ლეონიდასი და ევრიბიადე ჩაუდგნენ.

ძვ. წ. 480 წელს სპარსელები დარიოსის მემკვიდრის ქსერქსეს მეთაურობით საბერძნეთისაკენ დაიძრნენ. დარიოსისაგან განსხვავებით, ქსერქსემ საბერძნეთში სახმელეთო გზით შეჭრა და აზიიდან ევროპაში ჰელესპონტის სრუტით გადასვლა გადაწყვიტა. ამჯერად სპარსელთა წინააღმდეგ რამდენიმე ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო შეკავშირდა. ბერძნებმა გადაწყვიტეს პელოპონესში, თერმოპილეს გასასვლელში გამაგრებულიყვნენ. მთის ამ ვიწრო კარში შესაძლებელი იყო მცირე ძალებით მტრის შეჩერება. ბერძენთა რაზმს ხელმძღვანელობდა სპარტელთა მეფე ლეონიდასი. ლეონიდასი და მისი მეომრები სპარსელთა შემოტევებს რამდენიმე დღე იგერიებდნენ. მტერმა უკან გაბრუნებაც კი გადაწყვიტა, მაგრამ ერთმა მოღალატემ ქსერქსეს ვიწრო ბილიკი აჩვენა. სპარსელებმა ბერძნებს ამ ბილიკით ზურგიდან შემოუარეს. ლეონიდასმა მხოლოდ 300 სპარტანელი დაიტოვა, ხოლო მოკავშირეებს უკან დახევა უბრძანა (მეფემ ასევე უკან დახევა უბრძანა ყველა ცნობილი გვარის წარმომადგენელს და მათ, ვისაც შვილები ჰყავდათ). მათ შეაფერხეს მოწინააღმდეგეების წინსვლა და თავის მეთაურთან ერთად დაიღუპნენ.

მარათონის ბრძოლის შემდეგ, ომის წარმოების მეთოდთან დაკავშირებით, ერთმანეთს ათენში ორი სამხედრო ბანაკი დაუპირისპირდა. სახმელეთო ბრძოლის მომხრე ბანაკი, რომელსაც არისტიდე ედგა სათავეში, მას არისტოკრატია და მიწათმოქმედთა ნაწილი მიემხრო, ხოლო ვაჭარ-ხელოსანთა ფენა თემისტოკლეს მეთაურობით თვლიდა, რომ სპარსელთა რიცხობრივი უპირატესობის გამო, უმჯობესი იყო ორიენტაცია საზღვაო ბრძოლაზე აეღოთ. თერმოპოლესთან ბრძოლის შემდეგ ქსერქსეს ჯარი ათენისაკენ გაეშურა. როგორც ვიცით, სარდალ თემისტოკლეს აზრით, ათენი ვერ გაუმკლავდებოდა მტერს ხმელეთზე. უმჯობესი იყო ბრძოლის გამართვა არა ხმელეთზე, არამედ ზღვაზე. ათენის მოსახლეობამ დაუჯერა სარდლის რჩევას და ქალაქი დატოვა. ქალები, ბავშვები და მოხუცები უხიფათო ადგილას გაიხიზნენ. ბრძოლისუნარიანმა მამაკაცებმა ხომალადებით კუნძულ სალამინს მიაშურეს. იქ, თემისტოკლეს ჩანაფიქრით, სპარსელებთან გადამწყვეტი ბრძოლა უნდა მომხდარიყო. დამპყრობლებმა დაცარიელებული ათენი ძვ. წ. 480 წელს გაძარცვეს, დაანგრიეს და გადაწვეს. ქსერქსემ თავისი მრავალრიცხოვანი ფლოტი სალამინის სრუტეში შეიყვანა. სპარსელების დიდმა და მაღალმა ხომალდებმა ვიწრო სრუტე

თითქმის გაავსეს. ისინი ძლივს მოძრაობდნენ. ელინთა პატარა და დაბალი ხომალდები - ტრიერები კი სწრაფად და თავისუფლად დაცურავდნენ. ისინი მახვილი ცხვირით ეჯახებოდნენ სპარსელთა ხომალდებს და ლეწავდნენ. თემისტოკლეს გეგმის წყალობით, ბერძნებმა სპარსელთა უზარმაზარ და ძლიერ ფლოტს სძლიეს.

დამარცხებული ქსერქსე თავისი ლაშქრის უდიდეს ნაწილთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. სპარსელთა ჯარის დანარჩენი ნაწილები კი ბერძნებმა ძვ. წ. 479 წელს ქალაქ პლატეასთან დაამარცხეს. ამ მარცხის შემდეგ აქემენიანთა იმპერიამ ხელი აიღო საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების დამორჩილებაზე. მტერი იძულებული გახდა დაეტოვებინა საბერძნეთი. რამდენიმე წელიწადში ბერძნებმა მთლიანად გაწმინდეს საბერძნეთი სპარსელებისაგან.

ამ ომში ათენის წარმატებას ძვ. წ. 478 წელს ათენის მეთაურობით შექმნილმა სამხედრო კავშირმა დიდად შეუწყო ხელი, რომელიც ყველა ბერძნულ პოლისს აერთიანებდა. ამ კავშირის ხაზინა კუნძულ დელოსზე მდებარეობდა და ყველა კუნძული და პოლისი ვალდებული იყო, ათენის ფლოტის შესანახად გარკვეული ოდენობის გადასახადი, იგივე „ფოროსი", უნდა გადაეხადა. ომის დასრულების შემდეგ ხაზინამ ათენში გადაინაცვლა, ამიტომ ამ კავშირს ათენის საზღვაო კავშირი ეწოდა.

ბერძენ-სპარსელთა ომები ელინების გამარჯვებით ძვ. წ. 449 წელს დასრულდა. ათენელთა გამარჯვება კალიასის ზავით გაფორმდა, რომლის მიხედვითაც:

1. სპარსეთმა ეგეოსის ზღვის კუნძულებისა და მცირე აზიის ბერძნული ქალაქების დამოუკიდებლობა სცნო;

2. სპარსეთის ფლოტს ეგეოსის ზღვაში ცურვა აეკრძალა [**კაკაშვილი: ბერძენ-სპარსელთა ომები**].

აღნიშნული მოვლენების შემდეგ იწყება პელოპონესის ომი - ომი ათენსა და სპარტას გარშემო დაჯგუფებულ პოლისთა - დელოსისა და პელოპონესის კავშირებს შორის. ომი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის მიზეზებმა, აგრეთვე საბერძნეთში ჰეგემონიისათვის ათენსა და სპარტას შორის მეტოქეობამ განაპირობა. ამას გარდა, სავაჭრო გზებისა და ბაზრებისათვის ერთმანეთს ექიშპებოდნენ ერთი მხრივ ათენი და, მეორე მხრივ, პელოპონესის კავშირში შემავალი კორინთო და მეგარა. ბერძნული პოლისები ცდილობდნენ საკუთარი განუყოფელი

მფლობელობის ქვეშ მოექციათ პურით მდიდარი სიცილიისა და იტალიის ოლქები, სპარტელები ხმელეთზე იყვნენ ძლიერები, ათენელები - ზღვაზე.

ომის დაწყების საბაბად ათენსა და მეგარას შორის აშკარა შეტაკებანი იქცა. სპარტამ ულტიმატუმით კატეგორიულად მოსთხოვა ათენს კავშირის დაშლა და სახელმწიფოს თავკაცის პერიკლეს გაძევება. ათენმა ეს არ შეასრულა და საომარი გამოწვევა მიიღო.

422 წელს ათენელები კლეონის სარდლობით ამფიპოლისისთვის ბრძოლაში დამარცხდნენ და ამფიპოლისი სპარტელებს დარჩათ.

421 წელს დაიდო დროებითი ზავი („ნიკიასის ზავი"). 418 წელს ბრძოლა განახლდა. ათენელებმა ალკიბიადეს თაოსნობით (ძვ. წ. 415) სიცილიაში დიდი საომარი ექსპედიცია მოაწყვეს. ქალაქი სირაკუსასთან ბრძოლები პირველად წარმატებით მიდიოდა, მაგრამ ალკიბიადე მტრების დახმარებით სირაკუსასთან დამარცხდა. ძვ. წ. 411 წელს ათენში ოლიგარქიული გადატრიალება მოხდა და „400-თა ძალაუფლება" დამყარდა, მაგრამ მალე გადატრიალება გააუქმეს და შემორიგებული ალკიბიადეს მეთაურობით ათენის ფლოტმა ძვ. წ. 411–408 წლებში მთელ რიგ წარმატებებს იკონიაში მიაღწია. ძვ. წ. 406 წელს ათენელებმა უკანასკნელად საზღვაო ბრძოლაში არგინიუსის კონცხთან გაიმარჯვეს. მომდევნო წელს სპარტელებმა სპარსელთა დახმარებით აღადგინეს ფლოტი და მდინარე ეგეოსპოტამოსთან ათენელები სასტიკად გაანადგურეს. ძვ. წ. 404 წელს ზღვიდან და ხმელეთიდან გარშემორტყმული ათენი მოწინაღმდეგეებს დანებდა.

სპარტელებმა დაშალეს დელოსის კავშირი და ათენს წაართვეს ფლოტი, დაანგრიეს ათენის თავდაცვითი ზღუდეები, პერიკლეს გრძელი კედლები და ნავსადგური პირეოსი. ათენი გამოცხადდა სპარტას ქვეშევრდომ ქალაქად. ათენში დამყარდა „ოცდაათი ტირანის" ოლიგარქიული რეჟიმი. პელოპონესის ომმა მთელ საბერძნეთში საშინელი ნგრევა გამოიწვია. საბერძნეთის პრესტიჟი დაეცა. მოწინავე ათენის განადგურება არსებითად საბერძნეთის განადგურებას ნიშნავდა, ქვეყანა უმძიმესმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურმა კრიზისმა მოიცვა, რამაც მომავალში გაუადვილა მაკედონიას საბერძნეთის დამორჩილება. ათენის დამარცხება ავტომატურად ნიშნავდა, რომ მასში დამყარებული მმართველობის დემოკრატიული

მოდელი აღარ გავრცელდებოდა არც სპარტასა და არც საბერძნეთის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებზე.

ჰ. ბენგსტონი თავის ნაშრომში „ძველი საბერძნეთის ისტორია" სპარტას სახელმწიფოს შესახებ წერს: „ძირითად პრინციპებს, რომლებიც სპარტას სახელმწიფოს წყობილებას განსაზღვრავენ, დიდი პუნქტი არეგულირებს, ბერძნული ისტორიის უძველესი პოლიტიკური ტიპის ტექსტი, რომელიც ძვ. წ. VII, ან დაახლოებით VIII საუკუნეებით თარიღდება: დიდი პუნქტის მიხედვით, სპარტას სათავეში ორი მეფე ედგა, უხუცესთა საბჭოს გერუსია ეწოდებოდა, ხოლო მებრძოლ კაცთა კრებას, იგივე სახალხო კრებას, აპელას უწოდებდნენ. აღნიშნულ ეპოქაში ყოველი საქმე ამ სამი ორგანოს ურთიერთთანამშრომლობითა და თანხმობით წყდებოდა. რაც შეეხება მეფეების ინსტიტუტს, რომლებიც ორი ოჯახის - ევრიპონტიდებისა (დორიელები) და აგიადების (აქაველები) ოჯახებს განეკუთვნებოდნენ და მათზე მეფის ტიტული მემკვიდრეობით გადმოდიოდა, ბნელია, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის ისტორიაში ასეთი მაგალითი მრავლადაა" [**Bengtson1991: 109-110**].

ლაკონიკეში კრეტა-მიკენის კულტურის კერები არსებობდა. ტერიტორია ასევე ყურადღებას თავისი არქეოლოგიური ძეგლებით იპყრობს: ეკლესიით ფეხზე მდგარი არტემით და რომის იმპერიის პერიოდის თეატრით. ჰომეროსის „ილიადაში" ლაკონიკეს 12 აქველ თემთა შორის, მითიური მეფე მენელაეს სამფლობელოდ იხსენიება. დორიელთა შემოჭრის (ძვ. წ. XII საუკუნის დასაწყისი) შედეგად ლაკონიკეს ძველი კერები დაინგრა, მოსული (დორიული) და დამხვდური (აქაველი) მოსახლეობა ერთმანეთს შეერია, ახალი სპარტას აღმოცენება უკვე მდინარე ევროტასის ნაპირებზე ძვ. წ. X-IX საუკუნეებს განეკუთვნება. ამ ორი თემის გაერთიანებას მოწმობს ორმეფობა სპარტას სათავეში - ევრიპონტიდებისა (დორიელები) და აგიადების (აქაველები) დინასტიებით.

სპარტას უძველესი მოსახლეობის შესახებ ცნობებს პაულ კატლეჯი გვაწვდის. მისი ინფორმაციით, დღევანდელი სპარტას მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობა ჯერ კიდევ ძვ. წ. 6000 წელს დასახლდა [**Cartledge1989: 28**]. პირველი დასახლება კუფოვუნოს (ყრუ მთა) გილოპოსში განხორციელდა, რომელიც სპარტას მახლობლად მდებარეობს, კერძოდ, ალეპოტრიპას (მელიის ხვრელი) გამოქვაბულში. ამ დასახლებამ

არსებობა ნეოლითის ეპოქაშიც გააგრძელა, ნასახლარის კვალი გერაკის ტერიტორიაზეც შეიმჩნება. ამ დასახლებამ ნეოლითის ეპოქის ბოლო პერიოდამდე იარსება და ამ პერიოდის ბოლოს მრავალი დასახლების კვალი იქნა აღმოჩენილი. გარდა კერამიკული ნარჩენებისა, ნაპოვნი იქნა ვერცხლის ნარჩენებიც, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ეს დასახლებები საკმაოდ განვითარებულები იყვნენ.

ზოგადად ინფორმაციას, რომელსაც აღნიშნულ პერიოდზე ვფლობთ, ფრაგმენტულია. შეიძლება ვივარაუდოდ, რომ აქ მოსახლეობა ზღვის საშუალებით მოვიდა და გარდა კუფოვუნოს ტერიტორიისა, რომელიც სპარტიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ნაპირთან ახლოს დასახლდა [Cartledge2001: 29]. არქეოლოგიური კვლევის შედეგად ამ ტერიტორიებზე ნაპოვნია თონე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობას აქ ხორბალი მოჰყავდა, აგრეთვე ნაპოვნია ცხვრების სადგომი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ მეცხოველეობაც განვითარებული იყო. შეიმჩნევა სავაჭრო ურთიერთობებისა და კულტურული განვითარების კვალიც, აღმოჩენილია კერამიკისგან დამზადებული სამკაული, რომელიც ერთი ტიპის ნახელავს წარმოადგენს და ადამიანის ხელით არის შექმნილი [Cartledge2001: 30].

ძვ. წ. 2700 წლიდან რკინის ეპოქიდან ლითონის ეპოქაში გადასვლის ტენდენცია შეიმჩნევა. აღმოჩენილი იქნა 30-40 დასახლება, სადაც ლითონის მრავალი საგანი იქნა ნაპოვნი [Cartledge2001: 33].

შუა ელინისტური პერიოდისთვის ნასახლარების შემცირება შეიმჩნევა, რაც გახლდათ მათი ზღვის სანაპიროს დიდი ნაწილის ათვისების შედეგი. აღმოჩენილია მრავალი სამარხი მათში მოთავსებული სამკაულებით, რომელთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კრეტისა და მიკენის კულტურას ამ ტერიტორიის მოსახლეობაზე უდიდესი გავლენა ჰქონდა.

ძვ. წ. 950 წელს ლაკონიაში დორიელების დიდი მიგრაცია იწყება, რომლებიც სპარტას აარსებენ. დგინდება, რომ დორიელების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დაპყრობა ძალადობრივად არ განხორციელებულა, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასთან დორიელების ხანგრძლივი და საყოფაცხოვრებო ინტეგრაცია მოხდა, რადგან სპარტას ტერიტორია და მდინარე ევროტასის ნაყოფიერი მიწები ამის საშუალებას იძლეოდნენ [Cartledge2001: 80].

ვ. ეჰრემბერგი წერს, რომ სპარტა ძვ. წ. VII-VIII საუკუნეებში არ ყოფილა ისეთი დისციპლინირებული და ძლიერი, როგორსაც ჩვენ მას დღეს ვიცნობთ [**Ehrenberg2004: 36**]. ამ პერიოდში შიდა კონფლიქტები მიმდინარეობდა, რომლებზეც ინფორმაციას როგორც ჰეროდოტე, ასევე თუკიდიდე გვაწვდის. კონფლიქტების შედეგი ის იყო, რომ სპარტანელებმა პოლიტიკური და სოციალური რეფორმების გატარება დაიწყეს, რომელიც ლიკურგეს მიანდეს. აქედან სპარტას გაბრწყინება და შექმნა იწყება, იმ სპარტას, რომელსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ [**Edmond2008: 26**].

მესენიის სისხლიანი ბრძოლების შედეგად სპარტანელებმა მესენია დაიპყრეს და მისი მოსახლეობა ჰილოტებად აქციეს, ეს კი აურაცხელ მუშახელს და მდიდარ წიაღისეულს ნიშნავდა, რომელიც მესენიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მესენიელებთან სულ სამი ბრძოლა გაიმართა და გამარჯვებული სპარტა პელოპონისის თითქმის სრულუფლებიანი მბრძანებელი გახდა, ნათლად ჩანდა, რომ სპარტანელებს მესენიის სრული დამორჩილება ჰქონდათ გადაწყვეტილი, რაც ძვ. წ. 464 - 454 წლებში მოახერხეს კიდეც [**Παυσανίας-ძველბერძნული ტექსტი**].

ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში სპარტას მეფეებმა ლეონიდასმა და აგასილაემ შეტევა არკადიის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ რეგიონზე - თეგეაზე განახორციელეს. ძვ. წ. 550 წელს გამართულ ბრძოლაში სპარტანელები დამამცირებლად დამარცხდნენ, რამაც მათ თეგეელების დაპყრობისა და მათი ჰილოტებად ქცევის სურვილი გაუჩინა. საბოლოოდ, თებეა დაეცა და სპარტანელებმა მათგან მხოლოდ სპარტას გამარჯვების აღიარება მოითხოვეს, რაც მიიღეს კიდეც [**Bucklet1996: 60-61**]. ფორესტის აზრით, ეს იყო ცვლილება სპარტანელების მენტალობაში, მათ დაპყრობილი ხალხის დამონება აღარ სურდათ, არამედ მათთან პოლიტიკური კავშირის დამყარება უნდოდათ, რაც ავტორის აზრით, პელოპონესის კავშირის შექმნის საწინდარი იყო, პელოპონისის კავშირის შექმნის შემდეგ კი, სპარტას ორი ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ეძლეოდა: პირველ რიგში, ის შეძლებდა ახლად დაპყრობილ მესენნიაზე თავისი ბატონობის განმტკიცებას და მეორე მხრივ, მას შესაძლებლობა ეძლეოდა საფუძვლიანად მომზადებულიყო და თავს დასხმოდა თავის დაუძინებელ მტერს - არგოსს. საბოლოო ბრძოლაში, რომელიც ძვ. წ. 546 წელს თირეასთან გაიმართა და რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც „600 რჩეულის ბრძოლა", სპარტანელებმა

გაიმარჯვეს და ლაკონიასა და არგოლიდას შორის მდებარე ტერიტორია დაიპყრეს [**Forrest1969: 76-77**].

საბოლოო დარტყმა არგოს მეფე კლეომენემ მიაყენა, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში არგოსის შესუსტება და სპარტას გაძლიერება მოახერხა. ძვ. წ. VI საუკუნიდან სპარსეთის ომებამდე, შეიძლება ითქვას, რომ სპარტას პელოპონისზე კონკურენტი არ ჰყავდა და ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული პერიოდის ელინიზმის დამცველად. ამ დროისთვის პელოპონისის მრავალი ქალაქი ითხოვდა სპარტანელებისგან სამხედრო დახმარებას, რაც რეგიონში მის განუსაზღვრელ ჰეგემონიას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს [**Encyclopædia Britannica Eleventh Edition1911: Sparta**].

1911 წლის ბრიტანეთის ენციკლოპედიის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სპარტა პელოპონისზე გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა, ის არ გახლდათ თავისი სახელის და დიდების ჭეშმარიტი მატარებელი, რადგან ის მხოლოდ პელოპონისის დაპყრობა-შენარჩუნებაზე იყო ორიენტირებული და არ ჰქონდა ამბიციები, საბერძნეთის თუ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე თავისი ახალშენები ჰქონოდა, თუ არ ჩავთვლით ტარანდას დიდ საბერძნეთში და ლიპოსს კრეტაზე. გარდა ამისა, ის დაპყრობილ ტერიტორიებზე დემოკრატიული რეფორმების გატარებას ვერ ახერხებდა და დაპყრობილებს ტირანული მეთოდებით მართავდა [**Encyclopædia Britannica Eleventh Edition1911: Sparta**]. მართლაც, ათენისგან განსხვავებით, სპარტა ჩაკეტილ საზოგადოებას წარმოადგენდა, რომელიც დაპყრობილი ხალხის ძალისმიერი მეთოდებითა და სამხედრო ხელოვნების გამოყენებით მართავდა, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სპარტანელებს კრეატიულობა აკლდათ და დაპყრობილი ქვეყნების მართვას დემოკრატიული მეთოდებით ვერ ახერხებდნენ, მათ მართვის დემოკრატიული ინსტიტუტები ვერ შექმნეს, რომლის მეშვეობითაც შეძლებდნენ თავიანთი წესების სხვა ერებზე გავრცელებას. სწორედ ამიტომ, ათენური დემოკრატიის დროს შექმნილმა კულტურამ, კაცობრიობა გააოცა, რასაც ვერ ვიტყვით სპარტანელებზე. აღნიშნული შედარებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-კულტურული აღორძინება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ისეთ

პირობებში, რომლის მსგავსი ძვ. წ. V საუკუნის ათენში შეიქმნა, ანუ მმართველობის დემოკრატიულ პირობებში.

სპარტას, ისევე როგორც სხვა უამრავ უძველეს სახელმწიფოს, საკმაოდ რთული სოციალური სისტემა გააჩნდა. ფაქტიურად საზოგადეობა სრულუფლებიან, არასრულუფლებიან და დამოკიდებულ კატეგორიად იყოფოდა. ყოველ კატეგორიაში არსებობდა წოდებები. მიუხედავად იმისა, რომ „ილოტები” მონებად ითვლებოდნენ, თანამედროვე ადამიანის გაგებით ისინი არსებული მოვალეობებისა და უფლებების გათვალისწინებით, სულაც არ წარმოადგენდნენ მონებს. ილოტებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. ასევე უნდა მოვიხსენიოთ „ჰიპომეინები”, რომელშიც სპარტას მოქალაქეთა ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვები შედიოდნენ. ისინი არასრულუფლებიან მოქალაქეებად ითვლებოდნენ, თუმცა ზოგიერთ სოციალურ კატეგორიაზე მაღლაც კი იდგნენ. ამის გათვალისწინებით, არსებული თეორია იმის შესახებ, რომ არასრულფასოვან ბავშვებს ხოცავდნენ, ეჭვის ქვეშ დგება.

სპარტაში მთელი მისი არსებობის მანძილზე არსებობდა ბავშვთა (ბიჭების) აღზრდის ძალიან სასტიკი სისტემა სახელწოდებით „აგოგე”, რაც ბერძნულიდან, რომ გადმოვთარგმონთ „წაყვანას” ნიშნავს. ცნობილია, რომ ბიჭები 6-7 წლის ასაკიდან მიჰყავდათ სამხედრო სამსახურისათვის აღსაზრდელად. რამდენადაც აგოგე წარმოადგენდა საკმაოდ მკაცრ აღმზრდელობით სისტემას, არ არის გამორიცხული, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი ბავშვებში საკმაოდ მაღალი იყო. სწორედ აქედან შეიძლება მომდინარეობდეს აზრი იმის თაობაზე, რომ სუსტ ბავშვებს თავიდანვე იშორებდნენ.

კიდევ ერთი პოპულარული მითი - სპარტანელთა არმიის დაუმარცხებლობაა. არსებული წყაროების მიხედვით სპარტანელების არმია საკმაოდ ძლიერი იყო, რათა მეზობელ სახელმწიფო წარმონაქმნებზე გავლენა მოეხდინა, თუმცა როგორც ცნობილია, მან დამარცხების გემოც იცოდა. მეომრები საბრძოლო ხელოვნების უბადლო ცოდნითა და შესანიშნავი ფიზიკური მომზადებით გამოირჩეოდნენ. მათი სამხედრო დისციპლინა მეზობელმა ხალხებმაც კი გადაიტანეს და დანერგეს.

სპარტანელების სუსტ მხარედ საინჟინრო საქმიანობის უცოდინრობა წარმოადგენდა, რაც მტრის შემოსევის დროს ქალაქის დაცვას ერთიორად ართულებდა.

3. 2. სპარტას პოლიტიკური წყობა და ხელისუფლების საზოგადოებრივი დანაწილების სტრუქტურა

ძველბერძნული საზოგადოების ორგანიზების მახასიათებელი ფორმა პოლისი გახლდათ, რაც „ქალაქს" ნიშნავს. სავარაუდოდ, ძველ დროში ეს იყო უბრალოდ შემოსაზღვრული ტერიტორია, რათა ბერძნებს თავი დაეცვათ უცხოტომელების შემოსევებისგან, მაგრამ ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებასთან ერთად, მან უფრო ჩამოყალიბებული და დახვეწილი ფორმა მიიღო [**Фролов2001: 9**]. ანტიკური საბერძნეთის პოლიტიკური რეალობა პირველ რიგში მრავალი ქალაქ-სახელმწიფოების, იგივე პოლისების არსებობით შედგებოდა, სადაც სრულუფლებიანი მოქალაქეები მონებისა და უცხო ადამიანების ექსპლუატაციას ეწეოდნენ [**Фролов1988: 7**]. ერთ-ერთ ასეთ პოლისს სპარტა წარმოადგენდა.

სპარტას საზოგადოება სამი ნაწილისგან შედგებოდა: სპარტელები - სრულუფლებიანი მოქალაქეები; პერიეკები - ვაჭარ-ხელოსნები; ჰილოტები - მიწის მუშები. ამათგან სრულუფლებიანი მოქალაქეები მხოლოდ პირველნი იყვნენ. ყველა სპარტელი „თანასწორდა თემში" შედიოდა. ისინი სამხედრო საქმის გარდა არაფერს აკეთებდნენ. ცხოვრებისთვის ყველაზე საჭირო საქმეს (მიწის დამუშავება) ჰილოტები აკეთებდნენ, რომლებიც სრულებით უუფლებონი იყვნენ და სპარტელთა საკუთრებად ითვლებოდნენ.

მათზე ბევრად მრავალრიცხოვანი ჰილოტების დასამორჩილებლად სპარტელებმა „სპარტანული ცხოვრების წესი" შემოიღეს. ისინი მთელ დროს ატარებდნენ „ფიდიტუსში" - სამხედრო ბანაკში, სადაც ვარჯიშობდნენ, იწვრთნებოდნენ და შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ. მათი მთავარი ვალდებულება ჰილოტების დამორჩილება იყო. ჰილოტები ხშირად მოძალადეებს უჯანყდებოდნენ.

სპარტელები კი ყველაზე ძლიერ ჰილოტებს ხოცავდნენ. ყველაზე დიდი აჯანყება (ე. წ. მესენიელთა ომები) ძვ. წ. 464-458 წლებში მოხდა.

ჰილოტების გარდა სპარტელთა ძალაუფლებას პერიეკები ემორჩილებოდნენ, თავისუფალნი, მაგრამ პოლიტიკურ უფლებას მოკლებულნი. ისინი ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ. თვითონ სპარტელები სამეურნეო ცხოვრებაში არ მონაწილეობდნენ. მათი ცხოვრება საომარი ყაიდისა იყო.

სპარტაში მეფეებს შემდეგი უფლებამოსილებები ჰქონდათ: ისინი ითვლებოდნენ უმაღლეს მხედართმთავრებად, თუმცა მათი ხელისუფლება ეფორების მიერ იზღუდებოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მეფეებს არ ჰქონდათ აბსოლუტური ძალაუფლება (მათ ლაშქრობისას ორი ეფორი მიჰყვებოდა, რომლებიც მეთვალყურეობას უწევდნენ). მეფეები უმაღლეს მოსამართლეებად ითვლებოდნენ, ეფორებს კომპეტენცია გააჩნდათ მეფეებზე აღეძრათ სასამართლო დევნა და ჩამოერთმიათ მათზე ხელისუფლება.

გერუსია, იგივე უხუცესთა საბჭოს, რომელიც 30 კაცისაგან შედგებოდა შემდეგი უფლებამოსილებები გააჩნდა: გერუსიაში 27 გერონტი (უხუცესი) შედიოდა, ხოლო 2 ადგილი მეფეებს ჰქონდათ დათმობილი. უხუცესთა საბჭოს ყველა წევრი თანასწორი უფლებებით სარგებლობდა. გერუსიის მთავარი უფლებამოსილება იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში მდგომარეობდა, რომლებიც შემდეგ გადასაწყვეტად სახალხო კრებას უნდა გადასცემოდა. ამით გერუსია სახალხო კრებას მიმართულებას აძლევდა საკითხების გადაწყვეტაში, როგორც წესი, გერუსიის წინასწარი აზრი სახალხო კრებაზე მიღებულად ითვლებოდა. გერუსიას სასამართლო ფუნქციაც ჰქონდა და ძირითადად სისხლის სამართლისა და სახელმწიფო დანაშაულების საქმეებს განიხილავდა. ფორების როლის ზრდასთან ერთად გერუსიის როლიც მცირდებოდა, თუ თავდაპირველად მათი მოწვევის უფლება მეფეს ჰქონდა, ეს უფლება მოგვიანებით ეფორებს გადაეცათ. პელოპონესის ომების შემდეგ ომისა და ზავის საკითხებიც გერუსიის გვერდის ავლით წყდებოდა.

სახალხო კრების - აპელას ფუნქციები: აპელას თვეში ერთხელ იწვევდნენ და მცირე სახალხო კრებად იწოდებოდა, თუმცა მისი რიგგარეშეც მოწვევაც იყო შესაძლებელი, თუკი ამას აუცილებლობა მოითხოვდა. მასში მონაწილეობის მიღება

სპარტელ მოქალაქეებს ჰქონდათ, თუმცა აქ დაწესებული იყო 30 წლიანი ასაკობრივი და გარკვეული ქონებრივი ცენზი. კრებას ეფორთა კოლეგიის წევრები რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ. აპელას მთავარ უფლებას უმაღლესი თანამდებობის პირების, ეფორების, გერონტების, ფლოტისა და არმიის მეთაურების არჩევა წარმოადგენდა. აპელა საკანონმდებლო ორგანო იყო, თუმცა მართვა-გამგეობის ფუნქციასაც ახორციელებდა. სახალხო კრებაზე ხდებოდა ახალი მოქალაქეების მიღება და ზოგიერთი სპარტანელისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა. როგორც სასამართლო ორგანო, თანამდებობის პირთა დაქვეითების საკითხს ჩადენილი დანაშაულისათვის იხილავდა (ჩვენს ეპოქაში ასეთ ადმინისტრაციულ წარმოებას დისციპლინარული პასუხისმგებლობის საქმის წარმოება ეწოდება).

ეფორთა კოლეგია სპეციალური სასამართლო კოლეგია იყო, რომელიც ხუთი კაცისგან შედგებოდა და იგი სამოქალაქო საქმეთა ორგანოსაც წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ სამოქალაქო საქმეების განხილვა ხდებოდა. ეფორები თავდაპირველად მეფეთა მოადგილეები იყვნენ სამოქალაქო საქმეეების სფეროში, თუმცა მოგვიანებით, ეფორთა კოლეგია ყოვლისშემძლე ორგანო გახდა. მათ კომპეტენციაში შედიოდა: სახალხო კრების მოწვევა და თავმჯდომარეობა, გერუსიის მოწვევა და თავმჯდომარეობა, საგარეო ურთიერთობების საკითხების გადაწყვეტა და ა.შ.

სპარტა სახელმწიფოს საზოგადოება სამ ნაწილად იყოფოდა: მონებად, პერიეკებად და თავისუფალ სპარტელ მოქალაქეებად.

მონები (ილოთები) მიმაგრებულნი იყვნენ მიწაზე, იძულებით ამუშავებდნენ მიწათმფლობელის მიწას და მოსავლის უდიდეს ნაწილს მიწის მეპატრონეს აძლევდნენ. ისინი წარმოადგენდნენ სახელმწიფო მონებს, რომლებიც კოლექტიურ მფლობელობაში იმყოფებოდნენ. ილოთები არმიაში მსახურობდნენ და ყოველწლიურად მათი ხოცვა-ჟლეტა ეწყობოდა, რათა მონათა დანარჩენი მასა დაეშინებიათ, ეს კი ხშირ აჯანყებებს განაპირობებდა.

პერიეკები სპარტას მოსახლეობის ვაჭრებსა და ხელოსნებს წარმოადგენდნენ, თუმცა პოლიტიკურად ისინი სრულუფლებიან მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ. მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრების მუშაობაში ან არჩეულიყვნენ თანამდებობაზე. ეფორებს გაუსამართლებლად შეეძლოთ მოეკლათ პერიეკები.

თავისუფალი სპარტელი მოქალაქეები სრულუფლებიანი მდიდრები იყვნენ, რომლებიც საზოგადოების ზედა ფენას შეადგენდნენ. მთელი პოლიტიკური ძალაუფლება სწორედ მათ ხელში იყო თავმოყრილი [**ცაცანაშვილი1995: 64-65-66-67**].

IV თავი. ძვ. წ. VII-VI საუკუნეების დემოკრატიული რეფორმები ძველ საბერძნეთში

4.1. ძალევკი და მისი ეპოქა

რა თქმა უნდა ნებისმიერ სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმებს წინ უსწრებს გარკვეული ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოში სუფევს. ასე მოხდა ძველ საბერძნეთშიც.

ფულის შემოღებასთან ერთად ვაჭრობა-მრეწველობა კიდევ უფრო გაძლიერდა, ვაჭარი რაც შეიძლება მეტი საქონლის გასაღებას და თავისი სიმდიდრის ფულად ქცევას ცდილობდა, ხოლო მრეწველი დაინტერესებული იყო, რაც შეიძლება მეტი საქონელი დაემზადებინა, მაგრამ ისე, რომ წარმოება რაც შეიძლება იაფი დასჯდომოდა. ამ მიზნისთვის კი განსაკუთრებით ხელსაყრელი მონათა მუშახელი აღმოჩნდა. მონის შენახვა შედარებით იაფი იყო, ამავე დროს პატრონს ნება ჰქონდა, მონა იმდენ ხანს ემუშავებინა, რამდენსაც საჭიროდ და სასურველად ჩათვლიდა. სწორედ ამიტომ, არისტოტელეს, რომელიც იმ პერიოდში მოღვაწეობდა, მიაჩნდა, რომ მონობის ინსტიტუტი ერთადერთი საშუალება იყო, რომ სახელმწიფო განვითარების მართებულ გზაზე დამდგარიყო. „ზოგს ჰგონია, რომ მონაზე ბატონობა არის რაღაც მეცნიერება, ზოგი კი ფიქრობს, რომ მონათმფლობელობა ბუნებას ეწინააღმდეგება, რადგან მონა და ბატონი კანონის საფუძველზე არსებობს, ბუნებრივად კი ისინი ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან. მაშასადამე, ის არც სამართლიანია, რადგან იძულებას ემყარება” (არისტოტელე 1995:14). არისტოტელე ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შემდეგნაირ მსჯელობას ავითარებს: „ყოველ ხელობაში აუცილებელია ამისათვის საჭირო იარაღების ქონა. აუცილებელი საარსებო საშუალებების გარეშე კი შეუძლებელია როგორც ცხოვრება, ისე კარგად ცხოვრება. საოჯახო მეურნეობაში ზოგი იარაღი სულიერია, ზოგიც უსულო. მაგალითად, გემის მართვაში საჭე უსულო იარაღია, მესაჭე კი სულიერი. ამიტომ დამხმარე ადამიანი საქმიანობაში ერთგვარი იარაღია. ასევე ქონება არის საარსებო იარაღი, ხოლო ქონების მოპოვება მოითხოვს მრავალი იარაღის გამოყენებას. მონაც ცოცხალი ქონებაა და როგორც იარაღი, იგი სხვა იარაღებზე წინ დგას. ასევე საქსოვი დაზგები რომ თვითონ ქსოვდნენ, ხოლო პრექტრი თვითონ უკრავდეს კითარაზე, არქიტექტორებს არ დასჭირდებოდათ თანაშემწეები და ბატონებს მონები” **(არისტოტელე1995: 14,15).**

ის რომ მონა მონაა და მმართველი მმართველი, ამას არისტოტელე პროპორციული სამართლიანობის პრინციპით ხსნის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თანასწორობისა და სამართლიანობის გაგება ფორმალურად არ შეიძლება, ანუ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის გაგებით, არამედ მისი გაგება შინაარსობრივად უნდა მოხდეს. არ შეიძლება ყველას ყველაფერში თანასწორობა, რადგან ეს

სამართლიანობამდე კი არა, პირიქით, უსამართლობამდე მიგვიყვანს, რადგან ადამიანები განსხვავდებიან შესაძლებლობებით, ნიჭით, გონებით, განათლებით და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოში სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ადამიანები არ შეიძლება იყვნენ თანასწორები, რადგან ეს უსამართლობა იქნებოდა. წარმოვიდგინოთ, რომ გემი სახელმწიფოა და მას მართვა ესაჭიროება. იმისათვის, რომ გემმა შეასრულოს თავისი ფუნქცია, საჭიროა გააჩნდეს საჭე, მაგრამ ასევე საჭიროა არსებობდეს ვიღაც, ვინც შეძლებს საჭის მართვას. ასევეა სახელმწიფოც, ეკონომიკაც და სხვადასხვა სფეროებიც. თუ გემი სახელმწიფოა, მონა საჭეა, ხოლო მმართველი მესაჭე და იმისათვის, რომ სახელმწიფომ მიაღწიოს თავის მთავარ დანიშნულებას ანუ საყოველთაო სიკეთეს, აუცილებელია როგორც საჭის, ასევე მესაჭის არსებობა.

არისტოტელე არ ცდილობს მონების დაკნინებას, პირიქით, ის მათ საჭირო და აუცილებელ ინსტიტუტად მიიჩნევს, ის უბრალოდ საუბრობს მონების ფუნქციებზე და მათ სოციალურ დანიშნულებაზე საზოგადოებაში, ისევე, როგორც მმართველების დანიშნულებაზე. „ხელმძღვანელობა და მორჩილება არა მხოლოდ აუცილებელია, არამედ სასარგებლოც არის, რადგან დაბადებიდანვე ზოგი განკუთვნილია ხელმძღვანელობისათვის, ზოგი კი მორჩილებისათვის. საქმე კეთდება იქ, სადაც ერთი მხარე ხელმძღვანელობს, მეორე კი ემორჩილება" **(არისტოტელე1995: 15).**

თუმცა მონობა საბერძნეთში წინათაც იყო გავრცელებული, მაგრამ ახლა მან ფართო ხასიათი მიიღო. მონების საშუალებით, პირველად მილეტში სცადეს საფეიქრო მრეწველობის წარმოება, შემდეგ მთელი საბერძნეთის წარმოება მათ ხელში გადავიდა. მდიდარ ახალშენებში მიწის დამუშავებაც მონების საშუალებით ხდებოდა; ეს გარემოება კი ძლიერ აიაფებდა პურს და ამიტომ საბერძნეთის გლეხკაცობა იძულებული შეიქნა მეურნეობისთვის თავი მიენებებინა და ახალშენების იაფი პურით ესარგებლა. გლეხი თავის მცირე მამულს მდიდრებზე აგირავებდა ან ყიდდა და ამნაირად ხელს უწყობდა მდიდართა ხელში დიდძალი მამული მოგროვებულიყო. ამასთანავე, იგი მიწასთან ერთად თავის თავისუფლებასაც კარგავდა, რადგან ვალს დროზე ვერ იხდიდა. ვალის სარგებელში იგი მდიდრის ყმა ან მონა ხდებოდა.

ამგვარად, ამ ხნის განმავლობაში, მთელი საბერძნეთის მოსახლეობა ორ დიდ ნაწილად გაიყო; ერთი მხრივ იყვნენ მდიდარი ვაჭარ-მრეწველები და მეორე მხრივ - გაღარიბებული ხალხი.

ამ უკანასკნელის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. იმის გარდა, რომ უბრალო ხალხი ნივთიერად სრულად დამოკიდებული გახდა მდიდრებზე, უფლებების მხრივაც მათ ემორჩილებოდა, რადგან მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მათ ხელში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, გაღარიბებული მოსახლეობა ვერ შეურიგდებოდა თავის უბადრუკ მდგომარეობას, ამიტომ ისინი საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქში VII საუკუნიდან დაწყებული „დემოსის" ანუ ხალხის სახელით შეჯგუფდნენ და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება მოინდომეს. მათი სურვილი იყო, სახელმწიფოს ისეთი კანონები დაეწესებინა, რომლებიც მათ მდგომარეობას შეამსუბუქებდა. ამის შედეგად, ყველა მნიშვნელოვან ქალაქში განსაკუთრებული პირები აირჩიეს, რომელთაც შესაფერი კანონების შედგენა დაავალეს და რომელნიც ისტორიაში „ესიმნიტების" სახელით არიან ცნობილნი.

ამ ესიმნიტთა შორის ყველაზე უძველესი ძალევკი ითვლება, მერე დრაკონი და ლიკურგი.

ესიმნიტების მოღვაწეობის უმთავრესი შედეგი ის იყო რომ, ბერძენთა სხვადასხვა ქალაქში დადებითი კანონმდებლობა გაჩნდა, რომელიც საზოგადოებრივ ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულებას აწესრიგებდა [**უზნაძე1918: 38-39**].

ძალევკეს, როგორც ისტორიული პერსონის არსებობა ეჭქვეშ დგას, თუმცა არისტოტელე მის არსებობას არ უარყოფს, როდესაც მას მოიხსენიებს როგორც კანონმდებელს.

ძალევკი კანონმდებლად ითვლება, რომელმაც ერთ-ერთ ბერძნულ ახალშენში ლოკრიდაში (ქვემო იტალია) შექმნა საკმაოდ მკაცრი კანონმდებლობა, რომელიც ამ ახალშენში საყოფაცხოვრებო პროცესებს არეგულირებდა. „პირველად დაიწერა კანონი, რომელიც მკაცრად განსაზღვრული წესებით გამოიყენებოდა" - სტრაბონი [**Νάκος1991: 77**].

აღნიშნული კანონმდებლობიდან განსაკუთრებულად საინტერესო ორი იყო, რომელიც სისხლის სამართლის განვითარებას უწყობდა ხელს: 1. თუ ადამიანი

დააზიანებდა სხვა ადამიანის სხეულს, ან მის ნაწილს, ის ვალდებული იყო აენაზღაურებინა მიყენებული ზარალი. 2. განსხვავებით სპარტა და კრეტის, ან ათენის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა ზიანის გამო ზარალის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს ეძლეოდა თავისუფლება თვითონ განესაზღვრა ზარალის ოდენობა და მისი გადახდის წესი, ძალევკემ ყოველივე ეს კანონის ჩარჩოებში მოაქცია. მისი აზრით, მოსამართლეების შეხედულებები არ იყო ყოველთვის იგივე, იგივე გარემოებების განსჯისას, ხოლო კანონი, ყოველთვის იგივე უნდა იყოს და ერთნაირად არეგულირებდეს სხვადასხვა გარემოებებს. ეს კი კანონის სტაბიულურობისა და მისი მიუკერძოებლად განხორციელების განმტკიცებას უწყობდა ხელს. [Νάκος1991: 78].

ძალევკის თაოსნობით განხორციელდა სხვა ხალხების სამართლის სისტემების შესწავლა და დადგინდა თანამედროვე სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: არანაირი დანაშაული და არანაირი სასჯელი კანონის გარეშე. ამიერიდან მოსამართლეებს განაჩენი უნდა გამოეტანათ კანონზე დაყრდნობით და არა თავიანთი შეხედულებებით.

ერთ-ერთი კანონის მიხედვით, ადამიანის შვილი თუ იმრუშებდა, იმის მაგივრად, რომ არსებული სასჯელით მრუშობისათვის დასჯილს ორივე თვალით დაბრმავება მისჯოდა, შესაძლებელი ხდებოდა მისი მშობლისთვის ამოეთხარათ ცალი თვალი, ხოლო ცალი თვალი კი მხოლოდ მრუშისთვის.

ძალევკიმ მიწის გასხვისებაც აკრძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეპატრონე გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ის იძულებული იყო საკუთარი მიწა გაესხვისებინა [Νάκος1991: 79].

V თავი. ათენური დემოკრატია - დემოკრატიის მწვერვალი

5.1. ათენის პოლისის სამართლებრივ-დემოკრატიული საფუძვლები და საზოგადოებრივი სტრუქტურა

ძვ. წ. 462 წელი გამორჩეული და ისტორიული თარიღი გახლავთ კაცობრიობის ისტორიისთვის, რადგან ამ წელს საბერძნეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქ-სახელმწიფოში და კერძოდ ათენში, დაიბადა დემოკრატია არა მხოლოდ როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმა, არამედ როგორც სიტყვა. ანტიკური დემოკრატია და კერძოდ, ათენური დემოკრატია განხილული უნდა იქნას, როგორც ასეთი ტიპის პირველი პოლიტიკური ფორმაცია და გამოცდილება კაცობრიობის ისტორიაში [**Фролов1983: 164**]. ბერძნული დემოკრატია, რომელიც დაფუძნდა ათენში, ახლებური მმართველობის ფორმა იყო და ის ყოველთვის ასეთად დარჩება. თავისუფლება, რომელიც ამ დემოკრატიამ მოიტანა, განსაზღვრავდა არა მარტო ერთი, ან ორი მოქალაქის თავისუფლებას, არამედ მთელი ათენური ცხოვრების წესს, რომლის სიკეთეების მიღების საშუალება ყველა მოქალაქეს ჰქონდა [**Romilly1992: 106-108**]. სახელმწიფოს ძირითად ფუნქციას კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მოსახლეობის პრობლემების გადაჭრა წარმოადგენდა, რაც სხვადასხვა მექანიზმებით ხორციელდებოდა. ერთ-ერთი მექანიზმი არის დემოკრატია და მასში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტები [**Озеров2007: Введение диссертации**], ათენელები სწორედ აღნიშნული ფუნქციისთვის იყენებდნენ დემოკრატიას. ათენში დემოკრატია დროის ერთ მონაკვეთში და უცაბედად არ დამყარებულა და მან განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ბერძნული საზოგადოების პოლიტიკური წყობის შესახებ ინფორმაცია ფრაგმენტულია. თუკიდიდეს გადმოცემით, ამ პერიოდისთვის ატიკა პოლისებად იყო დაყოფილი და თითოეული პოლისი საკუთარ პრობლემებს თავად აგვარებდა [**Яйленко1990: 17**]. სოლონმა, კლისთენმა და სხვა ბერძენმა მმართველებმა გაატარეს რეფორმები, რომლებმაც ჩანასახობრივი დემოკრატია წარმოშვეს, ხოლო ამ რეფორმების კულმინაცია პერიკლეს მმართველობა იყო, როდესაც დემოკრატიამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მხოლოდ პერიკლეს ეპოქაში დამყარდა არა წარმომადგენლობითი, არამედ პირდაპირი დემოკრატია, რომლის

პირობებშიც, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად სახალხო კრება იღებდა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო მმართველობის აღნიშნულ ფორმას დემოკრატია ეწოდა, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ხალხის მმართველობას. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ათენური დემოკრატია არ შეიძლება გახდეს თანამედროვე ეპოქაში დემოკრატიის დაფუძნების, ან მისი განვითარების საფუძველი, მაგრამ მისი გაანალიზება დიდ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს [**Маринович2007: Статья**].

პერიკლეს ეპოქაში დაარსებულმა დემოკრატიამ 140 წელი იარსება (ძვ.წ. 462–322), მაგრამ სამყარო გააოცა უდიდესი კულტურის შექმნით, მოქალაქის თავისუფლების ხარისხითა და მისდამი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტის უფლების მინიჭებით. რამაც დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრება არა მარტო ანტიკურ საბერძნეთში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით განაპირობა.

ათენი სხვა ბერძნულ პოლისებთან შედარებით არა მარტო პოლიტიკური, არამედ ახალი რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნითაც დაწინაურდა. ზოგადად, ბერძნული პოლისები რელიგიურობის მიმართ შემგუებლობით გამოირჩეოდნენ, რაზეც მეტყველებენ ბერძნული მითები და ატიკური კომედიები. უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთის პოლისებში რელიგიურობას არც დემოკრატიის განვითარება და არც ფილოსოფიური აზრის განვითარება არასოდეს შეუყოვნებია. [**Никитюк1996: Тезисы Докладов научной конференции**].

ეკონომიკური და გონებრივი პროგრესი ურთიერთდამოკიდებული ცნებებია. ძვ. წ. VII-VII საუკუნეებში საბერძნეთი ეკონომიკურ პროგრესს განიცდიდა, რამაც შედეგად ერის გონებრივი განვითარება გამოიღო, ამ უკანასკნელმა კი ქვეყნის პოლიტიკური განვითარება მოიტანა [**Белох1897: 210**]. ამ გარემოებამ კი, საბოლოოდ ათენელებს დემოკრატია დაუმკვიდრა.

ძვ. წ. V საუკუნის ათენში ორი ტენდენცია შეიმჩნეოდა: ერთი მხრივ, საზღვაო ფლოტის გაძლიერება, რომელიც ათენს ზღვაზე გაბატონებულ პირობებში აყენებდა და მეორე მხრივ, დემოკრატიის დამყარება. რა თქმა უნდა ეს ორი გარემოება ურთიერთდამოკიდებული იყო. ძლიერი ფლოტი იყო იარაღი, რათა ათენელებს განევრცოთ დემოკრატია საბერძნეთის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებზე [**Гущин2013: 1**].

უნდა ითქვას, რომ ძველბერძნული დემოკრატიის შესწავლა ავტომატურად ნიშნავს პოლიტიკური აზროვნების კვლევას ანტიკურ საბერძნეთში, რადგან თუკი ვიკვლევთ პოლიტიკურ აზროვნებას, აუცილებლად მოგვიწევს ბერძნული დემოკრატიის კვლევა და პირუკუ. ამ ორი მეცნიერული ასპექტის კვლევა, მიგვაჩნია, რომ ერთი და იგივე შედეგებამდე მიგვიყვანს [Berger1966 : 7].

ბერძნებისთვის სიტყვა ცივილიზებული ნიშნავდა ადამიანს, რომელსაც გააჩნდა უნარი, თავად ეკონტროლებინა თავისი ყოფა და ნაკლებად ყოფილიყო დამოკიდებული ბუნებრივ მოვლენებზე, თავისი ცოდნით საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგი მოეტანა [Боннар1994: Гл.I]. სწორედ ამგვარი მსოფლმხედველობის შედეგი გახლავთ ათენური დემოკრატია. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ იმ ფაქტის წარმოდგენა, რომ ათენის 40 ათასმა მოქალაქემ საკუთარი ფლოტი და ჯარი შექმნა, რომლებსაც თავად უვლიდა, წარმოუდგენელია, მაგრამ რეალობაა. ათენელებმა იცოდნენ, საკუთარი სურვილები როგორ ჩაეყენებიათ საზოგადო ინტერესების სამსახურში [Glotz1989: 176].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიკურ ათენში სახალხო დემოკრატია გარკვეული ეტაპების გავლის შედეგად დამყარდა, მან განვლო გარკვეული ეტაპები. თავდაპირველად მისი განვითარების პირველი ფორმა არის გვაროვნული დემოკრატია, შექმნილი თვით გვაროვნული წყობილების ეკონომიკურ ბაზისზე. ჰომეროსის ეპოქაში ბერძნები უკვე ბარბაროსობის ზედა საფეხურზე არიან და მათი გვაროვნული წყობილება დაშლისა და თავისი პირვანდელი სახის დაკარგვის პროცესშია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ძველი ბერძნებისა და ამერიკელი ირიკეზების შედარება. (ირიკეზები ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსვლეთით მცხოვრები ხალხია, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე).

ირიკეზებმა საკუთარი კონფედერაცია შექმნეს, რომელიც დასაწყისისთვის ხუთი ტომისგან შედგებოდა, ხოლო მეთვრამეტე საუკუნეში მათ მეექვსე ტომიც შეუერთდა. ეს ტომებია: მოჰავკი, ქაიუგა, ონაიდა, სენექა, ონონდაგა და ტასკარორა. გვაროვნულ წყობილებასა და გვაროვნულ დემოკრატიას შორის პარალელების გაყვანით ბერძენთა უძველეს წყობილებასა და დემოკრატიაზე ვიქონიოთ წარმოდგენა. ფ.ენგელსი ირიკეზებზე წერდა: „რა საუცხოო მოვლენაა ეს გვაროვნული

წეს-წყობილება თავისი უშუალობისა და სიმარტივის მიუხედავად! აქ არც ჯარისკაცებია, არც ჟანდარმები და პოლიციელები, არც თავადაზნაურობა, მეფეები, მეფის მოადგილეები, პრეფექტები, არც მსაჯულები, არც ციხეები და არც პროცესები, მაგრამ ყოველივე წესიერად მიმდინარეობს. ყოველივე უთანხმოებასა და ჩხუბს სწყვეტს იმ პირთა ერთეულები, რომელთაც ეს ეხება, გვარი, ტომი ან გვარების გაერთიანება" [**ენგელსი:116**] (ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა).

ასეთია გვაროვნული წეს-წყობილების და დემოკრატიის მოკლე დახასიათება, მაგრამ დროთა განმავლობაში შრომის განაწილებასა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად, გვარში საზოგადოებრივ საკუთრებასთან ერთად მიწის კერძო საკუთრების გაჩენის ბაზაზე, გვარის შიგნით წინააღმდეგობა ჩნდება, რაც საბოლოო ჯამში გვაროვნული წყობილების მოშლას იწვევს. ამ დროიდან ატიკაში არისტოკრატიის ბატონობა არქონტთა კოლეგიისა და არეოპაგის (უხუცესთა საბჭოს) მეშვეობით იწყება. საბოლოოდ პირველყოფილი, გვაროვნული დემოკრატიის უკანასკნელი ნაშთები იდევნებიან, ხელისუფლება ხალხიდან წარმოჩინებულთა ხელში გადადის.

ათენის მოსახლეობის შეკავშირება (სინოიკიზმი) ათენის გარშემო ხდებოდა. ამ დროს ათენს მეფე მართავდა, რომელსაც მმართველობის განხორციელებაში, გვარის მთავრები ეხმარებოდნენ, ისინი მეფის სათათბირო ორგანოს წარმოადგენდნენ. ასევე არსებობდა წარმომადგენლობითი ორგანო, აგორა, იგივე სახალხო ყრილობა, რომელსაც მოგვიანებით ეკლესია ეწოდა. ამ დროისთვის აგორაში ხალხს არ გააჩნდა უფლება თავისი აზრი გამოეთქვა, მას უნდა მოესმინა მხოლოდ გადაწყვეტილება, რომელსაც გვარების წარმომადგენლები მეფესთან ერთად იღებდნენ. გვაროვნული წყობის დაშლის შემდეგ ჩვენ ანტიკურ ათენში უკვე ვღებულობთ ხელისუფლების სამ შტოს: მეფეს, მის სათათბირო ორგანოს, რომელიც გვარის მთავრებისგან შედგებოდა და აგორას, იგივე სახალხო ყრილობას.

დ. უზნაძე წერს: „პირველ ხანებში, როგორც ყველგან, ათენშიც მონარქიული წეს-წყობილება იყო, მაგრამ ევპატრიდების ძლიერება წინ იწევდა და ადრე თუ გვიან მონარქია უნდა დაცემულიყო და სახელმწიფოებრივი ძალაუფლება წარჩინებულთა ხელში უნდა გადასულიყო. როდის და როგორ მოხდა ეს, ძნელი სათქმელია, ხოლო

თვით ბერძნების რწმენით, მონარქიის დაცემა და ძალაუფლების ევპატრიდების ხელში გადასვლა უბრალო შემთხვევითი მიზეზის გამო განხორციელდა. როდესაც ატიკას დორიელები დაესხნენ, მაშინ მეფედ კოდრო ითვლებოდა", – მოგვითხრობს ათენელთა ლეგენდა. დელფოს ორაკულის წინასწარმეტყველებით, დორიელთ მხოლოდ იმ შემთხვევაში ხვდებოდათ წილად გამარჯვება, თუ ისინი ათენელთა მეფეს არ მოკლავდნენ. კოდროს გაუგია თუ არა ეს წინასწარმეტყველება, გადაცმულა უბრალო მუშად, გადაპარულა დორიელთა ბანაკში და ერთ-ერთ ჯარისკაცთან ჩხუბი აუტეხია; ჯარისკაცს, რა თქმა უნდა, არ სცოდნია მისი ვინაობა და მოუკლავს. როდესაც ათენელებს დორიელებისთვის თავისი მეფის ცხედარი მოუთხოვიათ, უკანასკნელთ, ორაკულის წინასწარმეტყველების მიხედვით, გამარჯვების იმედი დაუკარგავთ და უკან გაბრუნებულან. ამგვარად კოდროს გმირულ თავგანწირვას ათენი მტრის ბატონობისგან უხსნია და მადლიერ ერს გადაუწყვეტია: კოდროს ღირსეული მემკვიდრის მონახვა შეუძლებელია და ამიტომ მეფედ ნუღარავინ ნუღარ იქნებაო და სახელმწიფოს სათავეში მეფის მაგივრად უმთავრესი სახელმწიფო მოხელე, ე.წ. არქონტი ჩაუყენებიათ" [**უზნაძე1918: 51**]. უზნაძის აზრით, ეს თქმულება სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. სინამდვილეში მონარქიის მოსპობა და ძალაუფლების ევპატრიდების ხელში გადასვლა ევპატრიდების გაძლიერებასთან ერთად მეფის ხელისუფლების შესუსტებამ განაპირობა. მეფე იძულებული შეიქმნა ზოგი თავისი უფლება მათთვის დაეთმო. პირველად მან ჯარის მთავარსარდლობა დაკარგა და ევპატრიდებს გადასცა, ასე ახალი თანამდებობა - პოლემარქობა წარმოიშვა. შემდეგში მეფეს საშინაო მართვა-გამგეობის მეთაურობაც ჩამოართვეს და ამ მიზნისთვის არჩეული თანამდებობა, არქონტობა შეიქმნა. ამგვარად მეფეს ანუ ბასილევსს მხოლოდ უმთავრესი მღვდელთმსახურების საპატიო უფლებები და მოვალეობანი დარჩა, სხვა მხრივ კი იგი ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო. ძვ. წ. 683 წელს ევპატრიდების კიდევ უფრო გაძლიერებას ახალი სახელისუფლებო ცვლილებები მოჰყვა. ამ სამ მთავარ მოხელეს კიდევ ექვსი თანამდებობის პირი შეემატა, ე. წ თესმოთეტები და ამგვარად სახელმწიფოს სათავეში ცხრა კაცისგან შემდგარი კოლეგია მოაქციეს. ექვსივეს, რომელთა საერთო სახელი არქონტი იყო, ევპატრიდების წრიდან ირჩევდნენ.

არქონტთა კოლეგია ცხრა კაცის შემადგენლობით და არეოპაგის საბჭო, რომელშიც წარმოდგენილი იყო გვარის არისტოკრატიის ყველაზე შეძლებული ნაწილი, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ხდებიან. არქონტის თანამდებობაზე წარჩინებული წარმოშობის და მდიდარი პირიც შეიძლება ყოფილიყო. რაც შეეხება არეოპაგს, არისტოტელე წერდა: „ძველად არეოპაგის საბჭო, იხმობდა ხოლმე კანდიდატს, განიხილავდა თავის წრეში მის კანდიდატურას და შემდეგ თვითოულ თანამდებობაზე ნიშნავდა შესაფერის კაცს ერთი წლით, რის შემდეგაც ითხოვდა მას" **(არისტოტელე1891: 6).** მის ფუნქციებში თანამდებობის პირებზე და კანონების შესრულებაზე მეთვალყურეობაც შედიოდა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, ძველ საბერძნეთში და ჰომეროსის ეპოქის შემდეგ დამყარებული მმართველობის ფორმაში ჩანასახშივე შეიმჩნეოდა ხელისუფლების დანაწილებისკენ სწრაფვა. ამ ეპოქის ეგვიპტეში მაგალითად, სადაც წარმოების აზიური წესი გახლდათ, ეკონომის მამოძრავებელი ძალა (როდესაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებს საზოგადოების ყველა ფენა ერთპიროვნული მმართველის ბრძანების საფუძველზე), სახელმწიფოებრივ საკითხებს არც ერთი თუნდაც მცირე და გაბატონებული საზოგადოებრივი ფენა არ წყვეტდა, მხოლოდ ფარაონი ღებულობდა გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად, ხოლო საბერძნეთში კი უკვე ფუნქციურებდა ორი ორგანო არქონტებისა და აეროპაგის სახით, ამათგან მეორეს კი გააჩნდა მაკონტროლებელი ფუნქცია არქონტებისა, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლებისა, როდესაც იმავე ეპოქის ეგვიპტეში, ან ისრაელში ფარაონი და მეფე გახლდათ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებაც. თუმცა ვინც არ წარმოადგენდა არისტოკრატიას და მდიდარი არ იყო, ის ვერ მოხდებოდა არეოპაგში, რადგან მათთვის თვით არქონტის თანამდებობაზე დანიშვნაც მიუწვდომელი იყო, რადგან აეროპაგის წევრებად ყოფილი არქონტები ინიშნებოდნენ.

ამგვარად, IV საუკუნის დასაწყისისათვის ათენის მმართვა-გამგეობაში გვაროვნული დემოკრატიის ნიშან-წყალი აღარ არის. ქვეყნის მართვა-გამგეობა, რომელსაც სათავეში უდგას არქონდატი და აეროპაგი, წმინდა ოლიგარქიულ ხასიათს ატარებს. ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებული მდგომარეობა

მოპოვებული აქვთ ევპატრიდებს, რომელთა ხელში მოქცეულია ატიკის თითქმის მთელი მიწები და მთელი პოლიტიკური ძალაუფლება სახელმწიფოში. დემოსი, რომელსაც ან სრულიად არა აქვს მიწა, (თეტები, ჰექტემორები), ანდა მეტად მცირე რაოდენობით და თანაც სრულიად იზოლირებულია ქვეყნის მართვა-გამგეობიდან, მძიმე მდგომარეობაშია ეკონომიურად და პოლიტიკურად. ამ ნიადაგზე კლასობრივ ბრძოლას დემოსსა და ევპატრიდებს შორის მეტად გააფთრებული ხასიათი აქვს. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ ევპატრიდები აიძულა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ დემოსის მიმართ. ამ დათმობებმა თავისი გამოხატულება არქონტ სოლონის რეფორმებში ძვ. წ 594 წელს ჰპოვეს.

სანამ სოლონის მიერ გატარებულ რეფორმებზე ვისაუბრებთ, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ოლიგარქიული წყობისა, სადაც არქონტები და არეოპაგი საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილის, ევპატრიდების უფლებებს იცავდნენ, მათი მხრიდან მაინც განხორციელდა ძალაუფლების გარკვეული დათმობა დემოსის სასარგებლოდ, რაც სოლონის რეფორმებში გამოიხატა, მოგვიანებით პერიკლეს ეპოქაში კი დემოსის უფლებების გაძლიერებამ და ზოგადად საზოგადოებრივმა თანასწორობამ თავის კულმინაციას მიაღწია. იმ ეპოქის სხვა ქვეყნებში, გარკვეული მიზეზების გამო, საზოგადოების ერთი ნაწილის უფლებების გასამყარებლად და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მმართველობის ფორმის ეტაპობრივი ცვლა არ ხდებოდა, ასე მაგალითად, ეგვიპტეს ყოველთვის ფარაონი მართავდა, ისრაელს მეფე. მათ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას არ განუცდია ტრანსფორმაცია საზოგადოების ერთი ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, რადგან მეფეებსა და ფარაონებს ან არ აინტერესებდათ საზოგადოების ამ ნაწილის მოთხოვნები, ან საზოგადოების ამ ნაწილს არ გააჩნდა არანაირი მოთხოვნა თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ან გააჩნდა, მაგრამ პროტესტის გამოსახატავად თავისუფლება არ ჰყოფნიდა. სწორედ ამიტომ, ერთადერთი ანტიკური ქვეყანა, რომელშიც დემოკრატია დამყარდა, სწორედ ძველი საბერძნეთი გახლავთ.

პირველი და უმთავრესი რაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადგება, ეს გახლავთ ბერძნების მიერ ტრადიციების ეჭვქვეშ დაყენებისაკენ სწრაფა. ძალიან ბევრი თანამედროვე ისტორიკოსი საბერძნეთში დემოკრატიის ჩასახვას მის გეოგრაფიულ

მდებარეობას მიაწერს, ჩვენი აზრით ეს არ არის ჭეშმარიტება. რა თქმა უნდა სამი გარემოება უნდა გამოვიკვლიოთ, რომელიც საბერძნეთში დემოკრატიის ჩასახვის ფენომენის გაანალიზებაში დაგვეხმარება: 1. გეოგრაფიული მდებარეობა; 2. წარმოების წესი და მონობის ინსტიტუტი; 3. უძლიერესი ფლოტის არსებობა. არსებობს მოსაზრება, რომ ქვეყნის დემოკრატიულმა მდებარეობამ, რომელმაც საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებად დანაწილება განაპირობა, დემოკრატიის განვითარებას შეუწყო ხელი, რადგან დემოკრატია დეცენტრალიზაციასა და მისგან გამოწვეულ აზროვნებისა და ქმედებების მრავალფეროვნებას ნიშნავს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული მდებარეობა საბერძნეთში ახ. წ. 1480 წელს ან ძვ. წ 1200 წელს იგივე იყო, მაგრამ ისეთი ტიპის წარმომადგენლობითი დემოკრატია არ დამყარებულა, როგორიც პერიკლეს ეპოქაში დამყარდა. გეოგრაფიული მდებარეობის გამო, თუ სხვა მიზეზების გამო, ერთიანი სახელმწიფოს პატარ-პატარა პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილება სულაც არ წარმოადგენს ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის დამყარების წინაპირობას. ამის საწინააღმდეგოდ, მრავალი მაგალითი არსებობს დანაწილებული პოლიტიკური ერთეულებისა, სადაც არ არსებობს დემოკრატია და მონარქიული მმართველობა სუფევს, მაგალითად, ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები. მაგალითად რომში, მხოლოდ რესპუბლიკის ეპოქაში დამყარდა დემოკრატია, რომელიც ფორმალური იყო და მას არ ჰქონდა არანაირი შინაარსობრივი, არსებითი მსგავსება ანტიკური ათენის დემოკრატიასთან. სინამდვილეში რომში პოლიტიკური ჯგუფების მიერ ყოველთვის არსებობდა სწრაფვა ოლიგარქიული მმართველობის დამყარებისა. საარჩევნო სისტემა მხოლოდ ათენში გახლდათ იმგვარად მოწყობილი, რომ ხმების მოპარვა გამორიცხული იყო, რომისგან განსხვავებით, სადაც პლებეებიც კი პატრიციებს აძლევდნენ თავიანთ ხმებს, რადგან თავისდაუნებურად, საარჩევნო სისტემა დემოკრატიული და გამჭვირვალე არ იყო. გარდა ამისა, მონობის ინსტიტუტი მეზობელ სპარტაშიც არსებობდა, მაგრამ იქ ნამდვილი დემოკრატია არასოდეს დამყარებულა, იმ ეპოქის აზიის მრავალ ქვეყანაში მონობის ინსტიტუტი არსებობდა, აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტებისგან ძალიან შორს არის მოსაზრება, რომ თითქოს ათენში დემოკრატიის დამყარებას მონობის ინსტიტუტმა და წარმოების წესმა შეუწყო ხელი. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არა მარტო ათენში არამედ მრავალ ქვეყანაში უნდა

დამყარებულიყო დემოკრატია. რაც შეეხება ძლიერ შეიარაღებას და განსაკუთრებით ძლიერ ფლოტს, შეიძლება ითქვას, რომ ამ გარემოებამ ძლიერი ქალაქ-სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო, მაგრამ მას არანაირი კავშირი არა აქვს დემოკრატიასთან, რომელიც იდეოლოგიას წარმოადგენს. არც ის არგუმენტი გამოდგება ამ შემთხვევაში, რომ ათენელებმა ძლიერი ფლოტისა და შეიარაღების წყალობით საბერძნეთის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებში ძალით განავრცეს დემოკრატია, რადგან ნათელია, რომ პელოპონისის ბრძოლებში დამარცხდა ათენი და სპარტაში ოლიგარქიული მმართველობის დემოკრატიულით ჩანაცვლება ვერ განახორციელა. გარდა ამისა, ყველა ძლიერი ფლოტი ფინიკიელებს ჰყავდათ, მაგრამ დემოკრატია არც იქ დამყარებულა. ფლოტი და შეიარაღება სპარსელებსაც უძლიერესი ჰქონდათ, თუმცა დემოკრატიული მმართველობისგან ყოველთვის შორს იყვნენ. მაშ ასე, ათენში დემოკრატიის დამყარების მიზეზებად ზემოაღნიშნული და კლასიკური არგუმენტები არ გამოდგება. მიზეზები სხვა გარემოებებში უნდა ვეძებოთ. რაც შეეხება ბერძნულ ახალშენებს, დემოკრატიის დამყარების მიზეზად არც ეს შეგვიძლია მივიჩნიოთ. ახალშენებს ფინიკიელები და ებრაელებიც აარსებდნენ, თუმცა აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს, რაც ბერძნების დემოკრატიულ აზროვნებაზე მიუთითებს. როდესაც ფინიკიელები ახალშენებს აარსებდნენ, ისინი დაპყრობლის ცხოვრების წესისა და კანონების საკუთარით ჩანაცვლებას ცდილობდნენ, იგივეს აკეთებდნენ ებრაელებიც. ბერძნები კი ყოველთვის გარემოებების მიხედვით იქცეოდნენ. ისინი საკუთარი ფილოსოფიის და კანონების ახალშენებში იძულებით დანერგვას და დაპყრობილის ცხოვრების წესის შეცვლას არ ცდილობდნენ. მათი კულტურა იმ ეპოქის სხვა ხალხებთან შედარებით იმდენად დიდი იყო, რომ ახალშენებში მცხოვრებ ხალხს ბერძნული კულტურის ათვისების სურვილი თავად უჩნდებოდათ, რადგან ის მათთვის სიახლეს წარმოადგენდა. ამიტომ მრავალი გარემოება, რომელიც უამრავ ისტორიკოს მიაჩნია ათენში დემოკრატიის დამყარების წინაპირობად, ვფიქრობთ, რომ დაუსაბუთებელია. ჩვენ შევეცდებით ვიპოვოთ ის ნამდვილი მიზეზები და გარემოებები, რომლებმაც ათენში და მხოლოდ ათენში გამოიწვია დემოკრატიული მმართველობის დამყარება.

კ. კასტორიადისი წერს: „განსაკუთრებული, ერთადერთი და უნიკალური გარემოება, რომელიც ძველ საბერძნეთში სუფევდა, სამყაროს განსხვავებული და განსაკუთრებული აღქმა გახლავთ, ტრადიციული ღირებულებების ეჭვქვეშ დაყენება. საზოგადოება არ არის უცვლელად დაქვემდებარებული და მართული ტრადიციების მიერ, იმ ტრადიციული ფასეულობების მიერ, რომლებიც წინაპრებმა ან იეჰოვამ დაგვიტოვა, ან შეიქმნა ამა თუ იმ შიდა თუ გარე ფაქტორების მიერ. საზოგადოებას შეუძლია ეჭვი კანონების და კონკრეტული ეპოქის კონსტიტუციის მართებულობაშიც კი შეიტანოს. არ მიიღონ და ეჭვქვეშ დააყენონ კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ თუ ვინ უნდა მართოს, არისტოკრატიამ და მეფემ ტრადიციულად, თუ დემოსმა ახლებურად. ვისაც სწამს, რომ რომელიმე საზოგადოება მუდმივად უნდა იმართებოდეს ტრადიციული კანონებით, ძალიან ცდება” [Καστοριάδης1999: 13].

კონკრეტულ ეპოქაში არსებული მოცემულობის ეჭვქვეშ დაყენება გახლავთ ის გარემოება, რომელიც გამოარჩევს ბერძნებს სხვა ხალხებისგან. სწორედ ამ გარემოების გამო ძველ საბერძნეთში საზოგადოება ყოველთვის კრიტიკულად უყურებდა მმართველობის ამა თუ იმ ფორმას. ისინი ათვითცნობიერებდნენ, რომ არ შეიძლება ყოველთვის მეფემ მართოს ქვეყანა, ან საზოგადოების გაბატონებულ წრედ მუდმივად ევპატრიდები იყვნენ. იცვლება ეპოქა, მოთხოვნილებები, ფასეულობები და ამის შესაბამისად უნდა შეიცვალოს მმართველობის ფორმები, კანონები, კონსტიტუციები, კულტურა და ა.შ. ანტიკური ბერძნული ფასეულობები ალექსანდრე დიდის იმპერიამ, რომმა, შემდეგ ქრისტიანობამ და სხვადასხვა ისტორიულმა მოვლენებმა შთანთქეს, თუმცა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და მათმა მოსახლეობამ გაითავისა, რომ დადგა ისტორიული მომენტი ანტიკური კულტურის გაცოცხლებისა, რაც დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებაში გამოიხატა, აღორძინებისა და განმანათლებლების ეპოქის შექმნაში, თუმცა ისტორიამ აქაც ცხადჰყო, რომ ანტიკური დემოკრატიის დანერგვა რომელიმე სხვა გეოგრაფიულ სივრცეებში, გარდა დასავლეთისა ვერ მოხერხდა.

იმისათვის, რომ გარემოებას ჩავწვდეთ, თუ რა როლი შეასრულა ბერძნულმა აზროვნებამ და ფილოსოფიამ ანტიკური ხანის საბერძნეთში დემოკრატიის განვითარებაზე, მიმოვიხილოთ ზოგიერთი ბერძენი ფილოსოფოსის შეხედულება

სამყაროზე, ადამიანსა და თავისუფლებაზე. ჯონ ფერგიუსონი ნაშრომში „ადათ–წესები და ფასეულობები ძველ საბერძნეთში" წერს: „მაკედონელებს მიაჩნდათ, რომ გოგონას გათხოვებამდე უნდა ჰქონოდა ინტიმური ურთიერთობები, რათა ის დაფასებული ყოფილიყო, როდესაც დანარჩენი საბერძნეთი ამ ფაქტს მიუღებლად თვლიდა" [ferguson1989: 99]. მას მოჰყავს ძველბერძენი ფილოსოფოსის და სოფიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის – პროტაგორას (ძვ. წ. 485-410) ცნობილი ფრაზა, მაგალითად – „ადამიანი არის ყველა არსებულის საზომი". ავტორის აზრით, აქ ფილოსოფოსი უკვე უარყოფს ყველაფრის ღვთიურობის საწყისს და სამყაროს ცენტრში ადამიანს აყენებს. ასევე შეიძლება იმას გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი თავად არის თავისი საქციელებისა და სიმართლის მსაჯული. რაც მისთვის არის ტკბილი, მხოლოდ მისთვის არის ტკბილი და რაც მისთვის არის მწარე, მხოლოდ მისთვის არის მწარე. ის რაც მე მიმაჩნია სიმართლედ და სამართლიანად, შეიძლება სხვისთვის ის არ იყოს სამართლიანი და თუ სხვა უარს ამბობს ჩემს მიერ აღიარებულ სამართალზე, მისთვის ეს სამართალი აღარ არის სამართალი. ტრასიმაკუსის (ძვ. წ 459–400) აზრით კი, ღმერთებს სულ არ აინტერესებთ და არ ადარდებთ ის ღირებულება, რასაც ადამიანები მართლმსაჯულებას უწოდებენ და მათთვის უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს. მისი აზრით, სამართალი ძლიერების მხარესაა ყოველთვის, რადგან თუ რა არის სამართლიანობა და რა არა, ამას კანონი არეგულირებს. კანონებს კი ყოველთვის ძლიერები ქმნიან და რა თქმა უნდა, თავისი ინტერესების და არა საზოგადო ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში, ტრასიმაკუსი კანონების არსებობის აუცილებლობას არ უარყოფს, ის უბრალოდ ხაზს უსვამს მათი მიღების სუბიექტურობას და სამართლის არსებობას. ბერძნებისთვის კანონის არსებობა აუცილებლობით გამოწვეული არასოდეს ყოფილა. მათი ლოგიკა შემდეგში მდგომარეობდა: „თუ გადმოხტები მაღალი სართულიდან, მოკვდები" და ამ ფაქტს აღარ ესაჭიროება კანონით დარეგულირება, რადგან ყველამ იცის, რომ თუ მაღალი სართულიდან გადმოხტება, მოკვდება. შესაბამისად, ამას არავინ გააკეთებს [ferguson1989: 99].

ბერძნები არასოდეს ემორჩილებოდნენ კანონებს, ღმერთებს, ან საზოგადოების გაბატონებული ფენების მიერ შექმნილ კანონებს. მათ მეტი შინაგანი თავისუფლება

გააჩნდათ, ვიდრე სხვებს. თავისუფლების შეგრძნება კი დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრების მთავარი საფუძველია. სწორედ აღნიშნული მიზეზების გამო ძვ. წ. 632 წელს ევპატრიდების წინააღმდეგ დემოსი ბრძოლას იწყებს, ბრძოლას იწყებს თავისუფლებისთვის, რაც მომდევნო წლებში ათენში დემოკრატიის დაბადებას გამოიწვევს.

კიდევ ერთი გარემოება, რამაც ათენში დემოკრატიის დამკვიდრება გამოიწვია, თავისთავადობა და პრაქტიკული აუცილებლობა იყო. ბერძნულ გაზეთ „თავისუფალ ტიპში" (ΕΛΕΥΘΕΡΟΤΥΠΙΑ), ცნობილმა პუბლიცისტმა ნიკოს ვარდიაბასისმა გამოაქვეყნა **(Νίκος Βαρδιάμπασης)** სტატია, „ათენის დემოკრატია" **(ΗΑΘΗΝΑΪΚΗ ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑ),** „მმართველობის პრაქტიკული მხარე" **(Μια πρακτική λύση διακυβέρνησης),** სადაც წერს, რომ გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსი და დიპლომატი პროკოპი კესარიელი (ახ. წ. 507-562) ეჭვის თვალით უყურებდა ანტიკურ დემოკრატიას. მას ეს ტერმინი ესაჭიროებოდა, რათა განესხვავებინა იმპერატორ იუსტინიანეს ავტოკრატორული მმართველობა ბრბოს მმართველობისგან. მეტიც, კესარიელს მიაჩნდა, რომ დემოკრატიული მოდელი ბარბაროსებისთვის იყო განკუთვნილი და მას არანაირი შეხება ჰქონდა იმპერატორის მეფურ მმართველობასთან.

კესარიელის აზროვნება არაფრით განსხვავდებოდა კლასიკური ეპოქის სხვა მოაზროვნეებისაგან, მასაც მიაჩნდა, რომ შეუძლებელია არჩევნების წესით მასას მიეცეს საშუალება გააუქმოს რჩეულებისა და ეკონომიკურად ძლიერი ფენის გადაწყვეტილებები, მაგრამ დემოსი ქალაქს ნიშნავს და სიტყვა დემოკრატია ასევე ნიშნავს მმართველობის ფორმას, რომელიც ქალაქში მრავალი ადამიანის ჰარმონიულად ცხოვრების დამკვიდრების მექანიზმს იძლევა. პრაქტიკული მნიშვნელობა დემოკრატიისა ეს არის, სხვა საკითხია თუ როგორ გამოიყენება ეს ტერმინი პოლიტიკურად. მრავალი ადამიანის ერთ გეოგრაფიულ სივრცეში თანაცხოვრებას ვერც ერთი მმართველობის ფორმა ვერ დაარეგულირებს ისე, როგორც ამას დემოკრატია ახერხებს.

კანონები, რომელსაც დემოკრატია გვთავაზობს, ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები მრავალი ადამიანის საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრას ემსახურება, თუმცა ადამიანებს, რომლებიც მონარქიულ და

ავტოკრატორულ მმართველობის მოდელებს ემსახურებიან, დემოკრატიული მმართველობა არ მოსწონთ. თუმცა პისოსტრატეს დიქტატურის შემდეგ ათენში მოდის კლისტენი, რომელიც ათენში თანასწორობას ამკვიდრებს და საზოგადოების ყველა ფენის პრობლემების მოგვარებას ცდილობს.

როგორც ირკვევა ავტორი სწორად მიიჩნევს, რომ დემოკრატიას აქვს პრაქტიკული დანიშნულება, გარდა პოლიტიკური მნიშვნელობისა, რომელიც მმართველობის ამ მოდელის მიერ მრავალი ადამიანის საყოფაცხოვრებო პრობლემების თანასწორად მოგვარებას გულისხმობს და ითვალისწინებს. სწორედ ამიტომ, მონარქიულ და ავტოკრატორულ რეჟიმებს, ასევე მათ დამცველ ისტორიკოსებს არ აწყობთ დემოკრატიული მმართველობის მოდელის გაიდეალება, რადგან ასეთი რეჟიმები არ ემსახურებიან საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს, არამედ მხოლოდ გარკვეული პრივილეგირებული ფენების ინტერესებს იცავენ. ათენში დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი აუცილებლობა გახლდათ. კლიტენმა, სოლონმა, პერიკლემ და სხვა რეფორმატორებმა ნათლად დაინახეს, რომ საზოგადოების ერთი ფენის მოთხოვნების დაკმაყოფილება იწვევდა საზოგადოების სხვა ფენების უკმაყოფილებას, ამიტომ უნდა შეექმნათ მმართველობის მოდელი, რომელიც ყველას ინტერესებს თანაბრად დაიცავდა. ამ ამოცანის გადაჭრისთვის კი საუკეთესო მექანიზმია დემოკრატიული მმართველობის მოდელი. ამიტომ, გარდა ბერძნების ეროვნული თვითშეგნების ფაქტორისა, დემოკრატიის დამკვიდრებას ანტიკურ ათენში იმ ეპოქის საზოგადოების პრაქტიკულმა, საყოფაცხოვრებო მოთხოვნებმა შეუწყო ხელი. მონარქიისა და ავტოკრატორული მმართველობის პირობებში, სადაც მმართველი არ ცდილობს საზოგადოების ყველა ფენის (რომელიც ამავდროულად უმრავლესობასაც წარმოადგენს) მოთხოვნების თანაბრად დაკმაყოფილებას, რა თქმა უნდა დემოკრატია ზედმეტია და ის არავის ესაჭიროება.

VII საუკუნის განმავლობაში განვითარებული აღებ-მიცემობა ისედაც მადაგახსნილ წარჩინებულ წოდებას კიდევ უფრო გაუმაძღარს ხდიდა. ევპატრიდები მთელ თავის სახელმწიფოებრივ ძალასა და გავლენას იმისთვის იყენებდნენ, რომ დემოსის უუფლებო მდგომარეობით ესარგებლათ და მისი ხარჯით თავისი ისედაც

სავსე ჯიბე კიდევ უფრო გაესქელებინათ. ღარიბი გლეხობა ევპატრიდების ვალში ვარდებოდა. მოვახშისთვის დიდი სარგებლის გადახდა მათთვის ძნელი იყო და ამიტომ თავიანთ უკანასკნელ მასაზრდოებელ მიწას ჰკარგავდნენ. მიწა მდიდრების ხელში გადადიოდა და თვით გლეხი იძულებული იყო ამიერიდან თავის ყოფილ მიწაზე ემუშავა და მთელი მოსავლის მეხუთედი მებატონისთვის ეძლია. ჰეკტამორიობამ ათენში ფართო ხასიათი მიიღო. ამ პირობებში ხალხი დიდხანს ვერ გაძლებდა და ევპატრიდების წინააღმდეგ ძლიერი მოძრაობა გაჩაღდა. ძვ. წ. 632 წელს კილონმა ათენა-პალადის დღესასწაულის დღეს, ქალაქის ციხე აკროპოლი დაიპყრო და იქიდან ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა, თუმცა საზოგადოებამ ეს საქციელი ქალღმერთის შეურაცყოფად მიიღო და მას მხარი არ დაუჭირა. კოლონის ამბოხებამ შედეგს ვერ მიაღწია და ევპატრიდების ძალაუფლება ხელუხლებელი დარჩა.

ეს იყო პირველი მასშტაბური პროტესტი, რომელიც დემოსმა ევპადრიდების უსამართლო მმართველობის მიმართ გამოხატა. რა თქმა უნდა გარკვეული მიზეზების გამო ამ პროტესტმა დემოსისთვის სასურველი შედეგები ვერ გამოიღო, მაგრამ უკვე ნათელი იყო, რომ მომავალ მმართველებს, რომლებიც მოვიდოდნენ ხელისუფლებაში, დემოსის უფლებების გათვალისწინება და გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწევდათ. დემოკრატიის ჩასახვა და მისი აღმოცენება იწყებოდა, დემოსი უკან დახევას არ აპირებდა.

ძვ. წ. 621 წელს სახალხო მოძრაობა კვლავ გაძლიერდა. ევპატრიდები იძულებული გახდნენ დაეთმოთ, თუმცა ეს დათმობა მხოლოდ მართლმსაჯულების წესების დაკანონებით შემოიფარგლა, დრაკონმა, რომელიც ამ ცვლილებებისთვის იყო არჩეული, არსებული წეს-წყობილება უცვლელი დატოვა, მან ჩაწერა ის კანონები, რომლებითაც ევპატრიდები მართლმსაჯულების განხორციელებისას სარგებლობდნენ და თავისი მოღვაწეობა ამით დაასრულა. დემოსის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა, ამიტომ დრაკონის კანონებს ხალხმა „სისხლის კანონები” უწოდა. ნათელი იყო, რომ მომავალ მმართველს კიდევ უფრო მეტის გაკეთება მოუწევდა დემოსის უფლებების განსამტკიცებლად. ეს გარემოება გახლავთ ნათელი მაგალითი ხალხის

მიერ ხელისუფლების ბოჭვის დაწყებისა, რაც დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა გახლავთ. ასეთი მმართველიც მალე გამოჩნდა, მას სოლონი ერქვა.

ძვ. წ. 594 წელს არქონტად სოლონი აირჩიეს. მას საზოგადოებრივი განხეთქილების დაწყნარება დაევალა. სოლონის მდგომარეობა ადვილი არ გახლდათ. ბრძოლა მხოლოდ ევპატრიდებსა და გლეხობას შორის როდი ყოფილა. საზოგადოების ასეთი მარტივი განაწილება ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად მოისპო და ათენში საშუალო და უმიწაწყლო გლეხობასთან ერთად, რომელიც მებატონის ყანას ამუშავებდა, მდიდარი ვაჭარ-მრეწველი და ყოველგვარ საკუთრებას მოკლებული ქალაქის მუშაც გაჩნდა. საზოგადოების ყველა ამ წრეს თავიანთი ინტერესები გააჩნდა. მდიდრებს თავიანთი უფლებრივი მდგომარეობის შენარჩუნება სურდათ, წარჩინებულები გაბატონებას ცდილობდნენ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოღვაწეობისკენ მიილტვოდნენ. ღარიბი ხალხი თავის გაჭირვებულ მდგომარეობას აპროტესტებდა. არაწარჩინებული, მაგრამ მდიდარი მეწარმეები ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვებას ლამობდნენ. სოლონს ისეთი წეს-წყობილება უნდა შეექმნა, რომ ყველანი დაეკმაყოფილებინა [**უზნაძე1918: 52–53**].

ძვ. წ. 594 წელს სოლონის მიერ გატარებულ რეფორმებში აისახება: 1. სეისახტია – ეს რეფორმა ეხებოდა სოციალურად და მატერიალურად დაუცველ ფენას, დაგირავებული მიწების მათზე დაბრუნებას გამოსყიდვის გარეშე. აქ ადამიანები როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო გირისაგან თავისუფლდებოდნენ; 2. სოლონის დროს, აიკრძალა მიწის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ადამიანის მონად გაყიდვა. ასევე, განხორციელდა მონებად გაყიდული მოქალაქეების გამოსყიდვა; 3. სოლონის მესამე რეფორმა შეეხო სოციალურ დაყოფას ქონების მიხედვით. I კლასი - მსხვილი მონათმფლობელები, მსხვილი ვაჭრები, ხუთასმედიმნიანები, ე.წ. პენტაკოსიოსმედიმნოსები (მოქალაქენი, რომელთა წლიური შემოსავალი შეადგენდა 500 მედიმნს), მათ შეეძლოთ ყველა თანამდებობის დაკავება, ეკისრებოდათ მაღალი სახელმწიფო გადასახადები, ომის დროს საკუთარი ხარჯით სამსახური; II კლასი – შეძლებული გლეხობა და ვაჭრები, რომელთაც ეკისრებოდათ ცხენოსან ჯარისკაცად კავალერიაში სამსახური, ე.წ. მხედრები. მასში შემავალ პირთა შემოსავალი 500-დან 300 მედიმნ ხორბალს (ან სხვა პროდუქტში მის ეკვივალენტს თუ ფულად თანხას)

შორის მერყეობდა. მხედრები თითქმის იმავე პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რითაც მოქალაქეთა პირველი კლასი. გამონაკლისს არქონტებისა და ხაზინადრების თანამდებობები წარმოადგენდა, რომელთაც გარკვეული პერიოდი მხოლოდ პირველი კლასიდან ირჩევდნენ; III კლასი – ღარიბი გლეხობა, ხელოსნები და მეთევზეები, ორასმედიმნიანები; შეეძლოთ საშუალო რანგის თანამდებობის დაკავება, სახალხო კრებაში მონაწილეობა; ევალებოდათ საკუთარი სახსრებით მძიმედ შეიარაღებული ქვეითების, „ჰოპლიტების" გამოყვანა, ე.წ. ძევგიტები; IV კლასი – დაქირავებული მუშები, უუფლებოები, 200 მედიმნზე ნაკლები შემოსავლის ან საერთოდ არაფრის მქონენი. შეეძლოთ ფლოტში მეზღვაურებად და მსუბუქად აღჭურვილ ჯარისკაცებად სამსახური, სახალხო კრებაში მონაწილეობის მიღება, ე. წ. თეტები; 4. ათენის პოლიტიკურ ორგანოებში სოციალური სტატუსის და ფენების მიხედვით მონაწილეობის რეფორმა, რომლის შედეგადაც 9 არქონტი მხოლოდ პირველი ორი კლასიდან ირჩეოდა; 5. თანასწორი საგადასახადო სისტემის დანერგვა; 6. სპეციალური შემოსავლების სისტემის დაწესება, რომელიც ათენის მოვლა-პატრონობისათვის იყო გათვალისწინებული, ასევე, ათენის საბრძოლო პოლიტიკის გასაძლიერებლად; 7. სახალხო კრება (ეკლესია) - სოლონის რეფორმების შედეგად სახალხო კრება ჩამოყალიბდა, რომელსაც მკვეთრად განსაზღვრული ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნდა - იგი წარმოადგენდა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს; 8 სახელმწიფო საბჭოს - ბულეს დაარსება - მართვა-გამგეობის უმაღლესი ორგანო. იგი 400 წევრისაგან შედგებოდა; 9. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (გელიეა) - თანამედროვე სასამართლო ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი [Νάκος1991: 119–120].

სოლონის დროს, აიკრძალა მიწის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ადამიანის მონად გაყიდვა. საბოლოო ჯამში, სასამართლოს განვითარების ისტორიის თვალსაზრისით სოლონის კანონშემოქმედება რომ შევაფასოთ ათენის დემოსის, საზოგადოების განვითარების კუთხით, უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდება. რა თქმა მას პირდაპირი, სახალხო დემოკრატია არ დაუმყარებია, მაგრამ ნათელია, რომ მისმა რეფორმებმა ანტიკურ საბერძნეთში დემოკრატიის განვითარებას ჩაუყარეს საფუძველი. იმდროინდელ სამყაროში და ნებისმიერ სახელმწიფოში ასეთი ტიპის რეფორმების განხორციელება უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. სოლონმა არა მარტო

მოახერხა მეტ-ნაკლებად საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების დაცვა, არამედ ევპატრიდებს დაანახა, რომ საზოგადოების სხვა ფენებსაც და მათ შორის დემოსსაც შეუძლია იბრძოლოს საკუთარი უფლებების განმტკიცებისთვის და დიდ წარმატებებსაც მიაღწიოს. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ იბადებოდა, ვითარდებოდა და აღწევდა თავისი განვითარების კულმინაციას დემოკრატია ანტიკურ საბერძნეთში.

5.2. ხელისუფლების დანაწილება ათენში

როდესაც საბერძნეთში გვაროვნული წყობილება იყო, არ არსებობდა ხელისუფლების დანაწილებაც, შესაბამისად, არ არსებობდა სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტები და თანამდებობის პირებიც. გვაროვნული წყობილების დასრულების შემდეგ, დაახლოებით ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ათენის სახელმწიფოს სათავეში მეფე ედგა, მაგრამ მისი ძალაუფლება დიდი არ იყო. მუდმივი ომიანობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მდიდარმა და ძლიერმა წინამძღოლებმა მოიპოვეს. მათ მეფის სახელიც კი მიითვისეს: როგორც მეფეს, ისე მათაც ბასილევსს უწოდებდნენ. ამიტომ მეფეთა გავლენა ხალხზე სუსტი იყო. ზოგჯერ ხალხი ბასილევსებს უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე მეფეებს. მეფე მხოლოდ ერთ-ერთი წინამძღოლთაგანი იყო. უფრო ადრე, მეფეს მეტი ძალაუფლება ჰქონდა, მაგრამ წარსულის მდგომარეობიდან მას აღარაფერი შემორჩა, გარდა სამღვდელო და სასამართლოს ძალაუფლების განხორციელების პრივილეგიისა. მეფე სახელმწიფოს საბჭოსთან ერთად განაგებდა. ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კი სახელმწიფოს შეეხებოდა, საბჭოში ირჩეოდა. ცხადია, საბჭოს წევრებად იგივე წარჩინებული წოდების წარმომადგენელი, ჯარის წინამძღოლნი, ბასილევსები ყოფილან, რომელნიც როგორც ნამდვილი მატარებელი ძალაუფლებისა, სხვა მხრივაც ხალხის ნამდვილ გამგებლებად გამოდიოდნენ. საბჭოს გარდა არსებობდა სახალხო ყრილობა, რომელიც დროგამოშვებით სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობდა, მაგრამ ეს მონაწილეობა დიდი არ იყო, ჯერ ერთი, ყრილობა იშვიათად იმართებოდა და მეორეც – ყრილობაზე ხალხი საკითხის არსებითად განხილვაში არ მონაწილეობდა, ხალხი მეფისგან ისმენდა, რაც უკვე გადაწყვეტილი

იყო და თავის აზრს სიჩუმით გამოხატავდა, რაც უკმაყოფილებას ნიშნავდა ან თანხმობას ყიჟინით [**უზნაძე1918: 17-18**].

როგორც ირკვევა, აღნიშნული ეპოქის ათენის სახელმწიფოში ხელისუფლების ფორმალური დანაწილება არსებობდა, მაგრამ ეს დემოკრატია არ გახლდათ, რადგან ხალხს არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდა. ის თავის მთავარ ფუნქციას ვერ ასრულებდა - საკანონმდებლო მოღვაწეობას, რაც მოგვიანებით, პერიკლეს ეპოქაში სრულყოფილად ათენში არსებულმა ფორმალურმა თანასწორობამ შეასრულა, რადგან ადამიანები ფორმალურად თავისუფლები იყვნენ, მაგრამ მათი ქონებრივი მდგომარეობა მაინც საგრძნობლად განსხვავებული იყო, ათენის მონათმფლობელური დემოკრატია კრიზისამდეც კი მიიყვანა [**Стадуб2003: Статья**]. ამიტომ, ამ ეპოქის დემოკრატიის გაიდეალება მართებული არ იქნებოდა. რა თქმა უნდა სახალხო ყრილობის უუფლებო მდგომარეობიდან უსერიოზულეს დემოკრატიულ ინსტიტუტად ჩამოყალიბებამდე ეპოქამ განვლო, მეფის ხელისუფლების შეკვეცის შემდეგ დრაკონმა, ლიკურგემ და სოლონმა მრავალი რეფორმა გაატარეს, რათა პერიკლეს ხანაში ათენის ქალაქ-სახელმწიფოში ნამდვილი სახალხო დემოკრატია დამყარებულიყო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეპოქის სხვა სახელმწიფოებისა და აზიის ქვეყნებისგან განსხვავებით, მონარქიული მართვის მოდელის პირობებში, ათენში მაინც არსებობდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და მეფე ერთპიროვნულ მმართველად ვერ გვევლინებოდა. მაშ ასე, მონარქიის ეპოქაში საბერძნეთში ხელისუფლების დანაწილება არსებობდა, სადაც მეფეს ბასილევსებისგან დაკომპლექტებული საბჭო ბოჭავდა და სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ფორმალურად მაინც სახალხო ყრილობის ინსტიტუტი არსებობდა, ასევე მეფე, რომელიც თუნდაც საბჭოს გავლენის ქვეშ მყოფი, სასამართლო ხელისუფლებას მაინც ახორციელებდა. საბერძნეთში დემოკრატიის დამკვიდრება ეტაპობრივად მიმდინარეობდა, მაგრამ არ არსებობდა ეპოქა, ან ისეთი ტიპის მმართველობა, როდესაც ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონოდა, რა თქმა უნდა თუ არ ჩავთვლით ალექსანდრე დიდის მმართველობას.

სოლონის მიერ გატარებულ რეფორმებზე ვისაუბრეთ, თუმცა კიდევ ერთხელ მოკლედ ის რეფორმები მიმოვიხილოთ, რომელიც მან ხელისუფლების დანაწილების კუთხით განახორციელა. მან სახელმწიფოებრივი უფლებები სიმდიდრის მიხედვით გაანაწილა, ასე რომ, ვინც უფრო მდიდარი იყო, მას მართვა-გამგეობაშიც მეტი უფლება მიენიჭა, მაგრამ არც დემოსი დატოვა უუფლებოდ. დემოსს როგორც სახალხო ყრილობაზე, ასევე სახალხო სასამართლოებშიც სრული ხმის უფლება მიანიჭა. ამგვარად, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მდიდრებსაც ჰქონდათ და ღარიბებსაც. აქტიური საარჩევნო უფლება საყოველთაო იყო, ხოლო პასიური - არასაყოველთაო. სახელმწიფო დაწესებულებების სტრუქტურაშიც სოლონმა ცვლილებები შეიტანა: 1. არქონნტატი; 2. სახალხო ყრილობა ანუ ეკლესია; 3. სახალხო სასამართლო ანუ გილიეა; 4. არეოპაგი; 5. სახელმწიფო საბჭო ანუ ბულე.

არქონტთა რიცხვი ისევ 9 დარჩა, თუმცა არქონტებს უკვე არა წარჩინებულობის, არამედ სიმდიდრის მიხედვით ირჩევდნენ და არჩევნები თვით ფილეებში დასახელებულ კანდიდატთა შორის წილისყრით ხდებოდა.

ეკლესია უკვე თანამდებობის პირთა არჩევნებში და ყოველი ახალი კანონის შემუშავებაში ღებულობდა მონაწილეობას, რაც დემოკრატიის განვითარების კუთხით წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა გილიეას მიენიჭა, გელიასტებად უკვე ყველა წოდების წრიდან ირჩევდნენ და იგი ნამდვილი დემოკრატიული დაწესებულება იყო. მოქალაქეებს შეეძლოთ თანამდებობის პირების წინააღმდეგ სარჩელი სწორედ გილიეაში შეეტანათ, რაც სახალხო ძალაუფლების გაძლიერებას ნიშნავდა და დემოსის მიერ სახელმწიფო მოხელეების კონტროლის გაძლიერებას. გილიეას გაძლიერებამ არეოპაგის შესუსტება გამოიწვია, რადგან მისი უფლებამოსილებები სწორედ გილიეას გადაეცა. არეოპაგის უმთავრესი მოვალეობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ზოგადი მეთვალყურეობით შემოიფარგლა.

ბულეს სახალხო ყრილობაზე წარსადგენი კანონპროექტების წინასწარ მომზადება და მისი სახალხო კრებისთვის უკან დაბრუნება დაევალა.

როგორც ირკვევა, სოლონის ეპოქაში დემოკრატიული ინსტიტუტები გაძლიერდნენ და ისინი აღარ ემსახურებოდნენ საზოგადოების მხოლოდ ერთი ფენის - ევპატრიდების ინტერესებს.

სოლონის მიერ გატარებული რეფორმების შემდეგ აღსანიშნავია კლისტენის რეფორმები. ძვ. წ. VI საუკუნეში არავის და მათ შორის არც სოლონს ათენში დემოკრატიის დამყარება აზრად არ მოუვიდოდა. შეიძლება ითქვას, რომ მან მმართველობის ამ მოდელის შემდგომში განვითარების ტენდენციას ჩაუყარა საფუძველი [**Andrews1987: 102**]. კლისთენმა საზოგადოების უმაღლესი კლასის წარმომადგენლების უფლებების შეზღუდვა ვერ მოახერხა და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ისიც მხოლოდ პერიკლეს მმართველობისას მოხერხდა ათენში საზოგადოებრივი თანასწორობის დაფუძნება [**Βλάχος1980: 40**]. მან ათენში დემოკრატიის დამკვიდრება ვერ მოახერხა, მაგრამ მან ამისთვის წინაპირობები შექმნა, რაც მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების განმახორციელებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა [**Mosse1988: 39**].

ბერძნულ გაზეთ „თავისუფალ ტიპში" ცნობილმა პუბლიცისტმა მიხეილ საკელარიუმ სტატია სათაურით - „თანასწორი მოქალაქეების პირდაპირი მმართველობა" გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნავს, რომ ბერძნული დემოკრატიის დაბადება ძვ. წ. 508 წელს, კლიტენის მიერ გატარებული რეფორმებით დაიწყო. ერთ-ერთი კანონი, რომელიც დემოსმა (სახალხო ყრილობა) მიიღო და რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებიც კი მონაწილეობდნენ, ითვალისწინებდა ათენის ყველა მოქალაქის თანასწორ მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. ამ კანონით სახალხო მმართველობა დადგინდა, რომელიც მოგვიანებით დემოკრატიის საფუძველი გახდა. ამავდროულად, სახალხო ყრილობაში მონაწილეობის მიღების უფლება ათენში ემიგრირებული უძველესი მოსახლეობის შთამომავლებმაც მოიპოვეს, ასევე ყველა ზომა იქნა მიღებული, რათა განსხვავება აღარ ყოფილიყო ძველ და ახალ ათენელებს შორის, არისტოკრატებსა და უბრალო ხალხს შორის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა უფლება მიიღეს ბულეს წევრები ყოფილიყვნენ, რომელსაც კანონპროექტების დამუშავება და სახალხო ყრილობისთვის წარდგენა ევალებოდა, თუმცა გარკვეული უთანასწორობა

შენარჩუნდა - არქონტების თანამდებობაზე დანიშვნის უფლება მხოლოდ მდიდრებსა და კეთილშობილი გვარების წარმომადგენლებს ჰქონდათ. უთანასწორობა, რომელიც კლისტენის მმართველობამ დატოვა, სახალხო ყრილობის მიერ სწრაფადვე იქნა გამოსწორებული. არქონტების თანამდებობაზე არჩევის უფლება, გარდა სტრატეგოსის და ზოგიერთი ეკონომიკური უფლებამოსილების მქონე არქონტებისა ჰიპპეებმა მოიპოვეს, (საზოგადოების ნაწილი, რომელსაც 300 მედიმნი შემოსავალი მაინც ჰქონდა), ასევე ძეგვიტებმა (წლიური შემოსავალი 200 მედიმნი) და თეტებმაც (წლიური შემოსავალი 200 მედიმნზე ნაკლები). დემოსის გადაწყვეტილებით ბულეს წევრებისა და არქონტების სტრატეგოსების გარდა, არჩევითი აღარ იყო, რადგან მრავალი შერეული სისტემა არჩევითობის და პირდაპირი კენჭისყრის მექანიზმებით მოისინჯა, საბოლოოდ პირდაპირი კენჭის ყრის სისტემა ძალაში დარჩა. არქონტებს და ბულეს წარმომადგენლებს ანაზღაურება გაწეული სამუშაოსათვის დაენიშნათ.

ძვ. წ. 462 წელს არეოპაგის შემაკავებელი უფლებები შეიზღუდა, რადგან მას შეეძლო ხელი შეეშალა სახალხო კრების გადაწყვეტილებაზე და ის სახალხო კრებას, ზოგიერთიც სახალხო სასამართლოებს და ზოგიერთიც ბულეს გადაეცა. სახალხო სასამართლოებმა მემკვიდრეობით გელიეას უფლებამოსილებები მიიღეს, რომელიც სოლონმა დააარსა და რომელშიც 6 000 მოქალაქე მონაწილეობდა. მის მთავარ ფუნქციას მოქალაქეების საჩივრის საფუძველზე არქონტების წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების აპელაცია წარმოადგენდა. რეფორმირებული გელიეა ასევე 6 000 კენჭის ყრით არჩეული 30 წელს მიღწეული მოქალაქეებისგან შედგებოდა, რომლებიც ფიცს დებდნენ, რომ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებდნენ. გელიეას ნაწილი ჩვეულებრივი სასამართლოების მოსამართლეებისგან იყო დაკომპლექტებული.

ერთი შეხედვით, ათენში ხელისუფლება დანაწილებული იყო, მაგრამ ზემოაღნიშნულის გაანალიზებიდან ადვილად შესამჩნევია, რომ მთელი ძალაუფლება სახალხო ყრილობას, ანუ დემოსს ეკუთვნოდა. მოქალაქე თვითონ იყო სახელმწიფო, ანუ მას არ ესაჭიროებოდა ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლების კონტროლი, ასეთი ტენდენცია უფრო თანამედროვე დემოკრატიებისთვისაა მახასიათებელი, სადაც ხელისუფლება არსებითადაა დანაწილებული და

ხელისუფლების ერთი შტო იძულებულია აკონტროლოს ხელისუფლების სხვა შტოები. ათენური დემოკრატიის პირობებში დემოსი წარმოადგენდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასაც. ყველა საქმე, რომელიც დემოსს ეხებოდა, გელიეას სასამართლოში ირჩეოდა, რომელიც ათენის მოქალაქისგან შედგებოდა, სახალხო ყრილობა სახელმწიფოებრი საქმეების შესახებ იღებდა გადაწყვეტილებებს, რომელიც ასევე დემოსის წარმომადგენლებისგან შედგებოდა და კანონპროექტებს წინასწარ ბულე ამზადებდა, რომელიც ასევე 500 სახალხო ყრილობის მიერ პირდაპირი წესით არჩეული ათენელი მოქალაქოსგან შედგებოდა. რაც შეეხება არქონტებს, მათ დემოსი არ ენდობოდა, რადგან მიაჩნდა, რომ თანამდებობის პირებს გადახრები აქვთ ტირანიისაკენ და ისინი არ არიან სანდონი, ამიტომ მათ ყველა არსებითი ძალაუფლება ჩამოერთვა. პირველ რიგში არქონტებს პირდაპირი წესით სახალხო ყრილობა ირჩევდა და მათი თანამდებობაზე დანიშვნა აღარ ეკუთვნოდა რომელიმე სხვა ორგანოს, გარდა სახალხო კრებისა. არეოპაგს ყველა ის უფლებამოსილება ჩამოერთვა, რომელიც სოლონის ეპოქაში ჰქონდა მინიჭებული და დარჩა მხოლოდ განზრახ მკვლელობებისა და უღირსი საქციელების განსჯის უფლება. სახელმწიფოებრივ საქმეებს ის ვეღარ წყვეტდა.

ყველა მოქალაქეს გააჩნდა უფლება კანონპროექტი წარედგინა სახალხო ყრილობაზე, ეს უკანასკნელი კანონპროექტს ბულეში მომზადების მიზნით აგზავნიდა, რათა აქ ბულეს მთავარ მიზანს წარმოადგენდა კანონპროექტის ტექნიკურად მომზადება, მისი დახვეწა, რის შემდეგაც ის კანონპროექტს სახალხო ყრილობას უგზავნიდა, რომელიც საბოლოოდ მას კენჭს უყრიდა. ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო ახალი კანონპროექტის გაუქმების მოთხოვნით მიემართა სახალხო ყრილობისთვის, თუკი ის ეწინააღმდეგებოდა უკვე არსებულ კანონებს (γραφή παρανόμων). ამ საჩივარს არა მარტო კანონპროექტის გაუქმება შეეძლო, არამედ მისი წარმდგენისა და სახალხო ყრილობის თავმჯდომარის ფულადი ან სხვა სახის სასჯელით დასჯა.

5.3. სოციალური კლასების ჩამოყალიბება ათენში

არისტიდეს, თემისტოკლესგან განსხვავებით, სწამდა, რომ ათენის და ათენელების ძალა მიწადმოქმედებაშია. მიწადმოქმედება განავითარებს ათენს, ხოლო გობლიტების ფუნქცია სახელმწიფოს დაცვაა [**Арский1971: 54**]. რაც შეეხება ათენის საზოგადოების ფენებად დაყოფას (მეტეკები, მოქალაქეები და მონები), ყველა ფენას სხვადასხვა უფლებები და მოვალეობები გააჩნდა და ამათგან ყველაზე მეტი უფლებებით მოქალაქეები სარგებლობდნენ, მაგალითად, მხოლოდ მათ ჰქონდათ საკუთრების ქონის უფლება, მათ ასევე გააჩნდათ მონების ყოლის უფლებაც. აღნიშნული ფაქტი თანასწორუფლებიანობის პრინციპის უხეშ დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს, იმ თანასწორუფლებიანობისა, რომელსაც დღეს ყველა დემოკრატიული სახელმწიფო კონსტიტუციურ დონეზე აღიარებს. მიუხედავად საზოგადოების სხვადასხვა ფენებისადმი ძველბერძნული პოლისების რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულებისა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების დამოკიდებულებისგან, დღესაც შემოგვრჩა მცირე, მაგრამ მაინც განსხვავებული დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა ფენებისადმი. იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციონალიზმში კონსტიტუციური სამართლის სუბიექტების კლასიფიკაცია ორი დიდი ჯგუფის სახით ხდება, თითოეული მათგანი სუბიექტთა გარკვეულ წრეს აერთიანებს. პირველი ჯგუფი კონსტიტუციური სამართლის ფიზიკური პირების, ან ადამიანთა ერთობლიობის სახით კონსტიტუციური სამართლის რამდენიმე განზოგადოებული სუბიექტისგან შედგება: ესენი არიან მოქალაქეები, უცხოელები, მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობენ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთა უფლებები გარკვეულად შეზღუდულია [**მელქაძე2006: 27**].

თუკი მეტეკები სახელმწიფო სამსახურში თავს გამოიჩენდნენ, ისინი უფლებებით ათენის სრულფასოვან მოქალაქეებს უთანაბრდებოდნენ. ისინი სპეციალურ და სამხედრო გადასახადებს აღარ იხდიდნენ [**Бузольт1890: 18**].

როგორც ზემოაღნიშნული ფაქტების ანალიზიდან ირკვევა, კაცობრიობამ ვერ მიაღწია მმართველობის ისეთ ფორმას, რომელშიც ყველა ადამიანი აბსოლუტურად თანასწორი უფლებებითა და თავისუფლებებით ისარგებლებს.

არისტოტელე და პლატონი ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე აფრთხილებდნენ კაცობრიობას, რომ დემოკრატია შეიძლება დემაგოგიად იქცეს, ხოლო საბოლოოდ კი, ტირანიად. ხსენებული პოლემიკა დემოკრატიის, როგორც მმართველობის უნივერსალური ფორმის შესახებ დღესაც მიმდინარეობს. არის დემოკრატია მმართველობის უნივერსალური ფორმა? ის დასავლეთში შეიქმნა, ანტიკურ საბერძნეთში და მოგვიანებით თავისი განვითარება დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰპოვა, დანარჩენი სამყარო, რატომღაც მმართველობის ამ ფორმას ვერ შეეგუა. იბადება მომდევნო კითხვა: დასავლეთში და დასავლურ კულტურაზე დაფუძნებული მართველობის ფორმა მისაღებია და თავსებადი დანარჩენი მსოფლიოსთვის? ის, რაც ანტიკურ საბერძნეთში იმდროინდელი საზოგადოებისთვის მისაღები აღმოჩნდა იქნებ, დანარჩენი სამყაროსთვის დღესაც მიუღებელია. როგორც ისტორია გვიდასტურებს, დემოკრატია ძველმა ბერძნებმა ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე აითვისეს, მიიღეს და მემკვიდრეობით გადასცეს თანამედროვე დასავლურ სამყაროს. თუ რომელი ქვეყანა რა დოზით და ფორმით მიიღებს დემოკრატიას, თითოეული ქვეყნის ტრადიციებზე, მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიაზეა დამოკიდებული.

5.4. პერიკლეს დემოკრატია

პერიკლე (pericles) (ძვ.წ. 490-429წ.), ძველი ბერძენი გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ათენის სტრატეგი (მთავარსარდალი), ძვ. წ. 444/443-429 (430-ის გამოკვლევებით), არისტოკრატიული წარმომავლობისა. მიიღო ბრწყინვალე განათლება. პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო როგორც რადიკალური დემოკრატიის ბელადმა. მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი რეფორმა, რომლებმაც ათენის სახელმწიფო წყობის დემოკრატიზაციას შეუწყო ხელი.

ქონებრივი ცენზი გააუქმა, სახელმწიფო სამსახურისთვის ჯამაგირი დააწესა (დიეტა) და ამით სახელმწიფო მართვა-გამგეობაში უღარიბესი ფენებიც ჩააბა;

სახალხო კრების (ეკლესია) უმაღლესი საკანონმდებლო უფლებანი გააფართოვა; მანამდე არსებული ღია ხმის მიცემის (ქეიროტონია) გვერდით საარჩევნო ფორმად კენჭისყრა შემოიღო; თეატრში სანახაობებზე დასასწრებად ღარიბთათვის დააწესა სახელმწიფო ხაზინიდან ფულის გაცემა (თეორიკონი); სანახაობებისა და მისტერიების ხარჯები მდიდარ მოქალაქეებს დააკისრა (ლიტურგია); უმიწაწყლო გლეხობას საგანგებოდ გამოყოფილ მიწებზე (კლერუქია) ასახლებდა; პერიკლეს დროინდელ ათენს „საბერძნეთს საბერძნეთში" უწოდებენ, ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ ფიდია, კალიკრატე, იქტინე, სოფოკლე და სხვ. ხელახლა აშენდა აკროპოლისი პროპილეთი, პართენონით, ოდეონით. აშენდა ნავსადგურები პირეოსი და ფალერონი. ათენი და პირეოსი მთლიან სტრატეგიულ ანსამბლად დიდი ქვის კედლებით („გრძელი კედლები", ანუ „პერიკლეს კედლები") შეერთდა, პერიკლე ათენის სამხედრო ძლიერებასა და საერთაშორისო ჰეგემონობას განამტკიცებდა. ზოგიერთი ქალაქის ცდას გასულიყო დელოსის კავშირიდან (კ. სამოსის აჯანყება) იარაღით ახშობდა, 443 წელს მოაწყო საზღვაო ექსპედიცია შავი ზღვის სანაპიროებზე („პონტოს ექსპედიცია") და ათენის სუვერენიტეტი იქაურ ბერძნულ კოლონიებზე გაავრცელა. პერიკლეს დროსვე პელოპონესის ომი (ძვ. წ. 431-404) დაიწყო. ატიკაში სპარტელთა შემოჭრამ და ეპიდემიამ პერიკლეს ავტორიტეტი შეარყიეს და 430 წელს იგი პირველ სტრატეგად აღარ აირჩიეს. სახელმწიფო ფინანსების ბოროტად გამოყენება დააბრალეს და დიდი ჯარიმა დაადეს. 429 წელს ისევ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება ჩააბარეს, მაგრამ იმავე წელს შავი ჭირით გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „არც ერთ ათენელს ჩემი მიზეზით სამგლოვიარო თალხი არ ჩაუცვამს". პერიკლეს მმართველობა საბერძნეთის ისტორიაში „ოქროს საუკუნის" სახელით შევიდა. კ. მარქსის თქმით: საბერძნეთის უმაღლესი აყვავება პერიკლეს ეპოქას ემთხვევა [ქსე1984: 25–26]. სანამ პერიკლეს ეპოქას გავაანალიზებთ, აუცილებელია მიმოვიხილოთ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც იმდროინდელ ათენში სუფევდა, რათა დავადგინოთ, რამ გამოიწვია დემოკრატიული პარტიისა და მისი ლიდერების – ეფიალტესა და პერიკლეს აღზევება. ამ გარემოებების გაანალიზების შედეგად დადგინდება თუ როგორ დაიბადა კაცობრიობის ისტორიაში

პირველად დემოკრატია არა მარტო როგორც სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა, არამედ როგორც სიტყვა.

სპარსეთთან გამართული ომის დასრულების შემდეგ ათენში ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ იმდროინდელ სამყაროში ათენელებს ყველაზე ძლიერი საზღვაო ფლოტი ჰყავდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ათენის მოსახლეობის ამბიციები უკიდეგანო იყო, ხოლო მათი ცხოვრების წესის ცვლისკენ სწრაფვა კი ბუნებრივი. ახალი ეკონომიკური მდგომარეობა კლასიკურ მონათმფლობელურ სოციალურ სისტემას სცილდებოდა, რომელსაც წარჩინებული მიწათმფლობელები წარმოადგენდნენ, ხოლო არეოპაგის დაკომპლექტების, შემადგენლობისა და ფუნქციონირების წესი საზოგადოების მოთხოვნებსა და ინტერესებთან სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა. გარდა ამისა, ათენის მოსახლეობა ფლოტის მშენებლობასა და რესტავრაციაში იყო ჩართული, რაც მათ დამატებით შემოსავალს უჩენდა, ასევე აგრძნობინებდა, რომ მათი ოჯახების რჩენა მხოლოდ მიწის დამუშავებაზე აღარ იყო დამოკიდებული, რომელიც ათენელთა ოჯახების ნორმალურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში არსებობისთვის საკმარისი არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ პერიკლეზე უამრავი ნაშრომი დაიწერა, არავინ ამახვილებს ყურადრებას მის წარმომავლობაზე და იმ გარემოებაზე, რომ ის ალკმეონიდთა არისტოკრატიულ გვარს მიეკუთვნებოდა [**Суриков1997: 14**]. სავარაუდოდ, აღნიშნული ფაქტი სამეცნიერო წრეების ინტერესს არ წარმოადგენს, რადგან პერიკლე, მიუხედავად თავისი არისტოკრატიული წარმომავლობისა, დემოკრატთა გარემოცვაში გაიზარდა და მას დემოკრატიული პრინციპებისთვის არასოდეს უღალატნია.

ათენელები სხვა პოლისებს როგორც მატერიალური, ასევე სულიერი და კულტურული განვითარების თვალსაზრისითაც უსწრებდნენ. სწორედ ამ დროს, პერიკლე ათენს მმართველად ევლინება, რომელიც კარგად გრძნობს საკუთარი ხალხის მაჯისცემას და ენდობა მას [**Оскар: Тм.1**].

საზოგადოების დაბალმა ფენამ, რომელიც ძირითადად ზღვის წყალობით არჩენდა ოჯახებს და ასევე საზოგადოების საშუალო ფენამ, რომელიც დაკავებული

იყო ვაჭრობითა და ნაოსნობით, იგრძნო, რომ ფლოტისა და ნაოსნობის შედეგად გაძლიერებულ ეკონომიკურ-სოციალურ პირობებში არსებული მმართველობა, რომელსაც ძირითადად წარჩინებული და მდიდარი მიწათმფლობელები წარმოადგენდნენ, არაეფექტური იყო. ათენელებმა გაიაზრეს, რომ მიწათმფლობელები მხოლოდ ერთი მიზეზით მონაწილეობდნენ ექსკლუზიურად სახელმწიფოს მართვაში და ეს მათი ეკონომიკური მდგომარეობა იყო, ხოლო ფლოტის განვითარების წყალობით შექმნილ კარგ სოციალურ პირობებში, რომელშიც საზოგადოების დაბალ და საშუალო ფენასაც გაუჩნდა დამატებითი შემოსავალი, მდიდარი მიწათმფლობელების ექსკლუზივი დასასრულს უახლოვდებოდა და უნდა დასრულებულიყო. საზოგადოების დაბალ და საშუალო ფენებს განზრახული ჰქონდათ არა მარტო არეოპაგის უფლებების შეზღუდვა, არამედ ძირეული და რადიკალური ცვლილებების განხორციელება, რომელიც აბსოლუტურად შეცვლიდა ათენის საზოგადოებასა და მმართველობის ფორმას. ისინი საზოგადოებრივი უთანასწორობის გაუქმებას და საზოგადოების ყველა ფენის ერთი და იგივე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ჩაყენებას ითხოვდნენ.

ძვ. წ. V საუკუნეში ასე დაიწყო სახალხო მოძრაობა ათენში, რომელიც მიზნად წარჩინებული მიწათმფლობელების რეჟიმის, როგორც მას უწოდებს ქრისტოს კ. რიგასი გაუქმებასა და სახალხო მმართველობის, ანუ დემოკრატიის დამყარებას ისახავდა. ასე დაიწყო პერიკლეს აღზევება და პერიკლეს ეპოქაში დემოკრატიამ როგორც მ. მ. გიუნი ამბობს, თავისი განვითარების კულმინაციას მიაღწია [**Γιούνη 2016:145–146**].

ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ეფიალტე (Εφιάλτης), სოფონიდის შვილი და პერიკლეს თანამებრძოლი, რომელსაც სავარაუდოდ დახმარებას არქესტრატე უწევდა, რომელზეც ისტორია არაფერს ამბობს და დუმს, თუმცა როგორც კ. რიგასი წერს, მას ახსენებს არისტოტელე თავის ნაშრომში – „პოლიტიკა". აღსანიშნავია, რომ ეფიალტეზე ძალიან მცირე ცნობები არსებობს, რაც ზოგიერთი ოლიგარქიული ფენის დამცველი ისტორიკოსების დამსახურებაა, ისეთების, როგორებიც იყვნენ პლატონი, არისტოტელე, თუკიდიდე, ფსევდოქსენოფონტი და სხვები. ეს იმით არის განპირობებული, რომ ამ მოაზროვნეებსა და ოლიგარქიული მმართველობის

დამცველებს სურდათ ათენში დემოკრატიის დამყარება წარმოჩენილიყო როგორც პერიკლეს ერთპიროვნული დამსახურება და არა როგორც ხალხისა და მათ შორის, ეფიალტეს ძალისხმევის შედეგი. სწორედ ამ ადამიანების დამსახურება გახლავთ ის, რომ დემოკრატიის მნიშვნელობამ ჩვენს ეპოქამდე მოაღწია არა იმ შინაარსით და არსით, რასაც ჭეშმარიტად შეიცავდა, არამედ სახეცვლილით.

როდესაც სახალხო მოძრაობა გაძლიერდა, ეფიალტემ გელიეას სასამართლოები გამოიყენა, რომლებიც სოლონის ეპოქაში შეიქმნა და წარჩინებული არეოპაგიტელები სათითაოდ დაადანაშაულა სახელმწიფოს არაეფექტური მმართველობის განხორციელებაში, როგორც კ.რიგასი წერს, ეფიალტე მდიდრებისა და წარჩინებულების ღამის კოშმარი გახდა, მათ მოსვენება დაეკარგათ და ყოველ დღე ელოდნენ, თუ როდის დაისჯებოდნენ იმ მექრთამეობისა და არაეფექტური მმართველობისთვის, რომელსაც წლების განმავლობაში ეწეოდნენ [**Ρήγα2015: 47-48**]. აღსანიშნავია, რომ სიტყვა Εφιάλης ბერძნულად ნიშნავს შიშს, მძაფრ შიშს, საშინელებას, რომელიც სწორედ ამ ადამიანის სახელს და იმ ეპოქაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. სტაბილური და ხისტი პოლიტიკის გამო, რომლის წყალობითაც ძალიან ბევრ არისტოკრატიული წარმოშობის ადამიანს მოუწია სასამართლოს წინაშე პასუხისგება, ეფიალტემ მრავალი მტერი გაიჩინა [**ΙΣΤΟΡΙΑ ΤΟΥ ΕΛΛΗΝΙΚΟΥ ΕΘΝΟΥΣ 1970: 54-55**].

მ. გიუნი წერს, რომ ძვ. წ. 462 წლამდე, ანუ სახალხო მოძრაობის დაწყებამდე და ეფიალტეს გამოჩენამდე არეოპაგი შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდა, ხოლო ძვ. წ. 462 წლის შემდეგ, როდესაც ეფიალტემ სახალხო კრებას წინადადებით მიმართა, რომელიც არეოპაგის უფლებების შეზღუდვას ეხებოდა და რომელიც სახალხო კრებამ მიიღო, არეოპაგის უფლებები მკვეთრად შეიზღუდა, მას ყველა პოლიტიკური უფლებამოსილება ჩამოერთვა და ხუთასთა საბჭოს გადაეცა, იგივე ბულეს, ასევე სახალხო ყრილობას და სასამართლოებს. არეოპაგს ერთადერთი უფლებამოსილება – განზრახ ჩადენილი მკვლელობების განსჯა-გასამართლება დარჩა. მ. გიუნი ამბობს, რომ არეოპაგის უფლებამოსილებების გაუფასურებას კარგად ასახავს ესქილე თავის საყოველთაოდ ცნობილ ტრაგედიაში "ევმენიდები", სადაც ეს ყველაზე მძაფრად ორესტეას ტრილოგიის ბოლო დრამაში ჩანს. ძველი მითი, რომელიც ღვთიური

სასამართლოს შესახებ გვიამბობს, სადაც მსჯავრდებული, ომის მრისხანე ღმერთი თავად არესი გახლდათ და მის განსჯას დანარჩენი ღმერთები ახორციელებდნენ. ეპიზოდში ნაჩვენებია, რომ არესი უძლეველი ღმერთი აღარ არის, იგი ჩვეულებრივი მოკვდავია და ათენში მართლმსაჯულებას ათენელები ქალღმერთ ათენას თაოსნობით განახორციელებენ, რომელიც აპოლონის დახმარებით ათენის დამცველად ითვლებოდა [Γιούνη2016: 145–146].

ესქილეს ტრაგედიის აღნიშნული ეპიზოდიდან ნათლად ჩანს და კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ანტიკურ საბერძნეთში ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის მომწიფებასა და განხორციელებას ყოველთვის ჰქონდა თავისი იდეოლოგიური საფუძველი, რომელიც ბერძნების გაბედულებასა და რადიკალური ცვლილებებისაკენ სწრაფვას განაპირობებდნენ. თუკი არესი განსაჯეს და მას ათენში მართლმსაჯულების განხორციელების უფლება ჩამოართვეს, რატომ არ უნდა ჩამოერთვეს ეს უფლება არეოპაგს, რატომ უნდა იყოს ერთი პოლიტიკური ორგანოს კომპეტენციაში თავმოყრილი ყველა უფლებამოსილება, თუკი ძველი მითი გვეუბნება, რომ ღმერთების განსჯაც შეიძლება.

ანტიკური ეპოქის ბერძნებისთვის სამყარო ადამიანებისთვის და მათი კეთილდღეობისთვის არ შექმნილა, ასევე არ არსებობს ზებუნებრივი ძალა, რომელიც სამყაროში არსებობს და ის ცდილობს ადამიანებს დაეხმაროს, ან თუ არსებობს, ადამიანების ბედი მას არ ანაღვლებს. რაც შეეხებათ ღმერთებს, ისინი ადამიანების ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ ერევიან, თუ მათ შეეწინააღმდეგებიან, ან არ შეუსრულებენ სურვილს. ეს კი ადამიანის საკეთილდღეოდ ჩარევა არ არის, არამედ მის დასაოკებლად და წინააღმდეგობის გასაწევად. ასევე, არც ღმერთები არიან ყოვლისშემძლენი, რადგან მათ არსებობამდე უხილავი ბედისწერა არსებობდა, რომელმაც მათი შექმნა და არსებობა დაუშვა. ძველ ბერძნებს არც გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლის სწამდათ და თუ სწამდათ, აღიარებდნენ, რომ იმქვეყნიური ცხოვრება გაცილებით საშინელია, ვიდრე ამქვეყნიური. ძვ. წ. V საუკუნის საბერძნეთში არსებული მსოფლმხედველობის მიხედვით, სამყაროს შექმნა ქაოსიდან დაიწყო და ეს ქაოსი გრძელდება, რაც ადამიანების დაბერებასა და სიკვდილში გამოიხატება. ბერძნებისთვის მიუღებელი იყო ერთი ისტორიული კანონის არსებობა, რომელიც

უცვლელია და არეგულირებს იდეალური საზოგადოების შექმნის პირობებს. მათთვის ასევე მიუღებელი იყო მესიანიზმი, ისინი ფიქრობდნენ, რომ რაც მოსახდენი იყო, ცუდი თუ კარგი, მოხდებოდა აქ, ამ ქვეყნად და რაც არ ხდება ამ ქვეყნად, ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, დაე, ღმერთებმა გადაწყვიტონ პრობლემები, რომლებიც სადღაც „იქ", ზეცაში ხდება. პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს ვერ მოგვიგვარებენ ღმერთები, რადგან ისინი უნდა მოგვარდეს აქ, რასაც სჭირდება პოლიტიკაში ჩახედულობა და მისი ღრმა ცოდნა. მათი აზრით, ადამიანის შინაგანი სამყაროც ქაოსით არის მოცული და ადამიანის ქმედების ან მისი შედეგების წინასწარ განსაზღვრა, შეუძლებელია. ათენელებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ მათი ქმედებები არ განისაზღვრებოდა და არც იმართებოდა ზებუნებრივი ძალებისაგან, არამედ ნებისმიერი ქმედებისთვის, რომელსაც ისინი ჩაიდენდნენ, თავად იყვნენ პასუხისმგებელნი, გამომდინარე აქედან, ნებისმიერი საქციელის ავკარგიანობის კოეფიციენტის საზომი ადამიანის წინათგრძნობა და ინტუიცია არის და არა ღმერთების, ან თავად ადამიანის მიერ წინასწარ განსაზღვრული ქმედებებისა და საქციელების არეალი [Καστοριάδης 1999:23]. სწორედ ასეთი ტიპის აზროვნებამ, რომელიც უარყოფდა ავტორიტეტებს და მიიჩნევდა, რომ ყველაფერი ამქვეყნად იწყება და მთავრდება აქვე, ათენის ქალაქ-სახელმწიფოში დემოკრატიის დამყარება გამოიწვია, როგორც ჩანს, დემოკრატიის დაფუძნებას რამდენიმე წინაპირობა თან ახლდა: 1. ავტორიტეტების უარყოფა; 2. სიკვდილის შიშის დაძლევა და იმქვეყნიური ცხოვრების არსებობის უგულებელყოფა, რადგან მხოლოდ ასე არის შესაძლებელი საზოგადოება იყოს თავისუფალი და არ იყოს შებოჭილი; 3. საზოგადოებრივი თანასწორობის შეგრძნება, რაც ღმერთების ავტორიტეტულობის უარყოფით მყარდება. თუკი ღმერთებიც არ არიან ყოვლისშემძლენნი, მაშინ მით უმეტეს არ არსებობს ყოვლისშემძლე ადამიანები.

დემოკრატია ვერ იარსებებს გარემოში, რომელშიც არ, ან ვერ აზროვნებენ თავისუფლად, თავისუფლად მოაზროვნეთა გარემოში კი გამორიცხულია ერთ პირს, ან პოლიტიკურ ორგანოს შეუზღუდავი ძალაუფლება გააჩნდეს. ბერძნული მითოლოგია ყოველთვის იყო სავსე ადამიანებსა და ღმერთებს შორის ჭიდილით, სადაც შეიძლება ადამიანები მარცხდებოდნენ, მაგრამ ბრძოლაზე უარს არასოდეს

ამბობდნენ. სწორედ ესოდენ ძლიერი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, რომელიც ახასიათებდათ ბერძნებს, ათენში დემოკრატიის დამყარების წინაპირობა გახდა.

ეფიალტემ კაცობრიობას ორი გარემოებით დაამახსოვრა თავი, პირველი იმით, რომ მან უამრავ არქონტზე შეიტანა საჩივარი და მათ არასახელმწიფოებრივ ქმედებებში, საჯარო ინტერესების უგულებელყოფაში და მიკერძოებულობაში დადო ბრალი, რა თქმა უნდა ის პირველი იყო, რომელმაც გაბედა მმართველი ელიტის წინააღმდეგ ასე მძაფრად გალაშქრება და მეორე, მან ფაქტიურად არეოპაგის განუსაზღვრელი უფლებამოსილებები შეზღუდა, რამაც საფუძველი ათენში დემოკრატიის დაბადებას ჩაუყარა.

ეფიალტეს მიერ განხორციელებული ეს ორი პოლიტიკური აქტივობაც კი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ათენში დემოკრატიული მმართველობის დამყარება მარტო პერიკლეს ერთპიროვნული დამსახურება არ გახლდათ, არამედ ეს მისი თანამებრძოლის ეფიალტეს და ათენელი მოქალაქეების დამსახურებაც იყო. სწორედ ამიტომ, რიგასმა თავის ნაშრომს "ეფიალტეს დემოკრატია" დაარქვა (მოქალაქეების ძალაუფლება) და არა პერიკლეს დემოკრატია.

მ. ალექსიშვილი პერიკლეს ბელადს უწოდებს, რაც შეცდომაა. ის წერს: „პერიკლე იყო ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის ყველაზე პროგრესული წარმომადგენელი. სახალხო კრებებზე წარმოთქმულ სიტყვებში პერიკლე არამცთუ თეორიულად ასაბუთებს ათენის სახელმწიფოს დემოკრატიული მართვა-გამგეობის უპირატესობას სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა სხვა ფორმასთან შედარებით, არამედ დაწყებული 462 წლიდან ჯერ როგორც რადიკალ-დემოკრატიული პარტიის ბელადი, ხოლო შემდეგ, 445 წლიდან, როგორც ათენის მონათმფლობელური სახელმწიფოს ოფიციალური მეთაური - პრაქტიკულად ატარებდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში თავისი ზოგადი თეორიული კონცეფციიდან გამომდინარე დემოკრატიულ ღონისძიებებს". თუმცა შემდეგ თავად აღნიშნავს, რომ "პერიკლეს როლის გაზვიადება და მისი დროის დემოკრატიის მონარქიზმად გადაქცევის მტკიცება, რასაც სხვა ისტორიკოსებიც იზიარებდნენ, როგორც ძველებიდან (ტელეკლიდე, პლუტარქე), ისე ახლებიდანაც (მეიერი, ბელოხი), რა თქმა უნდა, სწორი არ არის. სხვა არგუმენტების მოყვანას რომ თავი დავანებოთ, საკმარისია გავიხსენოთ

პერიკლეს მართვა-გამგეობის უკანასკნელი წლები, როცა ის თანამდებობიდან გადააყენეს და თანაც დიდი თანხით დააჯარიმეს, რათა დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად არ არსებობდა მონარქიული ხელისუფლებისათვის ათენში ნიადაგი" [ალექსიშვილი1947: 19–20].

როგორც იკვეთება, მ. ალექსიშვილი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს აფიქსირებს, რადგან ბელადებს არ სჯიან და ვერ სჯიან, ვერ დევნიან სამშობლოდან. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ ეპოქას, რომელშიც მ. ალექსიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, სიტყვა ბელადი მთლიანად სახელმწიფოს ნიშნავდა და ასევე ხელისუფლების სამივე შტოს საკანონმდებლოს, აღმასრულებელსა და სასამართლოს. ბელადი იყო თავად სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სიტყვა ბელადს ავტორი არასწორ კონტექსტში იყენებს, მეტიც, პერიკლე არა თუ არ ყოფილა ბელადი, არამედ ხალხის მიერ დაქირავებული საჯარო მოხელე იყო, რომელიც ემსახურებოდა ხალხს და აღასრულებდა საზოგადოების ნებას, როდესაც ისეთ სახელმწიფოებში, რომლებშიც მმართველობას ბელადები ახორციელებენ, ყველაფერი პირუკუ ხდება, ანუ ხალხი ბელადის ნება-სურვილებს აღასრულებს და მის სამსახურში დგას. კ. რიგასის აზრით, პერიკლეს ეპოქაში, ძალაუფლება, რომელიც ხალხს გადაეცა, განუსაზღვრელი და შეუზღუდავი იყო, ის იზღუდებოდა მხოლოდ კანონის უზენაესობით და სხვა არაფრით. სახალხო კრება უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა და ის გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე იღებდა, ასევე საგარეო და საშინაო პოლიტიკაზეც. არც ერთ სხვა სახელმწიფო ხელისუფლების შტოს წარმომადგენელს ქვეყნის ბედ-იღბალზე არ შეეძლო სახალხო კრების გარეშე გადაწყვეტილების მიღება. ყველაზე წვრილმან საკითხებზე და სახელმწიფო უსაფრთხოების თემებზეც გადაწყვეტილებას სახალხო კრება იღებდა ღიად, საჯაროდ და გამჭვირვალედ. ათენური დემოკრატიისთვის მიუღებელი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრისთვის სპეციალური ორგანოს შექმნა, ან ქვეყნის უსაფრთხოების ნდობა რამდენიმე პირისთვის, რომლებიც აღნიშნულ ორგანოს დააკომპლექტებდნენ. ათენელების ასეთი გამჭვირვალობა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას ბევრს დემოკრატიის სისუსტედ მიაჩნდა, რადგან მტრებმა

ყველაფერი იცოდა მათ შესახებ, თუმცა ეს გარემოება არ ადარდებდა ათენელებს და ისინი ამ ღიაობას და პირდაპირობას ათენური დემოკრატიის ძლიერების დემონსტრაციად მიიჩნევდნენ.

კ. რიგასი ათენში დემოკრატიის დამკვიდრებისთვის არც სოლონის და არც კლისტენის მიერ გატარებულ რეფორმებს მიიჩნევს მნიშვნელოვნად და ის საზეიმოდ აღნიშნავს, რომ ძვ. წ. 462 წელს დემოკრატია, ნამდვილი დემოკრატიაა და არა მარტო როგორც მართვის სისტემა, არამედ როგორც სიტყვა და ეს გამორჩეული მომენტია კაცობრიობის ისტორიაში [Ρήγα2015: 51–72–73].

„ეს წიგნი არის კვლევის შედეგი, რომელიც ჩემთვის გავაკეთე. მაინტერესებდა თუ არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში პერიოდი, რომელშიც უბრალო მოქალაქე არ გახლდათ პოლიტიკურად და სოციალურად ისეთი შეზღუდული და შებოჭილი, როგორიც ის დღეს არის. მაინტერესებდა გამეგო, ოდესმე დემოკრატიამ თუ იფუნქციონირა ჭეშმარიტად და ისე, როგორ შინაარსაც ამ სიტყვის ეტიმოლოგიური განმარტება იძლევა, თუ იყო ცარიელი სიტყვა, რომელიც ხალხის შეცდომაში შეყვანისთვის გამოიყენებოდა. ჩემმა კვლევამ მთელი ეპოქა მოიცვა, იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანებმა პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება დაიწყეს და დღემდე, ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ნამდვილი დემოკრატია მხოლოდ ათენში ძვ. წ. 462 წლიდან ძვ. წ. 322 წლებამდე დაიბადა და ფუნქციონირებდა" (პერიკლეს ეპოქა) [Ρήγα2015: 13].

კ. რიგასის აზრით, ათენში დემოკრატიის დაბადება კაცობრიობის ისტორიის განვითარების აპოგეოსი იყო, რომლის შედეგადაც შეიქმნა კულტურა, რომელიც დღემდე კლასიკურადაა მიჩნეული. დემოკრატიის დაბადებასა და მის განვითარებას თან სდევდა ისტორიული სიჩუმე, მაგრამ არა იმიტომ, რომ არ არსებობდა მტკიცებულებები მისი დაბადებისა და განვითარების შესახებ, არამედ ეს გახლდათ ისტორიკოსების მხრიდან გამიზნული სიჩუმე, რადგან ეკონომიკურად და პოლიტიკურად პრივილეგირებული და გაბატონებული მმართველი ელიტა ანტიკური ეპოქიდან დღემდე ცდილობდა მომავალი თაობებისა და ხალხისთვის დაემალა ნამდვილი, პირდაპირი და სახალხო დემოკრატიის არსი. ამიტომ დემოკრატიის იდეა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის სახეცვლილი და მისი

ნამდვილი შინაარსი დაკარგულია, რადგან არავის აწყობს მისი ნამდვილი არსის დამკვიდრება.

მ. მ. ალექსიშვილი წერს: „პერიკლეს პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისი ათენის სახელმწიფოს ისტორიის უაღრესად მძაფრ პერიოდს ემთხვევა. სპარსეთის უდიდეს სახელმწიფოსთან წარმოებულ მძიმე და ხანგრძლივ თავდაცვით ბრძოლებში გამარჯვებულ ათენის სახელმწიფოში კლასობრივი ბრძოლა ევპატრიდებსა და დემოსს შორის ახალი ძალით იშლება. გარე მტერთან ბრძოლაში გამარჯვებულ დემოსს, რომელიც ქვეყნის შიგნით აქტიურ პოლიტიკურ უფლებებს კვლავ მოკლებული რჩებოდა, ახლა ძირითადი იერიში მიაქვს სოლონის ტიმოკრატიული კონსტიტუციის საფუძვლების წინააღმდეგ, კონსტიტუციის, რომელიც პოლიტიკურ უფლებებს ანაწილებდა ეკონომიური შემლების პრინციპის მიხედვით და ამ ნიადაგზე ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას კვლავ უუფლებო მდგომარეობაში ტოვებდა. ასეთ ვითარებაში პერიკლე სათავეში უდგება ათენის რადიკალ-დემოკრატიულ პარტიას, ეს პარტია პოლიტიკურ უფლებათა განსაზღვრისათვის ქონებრივი ცენზის უკუგდებას მოითხოვდა და ყველა კლასისა და სოციალური ფენის (მონებისა და მეტეკების გამოკლებით) უფლებრივ გათანასწორებას. თავისი ეპოქისათვის ასეთი პროგრესული პოზიციის დაკავებით პერიკლემ დემოსის უდიდესი ნდობა და მხარდაჭერა დაიმსახურა. ამ დროიდან დაწყებული სიკვდილამდე (429 ძვ.წ) პერიკლე თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში სათავეში ედგა ათენის სახელმწიფოს ხელისუფლებას” [**ალექსიშვილი1947: 36**]. პლუტარქე წერდა: „ეს ხელისუფლება არ იყო შემთხვევითი და სწრაფმავალი. მთელი 40 წლის განმავლობაში პირველობდა ის ეფიალტებსა, ლეოკრატებსა, მირონიდებსა, ტოლმიდებსა და თუკიდიდეებს შორის” **(პლუტარქე: თავი16)**.

როგორც ჩანს, პერიკლეს ეპოქაში პარტია, რომლის ლიდერიც თავად პერიკლე გახლდათ, დემოსისთვის პოლიტიკური უფლებების მოპოვებას აპირებდა, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მონები ამ უფლებებს მოკლებულნი იქნებოდნენ. ნებისმიერმა შეიძლება ეს მიიჩნიოს პერიკლეს ეპოქის დემოკრატიის ხარვეზად და ისეთი შეხედულებების მქონე ადამიანს, როგორიც გახლავთ კ. რიგასი, რომელსაც ათენური დემოკრატიის მოდელი იდეალურად მიაჩნია, არგუმენტირებულად

დაუსაბუთოს, რომ პერიკლეს ეპოქის დემოკრატია არ იყო აბსოლუტურად იდეალური მმართველობის ფორმა, სადაც ყველა ადამიანი, განურჩევლად მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მდგომარეობისა, თანასწორი იყო. „სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელიც ეფიალტემ დაამკვიდრა, ნიშნავდა აბსოლუტურად ყველა მოქალაქის პოლიტიკური უფლებებით თანაბრად აღჭურვას, რომლის მთავარ მიზანსაც ყველა მოქალაქის მიერ სახელისუფლებო ძალაუფლების განხორციელება წარმოადგენდა. ტირანიის განმარტების რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთი შეხედულებით, ტირანიის წყალობით საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარება ხდებოდა, ხოლო მეორე შეხედულებით, ტირანი დემოსს ედგა სათავეში, რათა მას არისტოკრატიასთან ბრძოლაში დახმარებოდა [Тумане2001: 317]. უკანასკნელ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ამ ლოგიკით, პერიკლეც ტირანი იყო, რაც რეალობას არ შეესაბამება. ხ. მაიერი ძალიან სწორად აღნიშნავს, რომ ბერძნები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ საბერძნეთში დემოკრატია დამყარდებოდა, სანამ ეს თვითონ არ გააკეთეს [Тумане2002: 20]. ეს მოსაზრება საბერძნეთში დემოკრატიის დამყარებაში რომელიმე პიროვნების განსაკუთრებულ როლს გამორიცხავს და მით უმეტეს მის ტირანად მონათვლას. ამ დროს ყველანაირი განსხვავება ხალხსა და დიდგვაროვანთა შორის გაქრა და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები იდენტური პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდნენ" – წერს კ. რიგასი [Ρήγας2015: 51–52]. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რატომ არ უნდა ესარგებლათ მონებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს იმავე პოლიტიკური უფლებებით, რომლებითაც დემოსი სარგებლობდა, უნდა განვმარტოთ მონის მნიშვნელობა. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება დავადგინოთ, დემოკრატიული იყო თუ არა ასეთი მიდგომა მონებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისადმი, რადიკალურ-დემოკრატიული პარტია იბრძოდა სოლონის მმართველობის პერიოდში დამკვიდრებული ტიმოკრატიული წეს-წყობილების წინააღმდეგ, რაც გულისხმობდა მხოლოდ იმ მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომლებსაც დიდი ეკონომიური შესაძლებლობები გააჩნდათ. ადამიანი იმიტომ არის მონურ ყოფაში, რომ მას ეკონომიური შესაძლებლობები არ გააჩნია და იძულებულია სხვის სამსახურში იდგეს, რათა იარსებოს. შესაბამისად, რადიკალურ-დემოკრატიული პარტიის შეხედულება,

რომ მონები არ არიან თანასწორნი საზოგადოების სხვა ფენებთან მიმართებაში, არადემოკრატიული და ოლიგარქიული შეხედულების მატარებელია. დემოკრატიულმა პარტიამ პერიკლეს მეთაურობით, ვერ გაითავისა, რომ მონა იმიტომ არის მონა, რომ მას ეკონომიური შესაძლებლობები არ გააჩნია და თუ ტიმოკრატიული მმართველობის ნაკლი ის იყო, რომ ადამიანებს ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით ანსხვავებდა და ეს ტენდენცია უნდა გაუქმებულიყო, მაშინ პერიკლეს ეპოქის დემოკრატიაში მონებსაც უნდა ესარგებლათ ყველა იმ პოლიტიკური უფლებით, რომლითაც დემოსი სარგებლობდა, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნება მხოლოდ იმიტომ არის მონურ მდომარეობაში, რომ მას არ გააჩნია ქონებრივი შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ათენური დემოკრატია მართლაც უახლოვდებოდა მმართველობის იდეალურ ფორმას, სადაც ყველა მოქალაქის უფლებები დაცულია და საზოგადოების ყველა ფენა თანასწორია, ბოლომდე მაინც ვერ გასცდა მონობის ინსტიტუტის არისტოტელისეულ ხედვას, რომელიც წერდა: „ყოველ ხელობაში აუცილებელია საჭირო იარაღების ქონება. აუცილებელი საარსებო საშუალებების გარეშე კი შეუძლებელია როგორც ცხოვრება, ისე კარგად ცხოვრება. საოჯახო მეურნეობაში ზოგი იარაღი სულიერია, ზოგიც უსულო. მაგალითად, გემის მართვაში საჭე უსულო იარაღია, მესაჭე კი სულიერი. ამიტომ დამხმარე ადამიანი საქმიანობაში ერთგვარი იარაღია. ასევე ქონება არის საარსებო იარაღი, ხოლო ქონების მოპოვება მოითხოვს მრავალი იარაღის გამოყენებას. მონაც ცოცხალი ქონებაა და როგორც იარაღი, იგი სხვა იარაღებზე წინ დგას. ასევე საქსოვი დაზგები რომ თვითონ ქსოვდნენ, ხოლო პრექტრი თვითონ უკრავდეს კითარაზე, არქიტექტორებს არ დასჭირდებოდათ თანაშემწეები და ბატონებს მონები” (**არისტოტელე1995: 14-15**). თუმცა არისტოტელე პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანი იყო. ის, რომ მონა მონაა და მმართველი მმართველი, ამას არისტოტელე პროპორციული სამართლიანობის პრინციპით ხსნის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თანასწორობისა და სამართლიანობის გაგება არ შეიძლება ფორმალურად, ანუ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის გაგებით, არამედ მისი გაგება შინაარსობრივად უნდა მოხდეს. არ შეიძლება ყველას ყველაფერში თანასწორობა, რადგან ეს სამართლიანობამდე კი არა, პირიქით, უსამართლობამდე მიგვიყვანს, რადგან ადამიანები განსხვავდებიან შესაძლებლობებით, ნიჭით, გონებით,

განათლებით და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოში სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ადამიანები არ შეიძლება იყვნენ თანასწორები, რადგან ეს უსამართლობა იქნებოდა. წარმოვიდგინოთ, რომ გემი სახელმწიფოა და მას მართვა ესაჭიროება. იმისათვის, რომ გემმა შეასრულოს თავისი ფუნქცია, საჭიროა გააჩნდეს საჭე, მაგრამ ასევე საჭიროა არსებობდეს ვიღაც, ვინც შეძლებს საჭის მართვას. ასევეა სახელმწიფოც, ეკონომიკაც და სხვადასხვა სფეროები. თუ გემი სახელმწიფოა, მონა საჭეა, ხოლო მმართველი მესაჭე და იმისათვის, რომ სახელმწიფომ მიაღწიოს თავის მთავარ დანიშნულებას ანუ საყოველთაო სიკეთეს, აუცილებელია როგორც საჭის, ასევე მესაჭის არსებობა. არ არსებობს, არ არსებობდა და არ იარსებებს მმართველობის ფორმა, სადაც არ არსებობენ დაქვემდებარებულები და უფროსები, სწორედ ამიტომ, ათენური დემოკრატიის გაიდეალება ნებისმიერ შემთხვევაში პირობითია და შედარებითი. მისი იდეალურობა ნათლად ჩანს იმ ეპოქის სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მმართველობის ფორმებთან შედარებით, სადაც ზოგ ქვეყანაში ფარაონი მართავდა (ეგვიპტე), ზოგში ერთპიროვნულად მეფე (ისრაელი) და ზოგშიც კასტური მმართველობა იყო დამკვიდრებული (ინდოეთი). აბსოლუტური დემოკრატია ვერ იარსებებს და სწორედ ამ გარემოების დასაბუთებას ცდილობს არისტოტელე, რაც მიგვაჩნია, რომ ძალიან კარგად გამოსდის. არისტოტელე, სახელმწიფოს წარმოშობისა და არსებობის მთავარი მიზნის - საყოველთაო სიკეთის მისაღწევად აუცილებლად მიიჩნევს საზოგადოებრივი ფენების მკვეთრ დიფერენციაციას. მისი აზრით, ის, რომ მმართველი მმართველია და მისი ქვეშევრდომი მონა, ბუნებრივი კანონზომიერებაა და ეს ასე რომ არ იყოს, სახელმწიფო საერთოდ ვერ იარსებებდა. აღნიშნულ დასკვნამდე საკითხის დეტალური და ლოგიკური განხილვით მიდის. ასევე მიიჩნევს, რომ მმართველი იმიტომ მართავს, რომ მას ამის უნარი ბუნებამ მიანიჭა, ის ამას აკეთებს გონებით, ხოლო ვისაც ფიზიკური ძალა გააჩნია და არა ინტელექტუალური, ის ქვეშევრდომი და მონაა. „იმას, ვისაც შეუძლია გონებით მოვლენების წინასწარი განჭვრეტა, ის თავისი ბუნებით ხელმძღვანელი და მბრძანებელია. ხოლო ვისაც შეუძლია ამის განხორციელება ფიზიკური ძალებით, ის ქვეშევრდომი და მონური ბუნების მქონეა” (**არისტოტელე1995: 11).**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასათვალისწინებელია, რომ არისტოტელე მონათმფლობელურ საზოგადოებაში ცხოვრობდა და მეტიც, მონობის ინსტიტუტის კონცეფციის ავტორიც გახლდათ. მისი ასეთი დამოკიდებულება მონობისადმი ნორმალურია, რადგან ბერძნულ-რომაული ხანის კულტურა, რომელიც თავისი სიდიადით დღესაც გვაოცებს, სწორედ მონობის ინსტიტუტის წყალობითაა შექმნილი, რაც იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ არა მონათმფლობელური წეს-წყობილება, იმდროინდელი ანტიკური საზოგადოება ვერ იქნებოდა ისეთი განვითარებული, როგორიც იყო. არისტოტელეც თავის ეპოქას წარმოადგენდა და ვერ ისაუბრებდა იმდროინდელ სახელმწიფოში არსებულ საზოგადოებრივ სტრუქტურაზე მონობის ინსტიტუტის მიმოხილვის გარეშე. მონები ანტიკური ეპოქის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. კასტორიადი ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს და წერს: „მინდა თავიდანვე განვმარტო ჩემი პოზიცია ერთ საკითხთან დაკავშირებით. თუ ადამიანი აბსოლუტურად ფანატიკოსი არ გახლავთ, მას არ შეუძლია ბერძნული დემოკრატია მიიჩნიოს მართლმსაჯულების, თავისუფლების და თანასწორობის იდეალურ მაგალითად, თუმცა ჩვენ ამ დემოკრატიისგან, რომელსაც მე ჩანასახობრივ დემოკრატიას ვუწოდებდი, ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია” [Καστοριάδης1999: 11].

ჩვენ არ ვართ ათენური დემოკრატიის გაიდეალების წინააღმდეგი, მაგრამ აქ ორიდან ერთი ფაქტის აღიარება გარდაუვალი ხდება: 1. თუ ათენური დემოკრატია იდეალური იყო, მაშინ ასეთი იდეალური მმართველობის განუყოფელ ნაწილს მონობის ინსტიტუტიც წარმოადგენდა. როგორც ზემოთ გავაანალიზეთ, ეს ბუნებრივი მოვლენა გახლავთ; 2. ისევე, როგორც ნებისმიერი ეპოქის დემოკრატია, ათენური დემოკრატია იქნებოდა იდეალური, რომ საზოგადოების ყველა ფენა ყოფილიყო თანასწორი და არ არსებულიყო მონობის ინსტიტუტი.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის აკრძალვას, ეს სრულიად ნორმალური პროცესი გახლავთ, რადგან ნებისმიერი თანამედროვე ქვეყნის კონსტიტუციაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დაწესებული აქვთ გარკვეული შეზღუდვები და რაც შეეხება მათ მონაწილეობას უცხო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მკვეთრია.

ცნობილია, რომ უმეტესწილად სახელმწიფო ხელისუფლებას სხვა ინტერესები აქვს, ხოლო მოსახლეობასა და სამოქალაქო საზოგადოებას სულ სხვა. თუ მათი ინტერესების რაღაც ეტაპზე დამთხვევა არ მოხდა, სახელმწიფო ვერ განვითარდება [**Автономов2006: Введение**]. გარკვეულ სიტუაციებში მმართველს თავისი ზე-მეს განცდა უჩნდება, რასაც ძალიან ცუდ შედეგებამდე მიჰყავს არა მარტო მმართველი, არამედ სახელმწიფოც, რომელსაც ის მართავს [**Адорно2001: 282**]. პერიკლეს ცხოვრების შესწავლისას, ასეთი კომპლექსი არსად არ გვხვდება და რაც შეეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დამთხვევას, სწორედ ასეთ იდეურ იდენტობას ჰქონდა ადგილი პერიკლეს ეპოქაში, თუმცა სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა მოსაზრებებს აფიქსირებენ.

ისტორიკოსებს სხვადასხვა შეხედულებები გააჩნიათ პერიკლეს პიროვნებაზე. ისტორიკოსი ჰ. ვილრიხი წერს: „პერიკლე გარდაიცვალა საკმაოდ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მაგრამ არა შავი ჭირით, როგორც პლუტარქე ფიქრობს, შავი ჭირი სწრაფ სიკვდილს გამოიწვევდა და მის მეგობრებს მისი ნახვის საშუალებას მოუსპობდა. ისინი კი პერიკლეს სიკვდილის ჟამსაც მის სარეცელთან იყვნენ თავმოყრილნი და, როდესაც პერიკლე უკვე უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ისინი მაინც მასთან იყვნენ და მის დამსახურებასა და წარმატებებს იგონებდნენ" [**willrich1936: 265**].

გერმანელი ფილოლოგი მ. კურციუსი (1814–1896) დადებითად აფასებს პერიკლეს: „პერიკლე ბრწყინვალე მაგალითია ძლიერი ბელადისა, ძლიერისა რჩევაშიც და საქმეშიც, სიტყვით და იარაღითაც, ფლოტშიც და პნიქსეზედაც". ის პერიკლეს მაინც არ თვლის გენიალურ სახელმწიფო მოღვაწედ და მიიჩნევს, რომ პერიკლე „მხოლოდ სოლონისა და კლისთენეს კვალს მიყვებოდა" [**курциус 1883:178**].

მ. გიუნი მიიჩნევს, რომ სოლონის მიერ გატარებული სასამართლო რეფორმები, რომლებიც ორი მიმართულებით განხორციელდა, ათენში დემოკრატიის დამყარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო, რადგან პირველ რიგში და პირველად კაცობრიობის ისტორიაში, შექმნა სახალხო სასამართლო, რომელიც შედგებოდა სახალხო მოსამართლეებისგან და თუ მოქალაქე თვლიდა, რომ მას რომელიმე არქონტმა სასჯელი უსამართლოდ მიუსაჯა, შეეძლო სამართლიანობის

აღდგენისთვის სახალხო სასამართლოებისათვის მიემართა და მეორე, თუ მოქალაქის მიმართ ჩადენილი იქნებოდა უკანონო ქმედება, რომელიც მას ზიანს აყენებდა, მას შეეძლო სასამართლოსათვის დამნაშავის დასჯის მოთხოვნით მიემართა. აღსანიშნავია, რომ სოლონის მიერ დაარსებულ სასამართლოებს სააპელაცია ფუნქცია მიენიჭათ, რადგან აქ შეიძლებოდა ნებისმიერი საეჭვო გადაწყვეტილების თავიდან განხილვა, რომელიც არქონტის მიერ იქნა მიღებული, თუმცა ის ასევე აღნიშნავს, რომ პერიკლეს ოცდახუთწლიანი გავლენა ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაზე უდიდესი გახლდათ, თუმცა მოზომილი და არა რადიკალური. მან ათენში დემოკრატიული მმართველობის დამყარებას შეგნებულად დაუჭირა მხარი, ხოლო სახალხო ყრილობის, ანუ ეკლესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ყოველთვის აისახებოდა პერიკლეს გავლენა, თუმცა აქაც აღნიშნავს, რომ ეს გავლენა მოზომილი და არა რადიკალური იყო. პერიკლეს სურდა, რომ ათენელებს კანონის ფარგლებში და თანასწორუფლებიანობის დაცვით განეხორციელებინათ ძალაუფლება და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე თავად მიეღოთ გადაწყვეტილებები. ეს გარემოება უნდა დამკვიდრებულიყო არა მარტო ათენში, არამედ მთელს საბერძნეთში, თუნდაც სამხედრო ძალის გამოყენებით. პერიკლეს ეპოქაში სახალხო ყრილობის დებულება, სხდომების პერიოდულობა და მასში კანონპროექტის შეტანის წესი მკაცრად განისაზღვრა, ასევე გაძლიერდა საჯარო მოხელეების კონტროლის მექანიზმები, რათა მათ ნაკლებად ჩაედინათ უკანონობა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას. პერიკლეს ეპოქაში დემოკრატიამ თავისი განვითარების კულმინაციას მიაღწია, წერს ავტორი [Γιούνη2016: 145–146].

ისტორიკოსი კ. ბელოხი პერიკლეს მონარქად თვლიდა: „პერიკლეს, - წერს იგი - მონარქიული ხელისუფლებისთვის არაფერი აკლდა, გარდა სახელისა. დემოკრატია ერთი კლასის ისეთივე ტირანულ ბატონობად გადაიქცა, როგორც ოლიგარქია VII საუკუნეში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ჩაგვრა ზემოდან მოდიოდა, ახლა კი – ქვემოდან” [белох1899: 22]. მიგვაჩნია, რომ ისტორიკოს კ. ბელოხის მოსაზრება ათენის დემოკრატიასა და პერიკლეს პიროვნებაზე მცდარია. დემოკრატიისადმი დამოკიდებულება საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. თუ ანტიკურ ხანაში მას ხშირად ოხლოკრატიასთან, „ბრბოს მმართველობასთან” აიგივებდნენ და უარყოფით

კონტექსტში განიხილავდნენ, ეს ყველაფერი შეიცვალა და ამ ცვლილებას საფუძველი დაუდო ანტიკურ საბერძნეთში მიმდინარე პროცესებმა, კერძოდ, ძვ. წ. V საუკენეში ათენის პოლისში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც პერიკლეს მეთაურობით ხელისუფლება ხალხის ხელში აღმოჩნდა და ნებისმიერ სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საკითხზე გადაწყვეტილებას მოსახლეობის უმრავლესობა ღებულობდა. მმართველობის ფორმა, რომელიც დამყარდა ძვ. წ. 462 წელს ათენში, გულისხმობდა მთელი ძალაუფლების უშუალოდ ხალხით დაკომპლექტებული ორგანოსადმი - სახალხო კრებისადმი მიკუთვნებას. მოქალაქეებში იგულისხმებოდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც პოლისში ცხოვრობდა და არსებითად იგულისხმებოდა, რომ ამ პოლისის მფლობელი იყო. ანუ ფორმულა შემდეგნაირი იყო: დემოსი მართავს იმას, რაშიც ცხოვრობს, სადაც ცხოვრობს. მხოლოდ მოქალაქეებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება მიწათმესაკუთრეობისა და მათი ფსიქოლოგია ისეთნაირად იყო მოწყობილი, რომ მათ წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ იმისა, რომ პოლისი არა მათი, არამედ სხვისი მმართველობის სფეროში შეიძლებოდა ყოფილიყო. თუნდაც პერიკლესი ანუ დემოსი, პოლისის ერთპიროვნულ მმართველად თვლიდა თავს. მეორე ფორმულა, რომელიც მათი სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში ვლინდებოდა, შემდეგში მდგომარეობდა - სახელმწიფო ეს ჩვენ ვართ. აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ხაზს უსვამს ძველ ათენში სახალხო ძალაუფლების წარმოუდგენელ აღზევებას. არც ჰეროდოტე და არც თუკიდიდე, არც ერთი მათაგანი, არც ერთ წყაროში არ წერდნენ, რომ მაგალითად, ათენმა ომი გამოუცხადა სპარტას, ეს მათთვის იყო აბსურდი. ისინი წერდნენ შემდეგნაირად: ათენელებმა ბრძოლა გამოუცხადეს სპარტანელებს. თუ კარგად დავუფიქრდებით აღნიშნულ ფაქტს, დავასკვნით, რომ ათენის პოლისში, ხალხის მმართველობა იმდენად ძლიერი იყო, რომ სახელმწიფოებრიობასთან იგივდებოდა, იგივდებოდა თავად სახელმწიფოსთან. თანამედროვე შეხედულება, რომ სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში თვითშეზღუდვის თეორიის მიხედვით სახელმწიფო წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც თვითონ ქმნის კანონებს, რომლებიც არეგულირებენ მის ურთიერთობას საზოგადოებასთან და საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ლეგიტიმურ ძალასაც კი იყენებს და საკუთარ

მმართველობასაც კი ზღუდავს საზოგადოების სასარგებლოდ, ანტიკურ ათენში არ ფუნქციონირებდა, რადგან თავად საზოგადოება იყო სახელმწიფო [μανιτακης1994: 37].

ნებისმიერ პოლიტიკურ აქტიურობას, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული სახელმწიფოებრივი წყობის შეცვლას და ახალის დაფუძნებას, ესაჭიროება ლიდერი და ეს ფუნქცია იმ ეპოქაში პერიკლემ შეითავსა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მას ის ძალაუფლება, რომელსაც ფლობდა, საკუთარი კეთილდღეობისთვის არ გამოუყენებია და სახალხო ყრილობას გადასცა. ადამიანის ავტორიტეტად აღქმა ნიშნავს, რომ ხალხის მასა თავის აზროვნებას უქვემდებარებს ამ ავტორიტეტს [Алексеева2005: 161]. ასეთი რამ პერიკლეს ეპოქაში არ ხდებოდა. ის წარმოადგენდა რიგით ათენელს, რომელიც სხვებთან ერთად აფუძნებდა დემოკრატიას. მართლაც არსებობს დემოკრატიული კულტურა, თუ არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც ნებსით, თუ უნებლიედ ერგებიან აღნიშნულ კულტურას [Алмонд1994: 1]. აღნიშნულ კითხვას პერიკლეს მოღვაწეობა პასუხობს. პერიკლე არ განეკუთვნებოდა იმ პოლიტიკური ლიდერების კატეგორიას, რომლებიც ძალაუფლების უზურპაციას ახდენენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ იმ ეპოქის ათენის მოსახლეობის თვითშეგნება ისეთნაირად იყო მოწყობილი, რომ ერთი პირის ხელში ძალაუფლების თავმოყრას არც დაუშვებდა. პერიკლე არა როგორც მმართველად გვევლინება, რომელიც თავისი ძალაუფლებით ათენელებზე მანიპულირებს და საკუთარი პირადი კეთილდღეობისთვის იბრძვის, არამედ ათენელი მოქალაქეების დემოკრატიისა და თანასწორობის განმტკიცებისთვის მებრძოლი. ჩვენ ვიცით, რომ პერიკლე წარმოშობით არისტოკრატიული ოჯახიდან იყო და მას სიმდიდრეც არ აკლდა, აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მას ათენის პოლიტიკურ-სოციალური რეალობის გარდაქმნის დიადი იდეა მართლაც ამოძრავებდა. მიგვაჩნია, რომ პერიკლე კონკრეტული იდეის მატარებელ პოლიტიკური ლიდერების კატეგორიას განეკუთვნებოდა. სხვაგვარად ის არ შეეცდებოდა პოლიტიკური სისტემის ცვლილებას დემოსის სასარგებლოდ და მისი არისტოკრატიული წარმომავლობიდან გამომდინარე, განცხრომით იცხოვრებდა მანამდე არსებულ უთანასწორო, ოლიგარქიულ სახელმწიფოში. პერიკლეს მმართველობის პერიოდში გატარებული რეფორმები ნათლად მეტყველებენ პერიკლეს მიუკერძოებლობასა და

ობიექტურობაში, ადამიანი, რომელსაც სურს ძალაუფლების სათავისოდ გამოყენება, არ გაატარებდა ისეთ რეფორმებს, რომლებიც გააძლიერებდა სახალხო კრებას და ხუთასთა საბჭოს. პერიკლეს მმართველობისას მკაცრად განისაზღვრა სახალხო კრებაში კანონპროექტის შეტანისა და განხილვის წესი. საჯარო მოხელეებსა და ინსტიტუტებზე დაწესდა უმკაცრესი კონტროლი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი სანამ თანამდებობაზე დაინიშნებოდნენ, გამოსაცდელი პერიოდი უნდა გაევლოთ, ხოლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას, სახალხო კრებისთვის საბოლოო ანგარიში უნდა წარედგინათ. პერიკლე მიკერძოებული რომ ყოფილიყო, კონტროლის ასეთ მკაცრ მექანიზმებს არ შემოიღებდა, წამყვან თანამდებობებზე საკუთარ მეგობრებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს დანიშნავდა, რომლებიც მის ინტერესებს დაიცავდნენ და არა ათენის მოქალაქეების. სწორედ პერიკლეს მიერ გატარებულმა რეფორმებმა ააღორძინა ათენი. მის ეპოქაში დაიწყო აკროპოლისის მშენებლობა, რომლის სიდიადითაც ჩვენ დღესაც ვტკბებით. გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა, ვაჭრობამ თავისი განვითარების კულმინაციას მიაღწია. ძვ. წ. 451 წელს პერიკლეს ინიციატივით სახალხო ყრილობამ კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც ათენის მოქალაქედ ითვლებოდა არა ის, ვისაც მხოლოდ მამა ჰყავდა ათენელი, არამედ ის, ვისი ორივე მშობელი ათენის მოქალაქე იყო. ეს კანონი მიიღო იმიტომ, რომ ზუსტად სცოდნოდა ათენელი მოქალაქეების რაოდენობა, რათა მოქალაქეებისათვის განკუთვნილი სიკეთეებისა და პრივილეგიების უსაფუძვლოდ ფლანგვა არ მომხდარიყო. ამ რეფორმამ გამოიწვია ათენელი მოქალაქეების რაოდენობის შემცირება, შესაბამისად, დიდი საბიუჯეტო დანაზოგი, რამაც საშუალება მისცა ათენელებს დაეწყოთ გრანდიოზული აღმშენებლობითი სამუშაოები. დაზოგილი საბიუჯეტო თანხები მას საკუთარი კეთილდღეობისთვის არ გამოუყენებია.

აღსანიშნავია, რომ მ. გიუნი დემოსს, რომელმაც პერიკლეს ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრა, უწოდებს უმაღლესი რანგის მოსამართლეს. პერიკლეს ეპოქაში და ათენის დემოკრატიაში გელიეას სასამართლოები, რომლებიც საჯარო და კერძო დავების უდიდეს ნაწილს განიხილავდა და გამოჰქონდა გადაწყვეტილება,რომელიც ათენის მოქალაქეებისაგან შედგებოდა. დემოსი ითვლებოდა უმაღლეს მსაჯულად და ამიტომ, არ შეიძლებოდა გარდა დემოსისა არსებულიყო სხვა მნიშვნელოვანი ან კიდევ

უფრო მაღალი სასამართლო ინსტანცია, რომელშიც შესაძლებელი გახდებოდა გელიეას სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების თავიდან განხილვა. აპელაცია დაუშვებელი გახლდათ. ათენის სახელმწიფოს ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენდა დემოსის გაიგივება უმაღლეს მსაჯულთან, რამაც გამოიწვია ის, რომ სასამართლო ძალაუფლებით აღჭურვილი დემოსი ათენური დემოკრატიის უმთავრესი ელემენტი გახდა. გარდა უდიდესი უფლებებისა, რომლებიც ათენურმა დემოკრატიამ დემოსს გადასცა, მისთვის მთავარი ვალდებულება დააწესა – არსებული კანონების დაცვა და ათენში საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება. ამ ძირითადმა ვალდებულებამ ათენური საპროცესო სამართალი გამორჩეული გახადა. მოქალაქის მიერ სასამართლოში საჩივრის შეტანის შემთხვევაში დანაშაულის მტკიცების ტვირთი მას ეკისრებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულადი ჯარიმის გადახდით ისჯებოდა, ზოგჯერ კი უფრო მკაცრადაც.

მ. გიუნი წერს, რომ პერიკლე დემოსს არა უხეში ძალის გამოყენებით, არამედ დიპლომატიურად მართავდა. პირველ რიგში მან უდიდესი რეპუტაცია მოიპოვა, რეპუტაცია პოლიტიკოსისა, რომელსაც ფულით ვერ იყიდი, მას იმდენად აფასებდნენ, რომ პოლიტიკური მართვის განხორციელება კლასიკური გაგებით არ ესაჭიროებოდა, მისი სიტყვა ისედაც კანონი იყო. სწორედ ამიტომ, ის დემოსზე მისი თავისუფლების შეზღუდვის გარეშე ახდენდა გავლენას, როდესაც ხედავდა, რომ რაღაც არ ხდებოდა ისე, როგორც საჭირო იყო, უბრალოდ, თავის ორატორულ ნიჭს იყენებდა და სხვადასხვა სიტუაციებს ასე არეგულირებდა [Γιούνη2016: 161].

სოკრატე პერიკლეს უარყოფითად აფასებდა და მას პოლიტიკურად არაკეთილსინდისიერ ადამიანად მიიჩნევდა (**платон:516**).

არისტოტელე მას ალოპეკელ თუკიდიდეზე, ნიკიასსა და თურამენზე დაბლა აყენებდა (**არისტოტელე1935: XXVIII**).

ისტორიკოსი პლუტარქე ათენის დემოკრატიას თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში" უარყოფითად აფასებს, ხოლო პერიკლეს მოიხსენიებს, როგორც მონარქს და ისევე, როგორც თუკიდიდე, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ათენში დემოკრატია არ არსებობდა. მისი აზრით, პერიკლეს ძალაუფლებამ არისტოკრატული

სახე მიიღო და თითქმის მეფური ძალაუფლებით შეიცვალა, მისი აზრით, პერიკლეს ძალაუფლებას დემოკრატიასთან საერთო არაფერი ჰქონია **(Плутарх1890: 15).**

სოკრატე და არისტოტელე საყოველთაოდ მიჩნეულნი არიან ოლიგარქიული წრეების დამცველ მოაზროვნეებად, ამიტომ გასაკვირი არ არის მათი ასეთი შეხედულება პერიკლესა და მის მოღვაწეობაზე, თუმცა ისტორიული ფაქტები სხვა გარემოებებზე მეტყველებენ: 1. პერიკლე გახლდათ არისტოკრატული წარმომავლობის ადამიანი, საკმაოდ მდიდარი ოჯახიდან, რომელსაც შეეძლო თავისი ამბიციები ოლიგარქიულ წრეებში მოღვაწეობითაც დაეკმაყოფილებინა. მას არანაირი ინტერესი არ გააჩნდა, რათა ებრძოლა დემოსის უფლებების გაძლიერებისთვის და სათავეში დემოკრატიულ პარტიას ჩადგომოდა, გარდა ერთი ინტერესისა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ის იდეალისტი პოლიტიკოსი იყო და ათენში საყოველთაო თანასწორობის დამყარება სურდა; 2. ისტორიული წყაროები არც ერთ ფაქტს არ აფიქსირებს, რომ მან თავისი ძალაუფლება უსამართლოდ გამოიყენა, ან ვინმე არასამართლიანად დასაჯა; 3. მას ხელისუფლების წამყვან თანამდებობეზე მისი წრისა და წარმომავლობის ადამიანები არ დაუნიშნავს, პირიქით, ძვ. წ. V საუკუნის ათენში, სახალხო ყრილობაზე ქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ათენის მოქალაქეები იღებდნენ, განურჩევლად მათი წარმომავლობისა და ქონებრივი მდგომარეობისა. 4. როდესაც მისი ქმედებების მართლზომიერებაში ათენელებმა ეჭვი შეიტანეს, მას დიდი ჯარიმა გადაახდევინეს და რამდენიმე ხნის განმავლობაში განდევნეს კიდეც ათენიდან; 5. კაცობრიობის ისტორიაში პერიკლე გახლდათ ადამიანი, რომელმაც პირველად დაამკვიდრა საყოველთაო, პირდაპირი და არა წარმომადგენლობითი დემოკრატია. რა თქმა უნდა, ამ ფაქტს გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ ოლიგარქიული მმართველობის მხარდამჭერნი და სწორედ ამიტომ, მათ შექმნეს მითი, რომ პერიკლე ერთპიროვნულად მართავდა ათენს და ის იყო მონარქი და არა დემოკრატი, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ფაქტები სხვა გარემოებებზე მეტყველებენ. პერიკლე ათენელებში უდიდესი პატივისცემით ნამდვილად სარგებლობდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მისი ეშინოდათ, იმიტომ, რომ ის არა საკუთარი თავს, არამედ, მათ ინტერესებს ემსახურებოდა. ასეთი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, რომ მოესურვებინა უდიდესი ძალაუფლებით არ გაანებივრებდა

სახალხო კრებასა და სასამართლოებს, არამედ საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებისთვის გამოიყენებდა. იმდროინდელ ათენში დამყარებული თანასწორობა ცალმხრივი არ გახლდათ, იგი ყოვლისმომცველი იყო. მდიდრებსა და არისტოკრატიული წარმომავლობის ადამიანებს ზუსტად იგივე უფლებები და მოვალეობები ჰქონდათ, რაც დემოსს და პირიქით. ოლიგარქების პრობლემას არ წარმოადგენდა ის, რომ ისინი უუფლებოები იყვნენ და დემოსი მათ ჩაგრავდა, ეს მათი პრობლემა ვერ იქნებოდა, რადგან ეს ასე არ იყო. მათ ის გარემოება აწუხებდათ, რომ ერთპიროვნულად ვერ მართავდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ აწუხებდათ ათენში დამყარებული თანასწორობა, რადგან საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოს ექსკლუზიურად და მიკერძოებულად მართვას იყვნენ მიჩვეულნი. ამ ფაქტს შემდეგ განვითარებული მოვლენები და პელოპონისის ომები ადასტურებს, როდესაც ოლიგარქებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ათენური დემოკრატია დაენგრიათ, გარეშე მტერთანაც კი გარიგდნენ და საწადელსაც მიაღწიეს.

პერიკლე ათენური დემოკრატიის ბურჯი და სულისჩამდგმელი ნამდვილად იყო, მაგრამ ეს პრივილეგია მას საკუთარი ინტერესებისთვის არ გამოუყენებია, არამედ ათენელების კეთილდღეობისთვის გამოიყენა. პერიკლეს როლის გაზვიადება კიდევ ერთი მიზეზის გამო მიგვაჩნია გადაჭარბებულად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმდროინდელი ათენის საზოგადოება ზოგიერთი ფილოსოფოსისა და ჩამოყალიბებული პიროვნულ და საზოგადოებრივ თავისუფლებაზე ორიენტირებული მსოფლმხედველობის გამოისობით მზად იყო საკუთარ სახელმწიფოში დაემკვიდრებია დემოკრატია, ანუ მმართველობის მოდელი, სადაც ადამიანები თავად წყვეტენ საკუთარ პრობლემებს და არ ელოდებიან თუ როდის გაუუმჯობესებს მათ ცხოვრებას რომელიმე ავტორიტეტი, ლიდერი თუ ღმერთი.

სოლონის მიერ გატარებული სოციალური და პოლიტიკური რეფორმების შედეგად ათენის მოსახლეობა ფენებად დაიყო. პირველ კლასს მსხვილი მონათმფლობელები წარმოადგენდნენ, მსხვილი ვაჭრები, ხუთასმედიმნიანები, ე. წ. პენტაკოსიოსმედიმნოსები (მოქალაქენი, რომელთა წლიური შემოსავალი შეადგენდა 500 მედიმნს), მათ ყველა თანამდებობის დაკავება შეეძლოთ, ეკისრებოდათ მაღალი სახელმწიფო გადასახადები, ომის დროს საკუთარი ხარჯით სამსახური. მეორე კლასს

შეძლებული გლეხობა და ვაჭრები წარმოადგენდნენ, რომელთაც ეკისრებოდათ ცხენოსან ჯარისკაცად კავალერიაში სამსახური, ე.წ. მხედრები. მასში შემავალ პირთა შემოსავალი 500-დან 300 მედიმნ ხორბალს (ან სხვა პროდუქტში მის ეკვივალენტს თუ ფულად თანხას) შორის მერყეობდა. მხედრები თითქმის იმავე პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რითაც მოქალაქეთა პირველი კლასი. გამონაკლისს არქონტებისა და ხაზინადრების თანამდებობები წარმოადგენდა, რომელთაც გარკვეული პერიოდი მხოლოდ პირველი კლასიდან ირჩევდნენ, ხოლო მესამე კლასს კი ღარიბი გლეხობა, ხელოსნები და მეთევზეები, ორასმედიმნიანები წარმოადგენდნენ, რომლებსაც საშუალო რანგის თანამდებობის დაკავება შეეძლოთ, მათ შეეძლოთ სახალხო კრებაში მონაწილეობა. ევალებოდათ საკუთარი სახსრებით მძიმედ შეიარაღებული ქვეითების, „ჰოპლიტების" გამოყვანა, მათ ე. წ. ძევგიტებს ეძახდნენ. ათენში არსებობდა მეოთხე ფენაც, რომელიც ზემოაღნიშნულ ფენებს შორის ყველაზე დაბალი სოციალური სტატუსით სარგებლობდა, მათ დაქირავებული მუშები, უუფლებოები, 200 მედიმნზე ნაკლები შემოსავლის ან საერთოდ არაფრის მქონენი წარმოადგენდნენ, რომლებსაც მეზღვაურებად ფლოტში და მსუბუქად აღჭურვილ ჯარისკაცებად სამსახური, ასევე სახალხო კრებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ, მათ ე.წ. თეტებს ეძახდნენ. სოლონის ეპოქაში ხელისუფლების დანაწილებაც არ გახლდათ დემოკრატიული, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად მისი ქონებრივი თუ წარმომავლობითი მდგომარეობისა, შეეძლო ნებისმიერი პოლიტიკური თანამდებობის დაკავება. პოლიტიკურ უფლებებს პირის ქონებრივი და წარმომავლობითი მდგომარეობა განსაზღვრავდა. 9 არქონტი მხოლოდ პირველი ორი კლასიდან ირჩეოდა, სოლონის რეფორმების შედეგად არქონტის თანამდებობაზე ასარჩევად აუცილებელი იყო პირი მდიდარი ყოფილიყო და მის წარმომავლობას არ ჰქონდა მნიშვნელობა. პირველი კლასის წარმომადგენლებს ნებისმიერი პოლიტიკური თანამდებობის დაკავება შეეძლოთ. სოლონის რეფორმების შედეგად სახალხო კრება ჩამოყალიბდა, რომელსაც მკვეთრად განსაზღვრული ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნდა იგი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა, ასევე თანამდებობის პირების არჩევნებში ღებულობდა მონაწილეობას. სახალხო ყრილობაზე დემოსს მხოლოდ სრული ხმის უფლება ჰქონდა, ისევე როგორც სახალხო სასამართლოებში, მაგრამ დემოსის

წარმომადგენელს უფლება არ ჰქონდა დაეკავებინა პოლიტიკური თანამდებობა არც სახალხო სასამართოლო სისტემაში და არც სახალხო ყრილობის რომელიმე პოლიტიკურ ორგანოში. დემოსს აქტიური საარჩევნო უფლება ჰქონდა, რომელიც საყოველთაო იყო, ხოლო პასიური არასაყოველთაო გახლდათ. დაარსდა სახელმწიფო საბჭო - მართვა-გამგეობის უმაღლესი ორგანო. იგი 400 წევრისაგან შედგებოდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – თანამედროვე სასამართლო ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი, რომელის წევრებადაც საზოგადოების ყველა წრიდან ირჩევდნენ და ამ მხრივ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მმართველობის ყველაზე დემოკრატიულ ორგანოს წარმოადგენდა. არეოპაგის უფლებების ნაწილი ნაფიც მსაჯულთა ხელში გადავიდა, ხოლო არეოპაგის შემადგენლობას კვლავინდებურად ყოფილი არქონტები წარმოადგენდნენ და ის სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ ითვლებოდა ათენში გაბატონებული კლასების ძირითად საყრდენად. მისი ძირითადი მოვალეობა ხელისუფლების კონტროლი გახლდათ. სოლონის დროს, მიწის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში აიკრძალა ადამიანის მონად გაყიდვა. საბოლოო ჯამში, რომ შევაფასოთ სოლონის კანონშემოქმედება სასამართლოს განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, ათენის დემოსის, საზოგადოების განვითარების კუთხით, უმნიშვნელოვანესია, მაგრამ სოლონის მიერ დაარსებული მმართველობის მოდელი მაინც შორდებოდა დემოკრატიული მმართველობის მოდელს, რადგან სოლონის მმართვის სისტემა გახლდათ ერთდროულად ოლიგარქიულ-ტიმოკრატიული, გარკვეული დემოკრატიული ელემენტებით. სწორედ ამიტომ პერიკლეს და მის თანამებრძოლებს ისტორიისგან წილად ხვდათ, რომ ათენში, ყოველივე ქონებრივი და წარმომავლობითი ელემენტებისგან განთავისუფლებული ნამდვილი დემოკრატია დაემყარებიათ.

პერიკლეს ეპოქაში ათენის პოლიტიკურ ცხოვრებასა და მმართველობის სისტემაში ყველაფერი ძირეულად შეიცვალა. სახალხო ყრილობა, იგივე ეკლესია ათენში არსებული პოლიტიკური მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილებებსა და კანონებს ღებულობდა. გარდა საკანონმდებლო ფუნქციებისა, მას მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილებაც ჰქონდა, რაც ძირითადად მის მიერ სისხლის

სამართლის საქმის აღძვრის უფლებაში გამოიხატებოდა. სახალხო ყრილობის მიერ გამოცემული კანონები სახელმწიფოში არსებული ნებისმიერი საკითხის დარეგულირების ძირითად მექანიზმს წარმოადგენდა. მართვის განხორციელების ფარგლებში ის არქონტებს ნიშნავდა, დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებდა და უფლებამოსილების განხორციელებისას აკონტროლებდა მათ. ომისა და ზავის საკითხებს წყვეტდა, ერეოდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რადგან სწორედ სახალხო ყრილობა ადგენდა და ანაწილებდა ქვეყნის ბიუჯეტს სხვადასხვა პრიორიტეტებისა და საჭიროებების მიხედვით. სახალხო ყრილობა საგადასახადო სისტემას არეგულირებდა და ის განსაზღვრავდა თუ ვის რამდენი გადასახადის გადახდა და რა მიზეზით უნდა დაკისრებოდა. აფინანსებდა სახალხო სპორტული თუ სხვა ღონისძიებების ორგანიზებას. სახალხო კრება ოფიციალურად, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს, წელიწადში ორმოცჯერ იკრიბებოდა [Γιούνη 2016: 147].

როგორც ირკვევა, სოლონის ეპოქისგან განსხვავებით, სადაც არეოპაგი და სახალხო ყრილობა მდიდარი და გაბატონებული მოქალაქეების ორგანოებს წარმოადგენდა, პერიკლეს ეპოქაში მან სახალხო ხასიათი შეიძინა. ქრისტოს რიღასი წერს: „სახალხო ყრილობა მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. არც ერთ სხვა ინსტიტუტს არ შეეძლო მიეღო ნებისმიერი გადაწყვეტილება საკითხზე, რომელიც სახელმწიფოსა და მის მმართვას ეხებოდა. მასში მონაწილეობას ათენის ყველა მოქალაქე იღებდა, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა. იმისათვის, რომ ყრილობა ჩათვლილიყო წარმომადგენლობითად მასში მონაწილეობა 6 ათას ათენელს უნდა მიეღო, ხოლო იმ ეპოქაში ათენის მოსახლეობა ჯამში 35-40 ათას მოსახლეს შეადგენდა. თუ 6 ათასი ადამიანი არ შეიკრიბებოდა, ეს არ ნიშნავდა, რომ კრება არაკანონიერი იყო, უბრალოდ წარმომადგენლობითად, ვერ ჩაითვლებოდა. ჩვეულებრივ სახალხო ყრილობაში მონაწილეობას 4 ათასი ათენელი ყოველთვის იღებდა, მაგრამ თუკი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა, ისეთი, როგორიცაა პირის ათენიდან განდევნა, ან ნებართვის გაცემა წინადადების მისაღებად, რომელიც კანონს

ეწინააღმდეგება, ან უცხოელზე ათენის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი, მასში მონაწილეობას 6 ათასზე მეტი მოქალაქე ღებულობდა.

სახალხო კრებაზე ათენის ყველა მოქალაქის დასწრება, ფიზიკური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო, ასევე, მის მუშაობაში მონაწილეობას სხვადასხვა მოქალაქეები იღებდნენ, რაც იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ სახალხო კრების ყრილობები სამუშაო დროს ემთხვეოდა. ათენის მოსახლეობის უმრავლესობა შორეულ ნაოსნობაში იმყოფებოდა, ხოლო ზოგიერთიც ცენტრიდან შორს ცხოვრობდა. როგორც კ. რიგასი აღნიშნავს, სწორედ ამ მიზეზის გამო ისინი სახალხო კრების ყრილობებს იშვიათად ესწრებოდნენ, თუმცა ისინი ქვეყნის დემოკრატიულ ცხოვრებაში მაინც იყვნენ ჩართულნი, რადგან ათენის ყველა დასახლებაში სახალხო კრებას გააჩნდა ფილიალები, სადაც სახალხო ყრილობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები იყვნენ განთავსებულნი და აღნიშნული ფილიალის ფუნქციონირებას კოორდინაციას უწევდნენ. სახალხო ყრილობა მზის ამოსვლის პერიოდში იწყებოდა და მისი ჩასვლისას სრულდებოდა. კრების დაწყებას სიგნალით აუწყებდნენ, მეორე სიგნალისას ყველა დაწესებულება იკეტებოდა, რომ სოფლებიდან ჩამოსული ხალხი არ გართულიყო ვაჭრობით და ამის გამო პნიქსზე მოსვლა არ დაგვიანებოდათ. ამ პერიოდში და ამ დღეს ის საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო, რომლებიც კანონით იყო განსაზღვრული, საკითხების მეორე დღისთვის გადატანა დაუშვებელი იყო, რადგან იგივე მოქალაქეები ობიექტური მიზეზების გამო მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ.

სახალხო კრებას ათენში თვეში სამჯერ იწვევდნენ, მაგრამ ზოგჯერ ექსტრაორდინალური სახალხო კრების მოწვევაც რაიმე სასწრაფო და გადაუდებელი საკითხის გადასაწყვეტად რიგ გარეშეც ხდებოდა, თუმცა რიღასი წერს, რომ ბულეს პრიტანია ვალდებული გახლდათ სახალხო კრება მოეწვია, რომლის უფლებამოსილების ვადა 36 დღეს შეადგენდა, შესაბამისად, სახალხო ყრილობა წელიწადში ათჯერ იკრიბებოდა [Ρήγας2015: 72]. სახალხო ყრილობაზე დასწრების უფლება ყველა ატეკელ მოქალაქეს 20 წლის ასაკის ზევით ჰქონდა. სახალხო ყრილობაზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ მონებს, მეტეკებს (ატიკაში მცხოვრები უცხოელები), ქალებს, მცირეწლოვან მოზარდებს და აგრეთვე იმათ, ვისაც იმავე

სახალხო კრების დადგენილებით რაიმე დანაშაულისთვის წართმეული ჰქონდა მოქალაქის ყველა უფლება (ე. წ. სრული ატიმია), აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პერიკლეს ეპოქაში დაარსებული დემოკრატია, მიუხედავად იმისა, რომ შეიცავდა დემოკრატიის თითქმის ყველა ელემენტს, მცირეოდენი ნაკლოვანებაც ჰქონდა, თუმცა ეს ნაკლი ჩაითვალოს ანტიკური ბერძნული დემოკრატიის ხარვეზად იმ პირობებში, როდესაც თანამედროვე ეპოქაშიც კი არსებობენ სახელმწიფოები, რომლებშიც სუსტი სქესის წარმომადგენლების უფლებები ძლიერი სქესის წარმომადგენლების უფლებებთან შედარებით შეზღუდულია, არ იქნებოდა მართებული.

სახალხო კრების დღის წესრიგი ოთხი დღით ადრე ჰეროლდების (გზირების) საშუალებით ქვეყნდებოდა. ჰეროლდები ატიკის ერთი დემიდან (სოფლიდან) მეორეში გადადიოდნენ და ხალხს სახალხო კრების მოწვევის დღესა და დღის წესრიგს უცხადებდნენ.

პერიკლეს ეპოქაში სახალხო კრების ადგილი ათენში პნიქსი იყო. პნიქსის შუა ადგილას ნიადაგი ხელოვნურად იყო ამობურცული, სადაც კრების პრეზიდიუმი თავსდებოდა. იქვე დიდი ქვა იდგა, ბემა, საიდანაც ორატორი, ან კამათში გამოსული პირი სახალხო კრების მონაწილეებს სიტყვით მიმართავდა.

სახალხო კრებაზე წესრიგს „განსაკუთრებული მოხელეები" (λῃξίαρχοί) 6 კაცის შემადგენლობით და 30 თანაშემწით იცავდნენ. ისინი თვალყურს ადევნებდნენ, ხალხი ვიწროდ არ ყოფილიყო და კრება მის დამთავრებამდე არავის მიეტოვებინა. მათი მოვალეობა იყო ასევე სახალხო კრებაზე არ დაეშვათ ის პირები, რომლებსაც კრებაზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ. კონტროლისთვის მათ ხელში ეჭირათ იმ მოქალაქეების სიები, რომლებსაც სახალხო კრებაზე დასწრების უფლება ჰქონდათ (εκκλησιαστικοί πίνακες). ასეთ სიებს ცალკეული დემების მიხედვით ადგენდნენ.

კრების გახსნის წინ ერთგვარი, ათენელების ტრადიციის მიხედვით, რელიგიური განწმენდა ხდებოდა: საგანგებო ქურუმი მსხვერპლად სწირავდა, კლავდა გოჭებს, რომელთაც სახალხო კრების გარშემო ათრევდნენ და პნიქსის გარე წრეს სისხლით რწყავდნენ. ათენელთა რწმენის მიხედვით, ამ რელიგიური ცერემონიალის შემდეგ ბოროტი სულები ვერ გადალახავდნენ სისხლით საზღვარს და ადვილად ვერ

შეიჭრებოდნენ სახალხო კრებაზე. ამის შემდეგ ჰერალდი ან ქურუმი წარმოთქვამდა წყევლას იმათ მიმართ, ვინც წინასწარი განზრახვით და ანგარებით ილაპარაკებდა კრებაზე ხალხის საზიანოდ.

ყოველივე აღნიშნულის ჩატარების შემდეგ სახალხო კრების მუშაობა იწყებოდა. კრებას თვით მორიგე პრიტანის მიერ ერთი დღე-ღამის ვადით კენჭისყრით არჩეული პრიტანიის თავმჯდომარე ეპისტატესი თავმჯდომარეობდა (επιστάτης–ი). ეპისტატესი ფორმალურად ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი იყო. ზოგიერთი ისტორიკოსის გადმოცემით, როგორც მ. ალექსიშვილი გვაუწყებს, ის ათენის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახლდათ, ფაქტიურად კი, ის არაფრით განსხვავდებოდა სხვებისგან და არავითარი უპირატესობით არ სარგებლობდა [**ალექსიშვილი1947: 86-87**]. აღნიშნული ფაქტი იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ პერიკლეს ეპოქაში დემოკრატიის შინაარსობრივად სწორი ფუნქციონირება არ იყო თანამდებობის პირებზე დამოკიდებული, მათ მხოლოდ პროცედურული და ტექნიკური საკითხების მოგვარება ევალებოდათ, ხოლო ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას თავად ხალხი იღებდა.

ეპისტატესი სახალხო კრების დღის წესრიგს აცხადებდა. დღის წესრიგში დასმული საკითხების განხილვა პრობულეუმის, ე.ი. ბულეს წინადადებით, აზრის ან დასკვნის წაკითხვით იწყებოდა.

როგორც წესი, სახალხო კრების დღის წესრიგში ვერც ერთი საკითხი ვერ მოხდებოდა ისე, თუ ის წინასწარ განხილული არ იქნებოდა ბულეში და მის შესახებ წარმოდგენილი არ იქნებოდა ბულეს აზრი, წინადადება ანუ პრობულეუმა. ამიტომ იყო, რომ სახალხო კრებაზე დასმული საკითხის განხილვა ყოველთვის ბულეს პრობულეუმის განხილვით იწყებოდა. პრობულეუმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე ხალხს მიმართავდა, რომ თუ ვინმეს რაიმე სათქმელი ჰქონდა, იქვე ეთქვა. თუ დასმულ საკითხზე სხვა წინადადებას და აზრს არავინ შემოიტანდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ხალხი თანახმა იყო ამ საკითხის იმგვარი გადაჭრის, როგორც ამას ბულეს წინადადება, პრობულეუმა მოითხოვდა. ეპისტატესიც კენჭს უყრიდა ბულეს წინადადებას და საკითხის გადაწყვეტაც ამით მთავრდებოდა.

თუ სახალხო კრების რომელიმე დამსწრეთაგანს აზრის გამოთქმა ან წინადადების შეტანა უნდოდა, მას უნდა აეღო სიტყვა ეპისტატესისაგან, შემდგარიყო ბემაზე, თავზე დაედგა დაფნის გვირგვინი და თავისი სიტყვა დაეწყო. მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მხრივ აზრის გამოთქმის შემდეგ, იმისდა მიხედვით თუ რა ხასიათის იყო საკითხი, თავმჯდომარე კენჭს უყრიდა და საკითხიც ან ხელის აწევით (χειροτονίᾳ), ან ფარული ხმის მიცემით, ხმის უბრალო უმრავლესობით წყდებოდა. ათენის მოქალაქეები ხელის აწევის სისტემით 36 დღის განმავლობაში არქონტების უფლებამოსილების შეწყვეტის, ან გაგრძელების, მათი თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ამ ძირითად ყრილობებზე მოქალაქე ვალდებული იყო და არა უფლებამოსილი ბრალი წაეყენებინა იმ საჯარო მოხელეზე, რომელიც თავის უფლებამოსილებას ჯეროვნად ვერ ასრულებდა. ექსტრაორდინალურ, ანუ რიგგარეშე სხდომებზე მისაღებ გადაწყვეტილებებზე უფლებამოსილი მხოლოდ სახალხო კრება იყო, არც ბულეს, არც არქონტებს და ზოგადად არც ერთ პოლიტიკურ ორგანოს თუ თანამდებობის პირს არ შეეძლო გადაწყვეტილება მიეღო საკითხზე, რომელიც სახალხო კრების რიგგარეშე სხდომაზე უნდა განხილულიყო. თემები, რომლებიც ათენის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებს ეხებოდნენ, სახალხო კრებაზე უნდა განხილულიყო და გადაწყვეტილებასაც სახალხო კრება აღნიშნულ საკითხებზე იღებდა. რაც შეეხება უსაფრთხოების საკითხებს, ათენური დემოკრატიისთვის წარმოუდგენელი და მიუღებელი იყო ასეთი ტიპის საკითხებისთვის სპეციალური ორგანოს შექმნა. უსაფრთხოებისა და უშიშროების საკითხები ღიად და გამჭვირვალედ სახალხო ყრილობაზე განიხილებოდა. ზოგიერთი აღნიშნულ გარემოებას აკრიტიკებდა იმ მოტივით, რომ ასეთ ვითარებაში ათენის მტრებისთვის ქვეყნის საიდუმლო ინფორმაცია ცნობილი გამხდარიყო, რაც მათ ათენისთვის მეტი ზიანის მიყენების საშუალებას აძლევდა, თუმცა ათენელები ამ ფაქტს უარყოფდნენ და თვლიდნენ, რომ გამჭირვალობა ნებისმიერ საკითხზე მათ მიერ დაარსებული დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარი იყო, მაშინაც კი, როდესაც საკითხები ქვეყნის უსაფრთხოებასა და საიდუმლო ინფორმაციებს ეხებოდა. ქრისტოს რიღასს ზემოაღნიშნული ფაქტის გასამყარებლად პერიკლეს სიტყვები მოჰყავს, რომელიც ამბობს: „ჩვენი მმართველობა არის ღია და ჩვენ მას ვაჩვენებთ ყველას,

არავის ვუმალავთ, რადგან არ ვეყრდნობით საიდუმლო მომზადების შედეგებს საკითხის გადაჭრისთვის, არც იმის გვეშინია, რომ მოწინააღმდეგეებმა დაგვცინონ, ჩვენ ვეყრდნობით მხოლოდ ჩვენს ვაჟკაცობას, რომელიც ჩვენში, ჩვენს ახალგაზრდებში არსებობს. ჩვენ ბრძოლის ქარ-ცეცხლში ვარდებით არა იმიტომ, რომ კანონი გვაიძულებს ვიყოთ ვაჟკაცები, არამედ იმიტომ, რომ ეს თვისება ჩვენ, თითოეულ ათენელს თანდაყოლილი გვაქვს. ჩვენი მტრებისგან კი იმით განვსხვავდებით, რომ წინასწარ ვიცით თუ როდის უნდა ვიყოთ წარმოუდგენლად გაბედულები და თუ როდის ფრთხილები” [Ρήγας2015: 74].

სახალხო კრება საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაშიც კი პირდაპირ იღებდა მონაწილეობას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ უცხო ქვეყნის წარმომადგენელი იძულებული იყო თავისი წინადადებები სახალხო ყრილობაზე და არა რომელიმე არქონტთან წარედგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის დამოკიდებულება ათენისადმი საყოველთაო განხილვის საგანი ხდებოდა, სწორედ ამიტომ გამორიცხული იყო ათენის ურთიერთობის მომავალი რომელიმე უცხო ქვეყანასთან ერთი ორგანოს, ან თანამდებობის პირის უფლებამოსილებაში აღმოჩენილიყო. სახალხო ყრილობა სამხედრო საკითხებთან მიმართებაში ზუსტად იგივე უფლებებით სარგებლობდა. ომის გამოცხადების შემთხვევაში სახალხო ყრილობა საზღვრავდა თუ ვინ უნდა წასულიყო ბრძოლაში და ვინ ყოფილიყო მათი მეთაური.

ათენელების შეხედულებით, ბრწყინვალე პოლიტიკოსებსაც კი, როდესაც ისინი ერთპიროვნულად იღებენ გადაწყვეტილებას, მათი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, არ შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ათენელების საერთო ინტერესებს გამოხატავდა. სწორედ ამიტომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილება თავად მოსახლეობას უნდა მიეღო, რადგან ყველაზე უკეთ მოსახლეობამ იცოდა, თუ რა აწუხებდა მას და რა ცვლილების განხორციელება მოუტანდა უკეთეს მომავალს. სახალხო ყრილობაზე თითოეული მოქალაქე გამოხატავდა საკუთარ აზრს და მას არ ჰქონდა უფლება ესაუბრა სხვა ადამიანების, ან ადამიანთა ჯგუფების ინტერესების დასაცავად. სახალხო ყრილობაზე აბსოლუტურად ყველა მოქალაქე თანაბარი უფლებებით სარგებლობდა. ათენური დემოკრატია

ფაქტიურად არ ცნობდა პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და პარტიებს, საკითხებს, რომლის გადაჭრასაც თანამედროვე ეპოქაში და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში ხალხი პოლიტიკურ პარტიებს ანდობს, ათენელებისთვის ეს გაუგებარი და მიუღებელი იყო. თითოეული ათენელი საკუთარ თავს წარმოადგენდა და საკუთარ პრობლემებს თვითონ აგვარებდა, მისთვის წარმოუდგენელი იყო ამ პრობლემების მოგვარება რომელიმე ორგანიზაციისთვის ან თანამდებობის პირისთვის მიენდო.

სახალხო ყრილობას საკუთარი წესდება გააჩნდა, რომლის დარღვევა არავის შეეძლო. ამ წესდების მიხედვით, სიტყვით გამომსვლელი მოქალაქე, ღარიბი და მდაბიოც რომ ყოფილიყო, წმინდანად ითვლებოდა. მხოლოდ ყრილობის თავმჯდომარეს შეეძლო, რომ ის შეეჩერებინა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის დღის წესრიგით განსაზღვრულ თემაზე არ საუბრობდა, ან შეურაცმყოფელი სიტყვებით ამბობდა თავის სათქმელს. სიტყვით გამომსვლელს უფლება არ ჰქონდა ერთდროულად ესაუბრა ორ საკითხზე, ან ერთი და იგივე საკითხზე ორჯერ.

პერიკლეს ეპოქაში ძვ. წ 450-430 წლებში შეიქმნა კანონი, რომელიც განსაზღვრავდა სახალხო ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითს (γραφή παρανόμων), რაც კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების ჩამოწერის, გაუქმების უფლებას გულისხმობდა. ამ კანონის მიხედვით, ყველა მოქალაქეს ჰქონდა უფლება სახალხო ყრილობაზე გაეტანა კანონპროექტი, რომლის მეშვეობითაც ის ასაბუთებდა რომელიმე გადაწყვეტილების უკანონობას და მის გაუქმებას ითხოვდა. ამ საჩივრის შეტანა შეიძლებოდა მანამ, სანამ რომელიმე კანონპროექტს კენჭი ეყრებოდა, ან კენჭის ყრის შემდეგ. თუკი კენჭის ყრამდე შეიტანდა მოქალაქე საჩივარს, კანონპროექტის განხილვისა და კენჭის ყრის პროცედურა ჩერდებოდა მანამ, სანამ შეტანილი საჩივრის განხილვა არ დასრულდებოდა და არ იქნებოდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. თუკი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, სახალხო ყრილობა იძლეოდა ერთწლიან ვადას, რათა მის წინააღმდეგ შესულიყო საჩივარი. საჩივარი შედიოდა ან პირდაპირ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ან მოქალაქის წინააღმდეგ, რომელმაც ეს კანონპროექტი შეიტანა სახალხო ყრილობაზე და საჩივრის მთავარი მოთხოვნა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება

იყო. ბულეს პრიტანია და თავმჯდომარე, რომელიც იმ ვადაში თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებდნენ, მკაცრად ისჯებოდნენ იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქის საჩივარი დაკმაყოფილდებოდა და დამტკიცდებოდა, რომ სახალხო ყრილობის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. ამის შემდეგ პროცესი ჰელიეაში ინაცვლებდა, რომელიც სასამართლო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა იმ მოქალაქის წინააღმდეგ, რომელმაც სახალხო კრებაზე კანონსაწინააღმდეგო კანონპროექტი შეიტანა. ასეთი საკითხის განსჯისას სასამართლო 2001 მოქალაქისგან შედგებოდა, რადგან საქმე რთული განსახილველი იყო. თუკი დამტკიცდებოდა, რომ საჩივრის შემტანი არ იყო დამნაშავე, მისი კანონპროექტი კანონის ძალას იძენდა, ხოლო უკანონო კანონპროექტის შემტანი ძალიან დიდი ფულადი ჯარიმით ისჯებოდა. თუ მოქალაქე კანონსაწინააღმდეგო კანონპროექტს სამჯერ წარადგენდა, მას ატიმიით სჯიდნენ. თუკი დამტკიცდებოდა, რომ ბრალდებული არ იყო ბრალეული, საჩივრის შემტანი ფულადი ჯარიმის სახით ჯარიმდებოდა. ამ პროცედურის მთავარი მიზანი სახალხო ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის, ანუ მის ძირითად პრინციპებზე შესაბამისობის კონტროლი იყო. ათენელები ამ საქმეს მოსამართლეებს ანდობდნენ, რადგან ისინი კანონის მცველებად მიაჩნდათ [Γιούνη2016: 147].

თავმჯდომარე კრებას დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ, აგრეთვე ზოგიერთი „ღვთიური ნიშნის", როგორც, მაგალითად, ჭექა-ქუხილის, ელვის, წვიმის, მიწისძვრის და სხვა შემთხვევაში, ხურავდა, რადგან მათი რწმენით, ღმერთი მათ კრების არასწორი მსვლელობის შესახებ გაფრთხილებას აძლევდა.

სახალხო კრების კომპეტენციებში სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები შედიოდა. სახალხო კრება: „განიხილავდა და წყვეტდა საგარეო საქმეებს, ხელშეკრულებებისა და საელჩოების საკითხებს, სამხედრო შეიარაღებისა და ფლოტის საქმეებს, ნიშნავდა სარდლებს ლაშქრობათა დროს და აძლევდა მათ ბრძანებებს; შემდეგ იგი ისმენდა ანგარიშს ფინანსების მდგომარეობაზე, საზღვრავდა გარკვეულ თანხებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ცალკეული დარგებისთვის, იხილავდა სახელმწიფო გადასახადის საკითხს და ღონისძიებებს იმ სახელმწიფო მოვალეთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებდნენ ვალის გადახდას.

შემდეგ, იგი მოქალაქეობის უფლებას იძლეოდა, პროქსინიას და სხვა საპატიო უფლებებს". იგი აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების, არმიის მომარაგების, კულტურული და რელიგიური დაწესებულებების მშენებლობის, თანამდებობის პირთა არჩევის და სხვა საკითხებსაც განიხილავდა.

სახალხო ყრილობა ანტიკურ ათენში სწორედ ის სახელმწიფო ინსტიტუტი იყო, რომელსაც ათენის სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობა და მისი ფუნქციონირება ეფუძნებოდა. აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულება ყველა ელემენტს შეიცავდა იმისათვის, რომ დემოკრატიას გამართულად ემუშავა. სახალხო ყრილობის ადმინისტრაცია და თანამდებობის პირები მხოლოდ ტექნიკურ და ფორმალურ უფლებამოსილებებს ახორციელებდნენ, ნამდვილი ძალაუფლება კი აბსოლუტურად ხალხის ხელში იყო, რაც იმ ეპოქისთვის უდიდესი მიღწევა გახლდათ, თუმცა დემოკრატიულობის ასეთი მაღალი ხარისხი ბევრი თანამედროვე სახელმწიფოსთვისაც იქნებოდა მისაბაძი.

ჯერ კიდევ სოლონის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იგივე გელიეა (ჰელია) სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის საყრდენ ინსტიტუტად ითვლებოდა. პერიკლეს ეპოქაში აღნიშნულმა ორგანომ კიდევ უფრო მეტი ფუნქციები შეიძინა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ხუთი ათასი ნამდვილი და ათასი სათადარიგო წევრისაგან შედგებოდა. თითოეულ ფილედან ხუთას ნამდვილ და ას სათადარიგო წევრს ირჩევდნენ. ასეთი მრავალრიცხოვანი სასამართლო კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია, რაც ნათლად მიუთითებს ათენური დემოკრატიის გამჭვირვალობასა და მის მიუკერძოებლობაზე. ყოველ შვიდ მოქალაქეზე ათენში ერთი ნაფიცი მსაჯული (ჰელიასტი) მოდიოდა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წევრები სასამართლოში არჩევის დროს ფიცს დებდნენ, რომ ისინი თავიანთ სამოსამართლო მოღვაწეობაში ობიექტურები იქნებოდნენ, მართლმსაჯულებას არსებული კანონების საფუძველზე (კანონის უზენაესობა) გასწევდნენ და მოსყიდვასა და ანგარებაზე არ წავიდოდნენ. ფიცის გატეხვის შემთხვევაში ისინი თავიანთ თავს, ცოლ-შვილსა და ოჯახს დასაღუპად სწირავდნენ. ფიცის გატეხვის შემთხვევაში მოსამართლეები მკაცრად ისჯებოდნენ.

მათ დიდ ფულად ჯარიმას ადებდნენ, მოქალაქეობის უფლებებს ართმევდნენ, ქვეყნიდან აძევებდნენ და განსაკუთრებული მძიმე შემთხვევის დროს კი სიკვდილით სჯიდნენ.

სასამართლოს წევრობის კანდიდატის წამოყენების დროს დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რომ ასარჩევ პირს სახელმწიფო დავალიანება არ ჰქონოდა და რაიმე ძველი დანაშაულისთვის სასჯელმოუხდელი არ ყოფილიყო. თუ კი ასეთი პირი სასამართლოს წევრად შეცდომით გადიოდა, მის წინააღმდეგ ბრალდების აღძვრა (ενδειξις) და სასწრაფო წესით პასუხისგებაში მიცემა შემდეგაც შეიძლებოდა. როგორც არისტოტელე წერს, მოსამართლეს დაბადებიდან 30 წელი უნდა ჰქონოდა შესრულებული.

ჰელიას ნამდვილი წევრების (5.000 კაცი) ერთ მეათედ ნაწილს დიკასტერია ეწოდებოდა და 501 კაცისგან შესდგებოდა. იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობის იყო გასარჩევი საქმე, მას არჩევდა ერთი, ორი, ან სამი დიკასტერიის გაერთიანებული სხდომა. განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმე განსახილველად ათას ხუთას მოსამართლეს გადაეცემოდა, ე. ი. სასამართლოს სამმაგ შემადგენლობას. დიკასტერიის ამ გასამმაგებას ბერძნები იმ შემთხვევაში მიმართავდნენ, როდესაც ბრალდება სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირს ეხებოდა, ან სახელმწიფოს ინტერესების დაცვის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. ასე, მაგ. 430 წელს, როგორც აღნიშნული იყო ზევით, ათენის სახელმწიფოს მეთაურის – პერიკლეს მიმართ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და გაფლანგვაში ბრალდება 1.500-მა მოსამართლემ გაარჩია.

ჰელიეას სხდომები ღიად მიმდინარეობდა, მასზე დასწრება ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს შეეძლო. ჰელიეას სხდომებს ცხრა არქონტი და თესმოთეტების მდივნები თავმჯდომარეობდა. ჰელიაში საქმის გარჩევა ყოველდღიურად წარმოებდა, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, ეს უკანასკნელი კი ათენელებს მეტად ბევრი ჰქონდათ. სამუშაო დღის ყოველ დილას ჰელიასტები ათივე დიკასტერიიდან თავს სასამართლოს (ჰელიას) შენობასთან იყრიდნენ. ფარული კენჭისყრით წყვეტდნენ, სახელდობრ, რამდენ დიკასტერიას უნდა გაერჩია იმ დღისთვის გასარჩევად დანიშნული საქმე. რომელ დიკასტერიასაც კენჭი მოუწევდა, ის

იწყებდა პროცესს, დანარჩენები კი სახლში ბრუნდებოდნენ მეორე დღემდე. ერთ დღეს კერძო ხასიათის ოთხ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ერთ საკითხზე მეტის გარჩევა არ შეიძლებოდა.

როგორც მაძიებელს, ისე მოპასუხეს სიტყვის თქმისათვის თანასწორი დრო ეძლეოდათ (შეჯიბრებითობითი თანასწორუფლებიანობის პრინციპი). კერძო დავების გასარჩევად სარჩელის შეტანა მხოლოდ დაზარალებულს შეეძლო, ხოლო იმ სარჩელის შეტანის უფლება, რომელიც საჯარო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეზე ბრალდებას ითვალისწინებდა, ათენის ნებისმიერ მოქალაქეს, ან თავად დაზარალებულს ენიჭებოდა. იმ ეპოქაში პროკურატურის ინსტიტუტი არ არსებობდა, სადაც მოქალაქე საჯარო საქმეზე საჩივრის შეტანას შეძლებდა, სწორედ ამ მიზეზის გამო, პროკურორის ფუნქციის შესრულება სასამართლოს წინაშე ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო. წინამოსამზადებელ სტადიას არქონტები წარმართავდნენ, რომლებიც მათთვის წარდგენილ საჩივრებსა და სარჩელებს განიხილავდნენ, მოწინააღმდეგე მხარეებს მოიხმობდნენ, რათა მათ არსებულ საქმეზე თავიანთი არგუმენტები წარმოედგინათ. ამის შემდეგ არქონტს საქმის შეგროვებული მასალები შექონდა სასამართლოში, რომელსაც სასამართლოს ხმის გარეშე თავმჯდომარეობდა. არქონტი სასამართლოს სხდომის და მის მიერ განსჯის დღესაც თავადვე ირჩევდა. იგი უფლებამოსილი იყო განესაჯა მხოლოდ კერძო დავები, პოლემარქი კი უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების საქმეებზე იყო უფლებამოსილი, ხოლო მეფე რელიგიურ საქმეებზე. რაც შეეხებათ ექვს თეზმოთეტს, ისინი საჯარო საქმეებს განიხილავდნენ [Γιούνη2016: 147].

პროცესი ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობდა. პროცესზე მაძიებლის და მოპასუხის სიტყვებსა და მოწმეთა ჩვენებას ისმენდნენ. შემდეგ მხარეებს უცხადებდნენ ხომ არ სურდათ მოწმეთა ჩვენების უარყოფა. ამის შემდეგ ჰელიასტები ფარულ კენჭისყრას იწყებდნენ. თითეული ჰელიასტი საკითხს თავისი რწმენისა და პროცესზე გამომჟღავნებული საქმის ვითარების მიხედვით წყვეტდა.

ფარული კენჭისყრისთვის ჰელიასტებს ეძლეოდათ ორ-ორი კენჭი, ერთი მთელი და ერთი გაბურღული; გაბურღული კენჭები მაძიებლის სასარგებლოდ იყო მიჩნეული, მთელი კი - მოპასუხის. კენჭისყრის ადგილზე ორი ჭურჭელი (ყუთი) იდგა

- ერთი ბრინჯაოსი და ერთი ხისა. ჰელიასტები ამ ყუთებში კენჭებს ყრიდნენ, ვისაც რომელი კენჭი რომელ ყუთში სურდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა საკითხის გადაჭრისთვის ბრინჯაოს ყუთს ჰქონდა. როგორც კი კენჭის მიცემა დამთავრდებოდა, სპეციალურად არჩეული 4 კაცი მხოლოდ ამ ბრინჯაოს ყუთიდან ამოღებული კენჭების დათვლას იწყებდა. დასათვლელ დაფებზე ცალკე გაბურღულ და ცალკე მთელ კენჭებს აწყობდნენ, შემდეგ კი მათ ცალ-ცალკე თვლიდნენ. ამ პროცესს თვალს იქვე ახლოს მდგომი მოდავე მხარეები ადევნებდნენ. კენჭების დათვლის შემდეგ მიცემული ხმების რაოდენობას, ცალკე მაძიებლის და ცალკე მოპასუხის მიხედვით აცხადებდნენ. ხმა (კენჭები) რომელ მხარესაც მეტი იქნებოდა, საკითხიც გადაწყვეტილად მის სასარგებლოდ ითვლებოდა. ხმების გაყოფის შემთხვევაში საკითხი ბრალდებულის (მოპასუხის) სასარგებლოდ წყდებოდა [**მ.ალექსიშვილი1947: 100-101**].

ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იყო და ის გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში არ ექვემდებარებოდა, რადგან ხუთი ათასი ათენელისგან შემდგარ სასამართლოზე მაღალი ინსტანციის სასამართლო ან სხვა სახელმწიფო ორგანო არ არსებობდა.

მ. ალექსიშვილი კითხვას სვამს: „ჰელიას ასეთი ორგანიზაციის, საქმის გარჩევის ასეთი პროცედურის და უშუალობის დროს, შეიძლებოდა თუ არა ადგილი ჰქონოდა საკითხის გადაწყვეტას ჰელიასტების მოსყიდვითა და ანგარებით, როგორც ამ ბრალდებას ჰელიას წინააღმდეგ აყენებდნენ მემარჯვენე ფრთიდან ძველი ბერძენი მწერალი არისტოფანე, ორატორი ლისია, ანდა ახალ დროში შვარცი და სხვ.” ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში ისტორიკოსმა გ. გროტმა ხაზი გაუსვა ბრალდებას, რომელიც ჰელიას წინააღმდეგ უმართებულო იყო. ყოველ შემთხვევაში ასეთი ბრალდება ჰელიას წინააღმდეგ ნაკლებადაა დასაბუთებული, ვიდრე სხვა რომელიმე სასამართლოს მიმართ მონათმფლობელურ, ფეოდალურ ან ბურჟუაზიულ ფორმაციებში. ჰელიას ორგანიზაციის, სტრუქტურისა და მრავალრიცხოვანობის წყალობით ჰელიასტების მოქრთამვა შეუძლებელი ხდებოდა. თუ მაინც დავუშვებთ, რომ ამას ადგილი ცალკეული ჰელიასტების მხრივ ექნებოდა, ეს ცალკეული ელიასტები მთელი თავიანთი კოლექტივის მიმართ ისეთ არარაობას

წარმოადგენდნენ, ძნელი საფიქრებელია თითო-ოროლა ან თუნდაც რამდენიმე ათეული ჰელიასტის მოქრთამვას საკითხის საბოლოო გადაწყვეტაზე გავლენა ჰქონოდა [**მ.ალექსიშვილი1947: 102**].

კ. რიგასი აღნიშნავს, რომ იმდროინდელი სასამართლო მართლაც უნიკალური იყო, რადგან მოსამართლეები იყვნენ არა იურისდიქციაში სპეციალურად განსწავლული პირები, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც თავიანთ უფლებამოსილებას საკუთარ სინდისზე დაყრდნობით ახორციელებდნენ და არა მარტო კანონის „ცივად გამოყენებით". სწორედ ამიტომ, სასამართლო ხელისუფლება სახალხო მმართველობის მტკიცებულების კულმინაციას წარმოადგენდა. მათი მთავარი მიზანი მართლმსაჯულების შინაარსობრივად განხორციელება იყო და არა მხოლოდ კანონიერი ტექნიკური საკითხების დაცვა, რომელსაც საქმის არსებით და შინაარსობრივ მხარეზე გავლენა არ ჰქონდა. მათ ერთი დამნაშავის გამართლება ერჩივნათ, ვიდრე მასთან ერთად მისი გამტყუნების შემთხვევაში მთელი ოჯახის დასჯა, რომელსაც არანაირი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. ათენელების მიერ, სამართლიანობის ფართო და შინაარსობრივი აღქმა ფუნქციონირებდა, ვიდრე მისი კანონის ვიწრო ჩარჩოებში მოქცევის ტენდენცია [**Ρήγας2015: 127**].

იმ პერიოდში პროკურატურის მსგავსი ორგანო არ არსებობდა, ამიტომ მოქალაქე ვალდებული იყო თავად ეტვირთა პროკურორის ფუნქცია, რაც მას კიდევ უფრო მეტ თავდაჯერებულობას მატებდა. იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებულს დანაშაული დაუმტკიცდებოდა, რომლის დეფინიციასაც არც ერთი კანონი არ ახდენდა, მოსამართლეები იქვე ქმნიდნენ კანონს, რომელიც მოახერხებდა კონკრეტული დანაშაულის დასჯას. მოქალაქეები მთელ სასამართლო სისტემას წარმოადგენდნენ და ამავდროულად, გარკვეულ ვითარებაში საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელებაც შეეძლოთ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ სახალხო ყრილობაც ორგანოს წარმოადგენდა, სადაც გადაწყვეტილებებს ხალხის უმრავლესობა იღებდა და არა თანამდებობის პირები, დავასკვნით, რომ პერიკლეს ეპოქის დემოკრატია იმდროინდელ სამყაროში ყველაზე მასშტაბური, გამჭვირვალე და საყოველთაო იყო.

თავად სახელმწიფოს მიერ კანონის უზენაესობის უგულებელყოფა რომ არ მომხდარიყო, ძალიან მკაცრი ზომები გახლდათ მიღებული. გარდა იმისა, რომ არქონტების კონტროლი სახალხო ყრილობაზე ხდებოდა, იმ შემთხვევაში, თუკი ნებისმიერი მოქალაქე არქონტის მიერ კანონის დარღვევის მცდელობას შეამჩნევდა, მას შეეძლო ბულესთვის მიემართა, რათა ამ უკანასკნელს შესაბამისი ზომები მიეღო. სახალხო ყრილობას უნებლიედ რომ არ მიეღო უსამართლო კანონი, ან კანონქვემდებარე აქტი, რომელიც არსებულ კანონს ეწინააღმდეგებოდა, პასუხისმგებელი ბულე იყო. საკითხის სახალხო კრებაზე გასვლამდე ბულეს მისი კანონშეუსაბამობა უნდა აღმოეჩინა. ათენის დემოკრატიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარდა დამნაშავის დასჯა არც ერთ ინსტიტუტს არ შეეძლო, გარდა თავად სასამართლოებისა. დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლოზე ნებისმიერი ორგანო ვალდებული იყო აღნიშნული ფაქტის შესახებ მოეხსენებინა.

იმდროინდელ ათენში სპეციალური ინსტიტუტი - საჯარო ბრალდებელი შეიქმნა, რომლის ფუნქციაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ზოგიერთი საქმიდან გათავისუფლებაში მდგომარეობდა. საჯარო ბრალდებელი შეიძლებოდა გამხდარიყო ნებისმიერი ათენელი, რომელიც 60 წლის იყო და საჯარო ბრალდებლების დაფაზე იყო რეგისტრირებული. ყოველ ფილეს წელიწადში ერთხელ სამოცი საჯარო ბრალდებელი უნდა წარმოედგინა. მათ გადაწყვეტილებებზე აპელაციის განხორციელება ჰელიას სახალხო სასამართლოებში შეიძლებოდა.

რადგანაც მოსამართლეები არ გახლდათ იურისტები სასამართლოზე, მოწინააღმდეგე მხარეებს როგორც მტკიცებულება, არსებული კანონის წარმოდგენაც შეეძლოთ. თუ მხარე შესაბამის კანონს არ წარმოადგენდა, მოსამართლე ამ კანონის არსებობას უგულებელყოფდა, რაც მხარეს კარგს არაფერს მოუტანდა, რადგან შესაბამისი კანონი რომ წარმოედგინა, შეიძლება აღნიშნული კანონის რომელიმე მუხლით გამართლებულიყო. სასამართლო პროცესზე ძირითად მტკიცებულებას მოწმეები წარმოადგენდნენ. თუ მოქალაქეს ჩამორთმეული ჰქონდა პოლიტიკური უფლებები, ის არ შეიძლებოდა წარმოდგენილიყო მოწმედ. მოქალაქეს პროცესზე არ შეიძლებოდა ჰყოლოდა სპეციალურად დაქირავებული პირი, რომელიც მის

უფლებებს დაიცავდა, ანუ იგივე ადვოკატი. თუ მას არ შეეძლო ლაპარაკი, ან აზრის გადმოცემა, ნათესავისთვის, მეგობრისთვის, ან ოჯახის წევრისთვის შეეძლო დახმარების მოთხოვნა.

თუ საჯარო საქმის განხილვაზე ბრალმდებელი მხარე დაუსაბუთებლად არ ცხადდებოდა სასამართლო პროცესზე, ის ფულადი ჯარიმით ისჯებოდა (ათასი დრახმი) და მომავალში იმავე საკითხზე ან მის მსგავსზე სასამართლოში სარჩელის შეტანა არ შეეძლო. ასევე თუკი ბრალმდებელი მოსამართლეების ხმების ერთ მეხუთედს ვერ შეაგროვებდა, მკაცრად ისჯებოდა, რადგან მას სიცრუეში სდებდნენ ბრალს.

იმ ეპოქის ათენში მოხალისე ბრალმდებლის ინსტიტუტი არსებობდა. ეს ნიშნავდა, რომ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო სასამართლოში საჩივრის შეტანა, რაც პოლიციისა და პროკურატურის ინსტიტუტების არ არსებობით იყო განპირობებული. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინსტიტუტის არსებობას უკანონობის გამომჟღავნებისა და მისი დროულად აღკვეთის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ ათენის სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლება უშუალოდ ხალხის მიერ ხორციელდებოდა, სისტემა იყო მრავალწახნაგოვანი, რაც თანამდებობის პირებისა და არქონტების მრავალჯერადი კონტროლის აუცილებლობით იყო განპირობებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის არსებობის ისტორიაში პერიკლეს ეპოქის სასამართლოები ყველაზე დემოკრატიული ინსტიტუტები გახლდათ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის. ეს იყო სისტემა, რომელშიც თავად ხალხის მიერ მიღებული კანონების საფუძველზე მართლმსაჯულებას თავად ხალხი ახორციელებდა, შესაბამისად, ამ კუთხით მიღწეული ნებისმიერი წარმატება მხოლოდ ხალხის დამსახურებად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, ხოლო წარუმატებლობა, ასევე ხალხის მიერ მმართველობის არასწორად განხორციელების შედეგად გამოწვეული მოვლენა. ათენში აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს ხუთასთა საბჭო წარმოადგენდა, იგივე - ბულე. იგი თავდაპირველად სოლონმა შექმნა, თითოეულ ფილედან სოლონმა მასში გაიყვანა 100 კაცი, სულ ოთხივე ფილედან, როგორც მაშინ

ატიკა იყოფოდა - 400 კაცი. შემდეგ 509 წელს კი, როდესაც კლისთენემ ატიკა 10 ტერიტორიულ ფილედ დაჰყო და საბჭოში თვითეული ფილედან 50 კაცი გაიყვანა, საბჭოს შემადგენლობა 500 კაცით განისაზღვრა. საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების ვადა ერთ წელს შეადგენდა და მას სიცოცხლის განმავლობაში აღნიშნულ თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენა მხოლოდ ორჯერ შეეძლო. ასეთი სტატისტიკით ათენის ყველა მოქალაქეს ეძლეოდა შანსი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამხდარიყო ხუთასთა საბჭოს წევრი, რაც კიდევ ერთხელ იმდროინდელი დემოკრატიის გამჭვირვალობასა და საყოველთაო ხასიათზე მიუთითებს. საბჭოს წევრობა ყველა ათენელს შეეძლო, რომელიც 30 წლის იყო და რომელსაც პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა ჩამორთმეული.

კ. რიგასი წერს, რომ აღნიშნულ ორგანოს ორი ფუნქცია ჰქონდა: სახალხო კრების მოთხოვნის შემთხვევაში, მას სპეციალური კომისის შექმნა ევალებოდა, რომელიც წინასწარ სახალხო კრებაზე წარსადგენ და განსახილველ საკითხებს და სახალხო ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას მოამზადებდა. ამიტომ ის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ ითვლებოდა [Ρήγας2015: 98-99-127-128-129-130].

რადგან ხუთასთა საბჭოს სახალხო ყრილობაზე გასატანი საკითხების წინასწარ დამუშავება ევალებოდა, შეიძლება ითქვას, რომ მას საკანონმდებლო უფლებამოსილებაც გააჩნდა, რადგან მის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს - სახალხო კრების ფუნქციებში მონაწილეობის მიღება ავტომატურად საკანონმდებლო უფლებამოსილებების განხორციელებაში მონაწილეობას ნიშნავდა. იგი მხოლოდ სახალხო ყრილობისა და ათენის მოქალაქეების წინაშე იყო ანგარიშვალდებული. მის მიერ განხორციელებული უფლებამოსილებების მონიტორინგის უფლება მხოლოდ სახალხო ყრილობას გააჩნდა.

კ. რიგასი აღნიშნავს, რომ იმ ეპოქაში ღარიბი ათენელები იძულებულები იყვნენ ემუშავათ, ამიტომ იმისათვის, რომ ათენის ღარიბ მოსახლეობასაც შეძლებოდა ხუთასთა საბჭოს ფუნქციებში მონაწილეობის მიღება და მისი წევრი ყოფილიყო, დაწესდა სპეციალური გასამრჯელო, რომელიც საშუალო მუშის ანაზღაურების ტოლფასი იყო. გარდა ამისა, საბჭოს წევრები გარკვეული პრივილეგიებით

სარგებლობდნენ: ისინი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდებოდნენ, თეატრალურ წარმოდგენებზე ისინი პირველ რიგებში უნდა მსხდარიყვნენ, რაც იმ დროს საპატიო მოვლენად ითვლებოდა. ყრილობას თავისი წესდება ჰქონდა, იგივე პარლამენტის რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც, თუ საბჭოს წევრი სისხლის სამართლის საქმეს ჩაიდენდა, დაკავებული თანამდებობიდან თავისუფლდებოდა და მისი საქციელი უღირს საქციელად ითვლებოდა. გაცდენილი დღეების გამო საბჭოს წევრს ანაზღაურება ექვითებოდა. უფლებამოსილების განხორციელების დასასრულს საბჭოს ყველა წევრი ანგარიშს სახალხო კრებას აბარებდა. საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს საერთო პასუხისმგებლობა არ არსებობდა, არამედ საბჭოს ყველა წევრი ვალდებული იყო საბოლოო ანგარიში სახალხო ყრილობისთვის პირადად ჩაებარებინა [**Ρήγας2015: 99**].

ა. ენდრიუსი წერს: „საბჭო პრივილეგირებული მოქალაქეების ორგანოს არ წარმოადგენდა, არამედ სახალხო კრების ფუნქციებს ინაწილებდა. ზოგადად ის დიდი ორგანო იყო, მაგრამ სხვადასხვა ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის ზოგჯერ კომისიებად იყოფოდა. აღნიშნულ ვითარებაში მთავარ ორგანოს სახალხო ყრილობა წარმოადგენდა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად ცვლიდა წინადადებებს, რომლებიც მას ხუთასთა საბჭომ წარუდგინა, ან უმატებდა სხვა ფუნქტებს, რომელთა შესახებ სულ არ იცოდა საბჭომ და ხშირ შემთხვევაში, ავალდებულებდა ხუთასთა საბჭოს, რომ ყრილობაზე ის წინადადება შემოსულიყო განსახილველად, რომელზეც თავად ყრილობა მიუთითებდა” [**Andrews1987: 256**].

მ. ალექსიშვილი წერს, რომ საბჭოს ადრეულ პერიოდში ფულადი ჯარიმის დადების უფლება ჰქონდა, დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯისა, ცხრა არქონტისა და საბჭოს წევრობის კანდიდატთა დოკიმასიისა, თანამდებობის პირთა უმრავლესობის გასამართლებისა, როდესაც ისინი ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას, მაგრამ საბჭოს ამ დადგენილებებს საბოლოო ხასიათი არ ქონდათ და მათი კასაცია ჰელიაში შეიძლებოდა [**ალექსიშვილი1947: 107**].

პ. ნაკუ ხუთასთა საბჭოს დამატებით უფლებამოსილებებზე მიუთითებს. იგი წერს, რომ გარდა ზემოაღნიშნული უფლებამოსილებებისა, ხუთასთა საბჭოს უფლებამოსილებაში შედიოდა ზედამხედველობა ფლოტზე და ომის პროცესებზე,

მონიტორინგს უწევდა უცხო ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულებას, აკონტროლებდა ელჩებზე უცხო ქვეყნის ელჩებისთვის მინიჭებული პრივილეგიების გამოყენების კანონიერებას, მასვე ევალებოდა ათენის სიწმინდეების მოვლა-პატრონობის პროცესის კონტროლი, ასევე ქალაქის ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგი [Νάκος1991: 13].

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ათენში არსებული დემოკრატიის პირობებში, აღმასრულებელი ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე ძლიერ შტოს არ წარმოადგენდა, როგორც ეს თანამედროვე დემოკრატიებში ხდება, არამედ სახალხო კრება, ანუ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო გახლდათ სახელისუფლებო ინსტიტუტი, რომელიც ფაქტიურად ქვეყნის მართვა-გამგეობას ახორციელებდა. დანარჩენ ორგანოებს, მათ შორის ხუთასთა საბჭოსა და სასამართლოებსაც ქვეყნის მმართვაში მხოლოდ დამხმარე ფუნქციები ჰქონდათ, რაც სახალხო კრების უფლებამოსილების განხორციელებაში მონაწილეობასა და მისდამი დახმარების გაწევაში გამოიხატებოდა. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ათენურ დემოკრატიაში საკანონმდებლო ორგანო წარმომადგენლობითი დაწესებულება არ იყო, რომელიც ხალხს წარმოადგენდა, არამედ თავად ხალხი იყო სახალხო კრება, შესაბამისად, ხალხი საკუთარი ქვეყნის მართვას არავის უთმობდა.

მიგვაჩნია, რომ დემოკრატიის პირობებში, ხელისუფლების შტოებს შორის სწორედ საკანონმდებლო ორგანო უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს მართვის უმთავრეს რგოლს და არა აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც ეს თანამედროვე დემოკრატიებში ხდება.

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების გარდა, ანტიკურ ათენში ეფექტურად ფუნქციონირებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომელიც დემის მართვა-გამგეობის სახელითაა ცნობილი.

პერიკლეს დროს ატიკის ტერიტორიული დანაწილება იგივე დარჩა, რაც კლისთენის დროს იყო, ამ დანაწილების მიხედვით, ყველაზე ძლიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს დემი წარმოადგენდა.

ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით დემი დიდი უფლებებით სარგებლობდა. დემის ფარგლებში დემოტთა (დემში მცხოვრებ მოქალაქეთა) კრება ხელისუფლების

უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა. ეს კრება ირჩევდა დემის მამასახლისს - დემარქოსს ერთი წლის ვადით, დემის სალაროს გამგეს - 2 ხაზინდარს და ადგილობრივი კულტების ქურუმს.

დემის ყველა ამ მოხელეს კენჭისყრით ირჩევდნენ. თანამდებობის დაკავებამდე ისინი დოკიმასიას გადიოდნენ და ფიცს დებდნენ. დასასრულ, თანამდებობის ვადის გასვლის შემდეგ, ისინი დემოტთა კრებას თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს უდგენდნენ.

დემარქი დემოტთა სიებს აწარმოებდა, სადაც ის პირნი შეჰყავდა, რომელთაც 18 წელი შეუსრულდებოდათ და პერიკლეს 451 წლის კანონის მიხედვით, დედ-მამით ატიკელ მოქალაქეთა შვილები იყვნენ. მათთვის მოქალაქის მინიჭების საკითხი დემოტთა კრებას უნდა განეხილა, სადაც წინასწარ არჩეული 5 დემოტი მათ წინააღმდეგ ბრალმდებლად უნდა გამოსულიყვნენ. თუ ეს ბრალმდებელნი აღმოაჩენდნენ, რომ მოქალაქეობის უფლების მიღების პრეტენდენტი ახალგაზრდები ჯერ კიდევ არ იყვნენ 18 წლისანი, მათი საკითხის განხილვა იხსნებოდა, ვიდრე ისინი 18 წლის ასაკს არ მიაღწევდნენ. თუ ბრალმდებელნი დაამტკიცებდნენ, რომ ამ ახალგაზრდებიდან რომელიმე დედით ან მამით არაატიკელი იყო, მათ მონებად ჰყიდნენ. მათ უფლება ეძლეოდათ დემოტთა კრების ეს გადაწყვეტილება ჰელიაში გაესაჩივრებინათ. თუ დემოტთა კრება ფიცის დადების ქვეშ ხმის მიცემით მათ მოქალაქეობის უფლებას მიანიჭებდა, დემარქი ვალდებული იყო შეეტანა ისინი დემის მოქალაქეთა სიაში. ამის შემდეგ ამ ახალგაზრდებს დოკიმასია საბჭოში უნდა გაევლოთ. თუ საბჭო აღმოაჩენდა, რომ ამ ახალგაზრდებს ჯერ არ ჰქონდათ 18 წელი შესრულებული და დემოტთა კრებას მათთვის უკანონოდ მიუცია მოქალაქეობის უფლებები, საბჭო თვით დემოტებს ახდევინებდა ჯარიმას [**ალექსიშვილი1947: 107**].

აქ უნდა აღინიშნოს ორი გარემოება, ერთი, რომელიც საბჭოს ქმედების არადემოკრატიულობაზე მიუთითებს და მეორე, რომელიც სისტემის დემოკრატიულობას წარმოაჩენს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თუ ბრალმდებელნი დაამტკიცებდნენ, რომ სიაში შესატანი ახალგაზრდებიდან რომელიმე დედით ან მამით არაატიკელი იყო, მათ მონებად ჰყიდნენ. ეს იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ანტიკური დემოკრატია მონათმფლობელური იყო, თუმცა ის გარემოება, რომ მათ

უფლება ეძლეოდათ დემოტთა კრების ეს გადაწყვეტილება ჰელიაში გაესაჩივრებინათ, მიუთითებს ათენური დემოკრატიის აღმატებულობაზე იმ დროს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ სახელმწიფო მმართველობის მოდელებთან მიმართებაში. წარმოუდგენელი იქნებოდა იმდროინდელ ინდოეთში, ეგვიპტეში, ან ისრაელში რომელიმე მოქალაქეს, რომლის საკითხი გადაწყვიტა ერთმა ინსტიტუტმა, შანსი რომ ჰქონოდა ამ გადაწყვეტილების სხვა ინსტანციაში გასაჩივრებისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმოუდგენელია, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში უბრალოდ სხვა ინსტანციები და ორგანოები არ არსებობდნენ. ერთადერთ უმაღლეს სახელმწიფო ინსტანციას მეფეები და ფარაონები წარმოადგენდნენ.

მეორე გარემოება, რომელიც საინტერესოა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, სახალხო კრება, ანუ საკანონმდებლო ორგანო მართვა-გამგეობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა. ზუსტად იგივე ვითარება იყო ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზეც, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ დემარქებს, ანუ ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებს კენჭისყრით ირჩევდნენ. თანამდებობის დაკავებამდე ისინი დოკიმასიას გადიოდნენ და კრების წინაშე დებდნენ ფიცს. თანამდებობის ვადის გასვლის შემდეგ კი, ისინი დემოტთა კრებას, ანუ თვითმართველობის საკანონმდებლო ორგანოს თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს უდგენდნენ. თავის მხრივ, დემოტთა კრება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ კონტროლდებოდა. იგი ანგარიშვალდებული იყო ბულეს, სახალხო კრებისა და სხვა ცენტრალური ორგანოების წინაშე. მიუხედავად ამისა, დემები ეკონომიკური თავისუფლებით სარგებლობდნენ და მათ თავიანთი სალარო, ბიუჯეტი, შემოსავლები ჰქონდათ, რომელთა განკარგვაში ცენტრალური ხელისუფლება არ ერეოდა.

VI თავი. ძველი ბერძნული დემოკრატიის რომაული პერიოდი

ალექსანდრე დიდის (რომლის აღმზრდელი და მასწავლებელი არისტოტელე იყო) დამპყრობლური ლაშქრობების შედეგად მანამდე ელინურად (ბერძნულად) ცნობილი კულტურა ელინისტურად იქცა, ანუ მან სხვა ხალხები და კულტურები შეითვისა. ეს ძირითადად ორი მიზეზით აიხსნება:

1) ერთი მხრივ, ბერძნული ცივილიზაცია საბერძნეთისა და მისი კოლონიების ტერიტორიით აღარ შემოისაზღვრება, არამედ მრავალ სხვადასხვა ხალხს მოიცავს, ვინც პირველად ალექსანდრეს იმპერიამ გააერთიანა.

2) მეორე მხრივ, ბერძნული ცივილიზაცია თავისთვის უცხო ელემენტებს ითვისებს. მაგრამ, ელინური ცივილიზაციის განვითარების უფრო მაღალი დონე განაპირობებს იმას, რომ, უმთავრესად, მასთან ნაზიარები სხვა ხალხები ეცნობიან და ითვისებენ ბერძნულ იდეებსა და ჩვევებს და ამ შესაძლებლობას დიდ პატივად თვლიან. საბერძნეთის ელინურმა კულტურამ სხვა ხალხების ელინიზაცია მოახდინა.

რომის მიერ საბერძნეთის დაპყრობის შედეგად (ჩვ. წ. აღ.-მდე 146 წ.) მაკედონიის იმპერიის ელინიზმს რომის იმპერიის ელინიზმის ბატონობა ჩაენაცვლა. ჩვ. წ. აღ.-მდე IV საუკუნიდან ჩვ. წ. ახ.-ის VI საუკუნემდე პერიოდს ისტორიაში ელინისტურ-რომაულს უწოდებენ.

მეორე პუნიკური ომის დროს მაკედონიის მეფემ ფილიპე V და ჰანიბალმა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს, მაგრამ მაშინ მაკედონიას საბრძოლო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მიღება არ შეეძლო, რადგან საკმარისად ძლიერი ფლოტი არ ჰყავდა. იმდროინდელ საბერძნეთში ძალიან არასტაბილური

სიტუაცია იყო. რომი, თავდაპირველად, საბერძნეთის საქმეებში არ ერეოდა. აღმოსავლეთით უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება მან სირაკუზას დაკავების შემდეგ დაიწყო. ქალაქების ნაწილი რომაელებს მიემხრო, ნაწილი კი - მაკედონიას. რომმა თავისი ექსპანსია საბერძნეთში ბერძნული თავისუფლებების დაცვის ეგიდით დაიწყო.

ძვ. წ. 204 წელს მაკედონელებმა და რომაელებმა ზავს მოაწერეს ხელი, რომლის შემდეგ ფილიპეს დროებით მოუწია საბერძნეთის მიმართულებით აგრესიის შეზღუდვა, რომელიც მან ეგეოსის ზღვის კუნძულებისკენ მიმართა. პუნიკური ომის დამთავრების შემდეგ რომს სუსტი საბერძნეთის დამორჩილება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ეს მაკედონიის დამარცხების გარეშე შეუძლებელი იყო, ამიტომ რომის სენატმა მაკედონიასთან ომისთვის აქტიური მზადება დაიწყო.

ეგვიპტის, პერგამოსისა და როდოსის მიერ რომისთვის დახმარების თხოვნა ომის დაწყების ფორმალური მიზეზი გახდა. ძვ. წ. 200 წლის ბოლოს რომაელებმა ილირიაში ჯარი გადმოსხეს. ორი წლის მანძილზე ომში უპირატესობას ვერც ერთი მხარე ვერ ფლობდა, მაგრამ ძვ. წ. 197 წელს კინოსკეთალიასთან ბრძოლისას მაკედონიელები რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს. ამის შემდეგ ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მაკედონელებს უნდა დაეთმოთ დაპყრობილი ტერიტორიები ეგეოსის ზღვაში და საბერძნეთში, ასევე ჩაებარებინათ ფლოტი, გადაეხადათ კონტრიბუცია და ფილიპეს უმცროსი ვაჟი რომში მძევლად უნდა წასულიყო.

ფორმალურად, ბერძნული პოლისები დამოუკიდებლები დარჩნენ, მაგრამ რომაული გარნიზონები ისევ იდგნენ ციხესიმაგრეებში და პოლისების ბედს რომის სენატი წყვეტდა. რომაელებმა, პრაქტიკულად, გაქურდეს ბერძნული ქალაქები, „მადლობის ნიშნად" ძვირფასი საჩუქრები გამოართვეს. ამით ბევრი პოლისი ძალიან უკმაყოფილო დარჩა.

ელადაში სელევკიდების მეფემ ანტიოქე III-მ ჯარები გადმოსხა. იგი ეფესოში გამაგრდა და დაიწყო რომაელებისთვის ახალდაპყრობილი ქალაქების წართმევა. მას მხარს ჰანიბალიც უჭერდა, რომელიც სირიაში გაიქცა და ანტიოქეს სამხედრო მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა. რომაელებსა და ანტიოქეს შორის ნამდვილი

დიპლომატიური ომი დაიწყო, რის შედეგადაც საბერძნეთი ორ მტრულ ბანაკად გაიყო. პირველ ბრძოლაში რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს ანტიოქე, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა თავი ეფესოს შეაფარა. რომაელებმა ზღვაზეც გაიმარჯვეს და მცირე აზიაში სელევკიდები განდევნეს.

გადამწყვეტი ბრძოლა რომაელებსა და სელევკიდებს შორის ძვ. წ. 190 წელს მაგნესიუმთან მოხდა, სადაც რომაელებმა გაიმარჯვეს. ძვ. წ. 188 წელს კი ანტიოქე იძულებული გახდა ზავისთვის მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც დაპყრობილ ტერიტორიებზე უარს ამბობდა, იხდიდა კონტრიბუციას და ჰანიბალი რომისთვის უნდა გადაეცა, მაგრამ ჰანიბალმა თავი მოიკლა.

ამ მოვლენების შემდეგ რომის გავლენა ელადაში კიდევ უფრო გაიზარდა. მაკედონია კი ახალი ომისთვის ემზადებოდა. რომმა საპასუხოდ ომისთვის დიპლომატიური მზადება დაიწყო, რის გამოც მაკედონიის მესამე ომის დაწყებისთვის ძვ. წ. 171 წელს, მიუხედავად ძლიერი ანტირომული განწყობებისა, ბერძნულმა პოლისებმა მაკედონიას მაინც არ დაუჭირეს მხარი.

ძვ. წ. 168 წელს რომაელებმა პიდნასთან ბრძოლაში დაამარცხეს მაკედონიის ჯარი, რის შემდეგაც მაკედონიის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

ძვ. წ. 149-146 წლებში საბერძნეთსა და ყოფილი მაკედონიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე რომაელების წინააღმდეგ რამდენიმე აჯანყება მოხდა. ყველა ეს აჯანყება რომაელებმა ჩაახშეს.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ძველბერძნული დემოკრატია გარკვეული ეტაპების გავლის გარეშე არ დამყარებულა. დადგინდა, რომ ის ეტაპობრივად ვითარდებოდა და თავისი განვითარების კულმინაციას ათენში, პერიკლეს მმართველობისას მიაღწია.

დემოკრატიის დამკვიდრების ძირითი მიზეზი რამდენიმე გარემოება აღმოჩნდა: 1. გეო-პოლიტიკური მდებარეობა; 2. ძლიერი ფლოტი; 3. პოლიტიკური ვაკუუმი, რომელიც ახალი სახელმწიფოებრივი ფორმაციის შექმნისთვის იძლეოდა საფუძველს; 4. ნაშრომში ანტიკურ ეპოქაში დემოკრატიის დაფუძნების ძირითად მიზეზად ბერძნული მსოფლმხედველობა, ფილოსოფია დასახელდა.

აღნიშნული მსოფლმხედველობის თანახმად, ანტიკური ეპოქის ბერძნებისთვის და მათი კეთილდღეობისთვის სამყარო არ შექმნილა, ასევე არ არსებობს ზებუნებრივი ძალა, რომელიც სამყაროში არსებობს და ის ცდილობს ადამიანებს დაეხმაროს, ან თუ არსებობს, ადამიანების ბედი მას არ ანაღვლებს. რაც შეეხებათ ღმერთებს, ისინი ადამიანების ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ ერევიან, თუ მათ ადამიანები შეეწინააღმდეგებიან. ეს ჩარევა ადამიანის საკეთილდღეოდ კი არა, არამედ მის დასაოკებლად და წინააღმდეგობის გასაწევადაა მართული. ასევე, არც ღმერთები არიან ყოვლისშემძლენი, რადგან მათ არსებობამდე უხილავი ბედისწერა არსებობდა,

რომელმაც მათი შექმნა და არსებობა დაუშვა. ძველ ბერძნებს არც გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლე სწამდათ და თუ სწამდათ, აღიარებდნენ, რომ იმქვეყნიური ცხოვრება გაცილებით საშინელია, ვიდრე ამქვეყნიური. ძვ. წ. V საუკუნის საბერძნეთში არსებული მსოფლმხედველობის მიხედვით, სამყაროს შექმნა დაიწყო ქაოსიდან და ეს ქაოსი გრძელდება, რაც ადამიანების დაბერებასა და სიკვდილში გამოიხატება. ბერძნებისთვის მიუღებელი იყო ერთი ისტორიული კანონის არსებობა, რომელიც უცვლელია და არეგულირებს იდეალური საზოგადოების შექმნის პირობებს. მათთვის ასევე მიუღებელი იყო მესიანიზმი, ისინი ფიქრობდნენ, რომ რაც მოსახდენი იყო, ცუდი თუ კარგი, მოხდებოდა აქ, ამ ქვეყნად და რაც არ ხდება ამ ქვეყნად, ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, დაე, ღმერთებმა გადაწყვიტონ პრობლემები, რომლებიც სადღაც „იქ", ზეცაში ხდება. პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს ვერ მოგვიგვარებენ ღმერთები, რადგან ისინი უნდა მოგვარდნენ აქ, რასაც პოლიტიკაში ჩახედულობა და მისი ღრმა ცოდნა სჭირდება. მათი აზრით, ადამიანის შინაგანი სამყაროც ქაოსით არის მოცული და ადამიანის ქმედების ან მისი შედეგების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ათენელებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ მათი ქმედებები არ განისაზღვრებოდა და არც იმართებოდა ზებუნებრივი ძალებისაგან, არამედ ნებისმიერი ქმედებისთვის, რომელსაც ისინი ჩაიდენდნენ, თავად იყვნენ პასუხისმგებელნი, გამომდინარე აქედან, ნებისმიერი საქციელის ავკარგიანობის კოეფიციენტის საზომი ადამიანის წინათგრძნობა და ინტუიცია არის და არა ღმერთების, ან თავად ადამიანის მიერ წინასწარგანსაზღვრული ქმედებებისა და საქციელების არეალი [Καστοριάδης1999: 23]. სწორედ ასეთი ტიპის აზროვნებამ, რომელიც უარყოფდა ავტორიტეტებს და მიიჩნევდა, რომ ყველაფერი იწყება ამქვეყნად და მთავრდება აქვე, გამოიწვია ათენის ქალაქ-სახელმწიფოში დემოკრატიის დამყარება, ზემოაღნიშნული ანალიზის შედეგად დგინდება, რომ დემოკრატიის დაფუძნებას რამდენიმე წინაპირობა ახლდა: 1. ავტორიტეტების უარყოფა; 2. სიკვდილის შიშის დაძლევა და იმქვეყნიური ცხოვრების არსებობის უგულებელყოფა, რადგან მხოლოდ ასე არის შესაძლებელი საზოგადოება იყოს თავისუფალი და არ იყოს შებოჭილი; 3. საზოგადოებრივი თანასწორობის შეგრძნება, რაც ღმერთების

ავტორიტეტულობის უარყოფით მყარდება. თუკი ღმერთებიც არ არიან ყოვლისშემძლენნი, მაშინ მით უმეტეს არ არსებობენ ყოვლისშემძლე ადამიანები.

გაირკვა, რომ გარკვეული მიმართულებით, ბერძნული დემოკრატია თანამედროვე დემოკრატიებთან შედარებით უფრო პირდაპირი, გამჭვირვალე და სახალხო იყო, მაგრამ ამავდროულად, მონათმფლობელური. ნაშრომში აქცენტი გაკეთდა იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული მონათმფლობელობა არ იყო ნაკლოვანი, რომ ნებისმიერ ეპოქაში და ნებისმიერი დემოკრატიის ფარგლებში უფროსისა და მასზედ დაქვემდებარებულის ინსტიტუტი არსებობს.

დემოკრატია ვერ იარსებებს გარემოში, რომელშიც არ, ან ვერ აზროვნებენ თავისუფლად, თავისუფლად მოაზროვნეთა გარემოში კი გამორიცხულია ერთ პირს, ან პოლიტიკურ ორგანოს გააჩნდეს შეუზღუდავი ძალაუფლება. ბერძნული მითოლოგია ყოველთვის იყო სავსე ადამიანებსა და ღმერთებს შორის ჭიდილით, სადაც შეიძლება ადამიანები მარცხდებოდნენ, მაგრამ ბრძოლაზე უარს არასოდეს ამბობდნენ. სწორედ ესოდენ ძლიერი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, რომელიც ახასიათებდათ ბერძნებს, ათენში დემოკრატიის დამყარების წინაპირობა გახდა.

ეფიალტემ კაცობრიობას ორი გარემოებით დაამახსოვრა თავი: პირველი იმით, რომ მან უამრავ არქონტზე შეიტანა საჩივარი და მათ ბრალი დადო არასახელმწიფოებრივ ქმედებებში, საჯარო ინტერესების უგულებელყოფაში და მიკერძოებულობაში, რა თქმა უნდა ის იყო პირველი, რომელმაც გაბედა მმართველი ელიტის წინააღმდეგ ასე მძაფრად გალაშქრება და მეორე, მან ფაქტიურად შეზღუდა არეოპაგის განუსაზღვრელი უფლებამოსილებები, რამაც საფუძველი ჩაუყარა ათენში დემოკრატიის დაბადებას.

ეფიალტეს მიერ განხორციელებული ეს ორი პოლიტიკური აქტივობაც კი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ათენში დემოკრატიული მმართველობის დამყარება არ გახლდათ მხოლოდ პერიკლეს ერთპიროვნული დამსახურება, არამედ მისი და ათენელი მოქალაქეების თანამებრძოლის - ეფიალტეს დამსახურებაცაა. სწორედ ამიტომ, რიგასმა თავის ნაშრომს დაარქვა „ეფიალტეს დემოკრატია" (მოქალაქეების ძალაუფლება) და არა პერიკლეს დემოკრატია.

ისტორიოგრაფიის დეტალურად განხილვის შედეგად დავასკვენით, რომ ანტიკურ ეპოქაში, საბერძნეთში დემოკრატიის დამყარება არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ, ძირითადად, ბერძნული მსოფლმხედველობით იყო გამოწვეული. აღინიშნა, რომ იგივე და უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობა ეგვიპტესაც ჰქონდა, მაგრამ ეგვიპტეში დემოკრატია არასოდეს დამყარებულა, რაზეც ის ფაქტი მიუთითებს, რომ ეგვიპტეს საუკუნეების განმავლობაში ერთპიროვნული ფარაონები მართავდნენ. მსოფლმხედველობა, რომელმაც ათენში დემოკრატიის დამყარება გამოიწვია, ეფუძნებოდა ადამიანის სამყაროს ცენტრში მთავარ მოთამაშედ დაყენებას, მისი შესაძლებლობების განუსაზღვრელობას და მის ჟინს, შეწინააღმდეგებოდა ავტორიტეტებსა და ღმერთებს. აღინიშნა, რომ დემოკრატიის დამყარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს თავისუფალი აზროვნება და სწრაფვა ცვლილებებისაკენ.

ერთი შეხედვით, ათენში ხელისუფლება დანაწილებული იყო, მაგრამ კვლევის შედეგად ადვილად შესამჩნევი გახდა, რომ მთელი ძალაუფლება სახალხო ყრილობას, ანუ დემოსს ეკუთვნოდა. მოქალაქე თვითონ იყო სახელმწიფო, ანუ მას არ ესაჭიროებოდა ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლების კონტროლი, ასეთი ტენდენცია უფრო თანამედროვე დემოკრატიებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ხელისუფლება არსებითადაა დანაწილებული და ხელისუფლების ერთი შტო იძულებულია აკონტროლოს ხელისუფლების სხვა შტოები. ათენური დემოკრატიის პირობებში დემოსი წარმოადგენდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასაც. ყველა საქმე, რომელიც დემოსს ეხებოდა, გელიეას სასამართლოში ირჩეოდა, რომელიც ათენის მოქალაქეებისგან შედგებოდა, სახალხო ყრილობა იღებდა გადაწყვეტილებებს სახელმწიფოებრი საქმეების შესახებ, რომელიც ასევე დემოსის წარმომადგენლებისგან შედგებოდა და კანონპროექტებს წინასწარ ბულე ამზადებდა, რომელიც ასევე 500 სახალხო ყრილობის მიერ პირდაპირი წესით არჩეული ათენელი მოქალაქისგან შედგებოდა. რაც შეეხება არქონტებს, მათ დემოსი არ ენდობოდა, რადგან მიაჩნდა, რომ თანამდებობის პირებს ტირანიისაკენ აქვთ გადახრები და ისინი არ არიან სანდონი, ამიტომ მათ ყველა არსებითი ძალაუფლება ჩამოერთვა. პირველ რიგში არქონტებს პირდაპირი წესით

სახალხო ყრილობა ირჩევდა და მათი თანამდებობაზე დანიშვნა აღარ ეკუთვნოდა რომელიმე სხვა ორგანოს, გარდა სახალხო კრებისა. არეოპაგს ყველა ის უფლებამოსილება ჩამოერთვა, რომელიც სოლონის ეპოქაში ჰქონდა მინიჭებული და დარჩა მხოლოდ განზრახ მკვლელობებისა და უღირსი საქციელების განსჯის უფლება. სახელმწიფოებრივ საქმეებს ის ვეღარ წყვეტდა.

ყველა მოქალაქეს გააჩნდა უფლება კანონპროექტი წარედგინა სახალხო ყრილობაზე, ეს უკანასკნელი კანონპროექტს ბულეში აგზავნიდა, რათა მოემზადებინა ის. აქ ბულეს მთავარ მიზანს კანონპროექტის ტექნიკურად მომზადება, მისი დახვეწა წარმოადგენდა, რის შემდეგაც ის კანონპროექტს სახალხო ყრილობას უგზავნიდა, რომელიც საბოლოოდ კენჭს უყრიდა მას. ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო ახალი კანონპროექტის გაუქმების მოთხოვნით მიემართა სახალხო ყრილობისთვის, თუკი ის ეწინააღმდეგებოდა უკვე არსებულ კანონებს (γραφή παρανόμων). ამ საჩივარს შეეძლო გამოეწვია არა მარტო კანონპროექტის გაუქმება, არამედ მისი წარმდგენისა და სახალხო ყრილობის თავმჯდომარის ფულადი ან სხვა სახის სასჯელით დასჯა. ხელისუფლების მკვეთრად დანაწილება პერიკლეს ეპოქაში შეიმჩნევა.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია თავისი ყველაზე სრულყოფილი ფორმით ათენის პოლისში დაფუძნდა, კრეტასა და სპარტაშიც შეინიშნებოდა დემოკრატიულობის ელემენტები, ხელისუფლების დანაწილების და მმართველობის ინსტიტუციონალურად განხორციელების კუთხით.

რაც შეეხება პერიკლეს პერსონას, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მისი მმართველობის პერიოდში გატარებული რეფორმები ნათლად მეტყველებენ პერიკლეს მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე, მას რომ ძალაუფლების საკუთარი კეთილდღეობისთვის გამოყენების სურვილი ჰქონოდა, ისეთ რეფორმებს არ გაატარებდა, რომლებიც სახალხო კრებას და ხუთასთა საბჭოს აძლიერებენ, პერიკლეს მმართველობისას სახალხო კრებაში კანონპროექტის შეტანისა და განხილვის წესი მკაცრად არ განისაზღვრებოდა. საჯარო მოხელეებსა და ინსტიტუტებზე უმკაცრესი კონტროლი არ დაწესდებოდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი სანამ თანამდებობაზე დაინიშნებოდნენ გამოსაცდელი პერიოდი უნდა გაევლოთ, ხოლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას სახალხო კრებისთვის

საბოლოო ანგარიში უნდა წარედგინათ. პერიკლე მიკერძოებული რომ ყოფილიყო, კონტროლის ასეთ მკაცრ მექანიზმებს არ შემოიღებდა, წამყვან თანამდებობებზე საკუთარ მეგობრებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს დანიშნავდა, რომლებიც მის ინტერესებს დაიცავდნენ და არა ათენის მოქალაქეებისას. სწორედ პერიკლეს მიერ გატარებულმა რეფორმებმა ააღორძინა ათენი.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული დემოკრატია ჩანასახობრივი იყო, მისი შესწავლა და გაანალიზება მაინც უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ეპოქისთვის, რადგან დემოკრატიის სწორედ იმ ელემენტების დანერგვას ცდილობენ თანამედროვე ქვეყნები საკუთარ სახელმწიფოებში, რომლებიც პირველად ათენში გაჩნდა და ეს ელემენტებია: სახალხო მმართველობა, პირდაპირობა, გამჭვირვალობა და ავტორიტეტების როლის უგულებელყოფა საერთო განვითარების პირობებში.

როგორც უკვე აღინიშნა, ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში მმართველობის სხვადასხვა მოდელები ფუნქციონირებდა, კრეტა მონარქიული სახელმწიფო იყო, სპარტა სამხედრო-ოლიგარქიული, ხოლო ათენი დემოკრატიული, მაგრამ აღსანიშნავია ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ ძველი საბერძნეთის ნებისმიერი ქალაქ-სახელმწიფო იმ ეპოქისთვის დახვეწილი და სრულყოფილი კანონმდებლობით იმართებოდა.

კრეტის ქალაქ-სახელმწიფო გორტინის კანონებით იმართებოდა, რომელიც იმ დროისთვის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობის თვალსაჩინო მაგალითი იყო. გორტინის კანონები შეიცავდნენ როგორც სახელმწიფო სამართლის, ასევე სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმებს. გორტინი ძველი კრეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო, მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა ისტორიულ პერიოდში, როდესაც დაეცა კრეტის სასიცოცხლო ცენტრი - კნოსოსი. ძველი გორტინის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა, ლიტერატურული წყაროების სიმცირის გამო, წარმოადგენს ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კრეტის ისტორიის შესწავლისთვის თითქმის ერთადერთ წყაროს და სწორედ ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაოდ ცნობილი გორტინის კანონთა კრებული.

როგორც ანალიზიდან გაირკვა, კრეტის სახელმწიფოში დემოკრატიულობის კუთხით პრობლემას ხელისუფლების ფორმალური დანაწილება ქმნიდა. ერთის შეხედვით, კრეტის მმართველობით სისტემაში არ არსებობდა არც ერთი ორგანო, რომელიც აბსოლუტურ, შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობდა, თუმცა ხელისუფლების დანაწილების პირობებში, ყველაზე ძლიერი ორგანო - კოსმები არ იყვნენ თავისუფლები თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას. თუკი ყოველივე ამას შევხედავათ თანამედროვეობის ჭრილში, დავასკვნით, რომ კრეტის სახელმწიფოში ადგილი ჰქონდა ოლიგარქიულ-კლანურ მმართველობას. მიუხედავად ყველაფრისა, რთულია ეს ნაკლი მივიჩნიოთ ყოვლისმომცველად და დემოკრატიის დამაკნინებლად, რადგან მმართველობის კლანური ფორმები არა თუ ქრისტეს შობამდე პერიოდში, არამედ თანამედროვე დემოკრატიებშიც გვხვდება.

სპარტა სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ სპარტას სახელმწიფოს წყობილებას, დიდი პუნქტი, ბერძნული ისტორიის უძველესი პოლიტიკური ტიპის ტექსტი არეგულირებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სპარტას სახელმწიფო ათენისა და კრეტის სახელმწიფოებთან შედარებით, ჩაკეტილი საზოგადოებისგან შედგებოდა და მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სამხედრო საქმიანობით იყო დაკავებული. იგი წარმოადგენდა სამხედრო ბანაკს, სადაც აღზრდის უსასტიკესი წესები მოქმედებდა.

სახელმწიფოს კანონმდებლობის შექმნა ლიკურგეს მიეწერება, თუმცა არ არსებობს აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი პირდაპირი წყარო.

დადგინდა, რომ ლაკედემონელთა სახელმწიფო ოლიგარქიული იყო, მაგრამ დემოკრატიულობის მცირე ნიშნები მასში მაინც შეინიშნებოდა, თუნდაც ხელისუფლების დანაწილების თვალსაზრისით, რომ აღნიშნულ ქალაქ-სახელმწიფოს მმართველობის ფორმა და მისი საზოგადოებრივი წყობილება მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი გახლდათ, მმართველობის ინსტიტუციებიც გარკვეულწილად დემოკრატიულად ფუნქციონირებდნენ, ის შეიცავდა დემოკრატიის გარკვეულ ნიშნებს ხელისუფლების მკვეთრად დანაწილების თვალსაზრისით, არ არსებობდა არც ერთი ორგანო, რომელიც აბსოლუტურ ძალაუფლებას ახორციელებდა, თუმცა მეორე მხრივ, ეფორებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შეეძლოთ პერიეკების

მოკვლა. იმ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად ხორციელდებოდა მონების ხოცვა-ჟლეტა, დავასკვენით, რომ სპარტას სახელმწიფო დემოკრატიულობის ნიშნებს მხოლოდ ხელისუფლების დანაწილებისა და მისი განხორციელების კუთხით შეიცავდა. რაც შეეხება კანონმდებლობას, რომელიც ეფორებს პერიეკების გაუსამართლებლად მოკვლის უფლებას აძლევდა, აქ დემოკრატიაზე საუბარი ზედმეტია. ყველაზე პარადოქსური ის ფაქტია, რომ დაახლოებით 2500 წლის წინ სპარტელებმა გააანალიზეს, რომ საზოგადოების ნორმალურად განვითარებისთვის აუცილებელი იყო ძალაუფლებას ერთი ორგანოს, ან პიროვნების ხელში არ მოეყარა თავი, მაგრამ ვერ გაიაზრეს, ადამიანებისთვის (მონებისთვის) გაუსამართლებლად სასიკვდილო განაჩენის გამოტანა არ იყო ნორმალური პროცესი, ან მისაღები. სწორედ ამიტომ, სპარტას სახელმწიფოს მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი მმართველობის მოდელის კვლევა ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ.

სოლონის მიერ გატარებული რეფორმების შემდეგ პერიკლემ ქონებრივი ცენზი გააუქმა, სახელმწიფო სამსახურისთვის ჯამაგირი (დიეტა) დააწესა და ამით სახელმწიფო მართვა-გამგეობაში უღარიბესი ფენებიც ჩააბა; გააფართოვა სახალხო კრების (ეკლესია) უმაღლესი საკანონმდებლო უფლებანი; მანამდე არსებული ღია ხმის მიცემის (ქეიროტონია) გვერდით საარჩევნო ფორმად კენჭისყრა შემოიღო; თეატრში სანახაობებზე დასასწრებად ღარიბთათვის დააწესა სახელმწიფო ხაზინიდან ფულის გაცემა (თეორიკონი); სანახაობებისა და მისტერიების ხარჯები მდიდარ მოქალაქეებს დააკისრა (ლიტურგია); უმიწაწყლო გლეხობას საგანგებოდ გამოყოფილ მიწებზე (კლერუქია) ასახლებდა; პერიკლეს დროინდელ ათენს „საბერძნეთს საბერძნეთში" უწოდებენ.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ათენში დემოკრატია ეტაპობრივად ფუძნდებოდა და ერთი, ან ორი მმართველის მიერ უცაბედად არ დამყარებულა.

საბოლოოდ, ბერძნულ დემოკრატიას ალექსანდრე დიდის მმართველობა, შემდეგ რომის იმპერია და ქრისტიანობა ჩაენაცვლა, მაგრამ ევროპული ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაზე მან უდიდესი გავლენა იქონია, რაც იმით დამტკიცდა, რომ რენესანსის ეპოქაში კვლავ ანტიკური კულტურისა და ძველბერძნული მმართველობის ფორმის წინა პლანზე წამოწევა აუცილებელი გახდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დემოკრატიამ თავისი კლასიკური გაგებით არსებობა შეწყვიტა ალექსანდრე დიდის მმართველობის დამყარების შემდეგ და ეს იყო ერთადერთი ეპოქა ერთადერთი მმართველობის მოდელით, როდესაც ძალაუფლებას უშუალოდ ხალხი ახორციელებდა და არა რომელიმე წარმომადგენლობითი თუ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტი.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. არისტოტელე 1995: არისტოტელე, პოლიტიკა, ტ. I,II, თარგ. თამარ კიკნაძე, თბილისი;
2. არისტოტელე 1935: არისტოტელე, ათენელთა სახელმწიფო წყობილება, ქუთაისი;
3. ალექსიშვილი 1947:მ. ალექსიშვილი, ათენის მონათმფლობელური დემოკრატია, თბილისი;
4. გორდეზიანი1968: რ. გორდეზიანი, ეგეოსის კულტურა ბრინჯაოს ხანაში;
5. ენგელსი1832: ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა;
7. კაკაშვილი: ე.კაკაშვილი, ბერძენ-სპარსელთა ომები;
8. ლენინი 1934: ვ. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ.IV, თბილისი;
9. მელქაძე 2006: ო. მელქაძე კონსტიტუციონალიზმი, თბილისი;
10. ნაცვლაძე: მ. ნაცვლაძე, რეზონანსი;

11. პლატონი 2003: პლატონი, სახელმწიფო, ''ნეკერი";

12. პლუტარქე: პერიკლე;

13. ჟორჟოლიანი, თ. ბერეკაშვილი, მ. მუსხელიშვილი 2001: დემოკრატიზაცია, თბილისი;

14. სანიკიძე 1989 : ლ. სანიკიძე, კეისარიადა, თბილისი;

15. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;

16. საყოველთაო ისტორიის ბიბლიოთეკა 1999: ძველი საბერძნეთის ისტორია;

17. უზნაძე 1919: დ. უზნაძე, რომი, ქუთაისი;

18. უზნაძე 1918: დ. უზნაძე, ძველი საბერძნეთი, ქუთაისი;

19. ფილოსოფიის ისტორია: ელინურ-რომაული ფილოსოფია;

20. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომ: VII, IX, XI;

21. ქსენოფონტე 1984: ქსენოფონტე;

22. ცაცანაშვილი 1995: მ. ცაცანეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბილისი;

23. სპარტა – ძველი ისტორიული კულტურის მითები და რეალობა;

24. θουκυδίδης 1962: θουκυδίδης, Ιστορία, Γκοβοστη;

25. Βαρδιάμπασης 2004: Ν. Βαρδιάμπασης, ΑΘΗΝΑΪΚΗ ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑ, ΕΛΕΥΘΕΡΟΤΥΠΙΑ;

26. Βλάχος1980: Άγγ. Βλάχος, προλεγόμενο ςτην Αθηναίων πολιτεία του Αριστοτέλη;

27. Ψιλάκης1899: β. Ψιλάκης, Ιστορία της Κρήτης, Αθήνα;

28. Γιούνη 2016: Σ. Γιούνη, ΙΣΤΟΡΙΑ ΤΩΝ ΠΟΛΙΤΙΚΩΝ ΘΕΣΜΩΝ ΣΤΗΝ ΑΡΧΑΙΟΤΗΤΑ;-

29. Οι υπεύθυνες απαντήσεις της επιστήμης και η παρούσα κατάσταση της έρευνας για την πρώτη αρχή του ελληνικού πολιτισμού, Ηράκλειο: Πανεπιστημιακές Εκδόσεις Κρήτης;

30. Ηλιάδη: Κ. Ηλιάδη, Η καθημερινή ζωή στην αρχαία Σπάρτη;

31. Καστοριάδης 1999: Κ. Καστοριάδης, Η αρχαία ελληνική δημοκρατία και η σημασία της για μας σήμερα, Αθήνα;

32. Γιαννόπουλος 2013: Θ. Γιαννόπουλος, Πόθεν και πότε οι Έλληνες;

33. Μαντάς: Κ. Μαντάς, Ελληνορωμαϊκός πολιτισμός;

34. Μιχαήλ Σακελλαρίου 2004: Μ. Σακελλαρίου, ΑΜΕΣΗ ΚΥΒΕΡΝΗΣΗ ΙΣΩΝ ΠΟΛΙΤΩΝ, ΕΛΕΥΘΕΡΟΤΥΠΙΑ;

35. μανιτακης 1994: α. Μανιτακης, Κράτους δικαίου, Αθήνα– Θεσσαλονίκη;

36. Νάκος 1991: π. Νάκος, Ιστορία Ελληνικού και Ρωμαϊκού Δικαίου, Θεσσαλονίκη;

37. Νίκος Βαρδιάμπασης 2004: Ν. Βαρδιάμπασης, ΑΘΗΝΑΪΚΗ ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑ, ΕΛΕΥΘΕΡΟΤΥΠΙΑ;

38. Ρήγας 2015: Γ. Ρήγας, Η δημοκρατία του Εφιάλτη, (Η εξουσία των πολιτών) Αθήνα;

39. Πλουτάρχος 1955: Πλουτάρχος, Βίος του Σόλωνα' εκδ. Ι. Βίοι Παράλληλοι, Ζαχαροπούλου;

40. Παυσανίας, Ελλάδος περιήγησις, ძველბერძნული ტექსტი: Λακωνικά, Μεσσηνιακά;

41. Παπακυριάκου: Ε Παπακυριάκου, Η Αγωγή των Νέων;

42. Σακελλαρίου 2004: Μ. Σακελλαρίου, ΑΜΕΣΗ ΚΥΒΕΡΝΗΣΗ ΙΣΩΝ ΠΟΛΙΤΩΝ, ΕΛΕΥΘΕΡΟΤΥΠΙΑ;

43. Σίτος 1984: Κ. Σίτος, Ιστορία του Αρχαίου Ελληνικού Πολιτισμού, Ιωάννινα;

44. (Πλούταρχος, Λυκούργος: 16)

45. Andrews1987: A. Andrews, Αρχαία ελλ. Κοινωνία;

46. Andrews 1987: A. Andrews, ΗΘΗ ΚΑΙ ΑΞΙΕΣ ΣΤΗΝ ΑΡΧΑΙΑ ΕΛΛΑΔΑ;

47. Bengtson 1991: H. Bengtson, Ιστορία της Αρχαίας Ελλάδος, Αθήνα;

48. Blöndal 2007: S. Blöndal, B. Benedikz The Varangians of Byzantium, Cambridge University Press;

49. Bucklet 1996: Bucklet;

50. Bower2010: B. Bower, Hominids Went Out of Africa on Rafts Wired Science January 8, 2010;

51. Cartledge 1989: p. Cartledge, Hellenistic and Roman Sparta: A Tale of Two Cities (Societies & Cities of Ancient Greece), Routledge; (ISBN 978-0415032902)

52. Cartledge 2001: P. Cartledge, Sparta and Lakonia: A Regional History 1300-362 BC, Routledge; (ISBN 978-0415262767)

53. Catholic Encyclopedia1912: article on Theophilus, New Advent Web Site;

54. Cosman, Jones 2009: M. Cosman, L Jones, Handbook to Life in the Medieval World;

55. Chisholm1911: H. Chisholm, "Antonius". Encyclopædia Britannica 2, (11th ed.). Cambridge University Press;

56. Chahin2001: M. Chahin, The Kingdom of Armenia: A History, London;

57. Choniates1975: N. Choniates, Historia, ed. J.-L. Van Dieten, Berlin and New York;

58. D'Amato 2012: R. D'Amato, Byzantine Imperial Guardsmen 925–1025: The Tághmata and Imperial Guard;

59. Ehrenberg 2004: V. Ehrenberg, From Solon to Socrates: Greek History and Civilisation between the 6th and 5th centuries BC, london;

60. Edmond 2008: L. Edmond, Σπάρτη: Κοινωνική και πολιτική ιστορία έως τη ρωμαϊκή κατάκτηση, Αθήνα;

61. Encyclopædia Britannica Eleventh Edition: Sparta;

62. Forrest 1969: W.G. Forrest, A History of Sparta, 950-192 B.C, Norton & Company;

63. ΙΣΤΟΡΙΑ ΤΟΥ ΕΛΛΗΝΙΚΟΥ ΕΘΝΟΥΣ 1970: Αθήνα;

64. grote B.IV: G. grote, geschichte griechenlands;

65. Gilbert 1892: G. Gilbert, "The Destruction of Paganism in the Roman Empire";

66. Gibbon: E. Gibbon, The Decline and Fall of the Roman Empire;

67. Guilland 1967: R. Guilland, Recherches sur les Institutions Byzantines, Berlin;

68. Glotz1989: G. Glotz, η ελληνική πόλισ;

69. Gregory2011: E. Gregory, A History of Byzantium;

70. Haasi 1869: F. Haasi, Thucydidis historia belli peloponnestaci, lib VIII, II, III, Parisiis;

71. Harnack: A. Harnack, The Expansion of Christianity in the First Three Centuries;

72. Hopper1993: R.J. Hopper, Οι πρώτοι Έλληνες, Θεσσαλονίκη;

73. Hetherington 2001: P. Hetherington, The Greek Islands. Guide to the Byzantine and Medieval Buildings and their Art, London;

74. Hetherington2001: P. Hetherington, The Greek Islands. Guide to the Byzantine and Medieval Buildings and their Art, London;

75. Heath1980: I. Heath, Armies of the Dark Ages 600-1066;

76. Kazhdan1991: A. Kazhdan, Oxford Dictionary of Byzantium, Oxford University Press;

77. Κρήτη: Explorer (2004);

78. Kazhdan1985: A. Kazhdan, A. Wharton, Change in Byzantine Culture in the Eleventh and Twelfth Centuries, University of California Press;

79. Kenneth1976: S. Kenneth, The Papacy and the Levant, 1204-1571, The Thirteenth and Fourteenth Centuries, American Philosophical Society;

80. Lewis, Meyer 1990: N. Lewis, R. Meyer, Empire. Columbia University Press;

81. Mayor: The Poison King: the life and legend of Mithradates, Rome's deadliest enemy;

82. Mosse1988: Gl. Mosse, ΙΣΤΟΡΙΑ ΜΙΑΣ ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑΣ;

83. MacMullen1984: R. MacMullen, Christianizing The Roman Empire A.D.100–400, Yale University Press;

84. McGeer2008: E. McGeer, Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century, District of Columbia: Dumbarton Oaks Studies;

85. Porphyrogenitus: C. Porphyrogenitus, De cerimoniis aulae Byzantinae libri duo, e recensione Io. Iac. Reiskii cum eiusdem commentariis integris;

86. Pryor2006: J. Pryor, M. Jeffreys, The Byzantine Navy ca. 500–1204. Leiden, The Netherlands and Boston, Massachusetts: Brill Academic Publishers;

87. Ringrose 2003: K. Ringrose, The Perfect Servant: Eunuchs and the Social Construction of Gender in Byzantium, Chicago, Illinois: The University of Chicago Press;

88. Romilly1992: J. Romilly, Η Αρχαία Ελλάδα Σε αναζήτηση της ελευθερίας;

89. Suny1994: R. Suny, The Making of the Georgian Nation;

90. schwarcz 1877: I. schwarcz, die demokratie, Leipzig;

91. Schaff: P. Schaff: Nicene and Post-Nicene Fathers Second Series, Peabody: Hendrickson, ISBN 978-1-56563-116-8;

92. Schlumberger1890: G. Schlumberger, Un empereur byzantin au dixième siècle, Nicéphore Phocas;

93. Schuller2006: W. Schuller, Ιστορία της Αρχαίας Ελλάδας Αθήνα;

94. Strasser2010: F. Strasser, The Journal of the American School of Classical Studies at Athens;

95. the Oxford encyclopedia of Ancient Greece and Rome: Volume1, Oxford University Press;

96. Vermeule1983: E. Vermeule, Greece in the Bronze Age, Αθήνα;

97. Warren 1998: T Warren, Treadgold Byzantium and Its Army 284-1081, Stanford University Press;

98. willrich 1936: H. willrich, perikles, Gottingen;

99. Wilford2010: J.N Wilford, On Crete, New Evidence of Very Ancient Mariners, The New York Times, 15 Feb 2010;

100. Автономов 2006: А. Автономов, Современные проблемы взаимодействия институтов гражданского общества и органов власти;

101. Адорно2001: Т. Адорно, Исследование авторитарной личности;

102. Алексеева 2005: Т. А. Алексеева, ПРОБЛЕМЫ АВТОРИТЕТА В ПОЛИТИЧЕСКОЙ ФИЛОСОФИИ;

Алмонд 1994: Г. Алмонд, Гражданская культура и стабильность демократии;

103. Андреев1998: Ю.В. Андреев, Цена свободы и гармонии, Гуманитарная академия;

104. Арский 1971: Ф.Н Арский, Перикл;

105. Андреев2008: Ю.Андреев, АРХАИЧЕСКАЯ СПАРТА, Санкт-Петербург;

106. Андреев1983: Ю.Андреев, Спарта как тип полиса;

107. Андреев1984: Ю.Андреев, Мужские союзы в структуре дорийского полиса;

108. Андреев1994: Ю.Андреев, Греческий полис без бюрократии и литературы;

109. Андреев1972: Ю.Андреев, К вопросу об организации критских сисситий, Саратов;

110. БАРАНОВ 2008: Н. БАРАНОВ, СОВРЕМЕННАЯ ДЕМОКРАТИЯ: ЭВОЛЮЦИОННЫЙ ПОДХОД, Санкт-Петербург;

111. Белох 1899: К Белох, история греции;

112. Бузескул 1915: В. Бузескул, введение в историю греции;

113. Белох1897: Ю.Белох, История Греции;

114. Бергер1966: А.К.Бергер, Политическая мысль древнегреческой демократии;

115. Боннар: А. Боннар, Греческая цивилизация;

116. Бузольт1890: Г. Бузольт, Очерк государственных и правовых греческих древностей, Харьков;

117. Богомолов1985: А.Богомолов, Античная философия;

118. Богдановна2010: Н. Богдановна, Героизация творцов в античной культуре, Москва;

119. Валлон1936: А.Валлон, История рабства в античном мире. Греция;

120. Вернан1988: Ж.Вернан, Происхождение древнегреческой мысли;

121. Винтерлинг1890: А.Винтерлинг, Политическая цивилизация греко-римской античности;

122. Васильевский1869: В.Васильевский, Политическая реформа и социальное движение в древней Греции в период ее упадка;

123. Гущин2013: В.Р. Гущин, Талассократия, империя и демократия в Афинах, Санкт-Петербург;

124. Гришин2005: В. Гришин, Социально-философский анализ кризиса духовности в Древней Греции и в современной России, Нижний Новгород;

125. ДЬЯКОНОВ1989: И. М. ДЬЯКОНОВ, ИСТОРИЯ ДРЕВНЕГО МИРА, Москва;

126. Евсеенко2005: Т. Евсеенко, Эволюция формы государственного устройства в античном мире, Екатеринбург;

127. Жебелев 1923: С Жебелев, сократ, берлин;

128. Зайков1988: А. Зайков, Периэки в структуре спартанского полиса;

129. Зайков1991: А. Зайков, Территориальная экспансия Лакедемона и становление спартанского полиса;

130. Зайков2010: А. Зайков, К вопросу о специфике спартанской экономики, Новгород;

131. Зайков1999: А. Зайков, Спартанские ксенеласии, Екатеринбург;

132. Зберовский2009: А. Зберовский, Культура как фактор обусловленности демократической традиции Древней Греции, Красноярск;

133. Зайков2013: А. Зайков, ОБЩЕСТВО ДРЕВНЕЙ СПАРТЫ, Екатеринбург;

134. Зберовский2000: А. Зберовский, Феномен власти в общественном сознании периода расцвета античных демократических полисов :Социально-философский анализ; Красноярск;

135. Зберовский2009: А. Зберовский, Культура как фактор обусловленности демократической традиции Древней Греции, Красноярск;

136. исократ 1836: исократ, политические речи исократа, Москва;

137. Кареев 1903: Н. Кареев, Государство-город античного мира, С. Петербург;

138. курциус 1883: М. курциус, история греции, Москва;

139. куланж 1895: F. куланж, Гражданская община древнего мира, Москва;

140. Ксенофонт 1936: Ксенофонт, Афинская полития, Москва;

141. Плутарх 1890: Плутарх, Жизнь и дела знаменитых людей древности, Москва;

142. Кузищина1996: В.И. Кузищина, История Древней Греции;

143. Куланж1903: Н. Д.Куланж, Древняя гражданская община;

144. Колобова1957: К.Колобова, Древняя Спарта (X-VI вв. до н. э.);

145. Латышев1897: В.Латышев, Очерк греческих древностей;

146. Лосев1988: А. Лосев, Античность как тип культуры;

147. Маринович2007: Л. П. Маринович, Античная и современная демократия ;

148. Николаевич 2006: И. Николаевич, РЕСПУБЛИКА И ДЕМОКРАТИЯ ПО КЛАССИФИКАЦИИ АРИСТОТЕЛЯ;

149. Никитюк1996: Е.В.Никитюк, Процессы по обвинению в нечестии (асебейе) в Афинах во второй половине V в. до н.э;

150. Оскар: Й. Оскар, Всемирная история;

151. Озеров2007: В. Озеров, Возникновение государственности и комплексного института налогообложения в обществах Древнего мира и античной Греции :историко-правовой аспект, Санкт-Петербург;

152. Пальцева1990: Ю.Пальцева, Из истории архаической Греции: Мегары и мегарские колонии;

153. Печатнова2002: Л. Печатнова, Спартанский полис в архаическую и классическую эпохи, Санкт-Петербург;

154. Печатнова2001: Л.Г. Печатнова, История Спарты;

155. Печатнова1984: Л. Печатнова, Спартанский полис на рубеже V-IV вв. до н.э., Ленинград;

156. платон: горгиас;

157. Ранович1950: А. Б Ранович, Эллинизм и его историческая роль;

158. Рожков2009: М. Рожков, Рефлексия античного наследия, Саранск;

159. Рассел1994: Б.Рассел, История западной философии;

160. Сергеев1948: В. С Сергеев, История древней Греции;

161. Сальвиоли1922: Г.Сальвиоли, Капитализм в античном мире, Екатеринослав;

162. Сахурия: Д. Сахурия, Влияние основных политических теорий первой половины XX в. на оценку Спарты;

163. Стадуб2003: И. Д.Стадуб, “ Стадуб И. Д., ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВА И ПРАВА ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН;

164. Суриков1997: И.Е.Суриков, Перикл и Алкмеониды;

165. Тумане 2001: Х. Тумане, Идеологические аспекты власти Писистрата;

166. Тумане 2002: Х. Тумане, Рождение Афины: Афинский путь к демократии: от Гомера до Перикла, Алетейя;

167. Фролов2001: Э. Д Фролов, Греция в эпоху поздней классики;

168. Фролов1988: Э. Д Фролов, Рождение греческого полиса;

169. Фролов1983: Э.Д Фролов, Политические лидеры афинской демократии;

170. Хилюта2001: В.А.Хилюта, история древней греции (история древней греции и древнего рима), Гродно;

171. Шофман1963: А.Шофман, История античной Македонии, Казань;

ШтаерманЕ1975: М.ШтаерманЕ, Кризис антич;

172. Яйленко 1990: В.П.Яйленко, Архаическая Греция и Ближний Восток;

173. Яйленко1990: В.Яйленко, Архаическая Греция и Ближний Восток;

174. Ярхо1954: В.Н.Ярхо, Аристофан;

175. Ясперс1991: К. Ясперс, Смысл и назначение истории.